

კანონიერი ქურდები საქართველოში:  
ისტორია და რეალობა

მონობრაჟია

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის (TraCCC) საქართველოს ოფისის პროგრამის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიურო (INL) აშშ იუსტიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის ქვეყნებში პროკურატურის განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების ოფისის კოორდინაციით (DOJ/OPDAT).

თბილისი 2004

G. Lobjanidze G. Glonti

**THIEVES – IN – LAW IN GEORGIA: HISTORY AND REALITIES**

**MONOGRAPHY**

**The research project was conducted within the framework of the American University’s Transnational Crime and Corruption Center (TRACCC)’s grant program. Financial support was provided by the Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs of the U.S. Department of State, In coordination with the office of Overseas Prosecutorial Assistance and Training (DOJ/OPDAT) of the U.S. Department of Justice.**

**TBILISI - 2004**

მონოგრაფია “პროფესიონალური დანაშაულობა (“კანონიერი ქურდები”)” თანამედროვე საქართველოსთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას ეძღვნება.

წინამდებარე გამოკვლევა “კანონიერი ქურდების” შესახებ საქართველოში პირველია და ის მნიშვნელოვნად ავსებს ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ავტორთა მცირერიცხოვან ნაშრომთა სიას.

მონოგრაფიაში განხილულია ამ ფენომენის მეტ-ნაკლებად ცნობილი დეფინიციები სამამულო და უცხოურ ლიტერატურაში, აგრეთვე გაანალიზებულია ძირითადი კრიმინოლოგიური თეორიები, რომელიც ხსნის აღნიშნული მოვლენის არსს.

ავტორებმა გაანალიზეს უწყებრივი ლიტერატურა, კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების უწყებრივი ბრძანებულებები და სხვა კანონქვემდებარე აქტები; შეისწავლეს საარქივო მასალები; ჩაატარეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული ანკეტით; შეკრიბეს მხატვრული ლიტერატურისა და ინტერნეტის მასალები.

ავტორებმა გამოიკვლიეს მე-20 საუკუნეში რუსეთსა და საქართველოში არსებული პროფესიონალური დანაშაულობის წარმოქმნის ისტორიული წინამძღვრები ყაჩაღური და ბანდიტური ფორმირებებიდან ვიდრე პოლიტიკურ-კრიმინალური თანასაზოგადოებამდე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას და მის მონაწილეობას პროფესიონალურ დანაშაულობასა და ტერორიზმში.

წიგნში მოცემულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული თანამედროვე ქურდული თანასაზოგადოებების სტრუქტურა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი “კანონიერი ქურდების” დახასიათება, აგრეთვე აღწერილია მეტ-ნაკლებად ცნობილი ქართველი კრიმინალური ავტორიტეტების ბიოგრაფიები.

სპეციალური თავები ეძღვნება ე.წ. “ქურდულ კანონს”, მის ძირითად დებულებებს და “კანონიერი ქურდის”, როგორც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლის პიროვნებას.

მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიმინალურ ავტორიტეტებთან ბრძოლის სამართლებრივ მეთოდებს და ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილებას. ავტორები მსჯელობენ “ორგანიზებულ და პროფესიონალურ დანაშაულობასთან ბრძოლის” შესახებ კანონის მიღების აუცილებლობაზე და ფართო აუდიტორიას განსახილველად სთავაზობენ ორგანიზებულ და პროფესიონალურ დანაშაულობასთან ბრძოლის კანონპროექტს.

#### **სარედაქციო კოლეგია:**

ქეთევან როსტიაშვილი, გიული ალასანია, ტარას ახალაია

**რედაქტორი:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოთა და სამართლის ინსტიტუტის სისხლისსამართლის განყოფილების გამგე პროფესორი ოთარ გამყრელიძე

**რეცენზენტი:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოთა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი გიორგი ტოდრია

© ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ცენტრი საქართველოს ოფისი

დაიბეჭდა შპს “პოლიგრაფში”  
თბილისი, 26 მაისის მოედანი, №2

ISDN 99928 -0-826-8

The monograph “Thieves-in-law” (Professional criminality) is devoted to one of the most actual problems for modern Georgia.

The given research “thieves in the law” is the first in Georgia, and essentially supplements not numerous works of other authors from the former USSR and other countries.

In the monograph the most known definitions of this phenomenon in the domestic and foreign literature have been investigated, and also the basic criminological theories disclosing the substance of the given phenomenon are analyzed.

Authors carry out the analysis of the departmental literature, in particular documents of the Ministry of Internal Affairs of the USSR, the Ministry of Internal Affairs of Georgia and other subordinate legislation certificates {acts}; archival materials are investigated; interrogation of employees of law enforcement bodies under specially developed questionnaire is carried out; and also materials from art sources and the Internet are collected.

Authors have researcher historical preconditions of occurrence of professional criminality from robbers and gangster formations up to political-criminal communities in Russia and Georgia in XX century. The special attention has been given to social democratic movement and its involvement into professional criminality and terrorism.

Authors in the book have developed detailed structure of modern thieves’ communities in territory of the former USSR. Also they have described the basic the characteristic Georgian «thieves in the law» abroad and have included biographies of the most authoritative Georgian criminal authorities.

Special the chapters are devoted so-called the thieves’ law, its basic postulates and a personal estimation “thief-in-law” as representative of criminal subculture.

The special attention in the monograph was given to legal methods of struggle against criminal authorities and a prevention of the organized crime. Authors argue on necessity of acceptance of the law « Against the organized and professional crime » and offer for wide discussion of a draft law “Against the organized and professional criminality”.

The text of monograph is placed on a web page [www.traccc.cdn.ge](http://www.traccc.cdn.ge) in the Georgian and Russian languages

**Editorial Board:**

Ketevan Rostiashvili, Giuli Alasania, Taras Akhalaia.

**Editor:**

Professor O. Gamkrelidze, Chief of the Criminal Law Department of the Institute of State and Law Georgian Academy of Science

**Reviewer:**

Doctor G. Todria, leading researcher Criminology Department of the Institute of State and Law Georgian Academy of Science

© The Georgia Office of the American University's Transnational Crime and Corruption Center

Printed in "Polygraph" Ltd.  
#2, May, Sq., Tbilisi, Georgia

ISDN 99928 -0-826-8

**კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა**

1. პროფესიული დანაშაულობის ცნება
2. კვლევის მეთოდოლოგია
3. მპარავთმძებნელისა და მეკობრეთმძებნელის ინსტიტუტები ქართულ ფეოდალურ სამართალში
4. ქურდობა ძველ ქართულ სამართალში
5. დანაშაულობის ორგანიზებული ფორმების ისტორია საქართველოში (XX საუკუნე)
  - ა) ისტორიული წანამძღვრები
  - ბ) ქურდები და ბანდიტები
  - გ) პოლიტიკურ-კრიმინალური გაერთიანებები
  - დ) ბოლშევიკები და პროფესიული დანაშაულობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1917-1929 წწ).
6. „კანონიერი ქურდები“
  - ა) ქურდული გაერთიანებების აღმოცენება XX საუკუნის 20-50-იან წლებში
  - ბ) ქურდული გაერთიანებების ტრანსფორმაცია. ქურდების ომები XX საუკუნის 40-50-იან წლებში
  - გ) „კანონიერი ქურდები“ სსრკ-ში 60-70-იან წლებში
  - დ) თანამედროვე ქურდულ გაერთიანებათა სტრუქტურა
  - ე) „კანონიერი ქურდები“ სსრკ გარდაქმნისა და დაშლის პერიოდში (80-90 წწ.)
  - ვ) კრიმინალური სამყარო და ოლიგარქია რუსეთის ფედერაციაში
  - ზ) ქართველი „კანონიერი ქურდები“ საზღვარგარეთ
7. დანაშაულებრივი კარიერები. ქართული კრიმინალის ცნობილი ავტორიტეტები
  - ჯ. იოსელიანი
  - ო. კვანტრიშვილი
  - ტ. ონიანი – „კანონიერი ქურდი“, „ბიზნესმენი“ თუ ქართული პოლიტიკის ნათლია?
8. „კანონიერი ქურდების“ გაჩენისა და არსებობის მიზეზები სსრკ-ში
9. ქურდული კანონი
10. ქურდულ გაერთიანებათა სტრუქტურა

- ა) „კანონიერ ქურდად“ კურთხევა
- ბ) თანამედროვე „კანონიერი ქურდების“ ფუნქციები
- გ) შეკრებები
- დ) საერთო საღარო
- 11. „კანონიერი ქურდი“, როგორც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენელი
  - ა) ეროვნული განსხვავებები
  - ბ) „მასტი“
  - გ) „ჟარგონი“
  - დ) ტატუირება
  - ე) მეტსახელი
  - ვ) ფიცი
  - ზ) წყევლა (შეჩვენება)
  - თ) აზარტული თამაშობები
- 12. „კანონიერ ქურდებთან“ ბრძოლის კანონიერი მეთოდები
- 13. საქართველოს ხელისუფლება და „კანონიერი ქურდები“ დასკვნა
- ნაშრომში გამოყენებული ტერმინების განმარტება

## THIEVES – IN – LAW IN GEORGIA: HISTORY AND REALITIES

1. Concept of professional crime
2. A methods of research.
3. Thievish and robber institute in Georgian feudal legislation
4. Thieves definition in medieval Georgia
5. A history of the organized forms of crime in Georgia in XX century.
  - a. Historical preconditions
  - b. Thieves and gangsters
  - c. Political-criminal communities
  - d. Bolsheviks and criminals in the first years of the Soviet authority (1917-1929)
6. Thieves in the law

- a. Occurrence of thieves' community 20-50 years of XX century
- b. Transformation of thieves' community. Thieves' wars in 40-50 years
- c. “Thieves in the law” in the USSR - 60-70 years.
- d. “Thieves in the law” during reorganization and disorder of the USSR at 80-90
- e. Georgian “thieves in the law” abroad
7. Criminal career. The most authoritative Georgian criminals
  - D.Ioseliani
  - O.Kvantrishvili
  - T. Oniani
8. The reasons of occurrence and existence « thieves in the law » in the USSR
9. The thieves' law
10. Structure of thieves' community
  - a. Erection in a rank the “thief in the law”
  - b. Functions modern “thieves in the law”
  - c. A meeting
  - d. Criminal mutual aid fund
11. The `thief in the law` as the representative of criminal subculture
  - a. National differences
  - b. Colours'
  - c. A criminal slang
  - d. Tattoos
  - e. Nicknames
  - f. Oaths
  - g. Damnations
  - h. Gambling's
12. Legal methods of struggle with “thieves in the law”
13. New Georgian authorities and “thieves in the law”

The conclusion

Glossary

**გივი ლობჯანიძე**მ დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა 1987 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1994 წელს იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1992-1995 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი.

1995 წლიდან 2000 წლამდე მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკის მართვის სამსახურში.

2000 წლიდან არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი.

მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება - პოლიციის გენერალ-მაიორი.

მის სამეცნიერო ინტერესთა სფეროში მოქცეულია საქართველოს ისტორიის, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების აქტუალური საკითხები, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, ადამიანთა ტრეფიკინგისა და ტერორიზმის პრობლემები.

გივი ლობჯანიძე არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავროტი, რომელთა შორის არის 11 მონოგრაფია და თანაავტორობით დაწერილი 2 წიგნი

ძირითადი პუბლიკაციები:

„ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სწავლების ნარკვევები“, 1998

„სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები“, თბილისი, 2000

„სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, თბილისი 2001

„სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“, თბილისი 2003.

**გიორგი ლლონტა** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის დისერტაცია სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის დარგში დაიცვა მოსკოვში, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლეს სკოლაში. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კრიმინალისტიკის კათედრის პროფესორი.

გიორგი ლლონტი 1994-1995 წლებში მიწვეულ პროფესორად მუშაობდა აშშ რატგერის უნივერსიტეტის კრიმინალური იუსტიციის სკოლაში (IREX – ის პროგრამით)

1998 წელს მიწვეულ პროფესორად მუშაობდა მაქს პლანკის სახელობის საერთაშორისო სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის ინსტიტუტში (ფრაიბურგი, გერმანია)

1999 – 2000 წლებში ამერიკული უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კვლევის ცენტრში (TRACCC) მუშაობდა მიწვეულ პროფესორად (ვაშინგტონი, აშშ)

2003 წლიდან არის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კვლევის ცენტრის საქართველოს ოფისის დირექტორი.

2002 წლიდან ევროპის კრიმინოლოგიური საზოგადოების (ESC) წევრია..

მის ინტერესთა სფეროში ძირითადი ადგილი უჭირავს ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის პრობლემებს. მას ეკუთვნის მრავალი პუბლიკაცია ორგანიზებული დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების თეორიაში, კერძოდ, მონოგრაფიები:

„ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მოტივები“, მოსკოვი, 1986; „ორგანიზებული დანაშაული, როგორც ძალადობრივი დანაშაულისა და ეთნიკური კონფლიქტების ერთ-ერთი ძირითადი წყარო“, თბილისი, 1998, ადამიანებით ვაჭრობა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით: პროსტიტუცია, პორნობიზნესი და ტრეფიკინგი“, თბილისი, 2004, და სხვა შრომები, სულ 50 პუბლიკაციაზე მეტი.

## About the author:

**Georgi Glonti** defended the dissertation for gaining a Ph.D. in Legal Studies in the field of criminal law and criminology at Higher Militia School at the Ministry of Internal Affairs of the USSR in Moscow. He is a Senior Researcher at the Institute of the State and Law of Georgia, and a professor at the Department of Criminology at the Academy of the Ministry of Internal Affairs of Georgia.

He has been a Director of the American University's (Washington D.C.) Transnational Crime and Corruption Center Georgia Office since 2003. His interests are focused mainly on the problems of organized crime, corruption and human trafficking. He is the author of numerous publications on the theory of organized crime and the reasons of criminal behavior. Particularly, his publications include the following monographs: Motivations of Individual Criminal Behavior, Moscow 1986; Organized Crime as One of the Basic Sources for Violent Crime and Ethnic Conflicts, Tbilisi 1998; Professional Crime (in co-authorship), 2004, and others - more than 50 publications in total.

**Givi Lobjanidze** has defend the candidate dissertation in Law in 1987, and in 1994 - thesis for a Doctor's degree at the Tbilisi State University. In 1992 - 1995 he was the deputy of Parliament of Georgia. With 1995 - 2000 occupied various responsible posts in system of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Since 2000 is the pro-rector of Academy of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Has a special rank the major general of police. He is the author more than hundred scientific works, among which 11 monographies and two books written in the co-authorship. Main publications: Some problems of straggle with transnational organized crime. Tbilisi., 2003 p 225; Georgian history of State and Law. Tbilisi., 2003, p; General theory of State and Law, Monograph, Tbilisi., 2003, p 620; History of Georgian legal science Monograph, Tbilisi 1998 p. 430; Theory of State and Law. Monograph, Tbilisi

## კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა

### 1. პროფესიული დანაშაულობის ცნება

პროფესიული დანაშაულობისა და კრიმინალური პროფესიონალიზმის პრობლემის შესწავლა აქტიურად ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ჩ. ლომბროზოს წიგნების გამოსვლის შემდეგ, რამაც საფუძველი ჩაუყარა დამნაშავის პიროვნების კვლევას, ბევრ ქვეყანაში დაინტერესდნენ სამართალდამრღვევის ფსიქოლოგიურ თვისებათა შესწავლით, რაც მიზნად ისახავდა დანაშაულებრივი ქმედების მაღომინირებელი მიზეზების დადგენას. ცდილობდნენ გაერკვიათ, რატომ სჩადის ადამიანი დანაშაულს მიუხედავად დადგენილი სასჯელის სიმძიმისა, რატომ გრძელდება ანგარებითი დანაშაულებანი მატერიალური სიღუპის არარსებობის პირობებში, რატომ მიმართავენ ძალადობას ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ამ კითხვებზე პასუხები ჩადებული იყო თვითონ დანაშაულობის პრობლემის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური შემეცნების სიღრმეში, რისი სრულყოფილად შესწავლაც იმ პირობებში შეუძლებელი იყო და დღესაც არ არის ბოლომდე განხილული და შესწავლილი.

ლიტერატურაში პროფესიული დანაშაულობის პრობლემები, როგორც წესი, წარმოდგენილია ფრაგმენტულად და არ არის მონოგრაფიული კვლევების სპეციალური ობიექტი<sup>1</sup>. უფრო ხშირად პროფესიული დანაშაულობა განიხილება ზოგადად დანაშაულობის ან ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების ანალიზის დროს. საქართველოში ეს პრობლემა საერთოდ არ არის შესწავ-

<sup>1</sup> თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის ფედერაციაში გამოქვეყნებული გ. პოდლესკინის და ა. ტერეშონოვის წიგნს 'კანონიერი ქურდები', რომელიც ქართულად ითარგმნა თ. აბაშიძის მიერ 1995 წ., 2003 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა А. Мухин. Российская организованная преступность и власть.

ლილი, თუმცა საკმაოდაა წარმოდგენილი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხების ირგვლივ. საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროფესიული დანაშაულობა საქართველოში საკმაოდაა გავრცელებული და წარმოადგენს ე.წ. „კანონიერი ქურდების“, ანუ „რამკიანი ქურდების“ საქმიანობის პრეროგატივას. ისინი აქტიურად იჭრებიან ცხოვრების მრავალ სფეროში, აკონტროლებენ მსხვილ ფინანსებს, ხელმძღვანელობენ ან მონაწილეობენ ორგანიზებულ დანაშაულებში, აქვთ კავშირები საზღვარგარეთ და ა.შ. ამიტომ ავტორებმა გადაწყვიტეს უფრო დაწვრილებით შეხებოდნენ დამნაშავეთა ამ კატეგორიას და მის როლს ორგანიზებულ დანაშაულობაში.

ლიტერატურაში გვხვდება აზრი ორგანიზებული და პროფესიული დანაშაულობის მჭიდრო კავშირის შესახებ. მართლაც, პროფესიონალიზმი და ორგანიზებულობა ამ შემთხვევაში ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია. რაც უფრო მაღალია კრიმინალური პროფესიონალიზმის მაჩვენებელი, მით უფრო ნათლად გამოიკვეთება მისი ორგანიზებული ფორმები. ამასთან, გარკვეული სოციალური პირობების არსებობისას პროფესიული დანაშაულობა იწყებს გადაზრდას ორგანიზებულ დანაშაულობაში, როგორც თვისებრივად ახალი მოვლენა. ოღონდ დაუშვებელია პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობების აღრევა. უნდა დავეთანხმოთ „კრიმინოლოგიის“<sup>2</sup> რივი თანამედროვე სახელმძღვანელოების ავტორებს, რომლებიც ორგანიზებულ და პროფესიულ დანაშაულობებს დამოუკიდებელ სახეებად მიიჩნევენ და მათ ცალკეულ თავებს უძღვნიან. ორგანიზებული დანაშაულობა უფრო რთული მოვლენაა, უფრო მყარია, მასშტაბური და ყოველთვის დაკავშირებულია კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირების საქმიანობასთან და არა ცალკეულ პირთა „მოღვაწეობასთან“. რეალიზდება რა კრიმინალური და ე.ი. პროფესიული ბიზნესის სახით, ორგანიზებულ დანაშაულობას ამავე დროს არ შეუძლია, იარსებოს მთელი რივი პროფესიული ნიშნების გარეშე, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს: მაღალორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის

<sup>2</sup> კრიმინოლოგია, მოსკოვი, მოსკოვის სა. უნ-ტი, 1994 (რუს. ენაზე).

არსებობა მის წევრთა შორის ფუნქციების მკაცრი განაწილებით; კორუმპირებული კავშირები მოხელეებთან, რომლებიც ახორციელებენ სახელისუფლებო-მმართველობით ფუნქციებს, აგრეთვე, კავშირები სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებთან; მისი ლიდერების სწრაფვა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისკენ და ა. შ.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორგანიზებული დანაშაულობისგან განსხვავებით, რომელიც განიხილება როგორც არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ცნება, არამედ როგორც რთული სოციალური მოვლენა, პროფესიული დანაშაულობა აღიქმება, როგორც სისხლისსამართლებრივი მოვლენა, რომელსაც არ გააჩნია სოციალურ-პოლიტიკური მახასიათებლები. ალბათ, ძნელია, დაეთანხმო ამ განცხადებას, რამდენადაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მისცე ამომწურავი განმარტება ორგანიზებულ დანაშაულობას, რომელიც ერთდროულად მოიცავს მის სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ასპექტებს და არ გაითვალისწინო ის, რომ კრიმინალური ავტორიტეტები და პროფესიული დანაშაულობა ხშირად ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

პროფესიული დანაშაულობის ფენომენის გაგებისათვის აუცილებელია წამყვანი კრიმინოლოგების პოზიციის ანალიზი ამ საქმიანობისთვის დამახასიათებელ ნიშნებთან დაკავშირებით. ამერიკელი კრიმინოლოგის რ.კოლდუელის მიხედვით ასეთი ნიშნებია: დანაშაულებრივი საქმიანობის გაიგივება ბიზნესთან, ხელყოფის რაიმე ერთ ტიპზე სპეციალიზაცია; ზუსტად და ნათლად მოქმედების, დანაშაულის გულდასმით დაგეგმვის, მისი ტექნიკურად აღჭურვისა და ოსტატურად შესრულების უნარი; დანაშაულებრივი საქმიანობის პროცესში ცოდნისა და გამოცდილების სრულყოფა; დამოკიდებულება დანაშაულობასთან, როგორც საკუთარ კარიერასთან, ამ საქმიანობისადმი საკუთარი მსოფლმხედველობის დამორჩილება; საკუთარი თავის გაიგივება დანაშაულებრივ სამყაროსთან.<sup>3</sup>

ამერიკელი კრიმინოლოგის ვ. რეკლესის აზრით, არსებობს

<sup>3</sup> Coldwel R. – Criminology. N.Y., 1966, p. 192.



დანაშაულებრივი კარიერის სამი სახე: ჩვეულებრივი, ორგანიზებული და პროფესიული, რომლებსაც ის შემდეგნაირად ახასიათებს:

ა) ჩვეულებრივ დამნაშავეებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ხვდებიან მარცვის, ყაჩაღობის, ქონების დატაცების, გაუპატიურების, მკვლელობის და სხვა დანაშაულთა გამო (ეს პირები გამუდმებით არღვევენ კანონს, მაგრამ პროფესიონალებად არ ითვლებიან);

ბ) ორგანიზებული დანაშაულობა – ეს მაფიის დანაშაულობაა;

გ) პროფესიული დამნაშავეები არიან ისინი, ვინც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები (დატაცება, თაღლითობა, გამოძალვა, აზ-არტული თამაშები, მექროთამეობა და სხვა) თავისი არსებობის წყაროდ გადააქცია.<sup>4</sup>

დამნაშავეთა უფრო სრული კლასიფიკაცია მოცემულია მ. კლაინარდისა და რ. კუინის მიერ. ისინი გამოყოფენ დამნაშავეთა შემდეგ ტიპებს:

- პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული პიროვნების მიმართ;
- პირები, რომლებიც ეპიზოდურად ჩადიან დანაშაულს საკუთრების წინააღმდეგ;
- პოლიტიკური დანაშაულის ჩამდენი პირები;
- პირნი, რომელთა ჩადენილი დანაშაულიც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს;
- „ჩვეულებრივი“ დანაშაულის ჩამდენი პირები;
- პირები, რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზებულ დანაშაულში;
- პროფესიული დამნაშავენი.<sup>5</sup>

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ქცევის სისტემის მოცემული ტიპოლოგიისა და მისი კრიტერიუმების მიხედვით, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სამი სახეობა: „ჩვეულებრივი“ დანაშაულობა, ორგანიზებული დანაშაულობა და პროფესიული დანაშაულობა. მოცემული კლასიფიკაციის ავტორე-

<sup>4</sup> Reckless W.C. – The crime problem, 3<sup>rd</sup> ed. N.Y. 1961, ch 9, 10.

<sup>5</sup> Clinard M.B., Quinney R.A. – Criminal behavior system: A, Typology N.Y. 1967, p. 16, 17.

ბის აზრით, პროფესიული დანაშაულობა განსხვავდება ორგანიზებულიისაგან არა მარტო დანაშაულთა სახეებით, არამედ სახელმწიფო აპარატთან უკანონო კავშირებით (კორუფცია). „ჩვეულებრივ“ და პროფესიულ დანაშაულობას შორის არსებული განსხვავების დიფერენცირება საკმაოდ რთულია, რამდენადაც პროფესიული დამნაშავენი ხშირად ჩადიან „ჩვეულებრივ“ დანაშაულს, ხოლო „ჩვეულებრივ“ დამნაშავეებს აქვთ მატერიალური შემოსავალი ორგანიზებული კრიმინალური საქმიანობისაგან. ავტორები ხშირად მიუთითებენ პროფესიული დამნაშავეის აუცილებელ ნიშნებზე სხვა დამნაშავეთა კრიმინალური საქმიანობის ფონზე:

- დანაშაულებრივი საქმიანობა, როგორც საარსებო წყარო;
- საკუთარი თავის, როგორც დამნაშავეის გაცნობიერება;
- დამნაშავეთა სამყაროში მდგომარეობის განსაზღვრა და პროფესიულ დამნაშავეთა სფეროსთან მიკუთვნება.

თანამედროვე პირობებში დსთ-ს ქვეყნებში მოხდა პროფესიული დანაშაულობის მკვიდრო შერწყმა სხვა ორგანიზებულ ფორმებთან, რომელთათვისაც დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: გამოკვეთილი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურები, რომლებიც გამოყოფენ ხელმძღვანელობას უშუალო შემსრულებლებისაგან, ჯგუფშიდა მკაცრი იერარქია, სანქციის და წახალისებების სისტემა და მათი პრაქტიკული რეალიზაცია; დანაშაულებრივი საქმიანობის მყარი, დაგეგმილი, კონსპირირებული ხასიათი, განსაკუთრებით, დატაცების, თანამდებობის პირთა მოსყიდვის და მსხვილი ქურდობების შემთხვევებში, საერთო მიზნების არსებობა, ორიენტაცია მაქსიმალურად მაღალი შემოსავლების მიღებაზე მინიმალური რისკის პირობებში; სოციალური კონტროლის ყველა ფორმის გეგმაზომიერი ნეიტრალიზაციის სისტემა, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის გამოყენებით იმ ორგანოთა გეგმების გამჟღავნება, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას დანაშაულობის წინააღმდეგ; უკუქმედების ღონისძიებათა მიზანმიმართული დამუშავება (სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების მოსყიდვა, მართვის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში შეღწევა); მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრების ფლობა, რომლებიც ინვესტირდება როგორც ლეგალური, ისე არა-

ლევალური ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, რაც საშუალებას იძლევა გაფართოვდეს კომერციული ოპერაციების და დატაცებების მასშტაბები; საჭირო მოხელეთა მოსყიდვა, გაერთიანების წევრთა მატერიალური მხარდაჭერა, დაქირავებულ ბოროტმოქმედთა მომსახურების ანაზღაურება, რასაც მივეყვართ ზოგად და სამეურნეო-ანგარებით დანაშაულთა შერწყმისკენ; საქმიანობის სფეროს გაფართოება (სწრაფვა მონოპოლიზაციისაკენ) – ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა კოოპერაცია სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგში, „შავ ბაზარზე“ საქონლისა და მომსახურების დანერგვა, ნარკობიზნესის, პორნობიზნესისა და პროსტიტუციის ორგანიზაცია; ორგანიზებული დანაშაულობის ლიდერთა მიერ ანტისაზოგადოებრივი იდეოლოგიის აქტიური გავრცელება, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში; ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანების იმ წევრთა და მათი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერის ორგანიზაცია და განხორციელება, რომლებიც მოხვდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში; დასჯის მკაცრი სისტემა (ფიზიკური განადგურების ჩათვლით) ქურდულ ტრადიციებზე უარის მთქმელთა მიმართ; ძირითადი სახელმწიფო და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების პროფესიული გამოყენება იმ მიზნით, რომ შეიქმნას საკანონმდებლო მექანიზმები დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვისა და საკანონმდებლო ორგანოებში ხელსაყრელი კანონების მიღებისათვის; დამაშინებელი ჭორების გავრცელება საკუთარი სიძლიერის თაობაზე, რასაც დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის სარგებლობა მოაქვს სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების, ჟურნალისტების, დაზარალებულების, მოწმეების დემორალიზების და რიგით შემსრულებელთა შორის “საბრძოლო სულისკვეთების“ ამაღლების გზით.

## 2. კვლევის მეთოდოლოგია

პროფესიული დანაშაულობის და, კერძოდ, „კანონიერი ქურდების“ საქმიანობის შესწავლა რთული ამოცანაა ნებისმიერი მკვლევარისათვის. ეს შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული: ყველა სახის დანაშაულებრივი საქმიანობა, განსაკუთრებით, პროფესიული, ატარებს კონსპირირებულ ხასიათს, რაც დაკავშირებულია მხილებისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის შიშთან. აქედან გამომდინარე, ბოროტმოქმედთ არ სურთ თანამშრომლობა და რაიმე ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის.

საბჭოთა კავშირში ყოველგვარი ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულობის და „კანონიერი ქურდების“ შესახებ მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და დღესაც ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე სსრკ-ში ეს პრობლემა ნაკლებად შეისწავლებოდა. ამიტომ არსებობს მხოლოდ მწირი ინფორმაცია რამდენიმე პუბლიკაციის სახით, ისიც სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ გამოცემებში. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ზოგიერთი პუბლიკაცია აღნიშნული პრობლემის შესახებ ემყარებოდა შეუმოწმებელ ფაქტებს და არ იყო გამტკიცებული რაიმე კვლევით.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთაღნიშნული, ავტორებმა კვლევის შემდეგი მეთოდოლოგია შეარჩიეს:

- არსებული სპეციალური ლიტერატურის (გრიფით საიდუმლო) და სხვა წყაროების ანალიზი;
- სსრკ შსს, საქართველოს შსს უწყებრივი ბრძანებების და სხვა კანონქვემდებარე აქტების ანალიზი;
- საარქივო მასალების შესწავლა;
- სამართალდამცავ ორგანოთა გამოკითხვა სპეციალურად დამუშავებული ანკეტების მიხედვით;
- მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, მხატვრულ ლიტერატურასა და ინტერნეტში არსებული მასალის შესწავლა.

### 3. მპარავთმძებნელისა და მპკობრეთმძებნელის ინსტიტუტები ქართულ ფეოდალურ სამართალში

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, დაახლოებით, 3500 წლის წინათ დაიწყო, თეორიული ლოგიკიდან გამომდინარე, ამავე ასაკის უნდა იყოს სამართალიც, თუმცა წერილობითი წყაროები მოგვიანებით გვხვდება. ქურდობას, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის ერთ-ერთ სერიოზულ სახეს, ძველ საქართველოშიც ექნებოდა ადგილი. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ერთიანი საქართველოს წერილობითი ძეგლები.

1170 წელს გიორგი III-მ გამოსცა სიგელი მპარავთმძებნელობის ინსტიტუტის შესახებ. „მპარავთმძებნელთა“ სახელი მოხსენიებულია თამარ მეფის 1202 წლის სიგელში.<sup>6</sup> ქურდებისა და ავაზაკების მკაცრი დევნა, როგორც ეს გიორგი III-ის კანონმდებლობამ დაადგინა (გამოუსწორებელი და რეციდივისტი დამნაშავის სიკვდილით დასჯა), მოქმედებდა XIII საუკუნის პირველ ნახევარშიც. ეს ჩანს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდანაც.

გიორგი III-ის დროს მოწვეული ყოფილა საკანონმდებლო კრება, რომელსაც უმკაცრესი სასჯელები დაუწესებია და წესრიგიც დაუმყარებია. ამ კრების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებით მიღწეულ შედეგებზე ვარდანი თავის “მსოფლიო ისტორიაში” ძალზე საგულისხმო ცნობებს გვაწვდის.

1170წ. გიორგი მეფემ თავის ქვეყანაში მპარავი და მეკობრე მოსპო, რადგან „ყოველთა ლაშქართა თანადგომითა სჯულად დასდო მტრისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოვლისა კაცისა ძელზე აღბმა და ჩინებულთაგან მრავალნი ძელზე ჩამოაზვრჩეს. ნაპოვნი ნივთი კი მიჰქონდათ და სასჯელის ძელზე ჰკიდებდნენ“.<sup>7</sup> მოტანილი ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ მაშინდელი კანონმდებლობა უმკაცრესი იყო და არ ინდობდა არავის, მიუხედავად დამნაშავის წარმომავლობისა და ცენზისა. ხელისუფლების მიერ გატარებული ზომები იმდენად მკაცრი იყო, რომ, მემატთანეს გადმო-

ცემით, „პირუტყვებსაც კი, ძალსა და თავსა, ყველას შიშის ზარი დაეცა და დამყარდა დიდი მშვიდობიანობა“<sup>8</sup>.

შუა საუკუნეების მსოფლიო და, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამართალი ხშირად იყენებდა პირუტყვთა დასჯას, მაგრამ ქართული იურიდიული აზროვნება არ იცნობდა (მით უმეტეს XII ს.) მსგავს შემთხვევებს. აკად. ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ ეს შეიძლება შემდგომი პერიოდის მინაწერი იყოს.

მპარავთმძებნელის ინსტიტუტის შესასწავლად საინტერესო მასალებს გვაწვდის სვიმონ მეფის მიერ 1590 წელს გამოცემული სიგელი.

ასე რომ, ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში საკმაო ისტორია აქვს. მპარავთმძებნელის ინსტიტუტის ნაცვლად სვიმონ მეფის სიგელში მეკობრეთმძებნელი დამკვიდრდა, ხოლო სახელის შინაარსი, დაახლოებით, იგივე დარჩა. სვიმონ მეფის სიგელშიც მეკობრეთმძებნელი სპეციალური მოხელეა, რომლის მოვალეობას საკუთრების უფლების დაცვა შეადგენს. „დამნაშავეს, რომელიც საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულს ჩაიდენს, ძეგლში ქურდი ეწოდება,“<sup>9</sup> ხოლო ქურდობას, როგორც დანაშაულის სახეს – მოპარვა. პროფ. ივ. სურგულაძე თვლის, რომ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში“ ტერმინები – მოპარვა და სამეკობრო საქმე ერთი და იგივეა. „ძეგლისდებაში“ საუბარია ცხენის მოპარვაზე, რაშიც ფარული მოქმედება ნაგულისხმევი. სიტყვები „მპარავობა“ და „მეკობრეობა“ უფრო ფართო მნიშვნელობისა იყო, ვიდრე ქურდობა. მეკობრე და მპარავი სხვის ნივთს ჩუმად ან ხშირად აშკარად იტაცებდა, ე.ი. სხვისი ქონების აშკარა გატაცება-ძარცვის ან ყაჩაღობის ნიშნებითაც ხასიათდებოდა. ივ. ჯავახიშვილი ტერმინ „მეკობრის“ შესატყვისად მიიჩნევს „ავაზაკს“, ხოლო დაზარალებულს „მიმძღავრებულად“ მოიხსენიებს.

სვიმონ I-ის სიგელი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში განსაზღვრულია „მეკობრეთმძებნელი“ მოხელის უფლება-მოვალე-

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, თბ., 1983 წ., გვ. 229.

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, თბ., 1994 წ., გვ. 226.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, თბ., 1994 წ., გვ. 227.

<sup>9</sup> იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1983 წ., გვ. 46-47.

ობანი და კომპეტენცია, მისი მოქმედების საზღვრები. „მეკობრეთმძებნელი“ ინიშნებოდა მეფის ბრძანებით და, აქედან გამომდინარე, სამეფო კარისა და ხელმწიფის პოლიტიკის გამტარებელი უნდა ყოფილიყო. ადგილობრივი მოსახლეობა ვალდებული იყო შეესრულებინა მეკობრეთმძებნელის კანონიერი მოთხოვნა. მას შეეძლო, საქმის გამოძიება ეწარმოებინა დაკითხვით, ჩაეტარებინა ჩხრეკა და ა.შ.

სიგელის იმ ნაწილში, რომელიც ქურდობით ჩადენილ დანაშაულს ეხება, „დანაშაულის მძიმე სახედ არის ჩათვლილი ურდოში ანუ ლაშქრობის დროს ჩადენილი დანაშაული“. ასეთი დანაშაული მხოლოდ და მხოლოდ მეფის კარზე უნდა გაირჩეს და იგი სცილდება „მეკობრეთმძებნელის“ კომპეტენციას.

სიგელში ასახულია გორის ციხის აღების წინა პერიოდი. პროფ. ივ.სურგულაძის აზრით, „ალბათ, სიგელში იგულისხმება სვიმონ I-ის მიერ სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ გორის ციხის აღება, რომელიც ოსმალებს ეჭირათ. ეს უნდა მომხდარიყო 1579 წელს ან მის ახლოს“.<sup>10</sup> სიგელის მიხედვით, ქვეყნის შიგნით ჩადენილი ქურდობისთვის შვიდმაგი გადასახადი იყო დაწესებული, ე.ი. მოპარული ქონების შეფასების შემდეგ მომპარავს დაეკისრებოდა შვიდმაგი ოდენობით მისი ანაზღაურება. სვიმონ მეფის სიგელში, „დასტურლამალისა“ და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნებში ჩამოთვლილია ქურდობის ის სახეები და შემთხვევები, როცა მოპარული ქონების ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია სამმაგი, ოთხმაგი, ხუთმაგი გადასახადი. „სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელში საუბარია ქურდობისათვის ჯარიმის შესახებ: ორი პატრონს, ორი მეფეს და ერთი მეკობრეთმძებნელს. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ფეოდალია, „დასტურლამალისა“ და ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ჯარიმის ხუთი ნაწილი პატრონს ეკუთნოდა, ხოლო ერთი ნაწილი – საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს.“<sup>11</sup> პროფ. ივ. სურგულაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გიორგი III-ის 1140 წლის სიგელის მიხედვით, მპარავთმძებნელის სახელის დაწესება მიზნად ისახავდა წარჩინებ-

<sup>11</sup> იქვე.

ულთა ქონების დაცვას. გარდა ამისა, სვიმონ პირველის მეკობრეთმძებნელი მპარავთმძებნელის მონაცვლეა და მიზნად ფეოდალური საკუთრების უფლების დაცვას ისახავდა. სვიმონ მეფის სიგელით, მეკობრეთმძებნელის კომპეტენციაში შედიოდა არა მხოლოდ ქურდობის საქმეების გამოძიება, არამედ გადასახადებიდან შემოსულ თანხების აღრიცხვაც და კარის შესაბამისი მოხელისთვის ანგარიშის ჩაბარებაც.

#### 4. ქურდობა ძველ ქართულ სამართალში

ძველი ქართული სამართლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ნივთის მოპარვა და ცარცვა“ თავის დროზე სწორად იქნა კვლი-ფიციერებული: სხვისი ქონების ფარულად მითვისებას “პარვა” ეწოდა, ხოლო სხვისი ქონების აშკარად მითვისებას და ძალით მიტაცებას – „რბევა“ და „მიმძღავრება“. ქართული ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ საქართველოში VIII-IX საუკუნეებში ქურდობა გავრცელებული დანაშაული ყოფილა. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ დამნაშავეები მონასტრის მსახურებსა და ბერებსაც ძარცვავდნენ და ქურდავდნენ. ასევე გავრცელებული ყოფილა „საყდართა და მონასტერთა დაღეწვა“ ანუ გატეხვა, ხდებოდა „ქარავნისა ძარცვა“. „ქართული სისხლის სამართალი მართო მპარავს და ქურდს კი არ სჯიდა, არამედ პასუხისმგებლად ნაპარავის შემნახველსა და მიმთვისებელსაც სცნობდა“.<sup>12</sup> ნაპარავი ნივთის მპოვნელი კანონმდებლობით ვალდებული იყო კართან ან დროშის ქვეშ დაედო ნაპოვნი ნივთი.

პარვა-ძარცვა, მეტადრე მთიან მხარეებში, ოსთა, მთიელთა, ყივჩაღთა და სვანთა შორის გავრცელებული დანაშაული ყოფილა XIII საუკუნის საქართველოში. ქართულ სამართლებრივ ძეგლებში დასახელებულია საბუთების მოპარვა-მოსპობა, „რომელიც მხოლოდ მაღალი კულტურის დონეზე მდგომი ერისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზეა შესაძლებელი“.<sup>13</sup> ლაპარაკია საბუ-

<sup>12</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, 1984 წ., გვ. 229.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 215.

თის, სიგელის მოპარვისა და სხვაზე გადაცემის ფაქტებზე. ასევე დაფიქსირებულია სხვადასხვა დავთრებსა და წიგნებიდან „ფურცლის ამოკვეთა“, რომელიც პარვის მსგავს დანაშაულად განიხილებოდა. თუმცა ნაკლებადაა ცნობილი, რა სასჯელი ინიშნებოდა ამ დანაშაულისათვის.<sup>14</sup>

მკვლევართა აზრით, „მპარავს“, რომელსაც დაუმტკიცებოდა დანაშაული, „ნაპარავი“ ჩამოერთმეოდა და პატრონს უბრუნდებოდა, ხოლო ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის დაზარალებულს „მომპარავი“ ნაპარავს შვიდეკვი ღირებულებით უხდიდა. თუკი ნაპარავი ნივთი ფიზიკურად აღარ იყო, დაკისრებულ გადასახადს ემატებოდა „თაენი“, რომელსაც „მ იდეული“ ერქვა.

## 5. დანაშაულობის ორგანიზებული ფორმები საქართველოში და საბჭოთა კავშირში (XX საუკუნე)

იმისათვის, რომ განვმარტოთ ისეთი მოვლენა, როგორც არის პროფესიული დანაშაულობა, აგრეთვე განვსაზღვროთ ცნება „კანონიერი ქურდი“ და გამოვავლინოთ მათი კავშირი ორგანიზებულ დანაშაულობასთან, საჭიროა, დაზუსტდეს ამ უკანასკნელის მაკვალ-იფიცირებული ნიშნები და რიგი დეფინიციები; აუცილებელია, შევისწავლოთ პროფესიული დანაშაულობის ისტორია არამარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

### ა) ისტორიული წანამძღვრები (ყაჩაღობა)

დანაშაულობის, მათ შორის, მისი ორგანიზებული ფორმების ისტორია საქართველოში არაერთი საუკუნისაა. განსაკუთრებით, ფართო გავრცელება XVI-XVIII საუკუნეებში ჰპოვა მისმა ისეთმა საშიშმა სახეობებმა, როგორც არის გზებზე ყაჩაღობა, ადამიანების მოტაცება ოსმალეთის იმპერიის ბაზრებზე მათი გაყიდვის მიზნით. შავი ზღვის პირას მდებარე რეგიონები „სამოთხედ“ იქცა

<sup>14</sup> იხ. გ. ლობჯანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2001 წ. გვ. 315.

მონებით მოვაჭრეთათვის, რასაც შედეგად მნიშვნელოვანი ტერიტორიების გაუკაცრიელება და დემოგრაფიული კატასტროფა მოჰყვა. ცნობილ ისტორიულ დოკუმენტში „კათოლიკოსების სამართალი“ (1543-1549 წწ.) მოყვანილია ფაქტები საქართველოში ადამიანების მასობრივი გატაცების შესახებ თურქეთსა და სხვა ქვეყნებში მათი გაყიდვის მიზნით. აღნიშნული მანუსკრიპტის შესავალ ნაწილში მოცემულია მკაცრი სანქციები ადამიანებით ვაჭრობისათვის: „ადამიანი, დიდგვაროვანი თუ გლეხი, ტყვის გაყიდვის შემთხვევაში უნდა იქნას გასამართლებული და განდევნილი“. მსგავსი ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლი გახდა ცნობილი ქართველი პოეტი და მოაზროვნე დავით გურამიშვილი, რომელიც გამოსასყიდის მიღების მიზნით მოთარეშე ლეკებმა მოიტაცეს.

ამალასთან ერთად, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის რუსეთში გახიზვნის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. რუსეთის მაშინდელი ხელისუფლება იძულებული გახდა შემდგომში დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებინა ადამიანებით ვაჭრობის, მთიელთა გამანადგურებელი შემოსევების, სისხლის აღების ტრადიციების და დანაშაულობის სხვა გამოვლინებებისათვის. ამ მიზნით გამაგრდა საზღვრები თურქეთთან და ირანთან, შეიყვანეს გაძლიერებული სამხედრო დანაყოფები და შეიქმნა ერთიან ცენტრს დაქვემდებარებული პოლიციის სპეციალური სტრუქტურები.

რუსეთის ადმინისტრაციის ძალისხმევით შედეგად საქართველოში დანაშაულობის რაოდენობრივი მაჩვენებელი ერთგვარად შემცირდა, თუმცა კრიმინალის განსაკუთრებით საშიში ფორმების აღმოფხვრა ვერ მოხერხდა.

იმ პერიოდში განხორციელებული თავდასხმის მეტად გახმაურებული და საშინელი მაგალითი იყო 1854 წელს შამილის<sup>15</sup> ვაჟისა და მეძველდრის ყაზი-მუჰამედის ბოროტმოქმედება.

შვილიათასიანი ცხენოსანთა ჯარის მეშვეობით ყაზი-მუჰამედმა გაანადგურა და გადაწვა 18 ქართული სოფელი, გაძარცვა, აგრეთვე წინანდალი – თავად დავით ჭავჭავაძის მამული. მრავალრიცხოვან

<sup>15</sup> შამილი (1797-1871 წწ.) დაღესტნისა და ჩეჩნეთის ბელადი და გამაერთიანებელი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტყვეთა შორის (დაახლ. 900 კაცი) იმყოფებოდნენ ა.ი. ჭავჭავაძე და ვ.ი. ორბელიანი – საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილები. ამ არაადამიანურმა დანაშაულმა დიდი ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმას ყურადღება მიიპყრო. აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს იგი წიგნში „კავკასია“: „ლეკები (ასე უწოდებდნენ XIX საუკუნეში დაღესტნელებს და ჩეჩნებს, რომლებიც შამილმა გააერთიანა) შევიდნენ... (თავად ჭავჭავაძის) მამულში. თქვენ უკვე იცით, ეს რა ხალხია – პირუტყვები, აფთრები, ვეფხვები, რომლებსაც ლეკებს (ლეზგინებს) უწოდებენ. დაიწყო ძარცვა-გლეჯა: მიჰქონდათ, რისი წაღებაც შეეძლოთ, ისე, რომ არც კი იცოდნენ, რა მიჰქონდათ: ზოგს შალი, ზოგს ჭურჭელი, ზოგს ვერცხლი, მაქმანიანი მოსართავები. ჭამდნენ, რაც ხელში მოხვდებოდათ, ცარცსაც კი, რომელსაც ბანქოს სათამაშოდ იყენებდნენ, პომადას, ვარდის ზეთიც კი დალიეს. ერთი ლეკი შესანიშნავ ვერცხლის ლანგარს ამსხვრევდა, ტომარაში რომ ჩაეტენა, მეორე შაქარს, ყავას და ჩაის იმარაგებდა და უფრო ძვირფას საგნებს ვერ ამჩნევდა, მესამე მზრუნველად მალავდა სპილენძის შანდალს და ძველ ხელთათმანებს. მაგრამ ცოცხალი მონაპოვარი გაცილებით ძვირფასი იყო, ლეკებმა იცოდნენ, რომ ხელთ თავადის ქალები იგდეს და მათი ფასი ორმოცდაათ, ორას ათას მანეთს შეადგენდა. მკვლელები ერთმანეთს ხოცავდნენ, გადარჩენილები კი მამულიდან თავადის ქალებს მიათრევდნენ“.<sup>16</sup>

მკაცრი პატიმრობა რვა თვეს გრძელდებოდა. აღნიშნულ ისტორიას, რომელიც თავად ყოფილ ტყვეთაგან ჰქონდა მოსმენილი, ალ. დიუმამ რამდენიმე თავი მიუძღვნა. ბოლოს შამილმა ტყვეები თავის უფროს შვილ ჯემალედინზე გადაცვალა.

დანაშაულობის კიდევ მრავალი კლასიკური მაგალითია ცნობილი. მათ შორის უფრო გავრცელებული სახეობა იყო ყაჩაღობა გზებზე. სწორედ გზებზე ყაჩაღობა და ტყვეებით ვაჭრობა წარმოადგენდა საქართველოში დანაშაულებრივი ქცევის ძირითად ორგანიზებულ ფორმებს XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე.

<sup>16</sup> ალ. დიუმა, კავკასია, მ., 1988, გვ. 76 (რუს. ენაზე).

## ბ) ბანდიტები და რეციდივისტები

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიასა და საქართველოში მკვეთრად ამაღლდა დანაშაულობის, მათ შორის, მისი რეციდივილი და პროფესიული ფორმების დონე. მოხდა დამნაშავე-რეციდივისტთა კონსოლიდაცია, მათი გაერთიანება მყარ ორგანიზებულ ჯგუფებად, რომელთა შორის სხვადასხვა ქურდული ბანდები ჭარბობდნენ.<sup>17</sup> იმპერიის დანაშაულებრივ სამყაროს თავისი პროფესიული ბირთვი ჰქონდა. გ. ნ. ბრეიტმანი, ამ პერიოდის დანაშაულებრივი სამყაროს მკვლევარი, წერდა: „ჩვენთან ჩამოყალიბდა შეხედულება, თითქოს დამნაშავენი მხოლოდ მაშინ შეადგენენ ქურდულ გაერთიანებას, როდესაც რამდენიმე მათგანი ერთსა და იმავე დანაშაულზე ერთდროულად ჩავარდება. ამასთან პროფესიულ დამნაშავეთა მთელი ძალა მათ შეკავშირებაში, სწორ ორგანიზებაში მდგომარეობს, რაც დროითა და პრაქტიკით დამყარებული ძირითადი ტრადიციებითაა განპირობებული“.<sup>18</sup>

ზეაღნიშნულ პერიოდში გამოირჩეოდა ჯიბის ქურდების – „მარვინერების“ – პრივილეგირებული ქურდული ფენა, რომელსაც გააჩნდა თავისი საზოგადოება (“ხევრიმახერები“-სა). ეს უკანასკნელი ავალდებულებდა ქურდებს დახმარებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის, დაკავების შემთხვევაშიც.

მეფის რუსეთში არსებობდა ბევრი დანაშაულებრივი პროფესია, რომელიც სრულყოფას განიცდიდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დანაშაულებრივი ოსტატობის სკოლად, „დანაშაულობის აკადემიად“ ითვლებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილები, რომელთა ბინადარნიც მკაცრ იერარქიას ფლობდნენ. უმაღლეს საფეხურს იკავებდნენ „ივანები“ - ყველა პატიმრის და ზოგჯერ ციხის ადმინისტრაციის რისხვა“.<sup>19</sup> მეორე საფეხურზე იდგნენ

<sup>17</sup> ს.ი. პოზდნიაკოვი სისხლის სამართლის სამმეხროს აპარატების მუშაობა რეციდივისტების მიერ ჩადენილი დანაშაულების თავიდან აცილებისა და გახსნის მიზნით (1917-1920).

<sup>18</sup> გ. ნ. ბრეიტმანი დანაშაულებრივი სამყარო: ნარკვევები პროფესიულ დამნაშავეთა ყოფა-ცხოვრებიდან. კიევი, 1901, გვ. 115 (რუს. ენაზე).

<sup>19</sup> ვ. მ. დოროშევიჩი – სახალისი, კატორღა. მ., 1907, ნაწ. I. გვ. 261. (რუს. ენაზე).

„ხრაპები“. სახელწოდება, როგორც ჩანს, მიუსადაგეს პატიმრებს, რომლებიც თავიანთ აღშფოთებას „ხმაურიანად“ აფიქსირებდნენ. იერარქიის შემდეგ როლს შეადგენდნენ „ჟიგანები“ – ციხის პროლეტარიატი, ყველაზე მრავალრიცხოვანი და ღარიბი წარმომადგენლობა. უმდაბლეს საფეხურს იკავებდა „შპანკა“ – უუფლებო და დათრგუნული პატიმრების მასა, რომელიც ძირითადად გლეხებისგან შედგებოდა. ციხის ცხოვრების ორგანიზაცია ექვემდებარებოდა დანაშაულებრივ ტრადიციებსა და ადათებს, აგებული იყო „კანონებისა“ და „წესების“ განუხრელ დაცვაზე.

რუსეთის იმპერიაში პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობის მკვეთრმა მატებასთან დაკავშირებით 1908 წელს შეიქმნა სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც მიმართული იყო შემდეგ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად:

- ა) მკვლევობები, ყაჩაღობა, ცეცხლის წაკიდება;
- ბ) ქურდობა, პროფესიული ქურდული ორგანიზაციები;
- გ) თაღლითობა, ყალბი ფულის მოჭრა, დოკუმენტების გაყალბება.

შემოიღეს სისხლის სამართლის დამნაშავეთა აღრიცხვა და რეგისტრაცია. პოლიციის დეპარტამენტის ცენტრალურმა სარეგისტრაციო ბიურომ დაამუშავა რეგისტრაციის ცხრილი დამნაშავეთა არანაკლებ 30 კატეგორიის (მათ შორის, პროფესიონალებისა და რეციდივისტების) შესახებ. 1914 წლისათვის აღრიცხულ დამნაშავეთა მასამ 40 ათასს მიაღწია და ყოველწლიურად 7,5 ათასი ახალი კრიმინალით იზრდებოდა.<sup>20</sup> ამასთან, ყალიბდებოდა შრომაგასწორებით დაწესებულებათა სისტემა. ციხემ და კატორღამ კანონიერი დასაბუთება მიიღო და დამნაშავე ელემენტების იზოლაციის ძირითად ადგილებად იქცა. მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთში 895 ციხე ირიცხებოდა. 1900 წლის 1 იანვრისათვის იქ იმყოფებოდა 90 141 კაცი (შედარებისათვის: დღეს მხოლოდ წინასწარი დაკავების საკნებში ზის 280 ათასი კაცი, ხოლო 1 მილიონზე მეტი ციხეებსა და ზონებში იმყოფება).<sup>21</sup>

<sup>20</sup> ცენტრალური სახ. არქივი სსრკ ოქ. რევოლუციის. 393. აღწ. 47, ნაწ. 2. ფურ. 115-116.

<sup>21</sup> ა. ხაბაროვი მენტური რუსეთი, გვ. 21.

ჯერ კიდევ პ. ა. კროპოტკინი „რევოლუციონერის ჩანაწერებში“ აღნიშნავდა, რომ რუსეთის ციხეები „დანაშაულობის უნივერსიტეტებია“, რომლებსაც სახელმწიფო ინახავს“. რევოლუციამდელი რუსეთის იურისტებში გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის თანახმადაც, შემთხვევითი დამნაშავე ციხეში არ უნდა მოხვედრილიყო, ხოლო პროფესიონალი იქიდან აღარ უნდა გამოემავათ.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ისე, რომ რუსული ციხეები და კატორღა იშვიათად ახდენდნენ ბოროტმოქმედზე გამომასწორებელ ზეგავლენას, უფრო პირიქით: დამნაშავენი „კვალიფიკაციას იმედლებდნენ“, ახალ „სპეციალობებს“ იძენდნენ. იქვე ყალიბდებოდა დანაშაულებრივი ტრადიციები. აღნიშნულს აძლიერებდა ისიც, რომ რუსეთის ციხეები დიდი ხნის განმავლობაში არ იყო დიფერენცირებული რეჟიმის მიხედვით, ბევრ გუბერნიაში ქალები და ბავშვები მამაკაცებთან ერთად იმყოფებოდნენ. აი, რას წერდა ამის შესახებ ციხის რევიზორი აპრაქსინი: „მკვლევები, ქურდები და ყველაზე უფრო მანკიერი ადამიანები იმყოფებიან ერთ პალატაში, სძინავთ ერთ ტახტზე... ცუდი მაგალითის და მონათხრობის შედეგად ადვილად ეძლევიან გარყვნილებას და ყველა მანკიერებას“.<sup>22</sup>

### გ) პოლიტიკურ-კრიმინალური გაერთიანებები

უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურული ცვლილებების და რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად რუსეთის იმპერიის პოლიციამ ვერ შეძლო, გამკლავებოდა სულ უფრო მზარდ დანაშაულობას. ეს დაკავშირებული იყო მთელ რიგ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან, 1905-1917წწ. რევოლუციურ მოძრაობასთან. ცენტრალური ხელისუფლებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების შესუსტების პროცესებთან ერთად საზოგადოების დეზორგანიზაციის პროცესი დაიწყო, რასაც საერთო დანაშაულობის ზრდა, ბანდიტური ფორმირებების, მათ შორის, ე.წ. პოლიტიკურ-კრიმინალური გაერთიანებების შექმნა მოჰყვა.

<sup>22</sup> Анатолий Федорович Кони. Избранное. Петербург. Воспоминания старожила (Мемуары) М., 1989

რევოლუციურ მოძრაობას კრიმინალთა მრავალრიცხოვანი არმია მიეტმასნა, რასაც ძალადობრივი დანაშაულების (ტერორისტული აქტები, ბანდიტიზმი, ყაჩაღური თავდასხმები, გამოძალვა და ა.შ.) რაოდენობრივი ზრდა მოჰყვა. აღნიშნული, უმეტესწილად, რუსეთის იმპერიის პერიფერიებზე, მათ შორის, კავკასიაში ფიქსირდებოდა. განსაკუთრებით ბევრმა კრიმინალურმა ელემენტმა ჰპოვა თავშესაფარი საქართველოს ბოლშევიკების სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც, უმეტესად, ტერორიზმით, ექსპროპრიაციით, შეკვეთილი მკვლევლობებით და გამოძალვით იყო დაკავებული. ამ პერიოდის პარტიის აქტიური ფუნქციონერები იყვნენ ი. ჯუღაშვილი (სტალინი), ს. ორჯონიკიძე, კამო,<sup>23</sup> ფ. მახარაძე და სხვები, რომელთაგან ბევრი შემდგომში საბჭოთა კავშირის პარტიული ხელმძღვანელი გახდა.

საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში სოციალისტ რევოლუციონერთა დანაშაულებრივი მოღვაწეობის შედეგად მოპოვებული თანხები ძირითად ფინანსურ რესურსად იქცა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ობიექტური მაჩვენებლების მიხედვით, ეს საქმიანობა ბევრად არ განსხვავდებოდა დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურად რსდმპ უარს აცხადებდა კერძო ბანკების ექსპროპრიაციით და სხვა ძალადობრივი გზებით თანხების ამოღებაზე, თუმცა, ბევრი პარტიული ფუნქციონერი და, განსაკუთრებით, ვ. ი. ლენინი, ბანდიტიზმს და ყაჩაღობას პარტიული ხაზინის შევსების დასაშვებ ფორმად მიიჩნევდა. 1905 წლის ოქტომბერში ლენინმა პირდაპირ განაცხადა სოციალ-დემოკრატების საჭიროებისათვის სახელმწიფო ფონდების კონფისკაციის აუცილებლობის შესახებ, ხოლო შემდეგ კრასინთან და ბოგდანოვთან ერთად საკუთარი ფრაქციის არალეგალური ფინანსირების უზრუნველსაყოფად კონსპირირებული ჯგუფი – „ბოლშევიკური ცენტრი“ შექმნა. ამ ჯგუფის შექმნა გასაიდუმლოებული იყო არამარტო მეფის პოლიციის, არამედ პარტიის

სხვა წევრებისთვისაც. ცენტრი ექსპროპრიაციის და გამოძალვის სხვა ფორმების ორგანიზატორად იქცა როგორც რუსეთის, ისე სხვა სახელმწიფოების მასშტაბით. რუსეთის იმპერიაში ის ფოსტების, ვაგზლის სალაროების, მატარებლების მარცვას ეწეოდა. ცენტრის მაღალი კრიმინალური აქტიურობა კავკასიაში დაფიქსირდა.

ცენტრის მითითებათა განსაკუთრებით ცნობილი შემსრულებელი გახლდათ კამო, რომლის ანგარიშზეც ყაჩაღური თავდასხმებისა და ექსპროპრიაციის ბევრი ფაქტია. ნიშანდობლივია, რომ მას ლენინი ხუმრობით „კავკასიელ ბანდიტს“ უწოდებდა. 1905 წლიდან კამომ მთელი რიგი ექსპროპრიაციები განახორციელა ბაქოში, ქუთაისსა და თბილისში. მას ხელს უწყობდა კრასინი, რომელიც იარაღისა და ასაფეთქებელი მასალების მოწოდებას უზრუნველყოფდა სანკტ-პეტერბურგიდან. კამოს პირველი საქმე 1906 წელს თბილისის მახლობლად, კოჯრის გზაზე 7000-8000 მანეთის ყაჩაღური გატაცება იყო. ამავე წელს იგი თავს დაესხა ბანკს ქუთაისში და 15 ათასი მანეთი გაიტაცა, ამასთან 3 ადამიანი მოკლა. თუმცა განსაკუთრებით განმაურებულია მისი ყაჩაღური თავდასხმა 1907 წლის 12 ივნისს სახელმწიფო ბანკის კარუტაზე თბილისში, დღევანდელ თავისუფლების მოედანზე. თავდასხმის შედეგად დაიღუპა და დაიჭრა 12 ადამიანი. გაიტაცეს 250 ათასი მანეთი. აღსანიშნავია, რომ ბედის ირონიით ეს ფული ბოროტმოქმედებმა ვერ გამოიყენეს, რადგან გატაცებული კუპონების ნომრები ბანკის მიერ წინასწარ გადაწერილი აღმოჩნდა და თავდასხმისთანავე გამოაქვეყნდა, რითაც ფულის თავისუფალი რეალიზაცია გამოირიცხა.

თბილისში ჩადენილმა ამ სასტიკმა დანაშაულმა პირველად აუხილა თვალი ბევრ ევროპელს, რომლებიც სიმპათიით იზიარებდნენ სოციალ-დემოკრატიულ იდეებს და მათ რსდმპ სტრუქტურათა კრიმინალური არსი დაანახა.

სხვადასხვა ისტორიული წყაროდან ჩანს, რომ კამო და მისი თანამებრძოლები ჩვეულებრივი ბანდიტები იყვნენ და მათი ცოდნა სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის შესახებ რუდიმენტულ ხასიათს ატარებდა. მათთვის ჩვეულებრივი საქმე იყო ყველა პრობ-

<sup>23</sup> „Камо” - партийная кличка известного революционера-большевика Семёна Аршаковича Тер-Петросяна (1882-1922).



ლემის ძალადობით მოგვარება. ძალისმიერ მეთოდებს ისინი განიხილავდნენ, როგორც უმოკლეს გზას მიზნის მისაღწევად და მსგავსი ქმედებებით ჭეშმარიტ სიამოვნებას ღებულობდნენ. ასე მაგალითად, თვითმხილველთა ჩვენებით, როდესაც კამომ ვერ გაიგო აგრარული საკითხის ირგვლივ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ატეხილი კამათის არსი, ბოლშევიკებს მიმართა: რას ეკამათებით, გამიშვით, ყელს გამოვჭრი-ო.

აღსანიშნავია, რომ კამო და მისი თანამებრძოლები არ ყოფილან ანარქიული ბანდიტები, ისინი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ლენინს. მაგალითად, კამოს ერთ-ერთმა დამხმარემ – ე. ლომიძემ, რომელიც ლენინს არასოდეს შეხვედრია, განაცხადა, რომ მთელი მისი ცხოვრების მიზანი 200-300 ათასი მანეთის შოვნა და ლენინისათვის ამ თანხის გადაცემა იყო სიტყვებით: „რაც გინდა, ფულს ის უქენი“. ასეთივე აზრის იყვნენ დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებიც.

ლენინი თავის თანამებრძოლთა ყველა საქმის კურსში იყო. მისთვის ცნობილი იყო კამო-კრასინის ამბიციური გეგმა, რაც ფულის სახელმწიფო საცავზე თავდასხმას გულისხმობდა. საცავში, დაახლოებით, 15 მილიონი მანეთი ზოდებისა და კუპიურების სახით იყო დაცული. ფასეულობათა დიდი წონის გამო ბანდიტებს მხოლოდ 4 მილიონი მანეთის გატანა და დანარჩენი თანხის განადგურება ჰქონდათ გადაწყვეტილი. ასეთი თანხა ბოლშევიკების პარტიის უზრუნველ არსებობას 4-5 წლის განმავლობაში გასწვდებოდა. კამო ვარაუდობდა, რომ გეგმის რეალიზაციის პროცესში არანაკლებ 200 კაცი დაიღუპებოდა და ამისათვის მზად იყო. მაგრამ დასახული გეგმა ჩაიშალა – 1907 წლის ბოლოს, აგენტურული მონაცემების წყალობით, გერმანიისა და სხვა ქვეყნების პოლიციამ კამო, ლიტვინოვი და შეთქმულების სხვა მონაწილეები დააპატიმრა.

აღნიშნული პერიოდის პოლიტიკურ-კრიმინალური დაჯგუფებები ტერორისა და ყაჩაღური თავდასხმების გარდა, ხშირად მიმართავდნენ გამოძალვას ლომბარდებისა და წვრილი საწარმოების მფლობელებისგან. მაგალითად, სტალინის მითითებით, შეიარაღებული

პირები ბაქოში წვრილ მეწარმეთა შორის ავრცელებდნენ სპეციალურ პეტიციას მოთხოვნით, გაეკეთებინათ შენატანები ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტის საჭიროებისათვის, ე.ი. ფაქტობრივად, შენიღბულ რეკეტს ეწოდნენ. თანამებრძოლთა აზრით, კავკასიაში ბოლშევიკთა რევოლუციურ მოღვაწეობას 1905-1917 წლებში არაფერი ჰქონდა საერთო მათ მიერ დეკლარირებულ იდეალებთან და ყველაზე მძიმედ გამოხატულ კრიმინალურ საქმიანობას წარმოადგენდა.

1906 წლისათვის ლოკალურმა ორგანიზაციებმა რეალური ავტონომია მოიპოვეს პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობისაგან. მათ ხელთ აღმოჩნდა დარცვა-ყაჩაღობისა და გამოძალვის გზით მიღებული მნიშვნელოვანი სახსრები, რაც ლოთობაში, დროსტარებასა და დებოშში გაიფლანგა, ხოლო პარტიის წევრთა უმრავლესობა პოლიციის ხელთ აღმოჩნდა, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდა სოციალ-დემოკრატების დისკრედიტაცია.

რსდმპ-ს ხელმძღვანელობა, რომლის უმრავლესობასაც მენშევიკები შეადგენდნენ, მკვეთრად აკრიტიკებდა ტერორისა და ძალადობის პოლიტიკას, რასაც ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით ახორციელებდნენ. ამით საბოლოოდ განისაზღვრა განხეთქილება მათ შორის.

ნათქვამის შეჯამებით შეიძლება გაკეთდეს ზოგიერთი დასკვნა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზებული ფორმების ჩამოყალიბების მიზეზებისა და მექანიზმების თაობაზე. საქართველოში დანაშაულებრივი ორგანიზაციების უფრო გავრცელებულ და სრულყოფილ სახეებად ამ პერიოდში პოლიტიკური პარტიების ლოკალური სტრუქტურები (სოციალ-დემოკრატები, ანარქისტები და სხვა) იქცა. ლენინი და სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ამ პარტიულ სტრუქტურებთან, რომელთა საქმიანობას ტერორი, დარცვა-ყაჩაღობა და გამოძალვა წარმოადგენდა. ექსპროპრიაცია განიხილებოდა, როგორც პარტიული ხაზინის შევსების, აგრეთვე პირადი საჭიროების დაკმაყოფილების საშუალება. მას მიმართავდნენ ასევე პოლიტიკური ოპონენტების და საკუ-

თარი თანამებრძოლების დასაშინებლად. მსგავსი პოლიტიკურ-კრიმინალური ორგანიზაციები რიგი საერთო ნიშნებით ხასიათდებოდა:

საქართველოში პარტიულ ქვეგანყოფილებათა უმრავლესობა კრიმინალური წარსულის მქონე შეიარაღებული მებრძოლების ჯგუფებით კომპლექტდებოდა.

პარტიულ ქვეგანყოფილებათა ძირითადი აქტივობა მიმართული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაზე: ტერორზე, ექსპროპრიაციებზე, გამოძალგაზე და სხვა სამართალდარღვევებზე, რომლებიც მკვეთრად გამოხატული ანგარებითი ძალადობრივი ელფერით ხასიათდებოდა. მოპოვებული სახსრების უდიდესი ნაწილი ორგანიზაციის ლიდერებისა და წევრების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის მონიჭდებოდა.

თავის მხრივ, პოლიტიკურ-კრიმინალური გაერთიანების სტრუქტურისათვის დამახასიათებელი იყო:

- ნათლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული იერარქია;
- კარგი კონსპირაცია;
- პოლიტიკური რიტორიკის გამოყენება საკუთარი კრიმინალური საქმიანობის გამართლებისათვის;
- გამოხატული ანგარებითი, ძალადობრივი მიმართულება; ტერორის მეთოდების გამოყენება დაშინებისა და დაქვემდებარებისათვის;
- კარგი შეიარაღება და მომზადება;
- დაზვერვისა და კონტრდაზვერვის არსებობა;
- „ღუმელის“ კანონი;
- ტრანსნაციონალური კავშირები.

ზემოთ ჩამოთვლილმა ნიშნებმა და სტრუქტურულმა თავისებურებებმა საფუძველი მოგვცა საქართველოში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, როგორც პოლიტიკურ-კრიმინალური გაერთიანებები, ორგანიზებული დანაშაულობის სახესხვაობებისთვის მიგვეკუთვნებინა.

### **დ) ბოლშევიკები და პროფესიული დამნაშავეები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1917-1929 წწ.)**

1917 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ბოლშევიკები ცდილობდნენ ისტორიიდან ამოეშალათ თავიანთი კრიმინალური წარსული, მონაწილეობა ექსპროპრიაციებში, ყაჩაღობებში და სხვა დანაშაულებრივ საქმიანობებში, რამდენადაც ეს პოლიტიკურად არ იყო ხელსაყრელი, ლახავდა რა მათ იმიჯს საერთაშორისო არენაზე და საკუთარი ხალხის თვალში. მით უმეტეს, რომ პოლიტიკური ოპონენტები ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ბოლშევიკების კრიმინალური წარსული როგორც კომპრომატი და მათი დისკრედიტირება მოეხდინათ საზოგადოებრიობის თვალში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონფლიქტი, აღმოცენებული სტალინსა და მარტოვს შორის 1918 წლის 31 მარტს გაზეთ „ვპერიოდში“ გამოქვეყნებულ სტატიამი მოყვანილი ფაქტების გამო. მასში ავტორი ბრალს სდებდა სტალინს 1908 წელს განხორციელებულ ექსპროპრიაციებში, ყაჩაღურ თავდასხმებში, რის გამოც ის გარიცხეს სოციალ-დემოკრატიების რიგებიდან.<sup>24</sup>

სტალინმა სარჩელი შეიტანა მარტოვზე რევოლუციურ ტრიბუნალში, რომლის სხდომაც 1918 წ. 4 აპრილს შედგა<sup>25</sup>. სასამართლოს სხდომაზე მარტოვი ამტკიცებდა, რომ სტალინი სოციალ-დემოკრატიების რიგებიდან გაირიცხა იმის გამო, რომ ორგანიზაცია გაუკეთა და მონაწილეობა მიიღო ბაქოში ორთქლმავალ „ნიკოლოზ I“-ზე ყაჩაღურ თავდასხმაში და მოითხოვა მოწმეებად ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილი, სტეფანე შაუმიანი და სხვები მოეწვიათ. აგრეთვე, მოითხოვა ი. გუკოვსკის მოწმედ მოყვანა, რომელსაც მუშა ჟარინოვის მკვლელობის აღწერა შეეძლო, იმ ჟარინოვისა, რომელმაც ყაჩაღობებში სტალინის მონაწილეობის ფაქტები გაახმაურა. სტალინმა პირადად მიიღო მონაწილეობა ამ სასამართლო პროცესში ადვოკატებთან ერთად და ბრალდების დაუდასტურებლობის გამო (სასამართლომ ვერ შეძლო საქართველოდან ძირითადი მოწმეების ჩამოყვანა) მარტოვი იძულებული გახდა,

<sup>24</sup> Газета Вперед статья «Об арт. Подготовке» № 51

<sup>25</sup> Трибунал печати: Дело Мартова», Раннее утро, 6 апреля 1918, стр.4.

ემიგრაციაში წასულიყო.

ამ პროცესის შემდეგ ბოლშევიკებმა უარი თქვეს პოლიტიკური დავის დემოკრატიული ფორმებით (სასამართლო განხილვა) გადაწყვეტაზე და “წითელ ტერორად” წოდებულ მეთოდებს მიმართეს, რაც კლასობრივი მტრის (თავადაზნაურობა, ბურჟუაზია და სასულიერო წოდება) და პოლიტიკური ოპონენტების (მენშევიკები, მემარცხენე ესერები და სხვა) განადგურებას გულისხმობდა. იდეენობოდნენ ის პირებიც, რომლებიც ადრე ექსპროპრიაციებში, ბანდიტიზმში, გამოძალავაში ბოლშევიკებთან ერთად ან მათი დავალებით მონაწილეობდნენ.

საქართველოში ანალოგიური რეპრესიები 1921 წლის 15 თებერვალს საბჭოთა რუსეთთან ძალადობრივი მიერთების შემდეგ დაიწყო. საქართველოში საბჭოთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ, პირველ რიგში, სტალინმა, კარდინალური წმენდა მოაწყვეს იმ პირთა შორის, რომელთაც შეხება ჰქონდათ მის კრიმინალურ წარსულთან. ამასთან, არასასურველ ელემენტებთან ბრძოლისას ბოლშევიკები არ მიჯნავდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს ჩვეულებრივი ბანდიტებისაგან.

სკკპ ისტორიის ნარკვევების ავტორთა აზრით, 1921 წლის ბოლოსათვის ბანდიტიზმისა და საერთოდ დანაშაულობის შემაფოთებელი ზრდა საქართველოში გამოწვეული იყო დამსობილი მენშევიკების წამაქეზებელი ქმედებებით და მიზნად საბჭოთა ხელისუფლების დესტაბილიზაციას ისახავდა. ამ მოტივით აიხსნებოდა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ბოლშევიკების მიერ განხორციელებული რეპრესიების სისასტიკე.<sup>26</sup> მაგ. 1921 წლის ივნისში, ანუ ბოლშევიკების ძალაუფლების დამყარებიდან 3 თვის შემდეგ, საქართველოს რევოლუციუმმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დადგენილება ძარცვისა და პოლიტიკური ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გაზეთი „ვპერიოდ“ №1 „საარტილერიო მომზადების შესახებ“. შესახებ და ეს ამოცანა საგანგებო კომისიას დააკისრა, რომელიც თავისი საქმიანობით სისხლისსამართლებრივ-სამძებრო მილიციას ეყრდნობოდა.

<sup>26</sup> См: Очерки истории КПСС, Тбилиси.,1983, часть вторая, с.5

გატარებული ზომების მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიაზე შესუსტდა ძალაუფლება, რაც ორგანიზებული დანაშაულობის ზრდას უწყობდა ხელს.

მასობრივი ხასიათი მიიღო ბანდიტურმა თავდასხმებმა გზებზე, სასოფლო რევოლუციურ კომიტეტებზე, მილიციონერებზე. კერძოდ, ქუთაისის მაზრაში 1921 წელს მოკლეს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, ოზურგეთის მაზრაში განხორციელდა თავდასხმა მილიციის უფროსზე, 1921 წლის 8 აგვისტოს ბორჩალოს მაზრაში გაძლავნდა შეთქმულება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ბანდიტური ჯგუფების ჩამოყალიბებას და პროვოკაციული ხმების გავრცელებას ისახავდა.

საბჭოთა ხელისუფლება წინააღმდეგობის ჩახშობისათვის საქართველოში „მათრახისა“ და „თაფლაკვერას“ აპრობირებულ მეთოდებს იყენებდა. ასე მაგალითად, 1921 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ამნისტია ბანდიტების მიმართ, თუმცა ამან სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. წარუმატებლობის გამართლებას ამნისტიის ავტორები სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და საქართველოს რთული ბუნებრივი რელიეფით ხსნიდნენ, რაც კრიმინალების დაჭერას ხელს უშლიდა.

1921 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საკითხი ბანდიტიზმთან უკომპრომისო ბრძოლის ორგანიზების შესახებ. ბრძოლის ხელმძღვანელობა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს დაევალა. იმავე წლის ნოემბერში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ბანდიტიზმთან საბრძოლველად სპეციალური რაზმების შექმნის შესახებ დადგენილება მიიღო.<sup>27</sup>

1922 წლის აგვისტოში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკური ბანდების გადამწყვეტი და დაუნდობელი ლიკვიდაციისაკენ მოუწოდა და საგანგებო კომისიის,

<sup>27</sup> Партийный Архив Грузинского филиала института марксизма-ленинизма при ЦК КПСС ф.,14, оп.1,

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და სამხედრო უწყების თაემდგომარეთა შემადგენლობით საგანგებო „სამეულის“ შექმნა დაადგინა. „სამეულს“ ათკაციანი შტაბის მოწვევის და ადგილებზე თითოეული მაზრიდან ათ-ათი მილიციონერის წარმომადგენლობით სპეციალური რაზმების ფორმირების უფლება მიეცა.<sup>28</sup>

1922 წლის 12 ნოემბერს, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ოზურგეთის აღმასკომის საგანგებო სხდომა მოიწვია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა სერგო ორჯონიკიძემ მიიღო.<sup>29</sup>

განიხილეს საკითხი გურიაში მდგომარეობის შესახებ და მიიღეს დადგენილება, რომ ბანდიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად „ხუთეულს“ მინიჭებოდა საგანგებო უფლებამოსილება დანაშაულის ადგილზე ბანდიტების დახვრეტის ჩათვლით<sup>30</sup>. ორჯონიკიძე, რომელიც პირადად იყო დანტერესებული იმ ადამიანთა ბედით, ვისაც შეიძლებოდა, სცოდნოდა მისი კრიმინალური წარსული, პირადად კურიბებდა „ხუთეულის“ მუშაობას. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ხალხის მასობრივ დახვრეტას სასამართლოსა და გამოძიების გარეშე, აქტიურად გამოიყენებოდა წამება და ძალადობის სხვა სახეობები. 1923 წლისათვის ბანდიტიზმთან ბრძოლას შეუერთდა წითელი არმიაც<sup>31</sup>.

მასობრივი რეპრესიებით და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული დასავლეთ საქართველოში 1924 წლის აგვისტოში მომხდარი აჯანყება, რომელიც წითელი არმიის რევულარულმა ნაწილებმა დაუნდობლად ჩაახშეს.

ბანდიტებისა და განსხვავებული აზრისაგან საქართველოს გაწმენდისაკენ სწრაფვით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ საგანგებო კომისიის სტრუქტურების გარდაქმნა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოდ განხორციელდა არა 1922 წელს, მსგავსად რუსეთის ფედერაციისა, არამედ მხოლოდ 1925 წელს.<sup>32</sup>

<sup>28</sup> См: ПА ГФИМЛ, ф.14, оп.1. д.207, л.103

<sup>29</sup> წიგნი 1922 წლის 1-ე ნომერიდან ჩანაწერი №1, ნომერი 1926 - ჩანაწერი-ჩანაწერი №1 ბანდიტიზმის წინააღმდეგ (ა)

<sup>30</sup> См: ПА ГФИМЛ, ф.14, оп.1. ч.1, д.208, л.47

<sup>31</sup> См: ПА ГФИМЛ, ф.14, оп.1. ч.1, д.531, л.17

<sup>32</sup> См: ПА ГФИМЛ, ф.281, с.1, д.17, с.31

მიუხედავად ყველა ძალისხმევისა, ბანდიტიზმი და ჯგუფური ძალადობის სხვა ფორმები კვლავ რჩებოდა საზოგადოების აქტიურ პრობლემად. 1926 წელს დაფიქსირდა გლეხების მასობრივი ძარცვის, დაშინებისა და გამოძალვის, პარტიული მუშაკების და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მკვლელობის ფაქტები.

ბანდები აქტიურად მოქმედებდნენ ოზურგეთის, ზუგდიდის, სამურზაყანოს (გალი) მაზრებში და, განსაკუთრებით, აჭარაში. 1926 წელს აჭარაში მოხდა რამდენიმე შეკვეთილი მკვლელობა კონტრაბანდისტთა ორი მსხვილი ბანდის მეტოქეობის ნიადაგზე, აგრეთვე ქობულეთის მახლობლად განხორციელდა თავდასხმა თბილისი-ბათუმის მიმართულებით მოძრავ ჩქარ მატარებელზე.<sup>33</sup>

ამ პერიოდში აჭარაში დაფიქსირდა ფაქტები ბანდიტების დაპატიმრებისა, რომელთაც ბრალად დანაშაულებრივი გაერთიანებების ორგანიზება და ჯგუფური დანაშაულების განხორციელება ედებოდათ.<sup>34</sup>

მასობრივი რეპრესიების შედეგად ორგანიზებული დანაშაულების რაოდენობა საქართველოში ოციანი წლების ბოლოსთვის 50%-ით და მეტად შემცირდა. რეპრესირებულთა რიცხვში მოხვდა ბევრი უდანაშაულოც, რომლებიც პოლიტიკური შეხედულებებისათვის ან იმის გამო დაზარალდნენ, რომ „ძალიან ბევრი იცოდნენ“ საბჭოთა კავშირის ქართული წარმოშობის ლიდერების შესახებ.

იმ ადამიანთა შორის, რომელთაც „ძალიან ბევრი იცოდნენ“, აღმოჩნდა რევოლუციონერი ტერორისტი კამო. ოფიციალური ვერსიით ის ქ. თბილისში ელბაქიდის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად (სატვირთო მანქანის დაჯახება) დაიღუპა 1922 წელს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თბილისში მაშინ მხოლოდ ოთხი სატვირთო ავტომობილი მოძრაობდა, ძნელი არ არის, დავეჭვდეთ აღნიშნული ვერსიის სისწორეში. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, კამო წინასწარი განზრახვით მოკლეს, რადგან ბევრს სვამდა და რესტორნებში თავისი დანაშაულებრივი წარსულ-

<sup>33</sup> См: ПА ГФИМЛ, ф.14, оп.1. ч.2, д.2365, л.200

<sup>34</sup> См: ГА Аджарской АССР, ф.,5 с.1, д.232, л.14, 15

ლის შესახებ ლაყბობის დროს არაორაზროვნად მიუთითებდა დანაშაულებში საკუთარი და ისეთი ლიდერების მონაწილეობის შესახებ, როგორებიც იყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე და სხვები. ასეთი ვერსია გამაგრებულია გარკვეული ჰიპოთეზებითა და ფაქტებით.

სტალინი, როგორც ჩანს, ყოველთვის მალავდა ზოგიერთ ეპიზოდს წარსული ცხოვრებიდან.<sup>35</sup> მისი მმართველობის პერიოდში ლიდერის მხოლოდ მოკლე და არასრული ბიოგრაფია გამოიცა. ის ყოველთვის უარყოფდა კამოსთან პირად ნაცნობობას, რაც ერთობ საეჭვოა. ისინი, პრაქტიკულად, თანატოლები იყვნენ, დაიბადნენ და ცხოვრობდნენ ქ. გორში, რომლის მოსახლეობაც არ აღემატებოდა 20-25 ათას მცხოვრებს. მრავალი თვითმხილველის აზრით, ისინი მეგობრობდნენ და არსებობს ჰიპოთეზა, რომ ყველა მნიშვნელოვან დანაშაულებრივ ქმედებას კამოსთან ერთად სტალინიც ახორციელებდა.<sup>36</sup>

გარკვეულ ეჭვს იწვევს ს. ორჯონიკიძის მკვლელობის გარემოებებიც. ოფიციალური ვერსიით მან თავი მოიკლა, ხოლო სხვა ვერსიით, სტალინის მითითებით მოკლეს.

1920-30-იან წლებში საქართველოში დაიღუპა ან გადაასახლეს პროცენტულად მეტი ადამიანი საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებთან შედარებით.

<sup>35</sup> Александров, Г.Ф.; Галактионов, М.Р. и др. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография, 243 страниц; 1947 г. Издательство: ОГИЗ Государственное издательство политической литературы

<sup>36</sup> См: Политический календарь, Профиль 1997 [http://www.profil.org.ru/archive/n48/kal\\_14-7—20-7.html](http://www.profil.org.ru/archive/n48/kal_14-7—20-7.html)

## 5. „კანონიერი ქურდები“

### ა) ქურდული გაერთიანებების აღმოცენება XX საუკუნის 30-50-იან წლებში

საქართველოში პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობის კვლევის მიზნების რეალიზაციისათვის ავტორმა აღნიშნული ფენომენების აღმოცენებისა და განვითარების სტადიები პირობითად რამდენიმე საკვანძო ეტაპად დაყო და საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების უფრო მნიშვნელოვან პერიოდებთან კავშირში განიხილა:

- 30-50-იანი წლები მიეკუთვნება სტალინის მმართველობის პერიოდს, როდესაც დამყარდა სასტიკი დიქტატურა, შეიქმნა “გულაგის” სისტემა და ჩამოყალიბდა „კანონიერი ქურდების“ კასტა;

- 60-70-იანი წლები ე.წ. პოსტსტალინური პერიოდია, როდესაც გამოჩნდა მაფიოზური ტიპის პირველი ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებები თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობის წინასახე.

- 80-იანი წლები არის “პერესტროიკამდელი” პერიოდი, როდესაც მოხდა თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობის საბოლოო ფორმირება საბჭოთა კავშირში.

- 90-იანი წლების პერიოდი მოიცავს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და დანაშაულებრივი კლანების როლის ზრდას ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებაში. ის ხასიათდება დანაშაულებრივი კლანების არნახული აქტივობით და შემდგომში მათი მნიშვნელოვანი შესუსტებით სახელმწიფოს სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის აქტივიზაციის შედეგად.

- თანამედროვე პერიოდი ხასიათდება ახალი დანაშაულებრივი ელიტის ე.წ. კორუფციონერთა დემოკრატიის აღმოცენებისა და განმტკიცების პროცესებით.

საბჭოთა კავშირში „კანონიერი ქურდების“ წინამორბედები 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოჩნდნენ. დანაშაულებრივი სამყაროს ორგანიზაციის შიდა სისტემის თითქმის

სამსაუკუნოვანი ისტორია მეძველდროებით კავშირს უზრუნველყოფდა და თავისი ტრადიციების, ადათ-წესების, „კანონების“ კულტივირებას ახდენდა. დანაშაულებრივმა სამყარომ უმაღლვე აულოაღლო ბოლშევიკების უკანონობის და დიქტატურის ახალ პირობებს. პოლიტიკურმა ურთიერთდაპირისპირებამ, ქაოსმა და ეკონომიკურმა ნგრევამ მკვეთრად გააძლიერა კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებიც არა მხოლოდ ბანდიტიზმსა და ყაჩაღობას ეწეოდნენ, არამედ პოლიტიკური თამაშებისათვის, კომუნისტების ძალაუფლების დესტაბილიზაციისთვისაც გამოიყენებოდნენ.

იმ პერიოდის დანაშაულებრივ სამყაროში გამოიყოფოდა ორი ძირითადი მიმართულება: პირველი – დამნაშავენი რევოლუციამდელი სტაჟით, მეორე – პირები, რომლებიც დანაშაულის გზას დაადგნენ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შედეგად.

თუ პირველი კატეგორია მთლიანად იყო ასიმილირებული კრიმინალურ სამყაროში, მეორეს არ გააჩნდა პროფესიონალ დამნაშავეთა გამოცდილება და უნარ-ჩვევები თუმცა ახალ პირობებთან ადაპტაცია სწრაფად მოახერხა, უფრო მეტიც, ლიდერის პოზიციებზე გავიდა. ამას ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ რევოლუციამდელ ოპონენტებთან და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან შედარებით ახალი დამნაშავეები უფრო განათლებულები და ერუდირებულები იყვნენ. შედეგად ახალი ძალაუფლების ბევრი პოლიტიკური ოპონენტი ახალგაზრდული დანაშაულებრივი ბანდების ლიდერი ხდებოდა და მათ „ჟიგანებს“ უწოდებდნენ (რევოლუციამდელ დანაშაულებრივ სამყაროში ასე ერქვათ პატიმრებს, რომლებმაც ბანქოში წააგეს).<sup>37</sup>

იმ ჯგუფის წევრებს, რომელთაც „ჟიგანები“ ხელმძღვანელობდნენ, ეწოდებოდათ „შპანა“.

„ჟიგანებმა“ ძველი კრიმინალური სამყაროს ტრადიციები და ადათ-წესები ახალ რეალიებს მიუსადაგეს.<sup>38</sup> ისინი აქტიურად ახდენდნენ თავიანთი წესების დამუშავებასა და კულტივირებას მო-

სახლეობის საკმაოდ დიდ მასებში. „ჟიგანები“ ხაზს უსვამდნენ თავიანთ განსხვავებას კრიმინალური სამყაროს უმრავლესობისაგან და საკუთარ დანაშაულებრივ ქცევას პოლიტიკური სარჩულით ხსნიდნენ.

„ჟიგანების“ მიერ შექმნილი წესები და კანონები მიმართული იყო ახალი პოლიტიკური რეჟიმისადმი ოპოზიციური იდეოლოგიის გასამყარებლად და მდგომარეობდა:

- საზოგადოებისათვის სასარგებლო რაიმე სამუშაოს შესრულების აკრძალვაში;
- ოფიციალური ოჯახის შექმნის აკრძალვაში;
- იარაღით ხელში სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობის აკრძალვაში;
- დაზარალებულის ან მოწმის სახით ოფიციალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აკრძალვაში;
- საერთო საღაროში ფულის შეტანის ვალდებულებაში.

არსებითად, ეს წესები იქცა პირველ ნაბიჯად ახალი ტრადიციებისა და ადათ-წესების ფორმირებისაკენ, რომლებმაც ტრადიციულ ატრიბუტებთან (ტატუირება, ჟარგონი, ჟესტები) და ემოციურ ელემენტებთან (სიმღერა, პროზა, თხრობა) ერთად პროფესიული დამნაშავის არსი განსაზღვრეს.

მიუხედავად დანაშაულობის იმდროინდელი გადახრისა ბანდიტიზმისაკენ, დანაშაულებრივმა სამყარომ არ დაკარგა „პროფესიის“ წინანდელი მრავალსახეობა. განსაკუთრებული განტოტებებით გამოირჩეოდა ქურდებისა და თაღლითების „სპეციალობები“, რომლებიც ათობით სახესხვაობას ითვლიდნენ.<sup>39</sup> აღნიშნული სპეციალობების მიმდევრებს დანაშაულებრივ სამყაროში წამყვან როლზე ჰქონდათ პრეტენზია და ამის მიღწევას ნებისმიერი საშუალებით ცდილობდნენ.

ამგვარად, კრიმინალური სამყარო, არსებითად, გახლენილი იყო ძველრეჟიმული, ტრადიციული დანაშაულებრივი ადათ-წესების მიმდევრებად და „ჟიგანებად“. ბრძოლას ძალაუფლებისათვის, რომელიც

<sup>37</sup> Гуров А. Криминальный профессионализм и борьба с ним М., 1983 с.84

<sup>38</sup> см: Водолазский Б., Вакутин Ю. Преступные группировки, их обычаи, традиции и «законы» (настоящее и прошлое) Омск 1979

<sup>39</sup> ჩიჩი : Гернет М.Н. Предисловие к работе «Преступный мир Москвы» - М., 1924 – с. XXVX

20-30-იან წლებში გრძელდებოდა, დანაშაულებრივ სამყაროში კარდინალური ცვლილებები მოჰყვა. კრიმინალური იერარქიის ქვედა საფეხურზე მდგარმა კრიმინალებმა, რომელთაც „ჟიგანები“ მართავდნენ და თავს „ურკებს“ უწოდებდნენ, უარი განაცხადეს ლიდერების მორჩილებაზე, რასაც ძალაუფლებისათვის ნამდვილი ომი მოჰყვა. „ურკებმა“ და მათმა მხარდამჭერმა ქურდებმა გაიმარჯვეს და რევოლუციამდელი და ახალი ტრადიციების სიმბიოზის საფუძველზე კრიმინალური სამყაროსათვის ქცევის ახალი ნორმების კულტივირება იწყეს. სინთეზის შედეგად შეიქმნა არაფორმალური „ქურდული კანონი“, რომელიც აწესრიგებდა ქცევის წესებს კრიმინალურ გარემოში და ადექვატურად ასახავდა არსებული სოციალური სისტემის, როგორც ობიექტური სინამდვილის რეალიებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამუშავდა და დამტკიცდა დაუწერელი „ქურდული კანონი“, რომელიც მთლიანად დანაშაულებრივი სამყაროს ტრადიციებს ეფუძნებოდა. ამ კანონის მხარდამჭერი ლიდერები საკუთარი თავს „კანონიერ ქურდებს“ უწოდებდნენ.

საკმაოდ რთულია განისაზღვროს, თუ როდის, რომელ წელს აღმოცენდა დაჯგუფება და რატომ დაერქვა მას „კანონიერი ქურდები“. რევოლუციამდელი დანაშაულებრივი სამყაროს ჟარგონში ასეთი ტერმინი მკვლევართა მიერ დაფიქსირებული არ არის. იმ ვარაუდის დაშვება, რომ ასეთი დაჯგუფებით დაინტერესებული არ იყვნენ რეციდიული და პროფესიული დანაშაულობის სპეციალისტი მკვლევარები (ბ.ს. უტევსკი, ს.ნ. კსენევი და სხვები), არ შეიძლება. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის სამყაროში გაბატონებულია აზრი, თითქოს ტერმინი „კანონიერი ქურდი“ მოფიქრებული იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლების მიერ, რაც ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ქურდულ ჟარგონში არ არის ტერმინი „კანონიერი ქურდი“. მასში ვხვდებით მხოლოდ ტერმინს – ქურდი „ჩესტნიავა“, რაც ქვეყნის მასშტაბით „მოგასტროლიორე“ პროფესიონალს ნიშნავს. სპეციალურ ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით, აგრეთვე „კანონიერ ქურდებთან“ საუბრებიდან გამომდინარე, შეიძლება, გავაკეთოთ დასკვნა, რომ ხშირად თავად ქურდები გამასწორებელი დაწესებულების ადმინისტრაცი-

ის ან სხვა სამართალდამცავების წინაშე თავის მართლების მიზნით ხაზს უსვამდნენ: „მე კანონიერი ვარ, ამიტომ მოვიქეცი დანაშაულებრივი სამყაროს კანონებისა და ადამიანური წესების მიხედვით და არა სხვაგვარად“.<sup>40</sup>

აღნიშნული პროცესები სათავეს იღებს 1929 წლიდან, როდესაც სსრ კავშირში რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო. დაპატიმრებულთა რაოდენობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, რამაც განაპირობა საპატიმრო ადგილებში ახალი მთავარი სამმართველოს ჩამოყალიბება „გულაგის“ სახელწოდებით. ამ სამსახურის ხელმძღვანელობას საპატიმროებში სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებზე ოპერატიული ზედამხედველობის განხორციელება დაევა. საკონტროლო ფუნქციები კი შინსაკომის მთავარმა ინსპექციამ იკისრა. მთავარი სამმართველოს ფუნქციაში შევიდა აგენტებად ე.წ. „ურკაგანების“ (სისხლის სამართლის პროფესიონალი დამნაშავეების) სასწრაფოდ გადმობირება. გადმობირებულ კონტინგენტს თანამშრომლებთან ერთად „ტროცკისტებში“ (ასე ეძახდნენ ს.ს.კ. 58-ე მუხლით მსჯავრდებულებს) დისციპლინის დამყარება დაევა. ადმინისტრაცია ხელს უწყობდა გადმობირებულების ავტორიტეტის ამაღლებას, ბანაკის ტერიტორიაზე რეჟიმი მათთვის შედარებით თავისუფალი იყო, შეეძლოთ, დაუბრკოლებლად შეხვედროდნენ ისეთ ადამიანებს, ვისგანაც საჭირო ინფორმაციას მოიპოვებდნენ. ასეთ პირებს ზედმეტსახელად „ბლატნიე“ ანუ „ბლატიანები“ შეარქვეს.

პატიმართა ამ კატეგორიას შემდგომში „კანონიერი ქურდი“ უწოდეს<sup>41</sup>. ბანაკის თუ საპატიმროს უფროსისათვის „კანონიერი“ ნიშნავდა აგენტად გადმობირებულ ავტორიტეტს.

შესაბამისად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ „კანონიერი ქურდი“ ეს არის საბჭოთა პერიოდის ფენომენი, რომელიც 30-იანი

<sup>40</sup> В. Разинкин., А. Тарабрин. Цветная Масть: Элита Преступного Мира [http://blatata.ru/proza/mast\\_01.htm](http://blatata.ru/proza/mast_01.htm).

<sup>41</sup> „კანონიერი ქურდი“-ს სახელი გადმობირებულმა აგენტებმა თავის თავს უწოდეს, რაც ნიშნავდა ავტორიტეტის აღიარებას, რასაც ბანაკების ადმინისტრაციაც ხელს უწყობდა და „კანონებდა“ .

წლების დასაწყისში დამკვიდრდა. აღნიშული სახელწოდება თითქოს რეციდივისტთა დაჯგუფებასთან სიმბოლიზირდებოდა და მათ ქურდების სხვა კატეგორიისგან („კანონის“ გარეშე) გამოყოფდა.

### **ბ) ქურდული გაერთიანებების ტრანსფორმაცია. XX საუკუნის 40-50-იანი წლების ქურდების ომები**

1937 წლის აგვისტოში გამასწორებელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მიიღეს ნ.ი. ეჟოვის<sup>42</sup> ბრძანება, რომლითაც „სამეუღლებისათვის“ იმ პირთა საქმეების მომზადება და განხილვა მოითხოვებოდა, რომლებიც „აქტიურ ანტისაბჭოთა, ძირგამომთხრელ და სხვა დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდნენ“. ძირითადი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო ქურდულ გაერთიანებათა ლიდერებზეც. სულ, ეჟოვის ბრძანების საფუძველზე, შინსახკომის ბანაკებში დახვრიტეს 30 ათას კაცზე მეტი, რომელთა უმეტესობასაც დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერები შეადგენდნენ.<sup>43</sup>

მიუხედავად რეპრესიებისა, „კანონიერი ქურდების“ საზოგადოება ძლიერდებოდა და დანაშაულებრივი სამყაროს პოტენციურ ძალას წარმოადგენდა. ქურდების რაოდენობა 40-იან წლებში ათობით ათას, ხოლო ე.წ. „ბლატიანებთან“ ერთად 40-50 ათასამდე კაცს შეადგენდა.

ფაშისტურ გერმანიასთან ომმა გააძლიერა წინააღმდეგობა, რომელიც იმ პერიოდისათვის კრიმინალურ სამყაროში შეინიშნებოდა. ომის დასაწყისში ყველა ბანაკში გამოაცხადეს, რომ მათ, ვისაც დანაშაულის ფრონტზე გამოსყიდვა სურდათ, გაათავისუფლებდნენ და წითელ არმიამი გააგზავნიდნენ. პირველ დღეებშივე თანხმობა 420 ათასმა კაცმა, პატიმართა საერთო რიცხვის მეოთხედზე მეტმა განაცხადა, ხოლო ომის შუა პერიოდისათვის ასეთი უკვე, დაახლოებით, მილიონი იყო. ფრონტზე ქურდები ე.წ. „საჯარიმო ბატალიონებში“ შინსახკომის ჯარების კონტროლქვეშ იბრძოდნენ. ქურდების ერთმა ნაწილმა კატეგორიული უარი გა-

ნაცხადა ომში მონაწილეობაზე. ქურდულ პოზიციაზე დარჩენა მეტად ძნელი იყო, რამდენადაც ომის დაწყებისთანავე ბანაკებში გავრცელდა ხმები, რომ ყველა მრავალგზის ნასამართლევს ჩრდილოეთში გადაიყვანდნენ და იქ მათ ლიკვიდაციას განახორციელებენ (როგორც 1937-38 წლებში). ბანაკებში დაიწყო შეიარაღებული ამბოხებები. მეამბოხეთა ერთი ასეთი ორგანიზაცია შინსახკომის ვორკუტის საბანაკო პუნქტ „ლესორეიდზე“ 1942 წლის 24 იანვარს ჩამოყალიბდა, მაგრამ დიდი მსხვერპლით განადგურდა. პატიმრების გამოსვლას რეჟიმის გამკაცრება მოჰყვა. 1942 წლის თებერვალში მიიღეს ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც დაშვებული იყო იარაღის გამოყენება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მსჯავრდებული ორგზის გაფრთხილების შემდეგ მუშაობაზე უარს იტყვოდა. დაიწყო ბრძოლა ქურდებსა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს შორის. ნაკლებად მტკიცე ქურდები, რომლებიც ვერ ახერხებდნენ საშუალოსათვის თავის არიდებას, ქურდული გაერთიანებიდან ირიცხებოდნენ.

მრავალი ქურდი დაიღუპა ფრონტზე, გადარჩენილთაგან ბევრი კვლავ აღმოჩნდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და დანაშაულებრივ სფეროში რეინტეგრირება დაიწყო. აღნიშნულს წინ აღუდგა ქურდების ის ნაწილი, რომელმაც არ უღალატა “რწმენას”. დაბრუნებულ ქურდებს ისინი “ფრონტოვიკებს” და “გამყიდველ ძუკნებს” უწოდებდნენ. ამ ჯგუფებს შორის წარმოქმნილი დაპირისპირება „ძუკნების ომის“ სახელწოდებითაა ცნობილი<sup>44</sup>.

პრივილეგიებისა და უფლებების დაბრუნების მიზნით, ომის მონაწილე ქურდებმა გადაწყვიტეს დამატებისათვის მიეღწიათ “ქურდული კანონის” იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულ გარემოებებში უფლებას იძლეოდა ეთანამშრომლათ ხელისუფლებასთან ამ კანონის ჩარჩოებში ქცევის ლეგიტიმიზაციის მიზნით.

ციხის ხელისუფლებამ მარჯვედ გამოიყენა „ძუკნების ომი“, ერთმანეთზე წააქეხეს ქურდების სხვადასხვა დაჯგუფებები და ამით მნიშვნელოვნად დაასუსტეს კრიმინალური სამყარო. სისხ-

<sup>42</sup> Ежов Николай Иванович, 1936-1938 гг. (1895-1940), осужден, расстрелян

<sup>43</sup> Хабаров А. Россия ментовская. Стр.10 <http://blatata.ru/proza/habarov10.htm>

<sup>44</sup> Водолазский Б.Ф., Вакутин Ю.А., - Преступные группировки. Их традиции, обычаи, «законы»: (Прошлое и настоящее) – Омск, 1979. – с 5-12.



ლისღვრა მანამ გავრძელდა, სანამ ორთოდოქსულმა ქურდებმა “ქურდული კანონის” ნაწილობრივ შეცვლაზე თანხმობა არ განაცხადეს. ახალი “კანონი” ადმინისტრაციასთან და ხელისუფლებასთან გარკვეულ პირობებში (კერძოდ, ომის დროს) თანამშრომლობას ითვალისწინებდა. ამასთან, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქურდებს ნება დაერთოთ, ეჭუშავათ, მაგალითად, დალაქებად, რათა დახმარება გაეწიათ სხვა ქურდებისათვის და ამავე დროს სამართებელთან, მაკრატელთან და სხვა მჭრელ-მჩხველეთავე საგნებთან ჰქონოდათ შეხება.

ომის შემდგომ პერიოდში რეციდივისტთა შორის აღმოცენებული წინააღმდეგობები თანდათან ღრმავდებოდა, რასაც ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა:

1. სწრაფად იზრდებოდა კრიმინალური თანასახოგადობა მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებულთა და უპატრონოთა ხარჯზე, რაც ომის პერიოდისათვისა დამახასიათებელი. ამასთან დაკავშირებით, ქურდების სალარო (“ობშიაკი”) ვეღარ აკმაყოფილებდა „კანონიერი ქურდების” მოთხოვნებს და ამიტომ იძულებულნი შეიქნენ პატიმრებისათვის გამოძევაზე თანხის 1/3-დან 2/3-მდე ჩამოერთმიათ. ექსპლუატაციის გაძლიერებამ პატიმრების ძირითადი მასის („მუჟიკების“) აღშფოთება და აშკარა დაუმორჩილებლობა გამოიწვია.

2. ბანაკებში გაჩნდა ახალი კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებიც ბანდიტიზმის, სამშობლოს ღალატის და სხვ. მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებულებით ივსებოდა. ასეთების რიცხვი ომის პერიოდში და ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათ „განდგომილებს“ («ОТШЕДШИЕ») ან „პოლონელ ქურდებს“ უწოდებდნენ. აღნიშნულმა დაჯგუფებებმა „კანონიერი ქურდებისაგან“ ქცევის არაფორმალური ნორმების გადმოდება და მსჯავრდებულთათვის გადასახადის დაკისრება დაიწყეს.

მნიშვნელოვანი განხეთქილება ქურდულ თანასახოგადობაში 50-იანი წლების მეორე ნახევარში მოხდა, როდესაც „განდგომილებს“ კლასიკური ქურდების დიდი ნაწილი შეუერთდა. შსს იმდროინდელ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ იმ ქურდ-რეციდი-

ვისტებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივ, ბანდიტურ ელემენტებს შეადგენენ და თავს „კანონიერ ქურდებს“ უწოდებენ, მუდმივად გამოეყოფიან ე.წ. „ბრალიანები“ («ПРОВИНВИШИЕСЯ»). ისინი, პრინციპში, ისეთივე რეციდივისტებად რჩებიან, მაგრამ საყურადღებო აქ თავად დანაწევრების ფაქტია.

ჩამოთვლილ დაჯგუფებებს შორის სასტიკი ბრძოლა დაიწყო ლიდერობისათვის, საერთო სალაროს დაუფლებისათვის, რაც ხშირად ერთმანეთის ფიზიკური განადგურებით მთავრდებოდა. „განდგომილები“, ვ. ვეტლუგინის მონაცემებით, უარს ამბობდნენ იმ ზონაში შესვლაზე, სადაც ქურდები მათ სასტიკად უსწორდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ქცევის გარკვეული მოქნილობის წყალობით “განდგომილებმა” სწრაფად განიმტკიცეს საკუთარი პოზიციები. ერთი მხრივ, ისინი მხარს უჭერდნენ მათთვის მისაღებ “ქურდულ კანონებს”, ხოლო, მეორე მხრივ, უარს არ აცხადებდნენ მუშაობაზე, ადმინისტრაციასთან კონტაქტზე, აქტივისტობაზეც კი. ამიტომ ზოგიერთი დაწესებულების ადმინისტრაცია „განდგომილებს“ პოზიტიურ ფორმირებად მიიჩნევდა და „კანონიერ ქურდებთან” ბრძოლაშიც ეხმარებოდა. დაჯგუფებებს შორის არსებულ მტრობას გამასწორებელი დაწესებულების ადმინისტრაცია პროფილაქტიკური და ოპერატიული ღონისძიებებისთვის იყენებდა და ქურდული თანასახოგადობის გახრწნისაკენ მიმართავდა.

აღსანიშნავია, რომ „განდგომილების“ პოზიციის გაძლიერებას თვით “კანონიერთა” დაჯგუფებაში ერთიანობის არქონა უწყობდა ხელს, რაც კიდევ უფრო გააღრმავა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულმა ბრძანებულებამ „დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ” (1947 წ. 4 ივნისი). მკვეთრად გაიზარდა სანქციები ქონებრივი დანაშაულებისათვის, სამართალდამცავ ორგანოებს კი საქმიანობის გააქტიურება დაევადათ. ამ ბრძანებულებას ქურდულ წრეებში „შავი ქაღალდი“ ეწოდა, რადგან მისი გამოქვეყნების შემდეგ მრავალი ქურდი მოკლეს მილიციასთან შეტაკებისას. თბილისში, მაგალითად, 40-იანი წლების ბოლოს ლიკვიდირებული იყვნენ ცნობილი ქურდები: „ბერძენი“, „ისაკო“, „ავლაბრელი რაფიკა“, „ნაღბო“ და

სხვები. ამის შემდეგ ბევრი პროფესიონალი ბოროტმოქმედი იძულებული გახდა სერიოზულად დაფიქრებულიყო ქურდული „იდესის“ თაობაზე. ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ქურდულ ტრადიციებზე ხელის აღებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დანაშაულებრივი ავტორიტეტების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია განაპირობა. თითო საკანში 5-10 ქურდი იმყოფებოდა.<sup>45</sup> ორივე გარემოება კი დაჯგუფებათა გახრწნასა და ქურდებს შორის დაპირისპირების პროცესს აჩქარებდა. ქურდულ შეკრებებზე ციხეებსა და ბანაკებში ხშირად განიხილებოდა დაჯგუფებათა „სამართლებრივი“ მდგომარეობა. გაძევებულნი დაუყოვნებლივ გადადიოდნენ „განდგომილებთან“ და თავიანთი გუშინდელი თანამომხმეების წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებოდნენ.

უცილებელია, აღინიშნოს, რომ უკვე 50-იანი წლების პირველ ნახევარში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ადმინისტრაციამ მიზანდასახული მუშაობის ორგანიზება შეძლო „კანონიერი ქურდების“ დაჯგუფებათა გახრწნის მიმართულებით და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. დაჯგუფებათა დაშლის პირობებში თავი იჩინა ციხეებსა და კოლონიებში პატიმართა უფრო წვრილი გაერთიანებების ჩამოყალიბებამ. გაჩნდა არაფორმალური გაერთიანებები სახელწოდებებით: „წითელქუდა“, „დერი-ბერი“, „მარტო ყინულზე“ და ა.შ. (დაახლოებით 10). ისინი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ და დაპირისპირებულთა არც ერთ მხარეს იკავებდნენ. შინაგან საქმეთა ორგანოების დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ყველა მცირერიცხოვანი დაჯგუფება („განდგომილების“ და „კანონიერი ქურდების“ გარდა), ისეთები, როგორებიც იყვნენ „პოლონელი ქურდები“, „მანოილები“, „ბეზპრედელშიკები“, „ანარქისტები“, „პაღვონიკები“ და სხვა, „განდგომილების“ სფეროში ჩაისახნენ და მათ შორის რაიმე ნიშანდობლივი განსხვავება არ არსებობდა. გარდა ამისა, ყოველი მათგანი ერთნაირად მეტოქეობდა „კანონიერ ქურდებთან“ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გავლენისა და პრივილეგიების გადანაწილებისათვის, ამიტომ შეიძლება, დავეთ-

<sup>45</sup> ქურდ-რეციდივისტის ლევო ო-ს მოგონებანი.

ანხმით მკვლევარებს, რომლებიც უარყოფენ სხვადასხვა დამოუკიდებელი დაჯგუფებების არსებობას და მხოლოდ ორ მათგანს გამოყოფენ: „კანონიერ ქურდებს“ და „განდგომილებს“. იმდროინდელ კანონმდებლობასთან შესაბამისად, ეს ანტაგონისტურად განწყობილი დაჯგუფებები ერთსა და იმავე ბანაკებში იმყოფებოდნენ და სისხლისმღვრელი შეტაკებები მათ შორის 50-იანი წლების შუა ხანებამდე გრძელდებოდა. სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1955 წელს საბჭოთა კავშირში მიიღეს ახალი საკანონმდებლო აქტები შრომაგასწორებითი ბანაკებისა და შრომაგასწორებითი კოლონიების რეორგანიზაციისათვის და დაადგინეს ყოფნის 3 რეჟიმი: საერთო, შემსუბუქებული და მკაცრი.<sup>46</sup> ამ რეფორმის წყალობით, ადმინისტრაციამ მოახერხა დაპირისპირებული მხარეები სხვადასხვა სპეციალურ კოლონიაში მოეთავსებინა.

1958 წელს დამტკიცდა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, რომელიც შრომაგასწორებითი კანონმდებლობის მთელ რიგ შეცვლილ ნორმებს შეიცავდა.<sup>47</sup>

1961 წელს დამუშავდა დებულება საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლონიებისა და ციხეების შესახებ.<sup>48</sup>

აღნიშნული ნორმატიული აქტები გულისხმობდა ოთხი სახის კოლონიების შექმნას: საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის.<sup>49</sup>

შრომაგასწორებით კოლონიებში ახალი „განსაკუთრებული“ რეჟიმის შემოღება წარმოადგენდა „კანონიერი ქურდების“ კლანის სრული ლიკვიდაციის კიდევ ერთ ცდას. 26-ე მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებული რეჟიმის შრომითგამასწორებელ კოლონიებში სასჯელს იხდიდნენ ის პირები, რომლებიც აღიარებულები იყვნენ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად და ის მსჯავრდე-

<sup>46</sup> საბჭოთა გამასწორებელ-შრომითი სამართალი, მოსკოვი, 1983, გვ. 50 (რუს. ენაზე).

<sup>47</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>48</sup> საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1961, №26.

<sup>49</sup> საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1971, №12.

ბულები, რომლებსაც სიკვდილით დასჯა შეწყალვის ან ამნისტიის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთით შეეცვალათ. განსაკუთრებული რეჟიმის დაწესებულებებში პატიმრები იმყოფებოდნენ მკაცრად იზოლირებულები საკნის ტიპის შენობებში; როგორც წესი, მუშაობდნენ მძიმე პირობებში და ატარებდნენ სპეციალურ ტანსაცმელს.

მოქმედი ინსტრუქციის თანახმად, კოლონიების უფროსებს ეკრძალებოდათ ქურდების გადაყვანა ერთი დაწესებულებიდან მეორეში.

ერთი წლის შემდეგ, 1956 წელს საბჭოთა კავშირის შსს-მ ქ. სოლიკამსკში დააარსა ექსპერიმენტული კოლონია №6, რომელსაც ხალხში „თეთრ გედს“ უწოდებდნენ. აქ მხოლოდ „კანონიერი ქურდები“ იმყოფებოდნენ. კოლონია 80-იანი წლების ბოლომდე მოქმედებდა.

„კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საინტერესო, მაგრამ ბოლომდე არარეალიზებული საკანონმდებლო მეთოდი იყო 1966 წლის 26 ივლისით დათარიღებული დებულება „თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებზე შინაგან საქმეთა ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ“, რომლის დახმარებითაც კოლონიებიდან გათავისუფლებული საშიში ბოროტმოქმედების ქცევაზე კონტროლი და რეციდივისტების აღრიცხვის უზრუნველყოფა ხორციელდებოდა.

50-იანი წლების ბოლოს, მთელი რიგი წარმატებული ოპერაციების ჩატარების შემდეგ, საბჭოთა კავშირის სამართალდამცავმა ორგანოებმა ცენტრალურ კომიტეტს „კანონიერი ქურდების“ დანაშაულებრივი ორგანიზაციის საბოლოოდ განადგურების შესახებ უპატაკეს. ეს განპირობებული იყო ნ.ხრუშჩოვის მეთაურობით სკკპ ცეკას პოლიტიკური დადგენილებით, რომლის მიხედვითაც გამოცხადდა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება და კომუნიზმის აშენება უკვე 80-იანი წლებისათვის. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის სამართალდამცავ ორგანოებში განხორციელდა კარდინალური ცვლილებები, რასაც მასობრივი დათხოვნები და

კრიმინალურ სამყაროზე გავლენის შესუსტება მოჰყვა. კოლონიების ხელმძღვანელობა, ისწრაფოდა რა კრიმინალების ხელახალი აღზრდის საქმეში დადებითი შედეგების სწრაფად მიღწევასაკენ, საჭირო კონტროლის განხორციელების გარეშე აქტიურად უჭერდა მხარს ბოროტმოქმედებს, რომლებიც გარეგნულად უარს აცხადებდნენ დანაშაულებრივი სამყაროს ტრადიციებსა და ადათებზე. სარგებლობდნენ რა ადმინისტრაციის ასეთი მფარველობით, „წასულები“ საკუთარ კანონებს ამყარებდნენ და ქურდული ტრადიციების და ადათ-წესების დამცველთა ფუნქციების მითვისებით მკაცრი კონტროლის დამყარებას ახერხებდნენ დანაშაულებრივ თანასახოგადობაზე. ტრადიციული კანონიერი ქურდების წარმომადგენლები იბულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ ლიდერის პოზიციებზე და პატიმართა სხვა ჯგუფებში გათქვეფილიყვნენ. მათი უმრავლესობა ასიმილირდებოდა „მუჟიკების“ ჯგუფში, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვან იერარქიას წარმოადგენდა თანამედროვე დანაშაულებრივ სამყაროში.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მიუხედავად ყველაზე „დრაკონული“ ღონისძიებებისა და ფუძემდებლური პრინციპების ტრანსფორმაციისა, „კანონიერი ქურდების“ ძირითადად მასამ არა მხოლოდ გადარჩენა მოახერხა, არამედ შესანიშნავად შეეგუა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს. რა თქმა უნდა, ისინი აღარ იყვნენ ის კანონიერი ქურდები, რომლებიც XX ს.-ის 30-40-იანი წლების „გულაგის“ ბანაკებში ლიდერობდნენ.

### გ) „კანონიერი ქურდები“ საბჭოთა კავშირში 60-70-იან წლებში.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალებისა და ტირანული რეჟიმის სრფნის დაწყების შემდეგ ახალი შესაძლებლობები გაჩნდა ქურდების კრიმინალური „პოტენციალის“ რეალიზაციისათვის სახოგადობრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კრიმინალური სამყაროს თანამედროვე სუბკულტურის ფორმირება უშუალო კავშირშია საბჭოთა კავშირში დანაშაულობის სრული აღმოფხვრისაკენ მიმართულ ხრუშჩოვისეულ რეფორმებთან და ისეთი ახლადშემოღე-

ბული ნორმების პირდაპირ შედეგად გვევლინება, როგორც არის: პენიტენციური დაწესებულებების სრული გასაიდუმლოება, შრომა-გასწორებით დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა, აღნიშნული დაწესებულებების საბანაკო ტიპზე ორიენტაცია, პატიმართა დიფერენციაცია ხელოვნურ სოციალურ ჯგუფებად ასაკის, სქესის, ცხოვრებისეული გამოცდილების, ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიხედვით. ციხის კანონის ინოვაციის განმტკიცებას ხელს უწყობდა პენიტენციურ დაწესებულებათა რაოდენობრივი გადატვირთვა, ერთი რევიონიდან მეორეში მსჯავრდებულთა უხარმაზარი მასების მუდმივი გადაადგილება.

1958-1961 წლებში განხორციელებული სამართლებრივი რეფორმის პროცესში მომხდარი სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის კიდევ ერთ შედეგად შეიძლება, ჩაითვალოს კონფონტაციის ატმოსფერო აღმინისტრაციასა და მსჯავრდებულებს შორის, რომელმაც მეორადი პრობლემების მთელი რიგი განსაზღვრა: მუდმივი მადესტაბილიზებული ფაქტორების არსებობა პენიტენციურ დაწესებულებათა საქმიანობაში, ექსცესები (მძევალთა აყვანა, აჯანყება, პროტესტის მასობრივი აქციები და სხვ.), რასაც ადგილი ოთხი უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ჰქონდა, მაგრამ ფარდა მხოლოდ ბოლო ათი წლის განმავლობაში აეხადა.

ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებებში ციხის სუბკულტურის გაჩენისა და მასზე ადმინისტრაციის რეაგირების შედეგად ჩამოყალიბდა, ერთ ტერიტორიაზე შეურიგებელი კულტურის მქონე ჯგუფების იძულებითი თანაცხოვრების შედეგად აღმოცენებულ სიტუაციას გვაგონებს. პერმანენტული „ცივი ომის“ პირობებში საუბარიც კი ძნელი იყო მსჯავრდებულთა გამოსწორების მიზნით კონსტრუქციული მუშაობის და ასეთ დაწესებულებათა ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობაზე..

ციხის სუბკულტურის ჩამოყალიბებისა და გავრცელების შედეგები გაცდა პენიტენციური პრობლემების ფარგლებს. უპირველეს ყოვლისა, ამან გამოიწვია საზოგადოების კრიმინალიზაცია, პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობის ზრდა, „კანონიერი ქურ-

დების“ კლანის ხელახალი აღორძინება. ნაწილობრივ, ეს მოხდა მოსახლეობას შორის ციხის სუბკულტურის და მასთან ერთად კრიმინალური განწყობის გავრცელებით, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ თანამედროვე ციხეები და ბანაკები როგორც არსებული, ისე აღმოცენების პროცესში მყოფი კრიმინალური სტრუქტურების კვების წყაროდ იქცა.<sup>50</sup>

„კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტის აღორძინებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 60-80-იან წლებში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში პოლიტიკურ-ვოლუნტარისტული ჰიპოთეზის – „საბჭოთა კავშირში დანაშაულობის სრული აღმოფხვრის შესაძლებლობის შესახებ“ – შემოჭრამ და ქვეყანაში პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობის ლიკვიდაციის ილუზიამ. ამას თან მოჰყვა სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ შესაბამისი ორგანოების ბრძოლის აქტივობის დაქვეითება. ქაღალდზე, ანგარიშებში ყველაფერი კარგი რაკურსით იყო წარმოდგენილი, სინამდვილეში კი საშიშ ტემპებს იღებდა ზნეობრივ ნორმათა დაქვეითება. შსს ოპერატიულ-სამძებრო აპარატების საქმიანობა მუშაობის უმარტივეს ფორმებამდე და მეთოდებამდე ნიველირდებოდა. საუწყებო დოკუმენტებიდან ამოიღეს ისეთი ცნებები, როგორცაა „კანონიერი ქურდი“, „სისხლისსამართლებრივ-ბანდიტური ელემენტი“, „ბანდფორმირება“ და ა.შ. ნორმატიული დოკუმენტებიდან მსგავსი ტერმინებისა და ცნებების ამოღებამ, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის არასწორმა რეფორმირებამ განაპირობა სამართალდამცავი ორგანოების სამსახურებრივი საქმიანობის ამორფულობა „კანონიერ ქურდებთან“ და დანაშაულებრივი სამყაროს სხვა ლიდერებთან მიმართებაში. 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ავტორებმა საქართველოს სსრ ძველი სისხლის სამართლის კოდექსის ტერმინები და განსაზღვრებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულობის ცალკეულ ფორმებს ასახავდნენ, ძირითადად, დაიყვანეს ცნებებამდე “ბანდა” და “მსჯავრდებულთა დანაშაულებრივი დაჯგუფება”. ქაღალდიდან გაქრა, თუმცა ცხოვრებაში განაგრძობდა არსებობას ორგანიზებული დანა-

<sup>50</sup> В. Абрамкин Л. Чеснокова - Тюрьма и воля. Центр содействия реформе уголовного правосудия. <http://www.prison.org/nravy/zakon/index.htm>

შაულობის ისეთი ფორმები, როგორც არის ე.წ. „შიაკა“, „დანაშაულებრივი ორგანიზაცია“ და სხვა. მოხდა მათი კომუფლირება უნივერსალური სამართლებრივი ცნებით: „პირთა ჯგუფის წინასწარი შეთანხმება“. სისხლის სამართლის კოდექსში შენარჩუნდა ტერმინი “ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი”, მაგრამ მისი კონკრეტული შინაარსი ახსნილი არ ყოფილა. ამიტომაც ასეთი დეფინიციების გამოყენება, როგორც პროცესუალური ინსტრუმენტარიისა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. ოპერატიული მუშაკები, გამომძიებლები და მოსამართლეები მას, ძირითადად, აიგივებდნენ ზემოთ დასახელებულ ცნებასთან: „პირთა ჯგუფის წინასწარი შეთანხმება“. ეს არ მოითხოვდა დანაშაულებრივი ჯგუფის ან დანაშაულებრივი ორგანიზაციის ნიშნების პროცესუალურ დამტკიცებას, რაც, რასაკვირველია, აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პროცესების ჩატარებას აიოლებდა.

თავის მხრივ, სამართალდამცავი ორგანოები ცდილობდნენ, არ გამოეყენებინათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე და 79-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულებრივი დაჯგუფებების შექმნისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა ზოლმე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადმინისტრაციის ტერორიზების მიზნით (საბანაკო ბანდიტიზმი).

ეს იმით იყო განპირობებული, რომ ამ მუხლებით სისხლის სამართლის საქმეების ნებისმიერი ვარიანტის აღძვრისას აუცილებელი ხდებოდა ცენტრალური სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება სპეციალური შეტყობინებით. თითოეულ შემთხვევაში შსს ან გენერალური პროკურატურა ატარებდა სამსახურებრივ მოკვლევას და მათი შედეგების მიხედვით შსს ორგანოების ხელმძღვანელებს ემუქრებოდათ პასუხისმგებლობა თანამდებობიდან გადაყენების ჩათვლით. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ ასეთი პროცედურა, მილიციის მუშაკები სისხლის სამართლის საქმეებს იმ მუხლებით აღძრავდნენ, რომლებიც პასუხისმგებლობას უფრო მსუბუქი სასჯელისათვის (ყაჩაღობა, ძარცვა და სხვა) ითვალისწინებდნენ. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დანაშაულებებს

სჯიდნენ დისციპლინური წესით, ძირითადად, ათავსებდნენ საჯარიმო იზოლატორში, ან საკნის ტიპის შენობაში.

დანაშაულებრივი გარემოს განსაკუთრებით საშიში ლიდერების არასათანადოდ შეფასებამ, 70-80-იან წლებში ქვეყანაში არაკეთილსაიმედო სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის არსებობამ და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებამ, კრიმინალებს ერთგვარი სოციალური შესვენების საშუალება მისცა, რამაც „კრიმინალურ-ნეგატიური“ იდეოლოგიის ფართოდ გავრცელებამდე და ქურდული მოძრაობის ზრდის სტიმულირებამდე მიგვიყვანა.<sup>51</sup>

ამ ნეგატიურმა პროცესებმა განსაკუთრებით იჩინა თავი კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. 20-50-იანი წლების პერიოდში დანაშაულობის ორგანიზებული და პროფესიული ფორმების, მათ რიცხვში, „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტის განვითარება ტოტალიტარული სისტემის მკაცრ ჩარჩოებში ხდებოდა და რეგიონის მიუხედავად იდენტური ნიშნებით ხასიათდებოდა. კვლევის პროცესში ავტორების მიერ არ ყოფილა გამოვლენილი რაიმე დოკუმენტურად დამტკიცებული განსხვავება იმ პერიოდის ქართველ და რუს ან სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში და სხვა მასალებში უკვე ხშირად გვხვდება ქართველი „კანონიერი ქურდების“ სახელები, რომელთა ავტორიტეტი ვრცელდებოდა როგორც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ისე მის გარეთ.

შემდგომში სიტუაცია შეიცვალა და არენაზე გამოვიდნენ ახალი თაობის კრიმინალები, რომლებიც მაფიოზური ტიპის ორგანიზებული დანაშაულობის ნათლიმამების ნიშან-თვისებებს იძენდნენ. მრავალი მკვლევარის აზრით, საბჭოთა კავშირში 70-იანი წლების დასაწყისში უკვე გაჩნდა აუცილებელი წინამძღვრები ჩრდილოვანი ეკონომიკის და კრიმინალური მეწარმეობის გაჩენისა და განვითარებისათვის იმდენად, რამდენადაც პირველი მოთხოვ-

<sup>51</sup> Вячеслав Разинкин Алексей Тарабрин- Цветная Мать: Элита Преступного Мира <http://blatata.ru/proza/mast01.htm>

ნილების საგნებზე მოსახლეობის მოთხოვნები დაუკმაყოფილებელი რჩებოდა, ხოლო სამთავრობო ელიტა და სამართალდამცავი ორგანოები კორუფციაში ერთვებოდა.

განმაურდა მრავალი საქმე, რომელიც მეტყველებდა კარგად აწყობილ და გამართულად მოფუნქციონირე ორგანიზებულ დანაშაულობაზე საბჭოთა კავშირში. ცნობილი გახდა ავტომატური იარაღით აღჭურვილი პირველი ბანდიტური დაჯგუფების – „ტიპალიაპი“-ს (ყაზანი), პირველი რეკეტიორების – „მონგოლის“ დაჯგუფების არსებობა. განმაურდა მოსკოვის სპეციალიზირებული მაღაზიის, „ოკეანე“-ს, ლიმონმუჟავას დატაცების, სპირტიანი სასმელების ფალსიფიკაციის, ცეცხლადის (აჯიკის ფალსიფიკაციის) საქმეები, გამოვლინდა მსხვილი დატაცებები ელისევევის გასტრონომში მოსკოვში, სამშენებლო ორგანიზაციებში და სხვა. გამომჟღავნდა ძალაუფლების ყველაზე მაღალი ეშელონებისკენ მიმავალი კარგად ორგანიზებული კრიმინალური განტოტებების არსებობა. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრეულნი აღმოჩნდნენ მაღალჩინოსნები მინისტრების ჩათვლით, შეიმჩნეოდა ჩინოვნიკების ურთიერთობის რთული სტრუქტურა, პოზიციების იერარქიული სტრატეგიკაცია, ნათესაური კავშირები (ნათლიობა). საერთო მატერიალური ინტერესები ხშირად კანონის პირდაპირ დარღვევასთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამის შედეგად კი:

ა) გაჩნდა კრიმინალური ხასიათის მინიიმპერიები. ამის თვალსაჩინო მაგალითია შუა აზიის რესპუბლიკები (უზბეკეთი, თურქმენეთი). არსებობს „უხილავი იმპერიებიც“ (ამა თუ იმ ლიდერის, ან ლიდერთა ჯგუფის გავლენა გარკვეულ ტერიტორიაზე, მოღვაწეობის სფეროზე).

ბ) სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება თანამდებობის ბოროტად გამოყენების, დატაცებების, სხვა ეკონომიკური დანაშაულების ფაქტებზე წააწყდა სერიოზულ წინააღმდეგობებს, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიც შეიქნა. საქმეები წყდებოდა „ხემოდან“ სატელეფონო ზარის შედეგად. ამას მოჰყვა ორმაგი მორალის აღმოცენება, რომლის მიხედვითაც „ძალაუფლება“, როგორც ხელმძღვანელობის ფუნქცია, დაუსჯელობაზე ლიცენზიას იძენდა.

აღნიშნულ პერიოდში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ნ.ხრუშჩოვის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება კორუფცია-სთან ბრძოლის გამკაცრების შესახებ, რამაც საკავშირო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მთელი რიგი პრინციპული დამატებებისა და ცვლილებების შეტანა გამოიწვია. კერძოდ, 1961 წლის 5 მაისს გაძლიერდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სიკვდილით დასჯის გამოყენების ჩათვლით მთელი რიგი კორუფციული დანაშაულებისათვის, მათ შორის, სახელმწიფო და კერძო საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით (10 ათას მანეთზე ზევით) დატაცებისათვის. მაგრამ კანონის გამკაცრებამ, მიუხედავად იმისა, რომ კორუფციონერთა მთელ რიგს (მაგ. ელისევევის გასტრონომის დირექტორს) დახვრეტა მიესაჯა, სასურველი შედეგი არ მოიტანა.

ამ პროცესებმა განსაკუთრებით ნათლად თავი საქართველოში იჩინა, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკა, სპეკულაცია, არნახული კორუფცია ჰყვოდა და სახელისუფლებო სტრუქტურების ხრწნა მიმდინარეობდა.

საქართველოს მაგალითზე შესაძლებელია, დიდი სიზუსტით მოხდეს თანამედროვე პოსტსაბჭოურ საზოგადოებაში ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლებისა და დინამიკის მოდელირება, აიხსნას მისი ფუნქციონირებისა და შინაგანი ურთიერთქმედების მექანიზმები. ამასთან, რესპუბლიკაში აღნიშნულ პროცესებს რეგიონული სპეციფიკა და განვითარების საკუთარი ლოგიკა აქვს.

საქართველოში ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია, რაზეც დანაშაულობის ორგანიზებული ფორმებისა და კორუფციის სწრაფი ზრდა მეტყველებდა. ეს პერიოდი დაემთხვა ხელისუფლებაში 1972 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე ელუარდ შევარდნაძის მოსვლას, რომელიც მანამდე საქართველოს შსს მინისტრად მუშაობდა. ე. შევარდნაძემ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებული კამპანია ჩაატარა, რის შედეგადაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბევრი ჩინოვნიკი, იატაკქვეშა ბიზნესი-

სა და პროფესიული დანაშაულობის მრავალი წარმომადგენელი მიეცა. იმდროინდელ არაფორმალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებში, საქმიანობის ხასიათისა და მიმართულების მიხედვით, გამოიყოფოდა სპეკულანტების, ე.წ. „ცენზავიკების“, ბანქოს შულერების, მესათითეების, თაღლითებისა და სისხლისსამართლებრივი სპეციალიზაციის მქონე სხვა დაჯგუფებები. ჩამოთვლილი სპეციალიზაციებიდან განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი კვლევისათვის თანამედროვე ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობასთან როგორც ხასიათით, ისე მიმართულებით ახლოს მდგომი „ცენზავიკების“ ჯგუფი წარმოადგენს. ბოროტმოქმედთა ეს ჯგუფი საბჭოთა კავშირში აღმოცენდა და განვითარდა როგორც სამრეწველო საქონლის, უცხოური ტანსაცმლისა და ტექნიკის დეფიციტის შედეგი. მუდმივად არსებული დეფიციტი განპირობებული იყო არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით, რაც სამრეწველო საქმიანობის ყველა სახეობაზე სახელმწიფოს მონოპოლიის არსებობით და კერძო ბიზნესის აკრძალვით გამოიხატებოდა, ხოლო „რკინის ფარდა“, რომელიც საბჭოთა კავშირს დანარჩენი სამყაროსაგან ჰყოფდა, მხოლოდ ამძიმებდა მდგომარეობას. თავისუფალი მეწარმეობის კანონებმა აღმოცენება იწყეს ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებშიც კი, ხოლო მოთხოვნილება კონკრეტულ პროდუქციაზე არალეგალური მეწარმეების მხრიდან შეთავაზებას განაპირობებდა. საარქივო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში 70-იან წლებში შეიქმნა მრავალრიცხოვანი უკანონო საწარმოები – „ცენხები“, რომლებიც ემყარებოდნენ ლეგალური ქარხნებისა და ფაბრიკების მატერიალურ ბაზას და დატაცებული ნედლეულისაგან აღურიცხავ პროდუქციას ქმნიდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ძმები ლაზიშვილების ტრიკოტაჟის ნაწარმის გამომშვები „ცენხები“. სწორედ ეს ადამიანები გახდნენ პირველი საბჭოთა მილიონერები. თანამედროვე პირობებში მათ შეეძლოთ ლეგიტიმურ მდიდრებად ქცეულიყვნენ, მაგრამ მაშინ მსგავსი ბიზნესმენების საქმიანობა კვალიფიცირდებოდა როგორც არალეგალური და სისხლის სამართლის რამდენიმე მუხლით ისჯებოდა. ლაზიშვილები დააპატიმრეს და გაასამართლეს, ხოლო მათი ქონე-

ბა სახელმწიფოს სასარგებლოდ კონფისკაციას დაუქვემდებარეს.

„ცენზავიკების“ წარმატებული მოღვაწეობა ქართველი „კანონიერი ქურდების“ ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მათ სწრაფად დააწესეს მკაცრი კონტროლი იატაკქვეშა წარმოებაზე. შედეგად ჩამოყალიბდა პრინციპულად ახალი კრიმინალური თანასაზოგადოება, რომელშიც ჩრდილოვანი ბიზნესის საქმოსანთა და პროფესიონალი დამნაშავეების – „კანონიერი ქურდების“ ინტერესები გაერთიანდა.

ქურდებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს იმ პერიოდის ორგანიზებული დანაშაულობის სხვა სპეციფიკური სახეებიც. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ კონტროლი ე.წ. „ფარცოვშიკებზე“ ან სპეკულანტებზე, რომლებიც უცხოური ტანსაცმლის, რადიოელექტრონული ტექნიკისა და უცხოელი ტურისტებისაგან, მეზღვაურებისაგან, სპორტსმენებისა და ა.შ. შეძენილი სხვა საქონლის გადამყიდველობაზე სპეციალიზდებოდნენ.

ხრუშჩოვისდროინდელი „დათბობის“ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირმა დასავლეთთან კულტურული და სამეცნიერო კავშირების აღდგენა დაიწყო, გაჩნდა „ბიზნესმენების“ ჯგუფი, რომელმაც ტურისტებისა და უცხოეთიდან ჩამოსული თანამემამულეებისაგან შესყიდული საგნების გადამყიდველობას მიჰყო ხელი და დეფიციტური საქონლით მომხმარებელთა ბაზრის უზრუნველყოფას შეუდგა. მაგრამ ასეთი საქმიანობა საბჭოთა კავშირში დანაშაულად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა. გამყიდველებმა და სპეკულანტებმა სისტემის რეპრესიული ზეწოლისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ნათლად გამოხატული ორგანიზებული დანაშაულობის ნიშნების მქონე სპეციფიკური დანაშაულებრივი დაჯგუფებების შექმნა დაიწყეს. ეს იყო კარგად ორგანიზებული ჯგუფები, რომლებშიც თითოეულ წევრს თავისი ფუნქციური ვალდებულება ჰქონდა. ასე მაგალითად, ბოროტმოქმედთა ერთი ჯგუფი („დასტავალები“) სასტუმროებთან, რესტორნებთან, მუზეუმებთან და თეატრებთან ხვდებოდა უცხოელებს და მათთან კომერციულ კონტაქტში შედიოდა, მეორე – ცვლიდა ვალუტას („ვალუტჩიკები“), მესამე – ახდენდა საქონლის რეალიზებას („ბარიგები“), მეოთხე

– უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას. „ფარცოვშიკებმა“ შექმნეს სპეციფიკური ჟარგონი, რომელსაც ქურდულთან მსგავსება ახასიათებდა. ამ მიზნისათვის ჩვეულებრივ დამახინჯებულ ინგლისურ სიტყვებს და ჟარგონულ გამონათქვამებს იყენებდნენ.

რიგით „ფარცოვშიკთა“ რიცხვში იყვნენ მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები და სხვა სოციალური კატეგორიები, რომლებსაც მანამდე არ ჰქონიათ კრიმინალური წარსული, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის ეს სახე ქურდულ ელიტაში არ ითვლებოდა პრესტიჟულად, თუმცა მნიშვნელოვანი დიდებულები მოჰქონდა, რამაც საბოლოო ჯამში მათზე კონტროლის დაწესება განაპირობა. უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ მართლმსაჯულება ყოველთვის ნეგატიურად უყურებდა „ფარცოვშიკებს“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობდა სპეციალური მუხლი „სპეკულაცია“, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთის სახით; აგრეთვე, მუხლი მათხოვრობისა და მაწანწალობისათვის, რომლის შესაბამისადაც გამოიყენებოდა პასუხისმგებლობა უცხოელებზე აკიდებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით მკაცრად ისჯებოდა მოქმედება, გათვალისწინებული მუხლით „სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის“. კანონმდებელი ამ მუხლის შესაბამისად, ყოველგვარი ოპერაციისთვის 50 ამერიკულ დოლარზე მეტ თანხაზე, ითვალისწინებდა სანქციებს თავისუფლების აღკვეთის სახით 10 წლამდე. ხოლო განსაკუთრებით დიდ თანხებთან დაკავშირებული ოპერაციები ისჯებოდა სიკვდილითაც.<sup>52</sup> ასეთი საკანონმდებლო პრაქტიკა ჩვეულებრივ გამყიდველობას და მასთან დაკავშირებულ სავალუტო საქმიანობას (უცხოელებისაგან საქონლის შესაძენად აუცილებელი იყო ვალუტა) უკიდურესად საშიშ, მაგრამ ძალიან შემოსავლიან კრიმინალურ პროფესიად აქცევდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა ამ სახის კრიმინალური ბიზნესის მაღალი ორგანიზებულობა და კონსპირაციულობა განაპირობა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სავალუტო სპეკულანტებისა და გადაყიდველების მიერ ორგანიზებული კრიმინალური სტრუქტურები

<sup>52</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ; 1962.

შეიძლება, ნარკობიზნესისა და იარაღით ვაჭრობის მიმდევარი თანამედროვე დაჯგუფებების წანამძღვრებად განვიხილოთ.

ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ სახეობად ითვლება ბანქოს პროფესიული მოთამაშეების – შულერების დაჯგუფებები. შულერობა განუყოფელია აზარტული თამაშებისაგან და შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს მეორე უბეღელს პროფესიად.

პირველი პროცესი შულერებზე საბჭოთა კავშირში 1970 წელს მოსკოვში გაიმართა. განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდნენ პირები, რომლებმაც დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნეს და მოქალაქეთა ფულის მითვისებას ეწეოდნენ. პროცესი დიდხანს გაგრძელდა. პროკურორის მტკიცებით, მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრო მთელი წლის განმავლობაში ადევნებდა თვალყურს ამ ჯგუფის საქმიანობას, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სპეციალური ხერხების გამოყენებით განსასჯელები დიდი ხნის განმავლობაში დაუსჯელად ითვისებდნენ უზარმაზარ თანხებს. ადვოკატები ცდილობდნენ, შულერები იმით გაემართლებინათ, რომ ბანქოს თამაში დანაშაულს არ წარმოადგენდა, თუმცა, საბოლოოდ, მათ მაინც პატიმრობა მიესაჯათ.

ანალოგიური პროცესი გაიმართა ნოვოსიბირსკშიც, რასაც პრესაში სასამართლოს მიმართ კრიტიკული სტატიების გამოქვეყნება მოჰყვა. სასამართლო ორგანოებს იმ სიმკაცრის გამო საყვედურობდნენ, რომელსაც ისინი ბანქოს “უბრალო” მოთამაშეების მიმართ იჩენდნენ. მაშინ გამომძიებლებმა თხოვნით მიმართეს მოსკოვის უნივერსიტეტის სპეციალისტებს, ფარდობითობის თეორიაზე დაფუძნებული მათემატიკური ექსპერტიზა ჩატარებინათ. მიღებული შედეგებით დამტკიცდა, რომ მოგებისათვის აუცილებელი კარტის მოსვლისათვის ნახევარი წლის განმავლობაში განუწყვეტელი თამაში იყო საჭირო. ეს მონაცემები პრესაში გამოქვეყნდა, რის შემდეგაც შულერების მხარდამჭერი სტატიების გამოქვეყნება შეწყდა.<sup>53</sup>

ა. გუროვის მიხედვით, ბანქოს შულერები რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

<sup>53</sup> А. Гуров - “Красная мафия “ М.,1995



1. „კატრანშიკები“, რომლებიც სათამაშო ბიზნესის ელიტად ითვლებიან. ისინი, როგორც წესი, ეთამაშებიან მხოლოდ მდიდარ პარტნიორებს და მხოლოდ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილებში. ისინი სრულყოფილად ფლობენ შულერულ ხერხებს, გამოირჩევიან მაღალი ინტელექტითა და ორგანიზატორული უნარით, აგრეთვე კავშირებით ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში და, რასაკვირველია, შინაგან საქმეთა ორგანოებში.

„კატრანშიკები“ მუდმივად სრულყოფენ მომზადების დონეს და მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს იყენებენ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პერსონალურ კომპიუტერებზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა, მოსკოვის, რიგის, კიშინიოვისა და თბილისის „კატრანებში“ სპეციალური მაგიდები გამოჩნდა: მათში ჩამონტაჟებული აპარატურის მეშვეობით მოწინააღმდეგის ბანქო შუქლებოდა. თამაში მიჰყავდა თანამონაწილეს, რომელიც იმყოფებოდა აივანზე ან მეზობელ ოთახშიც კი.

ჯერ კიდევ 70–90-იან წლებში, როდესაც არაფორმალური საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საუბარიც არ შეიძლებოდა, „შულერი-კატრანშიკები“ (ასეთები სსრკ-ში რამდენიმე ასეული იყო) ყოველწლიურად სოჭში ან მოსკოვში ყრილობაზე იკრიბებოდნენ. აქ საარსებო მნიშვნელობის საკითხები წყდებოდა, კერძოდ, გავლენის სფეროებად ტერიტორიების გადანაწილება, რესპუბლიკათა-შორისი ტურნირების დამტკიცება და ა. შ. თამაში მიმდინარეობდა პატიოსნად, ან „მანსით“ – შულერული ხერხების გამოყენებით. უკანასკნელ შემთხვევაში წაგებულად ითვლებოდა ის, ვისი ხერხიც გამომხეურდებოდა.

ყრილობაზე დაიშვებოდნენ აგრეთვე ერთი საფეხურით დაბლა მდგომი „გუსარები“.

2. „გუსარები“ არიან შულერები, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამაშობენ. ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია და, თავის მხრივ, სამ კატეგორიად იყოფა:

„გონშიკები“ თამაშობენ ტაქსში ან სხვა მანქანებში, „მაიდანშიკები“ – მატარებლებში, ყველა დანარჩენი – საერთო საცხოვრებლებში, პლაჟებზე, ვაგზლებში და ა.შ.

როგორც წესი, „გუსარები“ იმავე მეთოდებს იყენებენ, როგორსაც „კატრანშიკები“, თუმცა ოსტატობით მათ ჩამორჩებიან. ისინი შესანიშნავი ფსიქოლოგები არიან და გაწაფული თვალთ სწრაფად არჩევენ მომავალ მსხვერპლს.

„გუსარები“, ისევე როგორც „კატრანშიკები“, არ მუშაობენ თითო-თითოდ: მათ ჯგუფში ყოველთვის არის ე.წ. „პადვოდნიკი“, რომელიც მსხვერპლს პოულობს და მის ნდობას მოიპოვებს; „სკონშიკი“, რომელიც თამაშის დროს მსხვერპლზე სპეციალური ფსიქოლოგიური ხერხებით ზემოქმედებს, გამუდმებით უმატებს ფსონებს და აგებს, თუმცა საბოლოო ჯამში მოგებული გამოდის. აქვეა დაცვა, რომელიც დახვერვას ახორციელებს და თამაშის დროს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. შულერების მიერ გამოყენებული ხერხების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ეს შეიძლება იყოს მონიშნა, ბანქოზე ცვილის წასმა, დამატებითი ხაზი, ხელის თითების სპეციალური ვარჯიში. მგრძობელობის გაზრდისათვის ბოროტმოქმედები ზოგჯერ თითებზე კანის ზედა ფენას ითლიან, გამოიყენება ე.წ. „სალათაც“ – სპეციალურად შერჩეული ბანქოს ქალაღების ცრუ აჭრა. ცნობილია, აგრეთვე შულერი, რომელიც საჩვენებელსა და შუა თითებს შორის მუდამ პაწაწინა სარკეს ატარებდა და მისი დახმარებით დარიგების დროს კარტის დასტაში იცქირებოდა. სხვათაშორის, იმისათვის, რომ მიჩვეოდა ამ პრიმიტიულ, მაგრამ ეშმაკურ მეთოდს, შულერს რამდენიმე თვის ვარჯიში დასჭირდა. იგი ჭამდა, სვამდა, ეძინა და ბანაობდა ამ სარკესთან ერთად.

3. შემდეგ საფეხურს იერარქიაში ქმნიან ე.წ. „პაკოვშიკები“. ისინი თავიდან დიდ თანხებს იგებენ, შემდეგ ცოტას წააგებენ და თამაშს წყვეტენ. როგორც წესი, „პაკოვშიკები“ მატარებლებში, სადგურებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მუშაობენ.

უკანასკნელ დრომდე შულერებს დანაშაულებრივი სამყაროს ყველაზე ელიტურ და განათლებულ ნაწილად თვლიდნენ. მათ შორის, უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირთა ხვედრი 30%-ზე მეტს შეადგენდა. დღეს, როდესაც გახსნილია კაზინოების ფართო ქსელი,

სათამაშო ბიზნესმა თითქოს ლეგალური და სამართლებრივი სტატუსი შეიძინა. სპეციალისტი კრიმინოლოგები კი ამტკიცებენ, რომ ის მთლიანად მაფიოზური გახდა.<sup>54</sup>

ახალი კრიმინალური გაერთიანებების მაკვალიფიცირებელ ნიშნებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკონომიკური სარგებლობის მისაღებად, დეფიციტური საქონლით და მომსახურებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტაცია;

- მკაცრი შიდაჯგუფური იერარქიის, ჯგუფში როლების განაწილების, ნათლად გამოხატული ლიდერების არსებობა; მტკიცე კავშირების ქონა კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან, რომლებიც მფარველობენ და ხელს უწყობენ ორგანიზაციის უკანონო საქმიანობას; მიმწოდებლების და გამავრცელებლების განშტოებული ქსელის ფლობა;

- ჯგუფის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვისაკენ სწრაფვა;

- კარგად ორგანიზებული კონსპირაციულობა.<sup>55</sup>

ჩრდილოვანი ბიზნესის საქმოსნებთან შერწყმის წყალობით „კანონიერი ქურდების“ კასტა მნიშვნელოვნად ძლიერდება. ქართველ „კანონიერ ქურდებს“ საგულისხმო მატერიალური სახსრები უჩნდებათ და „საერთო სალაროზე“ ნაკლებად არიან დამოკიდებულნი. ბევრი მათგანი მდიდრულ ცხოვრებას ეწევა: რესტორნები, ავტომობილები, ძვირფასი ტანსაცმელი, ლამაზი ქალები, გავლენიან და რესპექტაბელურ პირთათვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტები. ამის გამო, „კანონიერი ქურდის“ სტატუსი პრესტიჟული ხდება ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდობას ქურდული რომანტიკა იტაცებს (განსაკუთრებით მიმზიდველია ლეგენდები ქურდული სიმამაცის, პატიოსნების შესახებ, სიმღერები, ფოლკლორი), „კანონიერი ქურდი“ განიხილება, როგორც შუამავალი გატაცებული

<sup>54</sup> Костоев И. М., Викторов В. Е. - Россия: преступный мир М., 1997, с.54

<sup>55</sup> Глonti Г. - Организованная преступность: вчера и сегодня. С. 13., Тбилиси 1999

საკუთრების დასაბრუნებლად, სამართლიანი არბიტრი კონფლიქტებისა და „საქმის გარჩევების“ დროს.

ზემოთ ნათქვამი საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რომ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიუხედავად, სწორედ 60-70-იან წლებში ყალიბდება საბოლოოდ საქართველოში ახალი ტიპის ორგანიზებული დანაშაულებრივი კლანები, რომლებშიც პროფესიონალი ბოროტმოქმედები, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები, მათი მფარველი მაღალი დონის ჩინოვნიკები და სამართალდამცავი სტრუქტურების კორუმპირებული თანამშრომლები ერთიანდებიან.

აღნიშნულ პერიოდში დამნაშავეთა სამყაროში „კანონიერი ქურდების“ ორ კატეგორიას გამოყოფენ:

1. ქურდული იდეის და წარსული ადათ-წესების მიმდევარ ქურდებს, რომლებიც საკუთარ თავს ამ იდეის მატარებლად თვლიან და იმავე სულისკვეთებით ზრდიან სამართალდამრღვევთა ახალ თაობას;

2. ქურდებს, რომლებიც საკუთარ თავს ქურდული იდეოლოგიის მიმდევრებად თვლიან, მაგრამ დასაშვებად მიაჩნიათ მნიშვნელოვანი შესწორებების შეტანა ცხოვრების დანაშაულებრივი წესის ტრადიციებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად განსხვავებული „იდური პოზიციებისა“, ორივე კატეგორიას თანაბარი ავტორიტეტი გააჩნდა და მათ შორის კონფლიქტები იშვიათად იჩენდა თავს.

„კანონიერი ქურდების“ სოციალურ სტატუსსა და საქმიანობაში მომხდარი ცვლილებები „ქურდულ კანონებში“ კორექტივების შეტანას ითხოვდა, რაც შეიძლებოდა მხოლოდ ქურდების საკავშირო შეკრებებზე გადაწყვეტილიყო. ლიტერატურაში და სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიულ მასალებში არსებული მონაცემები ქურდული შეკრებებისა და მათი ჩატარების ადგილების შესახებ საკმაოდ წინააღმდეგობრივია. მაგალითად, სხვადასხვა წყაროს მონაცემებით დასტურდება 1979 წელს ქ. კისლოვოდსკში ჩატარებული მთავარი შეკრება „კანონიერი ქურდებისა“ და ე.წ. იატაკქვეშა მაღაზიების მფლობელების მონაწილეობით, რომელზეც გადაწყდა,

რომ ქურდებს ბიზნესმენების შემოსავლიდან ათ-პროცენტის ვილი უნდა რეგებოდათ. 1982 წელს თბილისში შედგა ქურდების დიდი შეკრება, რომელზეც განიხილებოდა თანამედროვე სამყაროში ქურდული თანასაზოგადოების ტრანსფორმაციის პრობლემები, საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქურდების მონაწილეობის გააქტიურების საკითხები. ამ პროექტის ავტორად გამოვიდა ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი. მის პოზიციას აქტიურად დაუჭირეს მხარი სხვა კავკასიელმა და ქართველმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა, რაც სავსებით გასაგები მოვლენა იყო. საქართველოში უკვე მაშინ ჩამოყალიბდა რეგიონალურ სამთავრობო იერარქიასთან დანაშაულებრივი კლანების მჭიდრო ურთიერთკავშირი. რესპუბლიკაში ყვაოდა მექრთამეობა და კორუფციის სხვა სახეები და სახელმწიფო ჩინოვნიკები, არსებითად, დანაშაულებრივი თანასაზოგადოების სტრუქტურულ რგოლებად ითვლებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო დანაშაულებრივი ავტორიტეტების უმრავლესობისათვის ქართველი „კანონიერი ქურდების“ წინადადებები მიუღებელი აღმოჩნდა, რამდენადაც შეთავაზებულ რეფორმებს შეეძლოთ, კარდინალურად შეეცვალათ ქურდული ცხოვრების ნორმები და კრიმინალური საზოგადოების მთლიანობას დამუქრებოდნენ.

ოთხი წლის შემდეგ ქურდული თანასაზოგადოებების რეფორმირების პრობლემა კვლავ წამოწიეს. მორიგ შეკრებაზე „კანონიერმა ქურდმა“ „ვასკა ბრილიანტმა“ განაცხადა, რომ ქურდები ვალდებულნი არიან, დაიცვან ძველი „ქურდული კანონები“ და არ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკასა და ბიზნესში. საწინააღმდეგო თვალსაზრისი გააჩნდათ ქართველ და სხვა კავკასიელ ქურდებს. შედეგად აღნიშნულ შეკრებაზე მათი პოზიცია გაიზარეს. ეს რეფორმა საკვანძოდ იქცა და უახლესი ათწლეულების მანძილზე საბჭოთა კავშირის მთელი კრიმინალური სამყაროს შემდგომი განვითარება განსაზღვრა. ძნელია, გადაჭარბებით შეაფასო ჯაბა იოსელიანის როლი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დანაშაულებრივი თანასაზოგადოების რეფორმირების საქმეში. მისი წვლილი შეიძლება XX საუკუნის 30-50-იანი წლების ცნობილი

ამერიკელი მაფიოზის ლაკი ლუჩიანოსას შევადაროთ, რომელმაც სიცილიური მაფიის ლიდერთაგან პირველმა შეძლო უარი ეთქვა ნაციონალური ნიშნის მიხედვით კრიმინალურ ოჯახებში წევრობის შეზღუდვაზე და აშშ-ში მშრალი კანონის გაუქმების შემდეგ ტრადიციული მაფიისათვის ადრე მიუღებელი, ნარკოტიკებით ვაჭრობის და პროსტიტუციის ორგანიზება მოახერხა. შემდგომში ჯაბა იოსელიანმა წარმატებით შეძლო თავისი პროგრამის რეალიზება პრაქტიკულად.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკვე 1982 წლიდან დაიწყო აქტიური ღონისძიებების განხორციელება საზოგადოებაზე „კანონიერი ქურდების“ გავლენის გავრცელების აღსაკვეთად. კერძოდ, 1982 წლის 31 აგვისტოს გამოიცა საქართველოს შსს-ს ბრძანებულება ქურდული ტრადიციების მიმდევარ პირებთან შს ორგანოების ბრძოლის მდგომარეობის და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ (ჩვენი მონაცემებით, ეს არის „კანონიერი ქურდების“ პირველი მოხსენიება საქართველოს ოფიციალურ დოკუმენტებში). ამ დოკუმენტის შესაბამისად, მხოლოდ ქ. თბილისში გამოვლინდა ქურდული ტრადიციების მიმდევარი 56 პირი. ამასთან, ეს მონაცემები, კოლეგიის წევრთა აზრით, ამომწურავი არ ყოფილა, რამდენადაც რესპუბლიკის რაიონებში არ არსებობდა სრული აღრიცხვა და მიზანმიმართული ოპერატიული-პროფილაქტიკური მუშაობა. ამის შედეგად თვალთახედვის მიღმა დარჩნენ ისეთი ცნობილი ქურდები, როგორებიც იყვნენ: ე. აივაზოვი, ვ. კაჭარავა, ა. კაზაროვი, კ. ბარსელოვი, ა. მელქაძე, ე. კიკაჩიშვილი და სხვები. დოკუმენტში აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ქურდული ტრადიციები ვრცელდებოდა სკოლებსა და პროფ-ტექსასწავლებლებში. ასეთი ფაქტები გამოვლინდა ქ. თბილისის №1, №19 და პირველ ექსპერიმენტულ სკოლებში, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სასწავლო დაწესებულებებში (აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი სკოლები იყვნენ და დღესაც ითვლებიან ყველაზე ელიტურ სასწავლო დაწესებულებებად რესპუბლიკაში). ბრძანებულებაში ხაზგასმულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქურდული ტრადიციების ტოტალური გავრცელების და დანარჩენ

მსჯავრდებულებზე მათი გამხრწნელი ზეგავლენის ფაქტი; მითითებულია, რომ ქურდული ტრადიციების მიმდევარმა პირებმა და ლიდერებმა სოციალისტური საკუთრების დამტაცებელ „საქმოსნებთან“ შერწყმა და მათ დამცველთა ფუნქციების შესრულება დაიწყეს.

80-იანი წლების შუა ხანებისათვის „კანონიერი ქურდების“ პრობლემამ სერიოზულად შეაშფოთა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება. 1985 წელს გამოიცა სსრკ შსს ბრძანებულება „რეციდიული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და გაძლიერების შესახებ“, რომელშიც მითითებულია, რომ 1971 წლის მონაცემთან შედარებით, 1985 წლისათვის 95%-ით გაიზარდა განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი.

ამავე პერიოდში გამოიცა საბჭოთა კავშირის შს მინისტრის ბრძანებულება ჯგუფური დანაშაულობის საშიშ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. ბრძანებულებაში აღნიშნული იყო, რომ მკვეთრად გაიზარდა ჯგუფურ დანაშაულთა რაოდენობა, რომელთათვისაც დამახასიათებელია ღრმა კონსპირაცია, შიდაჯგუფური დისციპლინა და დანაშაულის ჩადენის დახვეწილი მეთოდიკა. ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, როგორც წესი, მუშავდებოდა მოქმედების რამდენიმე ვარიანტი, აქტიურად გამოიყენებოდა სატრანსპორტო და ტექნიკური საშუალებები, სხვადასხვა ხელსაწყოები, მილიციის თანამშრომელთა ფორმა და დოკუმენტები, მოპარულის გასაღების წინასწარ დამუშავებული გეგმა. დოკუმენტში მითითებულია, აგრეთვე, ფაქტები დანაშაულებრივი ჯგუფების შერწყმაზე სოციალისტური საკუთრების მსხვილ დამტაცებლებთან, „კანონიერი ქურდების“ და სხვა დანაშაულებრივი ავტორიტეტების აქტივიზაციაზე. გარდა ამისა, ბრძანებულებაში მოყვანილია საერთო ქურდული სალაროების არსებობის, არალეგალური შეკრებების ფაქტები, აგრეთვე შსს თანამშრომლებისა და ქურდების დანაშაულებრივი კონტაქტების გახშირების შემთხვევები, რასაც შედეგად სდევდა აგენტურულ აპარატში შეღწევა და მიმალვისათვის საჭირო დოკუმენტების

მიღება, ინვალიდობისა და ფსიქიკურად დაავადების შესახებ ცნობები.

1985 წელს სსრკ შს სამინისტრომ, კრიმინალური ავტორიტეტების შესახებ ინფორმაციის განზოგადების მიზნით, მილიციის თანამშრომელთა შორის გაავრცელა საიდუმლო ცნობა „კანონიერი ქურდების“ დანაშაულებრივი საქმიანობის თავისებურებების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ამ ცნობაში საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების ღონეზე პირველად სცადეს “კანონიერი ქურდების” ცნების ისტორიული და კრიმინოლოგიური ანალიზი და ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის გზების მოძიება.

მოსკოვის ძალოვანი სტრუქტურების ასეთი აქტივიზაცია არ შეიძლებოდა ყურადღების გარეშე დაეტოვებინათ საქართველოს ხელმძღვანელებს, მითუმეტეს, რომ ამ პერიოდში სსრკ-ს შს მინისტრად სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან გადაიყვანეს არმიის გავლენიანი გენერალი ვ. ფედორჩუკი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კრიმინალური ავტორიტეტებისა და „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის წარუმატებლობა განიხილებოდა როგორც ქურდების წინააღმდეგ ძალოვანი ორგანოების მხრიდან ბრძოლის სურვილის არქონა, რაც მთელი სიმკაცრით დაისჯებოდა. აღნიშნული დირექტივის საფუძველზე 1986 წლის შუა ხანებისათვის დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს 52 „კანონიერი ქურდი“, თუმცა მათმა უმრავლესობამ მხოლოდ სიმბოლური სასჯელი მიიღო, რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსში არ იყო სპეციალური მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას „კანონიერი ქურდების“ კასტასთან კუთვნილების გამო. მასალებიდან ჩანს, რომ ოთხი ქურდი გაასამართლეს გასახლების რეჟიმის დარღვევისათვის, 14 – იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ფლობისათვის, 19 – ნარკობიზნესისა და დანაშაულებრივი აქტიურობის სხვა ფორმებისათვის და არც ერთი მათგანი არ დასჯილა რეალური ქმედების ანუ დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობაში ორგანიზატორული საქმიანობისათვის. ამ ეპიზოდმა დაადასტურა მრავალი მკვლე-

ვარის აზრი იმის თაობაზე, რომ ძალიან ძნელია ქურდის იზოლირება მისი ორგანიზატორული საქმიანობისგან, რასაც ის ციხეში ყოფნის დროსაც კი წარმატებით ახორციელებს. თუმცა საქართველოს კომპარტიის და სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობის წყალობით, ბევრი ქურდი იძულებული შეიქნა, რესპუბლიკა დაეტოვებინა და ყოფილი სსრკ-ს სხვადასხვა რაიონში (ძირითადად, მოსკოვში) გადასახლებულიყო.

“პერესტროიკის” პერიოდში საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებული მოვლენების წყალობით, კრიმინალურმა სამყარომ კარდინალური ცვლილებები განიცადა. დსთ-ს სივრცეში გაჩნდა ავტორიტეტების ახალი ტალღა, რომლებმაც ერთგვარად უარი თქვეს უფროსი თაობის ცხოვრების წესზე და ქართველი ქურდებისათვის დამახასიათებელი მანერით იწყეს ცხოვრება. ბოროტმოქმედთა ამ კატეგორიას არ გააჩნდა ნასამართლობა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოხვეჭილი ავტორიტეტი და ცდილობდა, წარმატებული ბიზნესმენის ან პოლიტიკური მოღვაწის სახე ჰქონოდა. ამ დაჯგუფებათა ლიდერები თავიანთ ავტორიტეტს არა ნასამართლობის რაოდენობით, ტატუირებით ან ჟარგონის ცოდნით იმტკიცებდნენ, არამედ უნარით – სწრაფად და ეფექტურად გადაეწყვიტათ ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები, მოეძებნათ სერიოზული მფარველები, უზრუნველყოთ ტრანსნაციონალური კავშირები და სახსრები ბიზნესის განვითარებაში ჩაედოთ. ბევრმა მათგანმა ლეგალურად შეიძინა პრესტიჟული ბინები, მანქანები, გამოჩნდა არტისტულ და დიპლომატიურ თავყრილობებზე და სახელისუფლებო ორგანოების არჩევნებში იწყო კენჭისყრა. ავტორიტეტების ამ კატეგორიამ უარი არც ტრადიციულ „კანონიერ ქურდებთან“ თანამშრომლობაზე თქვა და ზოგიერთი ტრადიციაც შეინარჩუნა (მაგალითად, ქურდის შეურაცხყოფის დაუშვებლობა, შეურაცხყოფისათვის აუცილებელი შურისძიება და ა.შ.).

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის მძლავრ იმპულსად მოგვევლინა „კოოპერაციის შესახებ“ კანონის მიღება, რითაც საბჭოთა კავშირში დაშვებული გახდა კერძო სამეწარმეო საქმიანობა. ამ

მომენტიდან დაიწყო ჩრდილოვანი ეკონომიკის ლიდერთა ამოტივტივება, რომლებმაც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საშუალებების ლეგალიზაციას მოჰკიდეს ხელი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ კოოპერატორთა 60%-ზე მეტს კრიმინალური წარსული ჰქონდა და სხვადასხვა სახის დანაშაულისათვის აღმოჩნდა ნასამართლევი. „ბიზნესმენთა“ ამ ჯგუფმა ძირშივე მოახდინა კოოპერაციული მოძრაობის დისკრედიტირება, დანერგა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და ხელში ჩაიგდო ბაზარი. რეკეტი და კორუფცია ახალი ბიზნესმენების მიერ კაპიტალის დაგროვების პროპორციულად ვითარდებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ნაციონალისტური ჯგუფების აქტივიზაციამ გამოიწვია სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამართალდამცავი ორგანოების მოშლა. სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ერთად ქართული საზოგადოების დეზორგანიზაციის პროცესის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი როლი დანაშაულებრივმა კლანებმა ითამაშეს.

სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა მხოლოდ ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები – ურთიერთშეკავშირება, სისასტიკე, აბსოლუტური მონოპოლიზაციისა და უზომო შემოსავლების მიღებისაკენ სწრაფვა.

დანაშაულებრივი თანასაზოგადოების ლიდერები არცთუ უსაფუძვლოდ თვლიდნენ, რომ სსრკ-დან საქართველოს გამოსვლა ხელს შეუწყობს მათ, ხელში ჩაიგდონ რესპუბლიკის ეკონომიკის მიმზიდველი სფეროები და, პრაქტიკულად, თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის.

თავიანთი გეგმების რეალიზაციისათვის მაფიოზურმა კლანებმა, ისარგებლეს რა ნაციონალურ-პატრიოტული მოძრაობის მკვეთრი აქტივიზაციით, მოახერხეს რესპუბლიკის სახელისუფლებო სტრუქტურების მთლიანად დეზორგანიზება და 1990 წლისათვის ძალაუფლებაში არაკომპეტენტური და საეჭვო რეპუტაციის ხალხი მოიყვანეს. ამას ხელს უწყობდა ეროვნული მოძრაობის ლიდერის, ზვიად გამსახურდიას სისუსტე და არაპროფესიონალიზმი. მან ვერ შეძლო წესრიგის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეფექტური მართვა. მისი

არაშორსმჭვრეტელოური პოლიტიკის წყალობით, ციხეებიდან გამოუშვეს ბოროტმოქმედთა უმრავლესობა, ხოლო დარჩენილები, უბრალოდ, გაიქცნენ. გარდა ამისა, ზ. გამსახურდიამ მიაღწია იმას, რომ რუსეთის ხელისუფლებისაგან ნებართვა მიიღო საქართველოში იმ 40 განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედის ეტაპირების შესახებ, რომლებიც სასჯელს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ რეგიონებში იხდიდნენ. ეს გაკეთდა იმის გაუთვალისწინებლად, რომ საქართველოდან სსრკ შსს შინაგან ჯარის გაყვანის შემდეგ რესპუბლიკის პენიტენციური სისტემა მთლიანად იყო მოშლილი. აღმოჩნდნენ რა ხელსაყრელ პირობებში, დამნაშავე ელემენტებმა „კანონიერი ქურდების“ ხელმძღვანელობით სწრაფად იწყეს დანაშაულებრივი დაჯგუფებების შექმნა, რისთვისაც წარმატებით იყენებდნენ პოლიტიკური პარტიების, კავშირების, საზოგადოების, სამშობლოს, მამულების ატრიბუტიკასა და პოპულისტურ დემაგოგიას.

ეკონომიკური შემოსავლების ზრდისა და გავლენის გაძლიერებისათვის დანაშაულებრივმა კლანებმა მოხერხებულად გამოიყენეს გამსახურდიას ადმინისტრაციის სახელისუფლო სტრუქტურები და მიაღწიეს:

- ეკონომიკური კავშირების ფაქტიურ გაწყვეტას რუსეთთან და სხვა რესპუბლიკებთან;
- თავიანთი გავლენის გავრცელებას ეკონომიკის ყველა ხელსაყრელ სფეროზე;
- ნაციონალურ უმცირესობასთან ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და სამოქალაქო ომის დაწყებას.<sup>56</sup> ამ პროცესებს დაემატა რეფორმები საერთო საკავშირო ფულად სისტემაში. ფულადი ერთეულის შეცვლის პროცესებს ხელისუფლება მთლიანად ვერ აკონტროლებდა. ქართველი „კანონიერი ქურდების“ უმრავლესობამ დიდძალი ფულადი თანხები გამოძალა როგორც მოქალაქეებს, ასევე საბანკო დაწესებულებებს.

ქართული კრიმინალური კლანები იმდენად გავლენიანი გახდ-

ნენ, რომ, ფაქტობრივად, სახელისუფლებო სტრუქტურები ჩაანაცვლეს და რესპუბლიკის მთელი ეკონომიკა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს.

უმაღლესი სახელმწიფო ჩინოვნიკების უშუალო მფარველობით დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა გაძარცვეს სახელმწიფო ობიექტები, საბჭოთა არმიის ნაწილების დისლოკაციის ადგილები, საზღვარგარეთ გაზიდეს ფერადი ლითონები, ხე-ტყე, მარგანეცი და მრავალი სხვა – ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა.

1991 წლის ბოლოსთვის ზვიად გამსახურდიამ, რეალურად შეაფასა რა დანაშაულებრივი კლანების საშიშროება, სცადა მდგომარეობის გამოსწორება და ძირითადი შეიარაღებული დაჯგუფებების კონტროლქვეშ აყვანა. იგულისხმება „ეროვნული გვარდია“ და „მხედრიონი“. დააპატიმრა მხედრიონის ლიდერი – ყოფილი ავტორიტეტული „კანონიერი ქურდი“ და, ამავე დროს, პროფესორი ჯაბა იოსელიანი. დამორჩილება მოსთხოვა მეორე კოლორიტულ ფიგურას – „ეროვნული გვარდიის“ ლიდერს, განათლებით სკულპტორს, თენგიზ კიტოვანს და ყოფილ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას.

ჩამოთვლილ დაჯგუფებებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლა შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. გამსახურდია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთის სოფლის მოსახლეობას ეყრდნობოდა მაშინ, როდესაც მის ოპონენტებს თბილისის და ახლომდებარე რაიონების მოსახლეობის იმედი ჰქონდათ.

საბოლოო ჯამში ამ გარემოებამ განაპირობა გამსახურდიას ხელისუფლებიდან ჩამოცილება და მისი საქართველოდან გაქცევა.

უმაღლესი ძალაუფლება აღმოჩნდა ტრიუმფირატის – ჯ. იოსელიანის, თ. კიტოვანის და თ. სიგუას ხელში, რომლებმაც მოსკოვიდან ე. შევარდნაძე მოიწვიეს და მას სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი შესთავაზეს.

ამ მომენტიდან ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში დაიწყო ეტაპი, რომელიც შეიძლება, შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს სრული დეზორგანიზაციისა და „ანომიის“ სინდრომი, რომელიც ხასიათდება ძალადობრივი დანაშაულობის, დანაშაულებრივი და-

<sup>56</sup> Глonti Г. - Организованная преступность: вчера и сегодня. С. 13., Тбилиси 1999

ჯგუფების, ორგანიზებული თანასაზოგადოებების მკვეთრი ზრდით.

დიდი ქალაქები და რაიონები აღმოჩნდა ათეულობით ფორმირების ხელში, რომლებიც თავიანთ თავს სამშობლოს უწოდებდნენ (რუსული კრიმინალური დაჯგუფებების ანალოგიით). მათ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს ბაზრები, ავტოგასამართი სადგურები, მაღაზიები, რესტორნები და ა.შ.

1990 წლის დასაწყისიდან ქვეყანაში მოხდა ქართული მოსახლეობის შეჯახების პროვოცირება კომპაქტურად დასახლებულ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შიგნით, რის შედეგადაც ორივე ავტონომიაში დამყარდა ეთნო-კრიმინალური რეჟიმები, რომლებიც უკვე ათ წელზე მეტია არსებობენ.

ეს პერიოდი შეიძლება, დახასიათდეს, როგორც დანაშაულებრივი დაჯგუფებების გაძლიერებისა და აყვავების პერიოდი. მათმა ლიდერებმა პოლიტიკური ძალაუფლება მიიტაცეს და მმართველი სტრუქტურების წევრებად იქცნენ, ანუ მოხდა სახელმწიფოს საბოლოო კრიმინალიზაცია აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. სახელმწიფოს სისტემა და მისი მართვის ორგანოები იურიდიულად და ფაქტობრივად დანაშაულებრივი კლანების ხელში აღმოჩნდა. განსაკუთრებული აქტიურობა ამ მხრივ გამოიჩინა დაჯგუფება „მხედრიონმა“ ჯ. იოსელიანის ხელმძღვანელობით, რომელიც ოფიციალური ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი გახდა. „მხედრიონმა“, რომელშიც 5000-ზე მეტი კაცი იყო გაერთიანებული, თავისი ქვედანაყოფები შექმნა ყველა რაიონში, საქართველოს პარლამენტისაგან მიიღო ოფიციალური ნებართვა იარაღის ტარებაზე, ე.ი. გახდა ლეგალური გასამხედროებული ორგანიზაცია. ეს მაშინ, როდესაც „მხედრიონის“ ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ადრე ნასამართლევი (ზოგიერთი არაერთგზის) პირები. ჯ. იოსელიანის რეკომენდაციით სამართლებრივ ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაინიშნენ „მხედრიონის“ წევრები (მაგ. შს მინისტრის პოსტზე – ორჯერ ნასამართლევი თ. ხაჩიშვილი და მრავალი სხვა).

სახელმწიფო სტრუქტურებში ძალაუფლების ხელში ჩაგდება

ის შემდეგ „მხედრიონი“ აღარ დაკმაყოფილდა ეკონომიკური მონოპოლიით და ჯ. იოსელიანის ხელმძღვანელობით სახელმწიფო გადატრიალებისა და ერთპიროვნული კრიმინალური რეჟიმის დამყარების გეგმის დამუშავება დაიწყო.

ძალაუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა ტერორიზმის ტალღა არასასურველი ჩინოსნებისა და პოლიტიკოსების მიმართ. განხორციელდა შეკვეთილი მკვლევლობების სერია.

მოკლეს ქ. თბილისის პროკურორი ქურდაძე, შს მინისტრის მოადგილე გ. გულუა, ედა-ს ლიდერი გ. ჭანტურია, ე. შევარდნაძის მრჩეველი ს. ხაბეიშვილი. მოეწყო თავდასხმა პრეზიდენტ შევარდნაძეზე.

განხორციელდა აგრეთვე მთელი რიგი დივერსიები (აფეთქებები, ცეცხლის წაკიდება) ელექტროგადამცემ ხაზებზე, ხიდებზე, ზოგიერთი პარტიის ოფისებზე.

გამოძიების მასალებიდან ჩანს, რომ სახელმწიფოსა და მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ეს დანაშაული სახელმწიფო უშიშროებისა და შსს ორგანოების მიერ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა.

1995 წელს ე. შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ოფიციალური ხელისუფლება შეტევაზე გადავიდა. დააპატიმრეს „მხედრიონის“, უშიშროების ორგანოს ბევრი წარმომადგენელი, აგრეთვე ჯ. იოსელიანი, თ. ხაჩიშვილი, მრავალი სხვა. მათ წაუყენეს ბრალდება ტერორისტული საქმიანობის და აგრეთვე, კრიმინალური რეჟიმის დამყარების მიზნით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო. შეთქმულების ხელმძღვანელებად დასახელდნენ უშიშროების მინისტრი ი. გიორგაძე და „მხედრიონის“ ზოგიერთი ლიდერი ჯ. იოსელიანის ჩათვლით. ი. გიორგაძემ შეძლო მიმალვა რუსეთში, დანარჩენი „პუტჩისტები“ კი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

არსებობს ვარაუდი, რომ შევარდნაძეზე თავდასხმა მოხერხებულად იყო ინსცენირებული თვითონ დაზარალებულის მიერ, რაც მიზნად საშიში თანამებრძოლების იზოლირებასა და ძალაუფლების მონოპოლიზაციის პრობლემის მოხსნას ისახავდა.

აღნიშნულ მოვლენებს შედეგად მოჰყვა კრიმინალური სამყაროს მხრიდან გავლენის მნიშვნელოვანი შემცირება რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. ბევრი „კანონიერი ქურდი“ იძულებული გახდა, საქართველოდან რუსეთსა და სხვა ქვეყნებში წასულიყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, მიუხედავად დროებითი წარმატებისა, ვერ შეძლო კრიმინოგენული სიტუაციის დიდხანს გაკონტროლება. სტატისტიკა მოწმობს, რომ ორგანიზებული დანაშაულობამ პროფესიული ბოროტმოქმედების ხელმძღვანელობით კვლავ მოიკრიბა ძალა. სტაბილური შემოსავლის მომტანი ბიზნესის ყველა სფერო ახალ პატრონებს – ძირითადად კორუმპირებულ ჩინოვნიკებს, სახელმწიფო ოლიგარქიასა და „კანონიერ ქურდებს“ შორის გადანაწილდა.

კორუფციამ არნახული ზომები მიიღო და რეალურად დაემუქრა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას. კერძოდ, მიითვისეს და გაფლანგეს მრავალი მილიონი დოლარის კრედიტები და ჰუმანიტარული დახმარება, რესპუბლიკა კონტრაბანდული გზით შემოტანილი სიგარეტითა და სპირტიანი სასმელით აივსო, გაჩნდნენ საავტომობილო და სხვა საწვავის მონოპოლისტები. ეკონომიკის მრავალი შემოსავლიანი დარგი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ხელში აღმოჩნდა და ძალოვანი სტრუქტურების ჩინოსანთა მიერ კონტროლირდებოდა.

კვლევის ავტორებმა გამოკითხეს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლი შსს სპეციალური ქვეგანყოფილების ოცდაათი თანამშრომელი. გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ:

1. ქართველი ქურდები მჭიდროდ არიან ინტეგრირებულნი:

ა) საფინანსო-საკრედიტო სფეროში (ბანკები, სააქციონერო საზოგადოებები და ბირჟა), დაახლოებით, 30%;

ბ) მომსახურების სფეროში (რესტორნები, სასტუმროები, დაცვის სააგენტოები, რეკლამა და სხვ.), დაახლოებით, 40%.

გ) სათამაშო ბიზნესში (კაზინო, ტოტალიზატორი და სხვ.), დაახლოებით, 60%;

დ) ენერგეტიკის სფეროში, დაახლოებით, 15%;

ე) მშენებლობის სფეროში, დაახლოებით, 40%

სხვა სფეროებში, დაახლოებით, 20%.

2. საწყისი კაპიტალი ქართულ ბიზნესში შესასვლელად კრიმინალებმა აიღეს „საერთო სალაროდან“, რომელიც მნიშვნელოვნად შეივსო 80-იან წლებში კოოპერატორების რეკეტით, თაღლითობით, ძარცვითა და ყაჩაღობით. მნიშვნელოვანი კრიმინალური კაპიტალი შემოვიდა საქართველოში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან და, განსაკუთრებით, რუსეთიდან. დღეისათვის კრიმინალური კაპიტალი ლეგალიზებულია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში და ქურდები, ძირითადად, საწარმოებისა და ფირმების „მეპაიეებად“ ან მფლობელებად ითვლებიან.

3. ბიზნესზე კრიმინალთა კონტროლის მექანიზმი შემდეგნაირად ნაწილდება:

• უშუალო ხელმძღვანელობა – 15%

• პაი ან წილი ბიზნესში – 35%

• ფიქსირებული გადასახადის მიღება „კრიშისათვის“ – 40%

• რეკეტი – 15%

• სხვა – 5%.

გამოკითხულთა აზრით, ბევრი თანამედროვე ქართველი „კანონიერი ქურდი“ მჭიდროდ შეეზარდა კორუმპირებულ ჩინოსნებს და შემდეგი სოციალური ფუნქციები შეიძინა:

1. არბიტრის როლი იმ საკითხების მოწესრიგებაში, რომლებიც დაკავშირებულია ჩრდილოვან ბიზნესთან, გადასახადების გადაუხდელობასთან, კრედიტების დატაცებასთან. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ჩამოთვლილი საკითხები ხშირად ხდებოდა კონფლიქტის საფუძველი კრიმინალური ბიზნესის მონაწილეთა შორის (წილებისა და დივიდენდების განაწილების, მოტყუების, გამოძალვის და ა.შ. დროს) და არ შეიძლებოდა ყოფილიყო გადაწყვეტილი არსებული ლეგალური პროცედურების გზით (ზემდგომი ინსტანცია ან სასამართლო). დავების მოწესრიგებისათვის მხარეებმა ქურდების ავტორიტეტის გამოყენება დაიწყეს.

2. კომერციული სტრუქტურების მფარველის როლი, რაც, ძირითადად, გულისხმობს სხვა კრიმინალური სტრუქტურების ხელყ-



ოფისაგან მის დაცვას.

3. მეპაიის როლი, ე.ი. წილობრივი მონაწილეობა სხვადასხვა ბიზნესში და შემოსავლიანი წილის მიღება საკუთარი საჭიროებებისა და „საერთო სალაროსათვის“.

4. დანაშაულებრივი აქტების ორგანიზატორის როლი კრიმინალური ხასიათის მქონე სახელმწიფო ჩინოსნის მიერ მოცემული კონკრეტული დავალების შესასრულებლად (შეკვეთილი მკვლელობა, რეკეტი, აკრძალული საქონლის რეალიზაცია, ნარკოტიკების შექმნა და სხვ.).

5. ჩრდილოვანი ლიდერის როლი ციხის გარემოში. ეს ფუნქცია ქურდების მიერ ტრადიციულად 30-იანი წლებიდან ხორციელდებოდა და თავისი აქტუალობა თანამედროვე პირობებშიც შეინარჩუნა. საქართველოს პენიტენციურ სისტემაში “კანონიერი ქურდის” სტატუსი ძალიან მაღალია და მას ანგარიშს უწყვენ არამარტო პატიმრები, არამედ დაწესებულების ადმინისტრაციაც ხელმძღვანელობის ჩათვლით. 2003 წელს ქურდებმა საქართველოში პენიტენციური სისტემის საქმიანობის დესტაბილიზაცია შეძლეს – აჯანყება მოაწყვეს და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან 150-ზე მეტი პატიმარი გააქციეს, რითაც პრივილეგიების შეზღუდვისათვის ადმინისტრაციას გადაუხადეს სამაგიერო.

კრიმინალური დაჯგუფებები აკონტროლებენ ექსპორტ-იმპორტს კონფლიქტის რეგიონებში და მჭიდრო კავშირები აქვთ სასაზღვრო და საბაჟო ორგანოების წარმომადგენლებთან ორივე მხარეს. საქონლის განსაკუთრებით დიდი ნაკადი აღინიშნება ე.წ. “ერგნეთის ბაზრობაზე” სამაჩაბლოსა და დანარჩენი საქართველოს საზღვრის რაიონში. ამ ბაზარს არ გააჩნია რაიმე იურიდიული სტატუსი, მაგრამ მისი ბრუნვა მრავალ მილიონ დოლარს შეადგენს და ცნობილი ავტორიტეტების ხელმძღვანელობით, ქართველი და ოსი დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიერ კონტროლირდება. ზოგჯერ მათ შორის თავს იჩენს კონფლიქტი, რაც, როგორც წესი, აფეთქებებით, მკვლელობებით, ხალხის გატაცებით მთავრდება. კრიმინალურ ბიზნესში ჩათრეულია სახელმწიფო სტრუქტურები და ადგილობრივი მოსახლეობა, რაც ამალღებს რეგიონის კრიმინო-

გენობას. ამ პირობებში, პრაქტიკულად, გამორიცხულია ეთნიკური კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება კორუმპირებული ჩინოსნების, კრიმინალური კლანების, წვრილ ბიზნესმენტა და დიდერების ინტერესებს კონფლიქტის ორივე მხარეზე. თუმცა ყურადღება ერთ დეტალზე გვინდა გავამახვილოთ. 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შიდა ქართლის გუბერნატორად დანიშნულმა ირაკლი ოქრუაშვილმა მკაცრი ღონისძიებები გაატარა რეგიონში წესრიგის დასამყარებლად (მათ შორის ერგნეთის ბაზრობაზეც), დანაშაულებრივ კავშირებში ამხილა არაერთი მაღალჩინოსანი, რითაც ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება გამოხატა ე.წ. „კანონიერი ქურდებისადმი“ და, საერთოდ, დამნაშავეთა სამყაროსადმი.<sup>57</sup> ე.ი. თუ ქვეყანაში წესრიგის დამყარების პოლიტიკური ნება იქნა, სიძნელების მიუხედავად ეს შესაძლებელია.

ექსპერტთა აზრით, ადგილი აქვს ქურდების მონაწილეობას პოლიტიკურ კამპანიებში, თუმცა ჯაბა იოსელიანის შემდეგ ცნობილი “კანონიერი ქურდებიდან” პარლამენტის წევრად არავინ ყოფილა არჩეული. ამასთან, ბევრი მიუთითებს გარკვეული პოლიტიკური მოღვაწეების და ადმინისტრაციული ჩინოსნების დაფინანსებასა და ლობირებაზე კანონიერი ქურდების მხრიდან. განსაკუთრებით ხშირად მოიხსენიებენ ტარიელ ონიანისა და შაქრო კალაშოვის გვარებს.

### ვ) კრიმინალური სამყარო და ოლიგარქია რუსეთის ფედერაციაში

რუსულ პერიოდულ პრესაში ქვეყნდება პუბლიკაციები, რომლებიც ეხება კრიმინალური სამყაროს და ოლიგარქიის პრობლემებს, სადაც ოფიციალურ ფაქტებზე დაყრდნობით დადასტურებულია, რომ რუსეთში კრიმინალი და ბიზნესი ხშირად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. რაქტიკულად, ყველა მსხვილი გაერთიანების, ბანკის, ეკონომიკის მთელი დარგების სფეროში უხვად მოიპოვება მკვ-

<sup>57</sup> ამ პრობლემას ცალკე განვიხილავთ.

ლელობებთან, მოტაცებებთან, ფინანსურ აფიორებთან დაკავშირებული აღმასწავლებელი ფაქტები. რამდენიმე შემთხვევის ანალიზით ნათლად დაინახავთ პრობლემის სერიოზულობას.

2001 წლის თებერვალში საშინელმა ხანძარმა მოიცვა კაფე „ჩაროდეიკა“ ამურის კომსომოლსკში, რის შედეგადაც 8 ადამიანი, ძირითადად, ახალგაზრდები, დაიღუპა. ხალხის აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ უდანაშაულო ადამიანების სიკვდილის მიზეზი გახდა კრიმინალთა შორის საქმის ბანალური გარჩევა საკითხი ეხებოდა ჯართის გადამამუშავებელ საწარმოზე კონტროლს. მისი ორგანიზატორი ციმბირში და მთელ რუსეთში ცნობილი “კანონიერი ქურდი” ევგენი ვასინი (ჯემი) – ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების „ობშიაკის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი – იყო. მას იმ კომერსანტის დაშინება სურდა, რომელმაც დაჯგუფებისათვის ხარკის გადახდაზე თქვა უარი. საკუთარი ბოსი ხანძრის ერთ-ერთმა წამკიდებელმა (ორნი მალევე დააპატიმრეს) დააბეზლა. ვასინი დააკავეს და წინასწარი გამოძიების საკანში მოათავსეს, სადაც, ოფიციალური მონაცემებით, გულის უემარისობისაგან გარდაიცვალა. ჩამომხრჩვალნი ნახეს კიდევ ერთი ცეცხლის წამკიდებელი.

სასამართლო ტრაგედიიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ დაიწყო განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდნენ: სტანისლავ მიგალი, პავლე რეგტოვი, ევგენი პროსვეტოვი, ანატოლი გავრილენკო და ანდრეი მაკარენკო. განაჩენი: გავრილენკოს 20 წელი მიესაჯა, დანარჩენებს სამუდამო პატიმრობა.

მეორე დღეს გავრილენკო ჩამომხრჩვალნი ნახეს.

ამგვარად, ერთი გადანაწილების მსხვერპლი ქალაქის 8 მცხოვრები და 3 ბანდიტი გახდა.

გასულ წელს ჟენევის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება რუსეთისათვის ორას მილიონზე მეტი დოლარის გადაცემის შესახებ, რომელიც 1999 წელს ბელგიაში მოკლულ რუსეთის მოქალაქეს ვლადიმერ მისიურინს ეკუთვნოდა. 200 მილიონ დოლარად შეფასებული ქონება მისიურინმა სამი წლის განმავლობაში დაავროვა ფირმა „სამარის ნავთობის“ მეთაურის პოსტზე ყოფნისას.

სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობით, ფირმის მეშვეობით საზღვარგარეთ გადიოდა „კუიბიშენეფტის“ პროდუქციის იმპორტით მიღებული მოგების დიდი ნაწილი. ამ საწარმოს დირექტორი ბ-ნი ზენშინი მისიურინის ფირმის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. 1993 წელს ის სამარაში მოკლეს. 10 წლის განმავლობაში დაქირავებული მკვლელების ხელით ვოლგაზე „სამარის ნავთობთან“ შეხებაში მყოფი ხუთ ათეულ კაცზე მეტი დაიღუპა, მათ შორის, კიდევ ერთი დირექტორი იური შებანოვი იყო.

იქვე, ვოლგაზე, სამარის მეზობელ ტოლიატიში უკვე ათი წელია, მიმდინარეობდა ომი „ავტოვაზზე“ კონტროლისათვის. ოფიციალური მონაცემებით, დღემდე დაიღუპა, დაახლოებით, 500 კაცი, რომელთა შორის იყვნენ არამარტო ბანდიტები და ცნობილი „ავტორიტეტები“ – დიმიტრი რუზლიაევი (“დიმა ბოლშოი”), რაფიკ შაფიგულინი (“თათარი”), არამედ ტოლიატის ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი დიმიტრი ოგოროდნიკოვი, ტელეკომპანია „ლადა ტვ“-ს დირექტორი სერგეი ივანოვი, „ავტოვაზის“ დილერების ასოციაციის თავმჯდომარე ოლეგ იარკინი, „ვაზ“-ის ბაზის უფროსი ბორის პოლენი და სხვები.

კიდევ ერთი დარგი, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია სისხლიანი ისტორიებით, არის მეტალურგია. აქ, ძირითადად, ორი რეგიონი ურალი და ციმბირი დაზარალდა. ეკატერინბურგის საფლავთა მთელი ხეივანი უცნაური ძეგლებითა და კომპოზიციებით არის შემკული. აქ მთელ რუსეთში ცნობილი „ურალმაშის“ დაჯგუფების ლიდერები განისვენებენ. 90-იანი წლების პირველ ნახევარში ქალაქში, სადაც ასობით ყოფილი პატიმარი ცხოვრობდა, მოქმედებდა რამდენიმე მსხვილი ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანება „ავლანელები“, „ლურჯები“, „ცენტროვიკები“ და „ურალმაშელები“. იმისათვის, რომ საბოლოოდ განემტკიცებინა ძალაუფლება ქალაქში, ამ უკანასკნელმა შექმნა „სპეცნაზი“ – ბანდა სერგეი კურდიუმოვის მეთაურობით. ბანდის წევრებს თავთავიანთი სპეციალიზაცია ჰქონდათ. ისინი იყოფოდნენ მკვლელ-შემსრულებლებად, ამფეთქებლებად, გამტაცებლებად და დამკვირვებლებად.

ბანდიტებმა ჯერ კრიმინალური კონკურენტები გაანადგურეს, ხოლო შემდეგ იმ ბიზნესმენებს მიადგნენ, რომლებსაც არ სურდათ დამნაშავეებთან საქმის დაჭერა. 1996 წელს ნიჟინ ტაგილში მოკლეს მეტალურგიული კომბინატის დირექტორის მოადგილე ალექსანდრე მალინოვსკი. შემდეგი მსხვერპლი გახდა კამენსკ-ურალის ფერადი ლითონების გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი ვიქტორ ტოკარი. საკუთარი სახლის სადარბაზოსთან დახვრიტეს ურალის ქარხნის აქციათა მსხვილი პაკეტის მფლობელი იგორ სოსნინი. მისმა კოლეგებმა მილიარდი მანეთის ოდენობით ჯილდო დააწესეს მკვლელებზე ინფორმაციის მომწოდებლისთვის. დანაშაული დღემდე არ არის გახსნილი. 2000 წლის ივლისში საკუთარ სახლთან დახვრიტეს „ურალმაშის“ გენერალური დირექტორი ოლეგ ბელონენკო. დანაშაული არ გახსნილა. ბელონენკოს სიკვდილის შემდეგ წარმოება კახა ბენდუქიძემ ჩაიბარა. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი გახმაურებული შეკვეთილი მკვლელობა დღემდე არაა გახსნილი, თუმცა საბრალდებო სკამზე ბევრი „ურალმაშელი“ აღმოჩნდა. მათ ბრალი ათობით მკვლელობაში, გამომალვასა თუ ბანდიტიზმში დაედო.

ნამდვილი ომი გაჩაღდა 90-იანი წლების შუახანებში კრასნოიარსკის მხარეში ალუმინის ქარხნების ირგვლივაც. ამ პერიოდისათვის თითქმის მთლიანად დასრულდა მათი სრული პრივატიზაცია. საწარმოთა უმრავლესობა ძმები ჩერნების და ინგლისში მათ მიერ დარეგისტრირებული ფირმის TWG-ს კომერციული სტრუქტურების საკუთრებაში აღმოჩნდა. ქარხნების დაუფლება ამერიკულმა ფირმა ALOC-მაც მოისურვა. აქციათა პაკეტის გასაყიდი კონკურსის ჩატარების წინ, რომელშიც მონაწილეობას ამერიკული მხარეც აპირებდა, მოსკოვში აეროპორტიდან ქლაქისაკენ მიმავალი კომპანიის რუსი მმართველი – ფელიქს ლვოვი მოკლეს.

ამბობენ, რომ ცოტა ხნით ადრე ლვოვმა პროკურატურას წარუდგინა დოკუმენტები, რომლებითაც ძმები ჩერნების მიერ ალუმინის ქარხნების პრივატიზაციის უკანონობის ფაქტები მტკიცდებოდა. თითქოს მან ეს მას შემდეგ გააკეთა, რაც მოსკოვში საკუთარ აგარაკზე ყელი გამოჭრეს ბანკ „იუგორსკის“ პრეზიდენტს, ფელ-

იქს ლვოვის პარტნიორს, ოლეგ ტორს, ხოლო ცოტა მოგვიანებით მოკლეს მისი წინამორბედი ვადიმ იაფასოვი.

კრასნოიარსკის მხარეში კრიმინალურ დაჯგუფებათა შორის გარჩევების ტალღა ვლადიმერ ტატარენკოვის („თათარი“) და სხვა „ავტორიტეტების“ ხელმძღვანელობით აგორდა. კრიმინალების დაკავება მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოხერხდა. მათ ბრალად დასახლებულ რეგიონებში 1993-დან 1996 წლამდე ორ ათეულზე მეტი შეკვეთილი მკვლელობის შესრულება წაუყენეს. სწორედ 1996 წელს დასრულდა მხარეში გავლენის სფეროთა გადანაწილება. შესაბამისად, მიწყნარდა კრიმინალური ომებიც.

პრინციპში, თითქმის ყველა რეგიონს, სადაც ეკონომიკის შემოსავლიანი დარგებია განლაგებული, შეუძლია, „იტრაბახოს“ სისხლიანი ისტორიებით. არხანგელსკში, მაგალითად, მარტო 2000 წელს 200-ზე მეტი დანაშაული მოხდა ტყის მრეწველობაში. მისი მსხვერპლი გახდნენ პავლე როტანინი („ლესპრომბანკი“), დიმიტრი ვარვარინი (გენერალური დირექტორი იმ კონცერნისა, რომელიც თავის დროზე ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატების დიდ ნაწილს აკონტროლებდა), „ორიმის“ დამფუძნებელი სერგეი კრიჟანი, „ტიმბექსის“ დირექტორი ვლადიმერ მალკოვი და სხვები.

შორეულ აღმოსავლეთში ათობით ადამიანი დაიღუპა თევზის წარმოებაზე კონტროლისათვის ბრძოლაში. უკანასკნელ მსხვერპლთა შორის იყვნენ მაგადანის ოლქის გუბერნატორი ვალენტინ ცვეტკოვი, მესაზღვრე ვიტალი გამოვი, „კანონიერი ქურდი“ „იაკუტი“.<sup>58</sup>

მოსკოვი უკანასკნელ თავშესაფრად იქცა ათობით ბანკირისათვის, ბიზნესმენისა და დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტებისათვის.

ანალოგიური პროცესები განვითარდა თითქმის მთელ პოსტ-საბჭოურ სივრცეში.

<sup>58</sup> იხ. „Аргументы и факты“, №2, 2004 წ.

## ბ) ქართული „კანონიერი ქურდები“ საზღვარგარეთ

ქართული წარმოშობის „კანონიერი ქურდების“ და ავტორიტეტების მნიშვნელოვანი ნაწილი რესპუბლიკის გარეთ, ძირითადად, მოსკოვში ცხოვრობს. 90-იანი წლების დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირში ითვლიდნენ 716 „კანონიერ ქურდს“, რომელთაგან 2/3 იყვნენ რუსები (33,1 %) და ქართველები (31,6 %), დანარჩენი – სომხები (8,2 %), აზერბაიჯანელები (5,2 %), უზბეკები, უკრაინელები, ყაზახები, აფხაზები და სხვა (21,9 %).<sup>59</sup>

ამჟამად ეს პროპორცია რამდენადმე შეიცვალა, თუმცა არა – მნიშვნელოვნად. კანონიერი ქურდების უკანასკნელმა ტალღამ საქართველო 2002 წელს დატოვა, რაც განპირობებული იყო სამართლდამცავი ორგანოების აქტივიზაციითა და შევარდნაძის განცხადებით კრიმინალებისაგან რესპუბლიკის გაწმენდის აუცილებლობის თაობაზე.<sup>60</sup>

მართალია, თანამედროვე ქართული დაჯგუფება რუსეთში უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე სხვა ეთნიკური დანაშაულებრივი წარმონაქმნები (აზერბაიჯანული, ჩეჩნური და სხვ.), მაგრამ მისი როლი და აქტივობა საკმაოდ მაღალია და მნიშვნელოვან შემოსავლიან კრიმინალურ სფეროებს მოიცავს. გარეგნულად ჩრდილში მყოფი ქართული მაფია სერიოზულ ტრადიციულ კავშირებს ფლობს ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში და თუ გავითვალისწინებთ, რომ დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობაში არც ერთი „კანონიერი ქურდი“ ყოფილა მიცემული, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი დღემდე ანგარიშგასაწევი ძალაა კრიმინალურ სამყაროში.

განსაკუთრებით ძლიერ ქართულ დაჯგუფებად რუსეთში ითვლება „ქუთაისური“, რომელშიც, დაახლოებით, 50 „კანონიერი ქურდი“ და „ავტორიტეტი“ და 500-მდე აქტიური „მებრძოლი“ შედის. კლანის ძირითად ხელმძღვანელად ითვლება ტარიელ ონიანი. მან წარმატებით დაამყარა კავშირები უცხოეთთან. ნიუ-იორკიდან მიღე-

<sup>59</sup> ვ. რატნიკოვი, „ქურდული გვირგვინის ფასი“.

<sup>60</sup> Грузинские криминалы сбежали в Россию - <http://www.lenta.ru/vojna/2002/12/19/thiefs/> 19.12.2002

ბული ინფორმაციით, ონიანი არაერთგზის ჩავიდა აშშ-ში, სადაც რუს კოლეგებს ხვდებოდა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ქართველი „ავტორიტეტი“ დაქირავებული მკვლელების ტყვიით დაიღუპა, იგი 1993 წლის შემოდგომაზე საფრანგეთში გადასახლდა, სადაც, როგორც ამბობენ, მნიშვნელოვან ქონებას ფლობს და იქიდან ახორციელებს მმართველობას. „ქუთაისელთა“ სხვა ლიდერები არიან: ქარცხია, მეტსახელად „ჩიჟი“, ბუნნიკაშვილი – „პეწო“, ქარდავა – „ვახო“, იობიძე, მეტსახელად – „მინაგო“, ხაჩიძე, გაბუნია. დაჯგუფებიდან თავისუფლების აღკვეთის ადგილებს კურირებს ვინმე სტურუა. კლანში არიან გაერთიანებულები, თუმცა საკმაოდ ამოუკიდებლობას ინარჩუნებენ ქურთები „კანონიერი ქურდის“ – მაქრო კალაშოვის ხელმძღვანელობით.

შემდეგი თავისი მნიშვნელობით „თბილისური“ დაჯგუფებაა, რომელიც, დაახლოებით, 200 კაცს აერთიანებს, ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია II ჯგუფის ინვალიდი პაატა ჩლაიძე, მეტსახელად „დიდი პაატა“. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ასლან უსოიანი – „ხასანი“, კუპრაშვილი (50 კაციან „მებრძოლთა“ ჯგუფით), გულორდავა, მეტსახელად „გულა“.

უფრო ნაკლები გავლენის მქონე დაჯგუფებაა დასავლეთ საქართველოდან და აფხაზეთიდან საერთო დასახელებით „სამეგრელო“. ის მოიცავს „მეგრულ“ დაჯგუფებას, დაახლოებით, 200 კაცით (ლიდერები: კონია, მეტსახელად „კახო“; ბუშია და კაკაჩია) და 300 კაციან „სოხუმის“ დაჯგუფებას (ლიდერები: ტაბალუა, მეტსახელად „მუნა“, კვარაცხელია – „კიმი“; აბაკელია, ბორია სუხუმსკი; იური ლაკობა – „ხაჯარატი“, იგივე „ვაჯახელი“). მათთან მჭიდროდ არის დაკავშირებული „სვანური“ დაჯგუფება ლენტეხისა და ლენხუმის რაიონებიდან, რომელიც, ძირითადად, გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანთა გატაცებითაა დაკავებული.

გარდა ტრადიციული ქართული დაჯგუფებებისა, უკანასკნელ პერიოდში რუსეთში გამოჩნდა რამდენიმე ამოუკიდებელი კრიმინალური ფორმირება, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამსახურდის მთავრობის ყოფილი სახელმწიფო ჩინოსნები და სისხლის

სამართლის „ავტორიტეტები“. მაგ. „მხედრიონს“ უკავშირებენ ერთ-ერთ განსაკუთრებით საშიშ დაჯგუფებას, რომელიც მოქმედებს მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში „კანონიერი ქურდის“, მეტსახელად „ონიკის“ ხელმძღვანელობით. აჯგუფების, დაახლოებით, 100 წევრიდან ბევრია საქართველოს შსს და სუკ-ის ყოფილი თანამშრომელი; შეიარაღებაში აქვთ რამდენიმე ათეული კალაშნიკოვის ავტომატი და «TT» სისტემის პისტოლეტი. ჯგუფი დაყოფილია დამოუკიდებელ რგოლებად. ერთი, რომელიც მოქმედებს ტაგანკის რაიონში, დაკავებულია მხოლოდ „ჟიგულის“ მარკის ავტომობილების გატაცებითა და გაყიდვით. არის ბრიგადა ვინმე „მალხაზის“ ხელმძღვანელობით, რომელიც სპეციალიზდება შეკვეთილ მკვლელობებზე.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ქართული დაჯგუფებები ტრადიციული „ხელობების“ – გატაცების, გამოძალვის, ძარცვის, ყაჩაღობის, ბინის ქურდობის, თაღლითობის გარდა, სულ უფრო და უფრო ხშირად ღებულობენ მონაწილეობას ფინანსურ აფიორებში, ქმნიან კომერციულ ფირმებს, სააქციო საზოგადოებებს, ბანკებს; შეიმჩნევა მათი გავლენა ხე-ტყის, ნავთობის, ფერადი მეტალების ექსპორტთან დაკავშირებულ საქმეებშიც.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ქურდულ თანასაზოგადოებაში კარგა ხანია, თავი იჩინა შიდა დაპირისპირების ნიშნებმა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის მონოპოლიისა და ლიდერობისათვის. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით რუს, ჩეჩენ და ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის მჟღავნდება. მძიმე აღმოჩნდა ქართველი კრიმინალებისათვის ჩეჩნურ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან შეჯახება, რომლებიც თავიანთი აღძვარების და მოსკოვში მყარად დამკვიდრების პერიოდში, პრაქტიკულად, შეუზღუდავად მოქმედებდნენ. ისინი არ ცნობდნენ არავითარ „ქურდულ კანონებსა“ და „ავტორიტეტებს“ და მზად იყვნენ ტრადიციული შეხედულებებისათვის მიუღებელი მეთოდებით ემოქმედათ. 1988 წელს ქართველ „კანონიერ ქურდთა“ წარმომადგენლები, მათ შორის თბილისელი ქურთები კალაშოვი და ჯალალიანცი ჩეჩნური საზოგადოების ლიდერებს და მათ არაფორმალურ მეთაურს ნი-

კოლაი სულეიმანოვს (მეტსახელად „ხოზა“) კაფე „აისტში“ შეხვედრაზე შეუთანხმდნენ. ქურდული ეთიკის კანონების მიხედვით, ასეთ შეხვედრებზე იარაღით გამოცხადება მიუღებელია, მაგრამ ჩეჩნებმა, რომლებმაც ვერ მოძებნეს საერთო ენა დაჯგუფებათა ქართველ და ქურთ ლიდერებთან, სუფრის დანებით მძიმედ დაჭრეს კალაშოვი და ჯალალიანცი. ცოტა ხნის წინათ, მოსკოვის ცენტრში კვლავ განხორციელდა თავდასხმა კალაშოვზე, რომელიც ამჯერადაც გადარჩა, თუმცა თავდასხმისათვის თანამედროვე ამერიკული იარაღი იყო გამოყენებული.

თავდაცვის ტაქტიკის შემუშავების მიზნით, ქართულმა დაჯგუფებებმა მოაწყვეს შეხვედრა, რომელზეც მოსკოვში მყოფი თითქმის ყველა „კანონიერი ქურდი“ გამოცხადდა. მოსკოვის მილიციამ, რომელმაც ოპერატიული მონაცემები გამოიყენა, შეძლო დაეკავებინა ოთარ კვარაცხელია („კიმო“), თენგიზ ქარცხია („ჩიჟი“), ვახტანგ ქარდავა („ვახო“), მამუკა მიქელაძე („მამუკა“) და სხვ. მათი უმრავლესობა სამხილის არარსებობის გამო მეორე დღესვე გაათავისუფლეს („კიმოს“ გარდა, რომელიც ფანჯრიდან გადასტა და ორივე ფეხი მოიტეხა).

1994 წელს ქართულმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. გაურკვეველ გარემოებებში, მცირე დროის მანძილზე (დაახლოებით, 2 თვის განმავლობაში) მოკლეს ათზე მეტი „კანონიერი ქურდი“, მათ შორის, ავთანდილ ჩიხლაძე, მეტსახელად „კვეჟო“, 28 აგვისტოს ქ. სოჭში დაზვრიტეს კიდეც სამი ქართველი ქურდი. 15 აგვისტოს მოსკოვში ამოწყვიტეს „ავტორიტეტ“ გამცემლიძის ოჯახი.

ბევრი უსიამოვნება მიადგა ქართულ დაჯგუფებას სლავურ დანაშაულებრივ საზოგადოებასთან დაპირისპირების გამოც.

ქურდული თანასაზოგადოების „სლავური ფრთის“ ლიდერობა დიდხანს ეპყრა ხელთ საერთაშორისო მასშტაბით ცნობილ ვი-აჩესლავ ივანკოვს („იპონიკი“). მისი დაპატიმრების შემდეგ (აშშ, 1995 წ.) ლიდერობაზე პრეტენზია გაუჩნდათ „შურიკ ზახარს“, „პაშა ცირულს“, „როსპისს“, „სავოსკას“, „პეტრუხას“ და „სიბირ-იაკს“. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, 1998 წელს ავტოკატას-

ტროფაში „კანონიერი ქურდის“ „პეტრუხას“ დალუპვის შემდეგ, „სლაგური ფრთის“ ლიდერი „კანონიერი ქურდი“ ანდრეი ბელიაევი („ხოლოტი“) გახდა. თავისი ცხოვრების 38 წლის მანძილზე სამჯერ ნასამართლეე „ხოლოტს“ მხარს სანკტ-პეტერბურგის და ტამბოვის დაჯგუფებები უჭერდნენ. მის მიერ კონტროლირდებოდა, აგრეთვე კრიმინალური კავშირები ბალტიისპირეთთან<sup>61</sup>.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქართველი „კანონიერი ქურდები“ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ და მათ ანგარიშს ნებისმიერი დაჯგუფება უწევს. დაგროვილი პრობლემები ხელს არ უშლის ქართველ „კანონიერ ქურდებს“, განახორციელონ აქტიური ორგანიზატორული საქმიანობა რუსეთის, პრაქტიკულად, ყველა კუთხეში. ცნობილია კრიმინალური „კურატორების“ სახელებიც: „კანონიერი ქურდი“ ფაჩუაშვილი განაგებს იაროსლავს, გოგოლაშვილი, მეტსახელად „ციკო“, იგივე „ცურიკი“ – ტვერს, გორდელიძე, რომელმაც თვითნებურად მიითვისა „კანონიერის“ წოდება, პასუხისმგებელია იოშკაროლაზე, სიხარულიძე, მეტსახელად „კახი“ და გოგლიჩიძე (“მიშელი”) – ნოვგოროდზე, არხანგელსკი ემორჩილება მიქელაძეს („დათო“), რომელიც მისდამი რწმუნებულ რეგიონს უშუალოდ მოსკოვიდან განაგებს.

რუსეთის მილიცია ვერ ახერხებს ეფექტურად ებრძოლოს ლიდერებს და მხოლოდ რიგით შემსრულებლებთან ბრძოლით შემოიფარგლება. საქმე იმაშია, რომ „კანონიერი ქურდები“ უშუალოდ არ მონაწილეობენ რაიმე დანაშაულის ჩადენაში. თუმცა, სამხილით აყვანის შემშხვევაშიც ისინი ადვილად ახერხებენ, თავი დააღწიონ სერიოზულ პასუხისმგებლობას. გასულ წელს დაპატიმრებული 7 „კანონიერი ქურდიდან“ და 14 „ავტორიტეტიდან“ სასამართლომდე მხოლოდ მესამედი მივიდა. აქ ბევრი რამ არის უცნაური. მაგალითად, მოსკოვში ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისათვის დააკავეს „კანონიერი ქურდი“ შავდია, რომელიც შემდეგ პასუხისმგებაში აღარ მიუციათ. სხვა ბრალდებულებს უმნიშვნელო სასჯელი აკმარეს. „სოხუმის“ დაჯგუფების ერთ-ერთ ლიდერს იური ლაკობას, მეტსახელად „ხაჯარატს“, არაერთგზის ნასამართლევეს, მათ შორის, მკვ-

ლელობისათვის, დაკავებისას კალაშნიკოვის სისტემის ტყვიამფრქვევი, 3 ავტომატი, 2 პისტოლეტი, 3000 ვაზნა, 2 ხელყუმბარა და 7200 ყალბი ამერიკული დოლარი უპოვეს. მოსკოვის ტაგანკის სახალხო სასამართლომ კი „ხაჯარატს“ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მეორე ცნობილი ქართველი ქურდი შაქრო კაკაჩია, მეტსახელად „ბებერი შაქრო“, შვიდჯერ ნასამართლევი, „მეგრელთა“ დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი, ნარკოტიკების შენახვისათვის დააკავეს. ფრუნზეს სახალხო სასამართლოს განაჩენით მას 8 თვე მიესაჯა. რევაზ ლორთქიფანიძე, მეტსახელად „თბილისელი რეზო“, ასევე ნარკოტიკების შენახვისათვის დააკავეს; მოსკოვრეცკის სახალხო სასამართლომ მას თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვით მიუსაჯა. კრიმინალური ქრონიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არც ერთი ქართველი „ავტორიტეტი“ გასამართლებულა დანაშაულებრივ დაჯგუფებებში ორგანიზატორული როლისათვის.

ქართულ კლანთა ლიდერებმა თანამემამულე ემიგრანტთა მემკვიდრით უკვე შეძლეს მჭიდრო კავშირების დამყარება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კრიმინალურ გაერთიანებებთან. განსაკუთრებით ძლიერი პოზიციები აქვთ ქართველ ქურდებს გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ისრაელში, აშშ-სა და ჰოლანდიაში. ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე – საზღვარგარეთ „ორბის“ დირექტორის და საქმოსნის დავით სანიკიძის მკვლელობაა, რაც 1998 წლის 11 ივლისს განხორციელდა. მკვლელები აღმოჩნდნენ ქართული კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები: აჯავახაძე და გ. ონიანი. საქმეში აგრეთვე ფიგურირებდა შუქრი ბურჭულაძე.

ავსტრიის პოლიციამ მიიღო დოსიე სანიკიძეზე, რომლის მიხედვითაც ის ავსტრიაში ქართული თანასაზოგადოების ლიდერად და, ამავე დროს, ეღუარდ შევარდნაძის ახლობლად ითვლებოდა. მკვლელობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე დანაშაულებრივი სამყაროს ცნობილი წარმომადგენლები. აკაკი ჯავახაძე, სანიკიძის უშუალო მკვლელი, გახლდათ სასტუმრო „მეტუნის“ დირექტორის – „მხედრიონელი“ რიჩარდ ჯავახაძის ვაჟი. რიჩარდ ჯავახაძე 1996 წლის

<sup>61</sup> См: <http://www.fsk.ru/june/tema/index.htm>

მაისში მოსკოვში სანიკიძის ბრძანებით დახვრიტეს. თანამონაწილე – გიორგი ონიანი ტარიელ ონიანის ღვიძლი ძმაა, რომელიც ჯემალ ხაჩიძესა და შაქრო კალაშოვთან ერთად მოსკოვის ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებას კურირებს

როგორც ჩანს, მკვლელობის მიზეზი ჯავახაძის ძველ საქმიანობაში უნდა ვეძიოთ. იგი 1994 წლამდე ხელმძღვანელობდა „მეტეხს“, ყველაზე კომფორტაბელურ სასტუმროს თბილისში. სასტუმრო აშენდა ავსტრიული ფირმის ABV-ს მიერ. ამ უმსხვილესი ფირმის ხელმძღვანელის, ლეოპოლდ ბაუსბეკის დახმარებით, სასტუმროზე ფაქტობრივი კონტროლი ხელში ჩაიგდო დ. სანიკიძემ. სანიკიძესა და ჯავახაძეს შორის მოხდა კონფლიქტი, რის გამოც ეს უკანასკნელი მოსკოვში გადავიდა, სადაც მოკლეს კიდეც. ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „მეტეხი“ კი 1997 წლამდე, „შერატონის“ ჯგუფში გადასვლამდე, სანიკიძის კონტროლქვეშ რჩებოდა.

ავსტრიის პოლიციას საკმაოდ ვრცელი დოსიე ჰქონდა სანიკიძეზე, რომელშიც ის ფიგურირებდა როგორც ქართული მაფიის მსხვილი ავტორიტეტი. არსებობს ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ სანიკიძე გამოძიების ფედერალურ ბიუროს ინფორმაციას აწოდებდა „იაპონიკის“ წინააღმდეგ, რომელსაც ის კარგად იცნობდა. ნიუ-იორკის რუსულენოვან გაზეთისთვის – „ახალი რუსული სიტყვა“ – მიცემულ ინტერვიუში სანიკიძე „იაპონიკს“ თავის მეგობრად ასახელებდა.

ამერიკული წყაროების მიხედვით, ივანკოვმა საკუთარ მემკვიდრედ არა „კანონიერი ქურდი“, არამედ დავით სანიკიძე აირჩია, კაცი, რომელსაც გააჩნდა შესანიშნავი კავშირები პოლიტიკისა და ბიზნესის სამყაროში, რომლისთვისაც ღია იყო ვენის ბიზნესმენებისა და ბანკირების კარები (ვენაში ცხოვრობდა ივანკოვის ერთ-ერთი ვაჟიშვილი).

სანიკიძის მკვლელობის შემდეგ რუსულ კრიმინალურ სამყაროში „გარდაქმნა“ დაიწყო და მაფიამ გადაწყვიტა ივანკოვის გარეშე დაესვა ტანტზე ახალი „მეფე“. გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ თვლის, რომ „მეფე“ შტატებში მცხოვრები მოსკოვის მკვიდრი, 43 წლის ადრე ნასამართლევი ალექსანდრე ბორი გახდა. თუ

გვბ-ს დაუჯერებთ, ეს კაცი აშშ-ში რუსული მაფიის ზედამხედველი გახდა.<sup>62</sup>

დ. სანიკიძე ცნობილი იყო ვენაში თავისი კავშირებით. მას პრეზიდენტ შევარდნაძის კაცად თვლიდნენ. შეიძლება, ამ ჭოროს თვითონ სანიკიძეც ავრცელებდა საკუთარი თავისთვის ავსტრიაში საქართველოს არაოფიციალური წარმომადგენლის რეპუტაციის შესაქმნელად. რიგ შემთხვევებში იგი ამით სარგებლობდა. ერთხელ თხოვნით მიმართა ავსტრიის მთავრობას, შევარდნაძის პირადი დაცვის თანამშრომლებისათვის მაღალი ხარისხის ავსტრიული პისტოლეტების „გლოკის“ შეძენასთან დაკავშირებით. ამ ქვეყნის შესაბამის წრეებში თხოვნამ გაუგებრობა გამოიწვია. არ იცოდნენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიტერიუმებით რომელ კატეგორიას ეკუთვნის საქართველო, ითვლება თუ არა ის არამყარი პოლიტიკური რეჟიმის მქონე ქვეყნად, რომლისთვისაც იარაღის მიყიდვა არ შეიძლება. გაკვირვებას ყველაზე მეტად ის იწვევდა, რომ დ. სანიკიძე „საქართველოს პრეზიდენტის პირადი დაცვისათვის“ ითხოვდა არა ათ და ას, ან თუნდაც ხუთას პისტოლეტს, არამედ თხუთმეტი ათას ცალს.

ოფიციალურ მასალებში და პრესის ფურცლებზე გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ გ. ონიანის თანამონაწილეობა მკვლელობაში შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც ჩანს, მის ძმას, „კანონიერ ქურდს“ – ტარიელ ონიანს ჰქონდა საფუძველი ესურვა სანიკიძის სიკვდილი. 1994 წელს ონიანმა ომი გამოუცხადა „იაპონიკსა“ და დავით სანიკიძეს, რომლებმაც, მისი ვარაუდით, 15 მილიონი დოლარის ოდენობის „კანონიერი ნადავლი“ წაართვეს. ეს თანხა აღშფოთებული მეანაბრეების თვალწინ გაკოტრებული ერთი ქართული ბანკის კუთვნილება იყო. გაკოტრების ოპერაცია თბილისში განახორციელა ბანკის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, უშიშროების ყოფილმა თანამშრომელმა ვინმე დავით ჩიხაშვილმა. მას უნდა გადაეგზავნა ფული საქართველოდან დასავლეთ ევროპაში და ძირითადი ნაწილი ონიანისათვის გადაეცა, მაგრამ ბოლო მომენტში

<sup>62</sup> Непобедимая и легендарная “русская” мафия в США <http://www.paco.net.ua/odessa/media/porto-ft/1997/8/7-60.htm>

ჩიხაშვილი, უბრალოდ, გაქრა ონიანის თვალთახედვიდან. როგორც შემდგომში ონიანის ხალხმა გამოარკვია, ქართველ მეანბრეთათვის მოპარული ფული ივანკოვს და სანიკიძეს დარჩათ, თუმცა დღემდე უცნობია როგორ შეძლეს ამ ინფორმაციის მიღება. სავარაუდოა, რომ ონიანმა ვერ მოახერხა ივანკოვისთვის სამაგიეროს გადახდა და განაჩენი დ. სანიკიძეს გამოუტანა.

თვითონ ტარიელ ონიანი საფრანგეთის პოლიციისთვის კარგად არის ცნობილი უკვე 1990 წლის დასაწყისიდან, როდესაც ის იძულებული გახდა ჩიჩნებთან და სხვებთან სისხლიანი გარჩევების გამო მოსკოვი დაეტოვებინა და ევროპაში დასახლებულიყო.

1994 წლის 14 დეკემბერს საფრანგეთის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე „დანაშაულებრივი დაჯგუფების მიერ ნარკოტიკების არალეგალური იმპორტისა და ექსპორტის ფაქტზე“. აღნიშნულ საქმეს საფუძვლად დაედო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან მებრძოლი ცენტრალური ბიუროს მოხსენება, რომელიც თავის მხრივ, ინტერპოლის მასალების საფუძველზე მომზადდა. მოხსენება შეიცავდა მონაცემებს ანტვერპენში ისრაელის მოქალაქის, 1953 წელს საქართველოში დაბადებული რაფაელ მიქაელის დაკავების შესახებ. სამართალდამცავი ორგანოებისათვის ის ცნობილი იყო როგორც ტრეფიქინგის და ნარკოტიკების ბიზნესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მიქაელი დააპატიმრეს ტარიელ ონიანისათვის პარიზში ამანათის გაგზავნის მცდელობისას. ამანათში აღმოჩნდა ორი ყალბი ბელგიური პასპორტი და ორი მოწმობა საცხოვრებელი ნებართვით. დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ ისინი ბელგიიდან გაიტაცეს და შემდეგ გააყალბეს დავით ზოდელავას (დაბ. ქ. თბილისში 1954 წელს) და ტარიელ ონიანის (დაბ. ქ. ტყიბულში 1958 წელს) სახელებზე. ბელგიელებმა დაადგინეს, რომ ონიანი უკვე იყო გასამართლებული საქართველოში ქურდობის, იარაღის უკანონოდ ტარებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის.

ამავე წლის ოქტომბერში ონიანი კვლავ მოექცა საფრანგეთის პოლიციის ყურადღების ქვეშ, რომელმაც მასზე ინფორმაციის შეგროვება დაიწყო. ინტერპოლის ნაციონალური ბიურო იტყობინე-

ბოლა ქუთაისის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერის ტარიელ ონიანის და სოლნცევოს დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრის სერგეი მიხაილოვის მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ. ამავდროულად ერთი თვის შემდეგ ფრანგებს კიდევ ერთი შეტყობინება გაუგზავნა. მათ მიერ 1994 წლის ნოემბერში მიღებული მონაცემების თანახმად, ისრაელში მცხოვრები „ორი ნარკოსაქმოსანი“ – ჯემალ ხაჩიძე და ვინმე „ზორიკა“ ან „ზორავი“, პარიზში გამგზავრებას და ონიანთან შეხვედრას აპირებდნენ. შეხვედრის მიზანი უნდა ყოფილიყო ავღანეთიდან რუსეთის გავლით მოწოდებული ჰეროინის საფრანგეთისა და ისრაელის ტერიტორიებზე გასაღების ქსელის შექმნა.

ონიანის სატელეფონო საუბრების მოსმენის შედეგად ფრანგებმა გააკეთეს დასკვნა, რომ საქმე კანონიერ ქურდთან და მრავალი კრიმინალური ოპერაციის ჩამდენი მაფიოზური კლანის შეფთან აქვთ. ამ ოპერაციების ჩამონათვალი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა: ერაყიდან ნავთობპროდუქტების არალეგალური მიწოდება, სიგარეტის კონტრაბანდა აშშ-დან და ესპანეთიდან, არყის კონტრაბანდა, რეკეტი, ბანკებზე და ქარხნებზე კონტროლის დაწესება, მსხვილი ფულადი სახსრების დატაცება, ყალბი პასპორტებითა და ვიზებით ვაჭრობა, აგრეთვე მკვლევლობები დაკავშირებული კრიმინალურ გარჩევებთან.

საინტერესო ეპიზოდი დაფიქსირდა 11 თებერვალს დაკვირვების ჯგუფის მიერ, როდესაც ონიანის კუთვნილი სატელეფონო აპარატით აბონენტს ისრაელში ვინმე როვენ ნაორი ესაუბრა. მან აუხსნა თანამესაუბრეს ისრაელში, რომ მძევლად აყვანილი მამის გათავისუფლებაში დახმარების მისაღებად 500 000 ფრანკი უნდა გადაეხადა. საფრანგეთის პოლიციის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, რობერტ ნაორი, იგივე ბაბალიკაშვილი, მეტსახელად „რობერტ ბუბაჩო“ ისრაელის სამხედრო პირი იყო, რომელიც 1981 წელს ფრანკფურტში 1,3 კგ ჰეროინის კონტრაბანდის მცდელობისათვის პატიმრობაში იყო ნამყოფი.

1998 წლის აპრილში ტარიელ ონიანი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა ქალაქ გრასში (საფრანგეთი) არყის, სიგარეტის, პასპორტე-



ბითა და ვიზებით იატაკქვეშა ვაჭრობისათვის, აგრეთვე გამოსასყიდის მიღების მიზნით თავისი თანამემამულის გატაცებისათვის. გამოძიება ამ საქმეზე 1994 წლის დეკემბერში დაიწყო ინტერპოლის ბრიუსელის ბიუროს ინიციატივით.

ონიანი არ კარგავს კავშირს საქართველოსთან, ზოგჯერ გარკვეულ სამსახურსაც უწევს მას. პრეზიდენტ შვეკარდნაძის წარმომადგენელი ადასტურებს მის შუამავლობას 2003 წელს კოდორის ხეობაში (საქართველო) კრიმინალების მიერ გატაცებული გაეროს დამკვირვებლების გათავისუფლების საქმეში. მათი გათავისუფლებისათვის კრიმინალები სამ მილიონ დოლარს ითხოვდნენ. მძევლები გაათავისუფლეს. გათავისუფლების პირობები უცნობია. ბოროტმოქმედები არ გამოუვლენიათ<sup>63</sup>.

<sup>63</sup> Газета "Ճձգ՛՛ն՛ն" – [http://www.abkhaziya.org/server-articles/article\\_81fe5369b88c1b3d1567787fc17c9e30.html](http://www.abkhaziya.org/server-articles/article_81fe5369b88c1b3d1567787fc17c9e30.html)

## 6. დანაშაულებრივი კარიერები, ცნობილი ქართველი ავტორიტეტული კრიმინალები

ქართული კრიმინალური ელიტა ცნობილია ბევრი ისეთი პიროვნებით, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ყოფილი საბჭოთა კავშირის და დღეს ქვეყნების დანაშაულებრივი თანასაზოგადოების განვითარებაზე. მათ შორის აღსანიშნავია:

- ჯაბა იოსელიანი
- ოთარ კვანტრიშვილი
- ტარიელ ონიანი

### ჯაბა იოსელიანი, ცოცხალი ლეგენდა და ურყევი ავტორიტეტი ყოფილი საბჭოთა კავშირის დანაშაულებრივ სამყაროში

ჯაბა იოსელიანი დაიბადა 1926 წელს. 16 წლისა პირველად დააპატიმრეს ქურდობისათვის. მან მალე მოიპოვა აღიარება დანაშაულებრივ სამყაროში და „კანონიერი ქურდი“ გახდა, რაც იმ დროისათვის არნახული „კარიერა“ იყო.

მეორედ რომ დააპატიმრეს, ციხიდან გაიქცა, ძებნას დაემალა და ლენინგრადში დასახლდა, სადაც სხვისი გვარით ცხოვრობდა. საშუალო განათლების არმქონემ უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მოწყობა და მეოთხე კურსამდე მიღწევა მოახერხა, 29 წლის ასაკში კი ის კვლავ დააპატიმრეს. შეიარაღებულ მარცვაში მონაწილეობისათვის 25 წელი მიუსაჯეს. სახალხო არტიისტების – სერგო ზაქარიაძისა და მედეა ჯაფარიძის შუამდგომლობით პატიმრობის ვადა შეუმცირეს და საქართველოს კოლონიაში გადმოიყვანეს, სადაც ზონას „კურიერება“.

გათავისუფლდა 40 წლის ასაკში. დაამთავრა სალამოს სკოლა და მაშინდელი ფინანსთა მინისტრის ფ. ანანიაშვილის შუამდგომლობით თეატრალურ ინსტიტუტში მოეწყო. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები (უკანასკნელის თემაა „ქართული თეატრის კომედიური ნიღბები“), ასწავლიდა თეატრმცოდნეობას თბილისის თეატრალურ ინსტიტუტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში, წერდა პიესებს, რომლებიც კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში იდგმებოდა.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დანაშაულებრივმა სამყარომ მას შეუნარჩუნა „კანონიერი ქურდის“ წოდება. დამწყებ ქურდებს მისი მაგალითით ზრდიდნენ. ასწავლიდნენ საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას იმ ოპერაციის მაგალითზე, 50-იან წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში რომ ჩატარდა და იოსელიანს მიაწერდნენ. მან ამხანაგებთან ერთად სავაჭრო დარბაზებში სალაროს აპარატები დააყენა, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლობაში გამართულად უწერდნენ ქვითრებს მომხმარებლებს. ბოლოს ეს აპარატები მაღაზიას დაუტოვეს, ფული კი კრიმინალებმა წაიღეს.

ოპერატიული მონაცემების თანახმად, იოსელიანი მონაწილეობდა 80-იანი წლების ძირითად ქურდულ საკავშირო შეკრებებში, რომლებზეც “ქურდული კანონის” შეცვლის და კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხები განიხილებოდა. ამ შეკრებებმა დიდი როლი ითამაშეს სსრკ და ღსთ კრიმინალური თანასაზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

80-90-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა პოლიტიკურ სცენას არ შეეძლო, არ გამოეყენებინა მსგავსი ბედისა და უნარის მქონე პიროვნება. იოსელიანმა არ გაუწია წინააღმდეგობა არჩევანს. ის იყო პირველი „კანონიერი ქურდი“, რომელმაც მოიხადა რა დაახლოებით 25-წლიანი პატიმრობის ვადა, საქართველოს პარლამენტის წევრობას მიაღწია და პრეზიდენტის (ე. შევარდნაძის) მარჯვენა ხელი გახდა (1992-დან 1995 წლამდე).

მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება, პოლიტიკაში მოსვლისას გუმინდელ ქურდებსა და ყაჩაღებს თან მოაქვთ ის წესები, ტრადიციები და შეხედულებები, რომლებითაც უწინ ცხოვრობდნენ. მაშინ საკითხი ასე დადგა: “ჩვენ ან ვიცხოვრებთ ამ კანონების მიხედვით, ან კრიმინალური პოლიტიკოსების მოდა გადავა”.

ჯ. იოსელიანის პოლიტიკური დებიუტი 1989 წელს შედგა, როდესაც სსრკ სახალხო დემოკრატიის არჩევნებზე, როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწის, აკაკი ბაქრაძის ნდობით აღჭურვილი პირი გამოვიდა. დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა – ბაქრაძე დემოკრატი გახდა. შესაძლოა, ამ საქმეში თავისი როლი იოსელიანის ბიოგრაფიამ შეასრულა. საბჭოთა საზოგადოებაში დანა-

შაულებრივ სამყაროსთან კავშირი, უწინარეს ყოვლისა, ვაჟკაცობად და ხელისუფლების წინააღმდეგ დგომის ნიშნად ფასდებოდა.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა იოსელიანი აიძულა, „ნაციის დასაცავად“ შეიარაღებული ფორმირების შექმნის თაობაზე მიეღო გადაწყვეტილება. საბაბიც მალე გაჩნდა: 1989 წლის ზაფხულში სისხლისღვრამდე დაიძაბა ურთიერთობა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის მარნეულის რაიონში. შეიარაღებული ახალგაზრდები მარნეულისაკენ თანამემამულეთა დასაცავად დაიძრნენ. მათ შორის, ცხადია, იყვნენ საექვო წარსულის მქონე პირებიც.

30 აგვისტოს, მარნეულის ამბების მონაწილე, დაახლოებით, 30 კაცი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეიკრიბა და თავიანთი რაზმის – „მხედრიონის“ შექმნის შესახებ განაცხადა. მეთაურის პოსტი ერთხმად შესთავაზეს ჯაბა იოსელიანს, რომელიც შემოთავაზებას უყოყმანოდ დასთანხმდა. “მხედრიონის” დაფუძნების ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს ა. ბაქრაძემ და ვ. გოგუაძემ.

იოსელიანმა მაშინვე გამოაცხადა „მხედრიონის“ პოლიტიკური მიზნები, რომლის ლეიტმოტივიც შემდეგი იყო: „ჩვენ არ ვემორჩილებით არავითარ პოლიტიკურ ძალას და საბჭოთა სტრუქტურას, არამედ ვემსახურებით ერის ინტერესებს. ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას ერთა შორის კონფლიქტებში, რათა დავიცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა“. მართლაც, აფხაზეთისა და ოსეთის ომების პირველ ეტაპებზე „მხედრიონის“ წევრები შემჩნეულნი არ ყოფილან სისხლისღვრაში ან მაროდერობაში. თუმცა საქართველოში ასეთი ლიდერის მეთაურობით შექმნილი შეიარაღებული არაკონტროლირებადი ძალის არსებობამ ყველა და, პირველ რიგში, ზ. გამსახურდია შეაშფოთა. ეს უკანასკნელი წარმატებით მიიწვედა წინ – არჩევნებზე გამარჯვებისაკენ. მომავალი პრეზიდენტის მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას იოსელიანი არასდროს მალავდა. გამსახურდიას საჯარო მონანიებას 1978 წლის პოლიტიკურ პროცესზე, საკუთარი კოდექსიდან გამომდინარე, მან „ჩაშვების“ კვალიფიკაცია მიანიჭა; ცნობილია მოქმედების ის პროგრამაც, რომელიც მოწმეთა თანდასწრებით იოსელიანმა გამსახურდიასთან

მიმართებაში წამოაყენა: „მოვაცილოთ ეს ნაძირალა, სანამ მთელი ხალხი არ დაღუპა“.

ამ პერიოდში იოსელიანის ძირითად მიზანს „მხედრონისათვის“ ოფიციალური სტატუსის მინიჭება შეადგენდა. 1990 წლის სექტემბერში, არჩევნებზე კომუნისტების დამარცხებამდე რამდენიმე კვირით ადრე, იოსელიანმა თავისას მიაღწია და ნებართვა მიიღო „მხედრონის“, როგორც იურიდიული პირის, რეგისტრაციაზე. ამაში მას ძველი მეგობარი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გურამ მგელაძე დაეხმარა (ამჟამად ის მსხვილი ბიზნესმენია და მოსკოვში სათამაშო ბიზნესის დიდ ნაწილს აკონტროლებს). „მხედრონმა“ მაშველთა კორპუსის სტატუსი მიიღო, რამაც იოსელიანს უფლება მისცა, ლეგალურად შეექმნა ბაზები და ქვედანაყოფები საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

„მხედრონი“ რეგისტრირებული იყო როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია იარაღის ფლობის უფლების გარეშე, მაგრამ აქტიურ შეიარაღებას განაგრძობდა (ამ პერიოდისათვის უკვე გააჩნდა ჯავშან-ტექნიკა). არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გამსახურდიამ გააუქმა „მხედრონის“ რეგისტრაცია და აკრძალა მისი ფუნქციონირება, მაგრამ რეალურად მისი დაშლა ვერ გაბედა, სანამ ხელსაყრელი შემთხვევა არ მიეცა. ეს იყო გორბაჩოვის ბრძანებულება „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაშლის შესახებ“, რომელიც 1990 წლის ზამთარში გამოქვეყნდა. პრეზიდენტს შესაძლებლობა გაუჩნდა, დახმარებისათვის საბჭოთა არმიისათვის მიემართა. 1991 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპეცდანიშნულების რაზმმა იარაღისა და ტექნიკის ამოსაღებად ოპერაცია ჩაატარა ყოფილი კომკავშირული ქალაქის ტერიტორიაზე თბილისის გარეუბანში, სადაც „მხედრონის“ ცენტრალური ბაზა იყო განლაგებული. ამოღების შედეგი გახლდათ რამდენიმე დაჭრილი ორივე მხრიდან, „მხედრონის“ ხელმძღვანელისა და მისი უახლესი გარემოცვის დაპატიმრება. იოსელიანს მაშინ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის უკანონო შენახვის გამო წაუყენეს ბრალდება.

ამ პერიოდში ჯაბა იოსელიანთან ერთად ციხეში იმყოფებოდ-

ნენ: სამხრეთ ოსეთის ლიდერი ტორეზ კულუმბეგოვი, საქართველოს ედპ-ს თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია, კინოოპერატორი გიორგი ხაინდრავა, ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია. ყველა მათგანი საერთაშორისო ამნისტიამ ცნო, როგორც სინდისის პატიმარი. იქვე წამოაყენეს პატიმარი იოსელიანი კანდიდატად პრეზიდენტის პოსტზე. შეიტყო თუ არა ამის შესახებ, გამსახურდიამ პარლამენტის სესია მოიწვია და კანონი შეცვალა.

ციხეში მყოფმა იოსელიანმა ინტუიციურად კარგად იცოდა, თუ როგორი რეაგირება უნდა მოეხდინა ხელისუფლების თვითნებობაზე. მან მშრალი შიმშილობა გამოაცხადა და 42 დღის შემდეგ მხოლოდ კათალიკოს-პატრიარქის დაჟინებული თხოვნით შეწყვიტა ეს აქცია. როგორც ყველა ფოლკლორული გმირისათვის, იოსელიანისთვისაც ციხეში გატარებული დრო პოპულარობის პიკად იქცა.

1991 წლის დეკემბერში იოსელიანი ციხიდან გამოვიდა. ამ მომენტამდე ექვსი დღით ადრე თბილისში პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო. აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ კიტოვანის გვარდიელები – პუტჩისტების მთავარი ძალა – მაგრამ დიდი დანაკლისის გამო მათ შეწყვიტეს პრეზიდენტის სახლის შტურმი. მხარდაჭერა გვარდიელებს იოსელიანმა აღმოუჩინა. ციხიდან გამოსული ის უკვე ორი საათის შემდეგ მიტინგზე გამოვიდა მოწოდებით – „ყველა ძალა – რეჟიმის დასამხობად“.

დღე-ღამის განმავლობაში გვარდიელებმა საჭირო შეიარაღება მიიღეს (თუმცა, დიქტატურის წინააღმდეგ გამოსულმა დანაშაულებრივმა სამყარომ არც საკუთარი თავი დაივიწყა: „კალაშნიკოვის“ ავტომატების ორასი ცალიდან ბრძოლის ადგილზე მეორე დღეს ნახევარიც აღარ იყო).

იოსელიანის სიტყვამ განსაზღვრა ზ. გამსახურდიას ბედი. სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის წინადადებას ქართველი კოლეგისათვის თავშესაფრის მიცემის თაობაზე, ასე უპასუხა: „ღვთის გულისათვის, ოთხივე კუთხივე გზა ჰქონია“, რითაც მან პრეზიდენტს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

გამსახურდიაზე გამარჯვება „მხედრონის“ ლიდერმა აღნიშნა

ფრაზით, რომელიც, ალბათ, პოლიტიკურ ანალებშია შესული: „საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ ცნობილი ქურდი და უცნობი მოქანდაკე!“

იოსელიანი გახლდათ მთავარი ინიციატორი საქართველოში ე.შევარდნაძის დაბრუნებისა. საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან რ იანვარს მან ასე გამოხატა საკუთარი პოზიცია: „რატომ გამოვიყვანოთ მინდორზე ნოდია, როცა გუნდში არის პეღე?“

დამხობილი გამსახურდიას მომხრეთა მისამართით, რომელთაც მისი ბრძანებით იმ დღესვე ცეცხლი გაუხსნეს, იოსელიანმა სხვა „აფორიზმი“ გამოიყენა: „დემოკრატია თქვენ ლობიოს ჭამა ხომ არ გგონიათ?“

სახელმწიფო საბჭოში, შემდეგ უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე და პარლამენტის დეპუტატის რანგში მოღვაწეობისას იოსელიანმა დანაშაულებრივი სამყაროს მსხვილი, საშუალო და წვრილი ფიგურების ლობირება დაიწყო. 1993 წელს მისი დაჟინებით გამოცხადდა ამნისტია, რის შედეგადაც, დაახლოებით, ხუთი ათასი ბოროტმოქმედი გათავისუფლდა. იოსელიანმა მკვეთრად შემოფარგლა გავლენის სფეროები: ერთ მხარეს „მხედრიონი“ კრეფდა ღალას, მეორეზე – გვარდია. „სანამ ცოცხალი ვარ, დიქტატურა არ იქნება“ – ასე განსაზღვრა საკუთარი მოვალეობა თანამედროვე ქართული საზოგადოების წინაშე მან. როგორც ჩანს, მართალი იყო: დიქტატურა და დამნაშავეთა სამყარო შეუთავსებელია.

1995 წელს იოსელიანი და მისი თანამებრძოლები სამშობლოს ღალატში და შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზებაში დაადანაშაულეს. გარდა ამისა, მას მიეწერებოდა ისეთი განმაურებული მკვლევლობების მოწყობა, როგორიც იყო ელპ-ს ლიდერის – გიორგი ჭანტურიას, საპრეზიდენტო ფონდის მეთაურის – სოლიკო ხაბეიშვილის<sup>64</sup>, სატრანსპორტო პოლიციის უფროსის – გიორგი

<sup>64</sup> სხვა ინფორმაციით ხაბეიშვილის მკვლევლობა მოწყობილი იყო დ. სანიკიძის მიერ სასტუმრო „გუდაურის“ ხელში ჩასაგდებად, რომელსაც ფაქტიურად ხაბეიშვილი ფლობდა.

გულუას და სხვათა მკვლევლობები.

„მხედრიონი“ კანონგარეშედ გამოცხადდა. 1998 წელს იოსელიანს 11 წლით პატიმრობა მიესაჯა, 2001 წელს ის შეწყალა შევარდნაძემ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ მოჰკიდა ხელი პოლიტიკას, ავადმყოფობამდე მცირე ხნით ადრე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებაც განაცხადა.

2003 წელს იოსელიანი გარდაიცვალა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკაში ისე, რომ ინსულტის შემდეგ გონზე არ მოსულა. მის სამკურნალოდ ბევრი ცნობილი სპეციალისტი ჩამოვიდა უცხოეთიდან. დაკრძალეს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

### **ოთარ ვიტალის ძე კვანტრიშვილი – კრიმინალური ავტორიტეტი და „საზოგადო მოღვაწე“**

ოთარ კვანტრიშვილი, დაბადებული 1948 წ. ქ. ზესტაფონში, ჩაწერილი იყო მოსკოვში – კრილაცკოეს ხოლმები, კორპ. 3, ბინა 90-91; გახლდათ რსფსრ დამსახურებული მწვრთნელი, გასამართლებული იყო 117-ე მუხლით (ჯგუფური გაუპატიურება). 80-იანი წლების დასაწყისში მუშაობდა თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელად „დინამოს“ ბაზაზე, თავი მოუყარა ავტორიტეტულ სპორტსმენებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს, რომელთა ნაწილი შემდეგ დანაშაულებრივ ჯგუფებში გაერთიანდა.

პირველსაწყისი კაპიტალი შექმნა იმ წილებით, რომელსაც ის მოსკოვის ცენტრის პრესტიჟულ სასტუმროებში („კოსმოსი“, „ინტურისტი“, „მეტროპოლი“) „მომუშავე“ მეძაგებისაგან დებულობდა.

მწვრთნელის საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ ხელი მიჰყო კომერციას. შეძლო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რიგი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, ისეთები, როგორიცაა ლიუბერცის, სოლნცევოს, ბაუმანის, ბალაშიხას, დოლგოპრუდის დაჯგუფებები. დაიწყო „ბაუმანიდან“, რადგან ამავე

რაიონში მოქმედებდა. აქ მდებარე ფიზკულტურის ინსტიტუტში ოთარის მეგობარი ბევრი სპორტსმენი საქმიანობდა. ამ პერიოდში დაუშვებობდა ის ოლიმპიურ ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში – მამიაშვილს<sup>65</sup>, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის რაიონში მოქმედ დაჯგუფებებს აკონტროლებდა და „ტურისტის ცენტრალურ სახლს“ კურირებდა.

ოთარმა კავშირი დაამყარა აგრეთვე იოსებ კობზონთან, რომელიც მოსკოვის საკონცერტო სანახაობათა დირექციის შემადგენლობაში შედიოდა. დირექციას ხელმძღვანელობდა ვინმე გლიკლადი. მისი თანაშემწე – გილდენბერგი, იგივე ანდრეევი, მილიციის ინფორმატორი იყო. დირექციას კავშირი ჰქონდა დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან. „სოლნცევოს“, კვანტრიშვილისა და გიდენბერგის დახმარებით თავდასხმა მოეწყო მომღერალ ვ. კუზმინზე, რომელსაც 75 ათასი მანეთი წაართვეს. მოგვიანებით თავს დაესხნენ ჯგუფ „კომბინაციის“ კომერციულ დირექტორს შიშინს, რომელიც იმის გამო მოკლეს, რომ უარი თქვა, ფული ეხადა.

საკონცერტო სანახაობათა დირექციიდან ჩამოყალიბდა სააქციონერო საზოგადოება „მოსკოვიტი“, რომელსაც სათავეში ი.კობზონი ჩაუდგა. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა კვანტრიშვილთან, ისინი მეგობრებიც გახდნენ.

მოგვიანებით ო. კვანტრიშვილმა და ა. კიკაღეიშვილმა ასოციაცია „XXI საუკუნე“ ჩამოაყალიბეს, თუმცა მათ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი და კაკილაშვილმა ოთარი ასოციაციიდან გამოიყვანა. ამის შემდეგ მან ლ. იაშინის სახელობის სპორტსმენტა სოციალური დაცვის ფონდი დააარსა და მისი პრეზიდენტი გახდა. აღნიშნულ პერიოდში, სარგებლობდა რა მამიაშვილთან და სხვა ცნობილ სპორტსმენტებთან კავშირებით, ის უმაღლესი დონის სამთავრობო წრეებს დაუკავშირდა.

კვანტრიშვილმა მოახერხა მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინა ბევრი დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერთან და კონტროლი განემტკიცებინა სხვადასხვა მსხვილ სახელმწიფო ორგანიზაციაზე,

<sup>65</sup> მამიაშვილი დღეს აკონტროლებს შორეულ აღმოსავლეთს და აქვს კრიმინალური კავშირები იაპონურ კლანებთან.

კომერციულ სტრუქტურაზე, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებაზე, მათი კაპიტალის ბრუნვაზე. მისი როლი გამოიკვეთა ისეთ კომერციულ სტრუქტურებში, როგორც არის „დინამო“, „მოსკვა“, „მოსკოვიტი“, „სოიუზ-თეატრი“ თავისი 8 ერთობლივი საწარმოთი და 12 კოოპერატივით, ბანკები: „ზაბოტა“, „კრედობანკი“, „განვითარება XXI საუკუნე“, „მეგაბანკი“.

მანვე მოაწყო და თავის კონტროლს დაუქვემდებარა სათამაშო ბიზნესი მოსკოვში. გახსნა კაზინო „როიალი“ მოსკოვის ცენტრალური იპოდრომის ტერიტორიაზე, კაზინო ყოფილი რესტორნის „ჰავანას“ შენობაში ლენინის პროსპექტზე, კაზინო სასტუმრო „ლენინგრადსკაიაში“, კაზინო სასტუმრო „ინტურისტში“, კაზინო „ვიქტორი“ სასტუმრო „უნივერსიტეტსკაიას“ შენობაში.

დიდი გავლენა ჰქონდა კვანტრიშვილს ერთობლივ საბჭოთა-იტალიურ საწარმოზე „ჯინდო-რუს“, რომელიც ბეწვის ნაწარმით მოვაჭრე 8 ფილიალს ფლობდა. გარკვეულ შემოსავალს ღებულობდა იგი იმ დანაშაულებრივი დაჯგუფებებიდან, რომლებიც აკონტროლებდნენ წვრილ საცალო ვაჭრობას უცხოელების ყოფნის ადგილებში: არბატი, ტვერის ქუჩა, კურსკის და ბელორუსიის სადგურები.

შსს სპეციალისტების აზრით, ო. კვანტრიშვილი ითვლებოდა დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტად მოსკოვში, თბილისში, კიევში, სხვა რეგიონებში. იგი იყო “იაპონჩიკის” ახლო მეგობარი, რომელთანაც ადრე ერთ საქმეშიც მონაწილეობდა. შემოწმებული მონაცემებით, ოთარს მჭიდრო კავშირები ჰქონდა უკრაინის და რუსეთის კაზაკებთან. მისდევდა ქველმოქმედებას, ხელს უწყობდა სპორტის განვითარებას, ეხმარებოდა ვეტერანებს. ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

1993 წლის აგვისტოში ჩეჩენ ბოევიკებთან საქმის გარჩევის დროს იაკიმანკაზე მოკლეს ოთარის უფროსი ძმა, „კანონიერი ქურდი“ ამირან კვანტრიშვილი, რომელიც ვაგანკოვის სასაფლაოზე ვ. ვისოცკის გვერდით დაკრძალეს.

ოთარ კვანტრიშვილი მოკლეს 1994 წლის 5 აპრილს სამი გასროლით კრასნოპრესნის აბანოებიდან გამოსვლისას. ესროლეს

მოპირდაპირე მხარეს განლაგებული სახლის სხვენიდან გერმანული მცირეყალიბიანი შაშხანიდან (5,6 მმ). დაასაფლავეს ძმის, ამირანის გვერდით.

### **ტარიელ ონიანი „კანონიერი ქურდი“, „ბიზნესმენი“ თუ „ქართული პოლიტიკის ნათლიმამა“?**

ტარიელ ონიანი დაიბადა 1958 წლის 2 ივნისს, ძირითადად ცხოვრობდა ქ. ქუთაისში ბელინსკის ქ. №6-ში. პირველად წყალტუბოში გაასამართლეს 1976 წელს ს.ს.კ. 150 მუხლის მეორე ნაწილით, მიუსაჯეს 2 წელი და 6 თვე, შემდგომში 1982 წელს ის გასამართლდა ქუთაისში ს.ს.კ. 150 მუხლის მეორე ნაწილით. ამჯერადაც მიესაჯა 2 წლით და 6 თვით პატიმრობა. 1985 წელს ქუთაისის სასამართლომ კვლავ გაასამართლა ს.ს.კ. 238 მუხლის პირველი ნაწილით და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1987 წელს კი თბილისის სასამართლომ ს.ს.კ. 252 მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ბოლოს 1995 წელს საფრანგეთის სასამართლომ სამუდამო პატიმრობის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ იგი თავისუფალი აღმოჩნდა.

ა. მუხინი წიგნში „რუსული ორგანიზებული დანაშაულობა და ხელისუფლება“ წერს: „ქართველი ქურდების ქუთაისურ ფრთას სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა ავთანდილ ჩიხლაძე („კვე-ჟო“), შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ელგუჯა კუბლაშვილმა<sup>66</sup>, („გიჟუა“), რომელიც ონიანის ოჯახთან მეგობრობს და მისი ბავშვის ნათლობაზე საფრანგეთშიც კი გაფრინდა. სხვათა შორის, ნათლობას ესწრებოდნენ დიპლომატები, კომერსანტები, ქართული არტიტული ბომონდის წარმომადგენლები. შსს-ში თვლიან, „რომ ონიანის ოჯახს გავლენა აქვს მოსკოვის ქართულ კრიმინალურ თანასაზოგადოებაზე“<sup>67</sup>.

<sup>66</sup> ე. კუბლაშვილი, ამჟამად გარდაცვლილია.

<sup>67</sup> იხ. А.А. Мухин, Российская организованная преступность и власть м. 2003г. стр.120

ტ. ონიანის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. ამჟამად მიმოვიხილავთ მასზე ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციებს.

გაზეთმა „ახალი ვერსია“ გასული წლის 6 ივნისს პირველ გვერდზე გამოიტანა სტატია სათაურით „ტარიელ ონიანი ქართული პოლიტიკის ნათლიმამა“, სადაც ვკითხულობთ, რომ: „აირხენა“-ში ტარიელ ონიანს 17% აქვს, ერთ-ერთი დეპუტატი ტარიელ ონიანის წყალობითაა ცოცხალი (გულის ოპერაცია დაუფინანსა). რუსეთ-საქართველოს მატჩს 13 ათასი გულშემატკივარი რომ დაესწრო, ტარიელ ონიანის დამსახურებაა, გაეროს დამკვირვებელთა გამოსახსნელი თანხა ტარიელ ონიანმა გადაიხადა, კოდორის ხეობის მართვის ბერკეტები ტარიელ ონიანის ხელშია, უცხოეთში ქართულ დელეგაციებს ტარიელ ონიანი თავის აპარტამენტებს უთმობს და ავტორიტეტულ მოღვაწეებთან შეხვედრებს უწყობს. აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტაში ტარიელ ონიანი გადამწყვეტ როლს ითამაშებს.

აღნიშნული ჩამონათვალი ნებისმიერს დააფიქრებს, ვინაიდან ყველა მოქმედება სახელმწიფო უწყებათა მოღვაწეობის ძირითად სფეროებთანაა კავშირში. მივყვეთ გაზეთის კორესპონდენტის – გიგაშვილის პუბლიკაციას. მსოფლიოში ცნობილი ქართული კრიმინალური ავტორიტეტის, „კანონიერი ქურდის“ – ტარიელ ონიანის სახელი ბოლო პერიოდის მედიის ყურადღების ცენტრში სულ უფრო ხშირად ხვდება<sup>68</sup>; იმ დროს, როდესაც მთავრობა სპეციალურ სხდომებს უთმობს კოდორის ხეობაში გაეროს დამკვირვებელთა გატაცების პრობლემებს და უშედეგოდ, მძევლებს ტ. ონიანი ათავისუფლებს. ეს ინფორმაცია რატომღაც არ ხმაურდება, თუმცა საგაზეთო პუბლიკაციებში მაინც კეთდება სამართლიანი დასკვნები იმის თაობაზე, რომ, როცა ქვეყანაში სამართლებრივი ინსტიტუტები არ მუშაობენ და არც ჩვენს ძალოვან უწყებებს შეუძლიათ ქვეყნის იმიჯზე ზრუნვა, მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველოს რეპუტაციაზე „კანონიერი ქურდი“ ზრუნავს. პუბლიკაციის ავტორს მიაჩნია, რომ თუკი აქამდე მასთან მეგობრობით

<sup>68</sup> იხ. გაზ. „ახალი ვერსია“. 2003 წ. 6 ივლისი, გვ. 3.

სულ რამდენიმე სახელმწიფო პირი ამაყობდა, ახლა ცნობილი ხდება, რომ ის ზოგიერთი გავლენიანი სახელისუფლებო ფიგურის ძმადნაფიცია, ზოგიერთის – ბავშვის ნათლია, ზოგის – უბრალოდ, კარგი მეგობარი, ზოგისთვის კი მსხნელი და მშველელია.

ონიანის ახლობლები გაეროს დამკვირვებელთა გატაცებაში მისი მონაწილეობის ვერსიას აბსურდულად მიიჩნევენ. მათი აზრით, „რა სჭირს ტარიელ ონიანს და ემზარ კვიციანს იმის საფასური, რომ ეს ბიზნესი აკეთონ, ორივეს საკმაოდ ძლიერი ბიზნესი აქვთ... ტარიელმა თუ გატაცებულის გამოსასყიდად ფული გადაიხადა, გატაცება როგორღა ბრალდება? მას არ აინტერესებს, აქ როგორი იმიჯი ექნება არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური და არც მორალური თვალთახედვით“.

თუ საინფორმაციო წყაროებს დავეყრდნობით, „ქ. ქუთაისში ონიანის გავლენას, ფაქტობრივად, ექვემდებარება ფირმა „შანსილი“, ნიკეას ქუჩაზე განლაგებული შ.პ.ს „ფაზისი“, თამარ მეფის ქუჩაზე არსებული ლომბარდი, ჭავჭავაძის №53-ში განთავსებული სამრეწველო საქონლის სარეალიზაციო ბაზა „ოაზისი“, წმინდა ნინოს ქუჩაზე ცენტრალური სასურსათო ბაზა, წყალტუბოს რაიონში მდებარე ბენზინგასამართი სადგური „ონიანი ვაჟა“<sup>69</sup>.

ონიანის სახელს ბევრ საქველმოქმედო საქმეს უკავშირებენ: ნიკორწმინდის რესტავრაციას, თავის კუთხეში სკოლების აშენებას, ხიდების აგებას. რიგ საგაზეთო პუბლიკაციებში ფიგურირებს მოსაზრებები, რომ ის არის ბიზნესმენი, რომელიც ეხმარება სამშობლოს, არის თავისი ქვეყნის პატრიოტი და გულშემატკივარი. ქურდები კი ისინი არიან, ვინც ბიუჯეტს ძარცვავენ და ხალხის ფულს იპარავენ, ისინი დღევანდელ ხელისუფლებაში უნდა ვეძიოთ<sup>70</sup>.

რაც შეეხება მის დამოკიდებულებას პოლიტიკასთან: “ტარიელი შევარდნაძეს არასოდეს გაეკარება, პატიოსანი კაცია, მას ათას რამეს უგონებენ, ის ნამდვილი ბიზნესმენია. ტარიელს იმდენი კაპიტალი არა აქვს, არჩევნები დააფინანსოს, რაც აქვს, იმასაც

<sup>69</sup> იხ. გაზ. „ახალი ვერსია“. 2004წ. 26 იანვარი-1 თებერვალი, №4(132), გვ.3.

<sup>70</sup> იგულისხმება ყოფილი ხელისუფლება.

ძმურად უყოფს გაჭირვებულებს.”<sup>71</sup> ე.ი. მას პოლიტიკა არ აინტერესებს.

გაზეთ „ახალი ვერსიის“ პუბლიკაციაში მითითებულია „რუსთავი-2“-ის ეთერით გახმაურებული სკანდალური განცხადება, თითქოს ტ. ონიანი ყოფილ სახელისუფლებო ბლოკს უჭერდა მხარს.

რიგი საინფორმაციო საშუალებები „ონიანის სახელს პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირებდნენ და არჩევნებში პარტიების წარმატება- წარუმატებლობაში მის გავლენაზეც საუბრობდნენ. ვრცელდებოდა ინფორმაციები მინისტრებთან ავტორიტეტის საპატიო სტუმრად მიპატიჟების თაობაზე“<sup>72</sup>.

შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ბარამიძე ბიზნესმენ ქურდებს ციხით ეშუქრება, – წერს გაზეთი „ახალი ვერსია“: „ჩაგვივარდებიან ხელში კონკრეტული კრიმინალით – პასუხს აგებენ, თუნდაც ეს ტარიელ ონიანი იყოს“<sup>73</sup>.

ჩვენ ერთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია. შესაძლებელია ტ. ონიანს პოლიტიკა მართლაც არ აინტერესებდეს, მაგრამ პოლიტიკოსებისათვის იგი, უდავოდ, საინტერესო ფიგურაა და დახმარებისათვის ალბათ ამიტომ მიმართეს. გარდა ამისა, ონიანი ქურდული სამყაროს „ახალი თაობის“ წარმომადგენელია, „რეფორმისტულ ქურდულ კანონებს“ ემორჩილება და მისი ავტორიტეტი დამნაშავეთა „ელიტაში“ კვლავ მაღალია.

<sup>71</sup> იხ. გაზ. „ალიონი“, 21-24 ივნისი, №24 (69), გვ. 7.

<sup>72</sup> იხ. გაზ. „ახალი ვერსია“. 2004წ. 26 იანვარი-1 თებერვალი, №4(132), გვ.3.

<sup>73</sup> იხ. გაზ. „ახალი ვერსია“. 2004 წ. 2-8 თებერვალი, №5 (133), გვ. 6.

## 7. „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტის ბაჩენისა და არსებობის მიზეზები საბჭოთა კავშირში

პროფესიული ორგანიზებული დანაშაულობის და „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტის ჩასახვასა და განვითარებას საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების სხვადასხვა ეტაპზე თავისი კანონზომიერი მიზეზები აქვს. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, რომელსაც პირობითად „ქამელეონს“ უწოდებენ, სსრკ-ში ორგანიზებული დანაშაულობა შეიძლება შევადაროთ ქამელეონს, ე.ი. ცხოველს, აღჭურვილს უნივერსალური ფუნქციით – მიმიკრიით, რაც მას საშუალებას აძლევს გამარჯვებული გამოვიდეს არსებობისათვის ბრძოლაში. ქამელეონის მსგავსად, საბჭოთა კავშირში დანაშაულობა გამუდმებით იცვლიდა „შეფერილობას“, ერგებოდა რა პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს. იგი აღწევდა ეკონომიკურ სტრუქტურებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, მოახდინა საბჭოთა საზოგადოების დეზორგანიზება და კორუმპირება, რაც საბოლოო ჯამში მისი კოლაფსის მიზეზი გახდა. პ. როუვილსონის აზრით, ორგანიზებული დანაშაულობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების თვალსაზრისით, შეიძლება, გამოვყოთ მისი განვითარების ოთხი სტადია:

**პირველი სტადია** – რეაქციული, რომელიც ხასიათდება საზოგადოების მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით და სახელმწიფოს ტოტალიტარულობით, რომელიც ძირშივე ახშობს ორგანიზებული დანაშაულობის გამოვლინებას და არ შედის მასთან არავითარ გარიგებაში (ეს პერიოდი მოიცავს XX საუკუნის 30-იან 50-იან წლებს).

**მეორე სტადია** – პასიური ასიმილაციისა, რომელიც გამოიჩევა სახელმწიფოს ტოტალიტარიზმის მკვეთრი შესუსტებით, კონტროლისა და დისციპლინის შესუსტებით სამართალდამცავ სისტემაში, რაც გამოიხატება კორუფციით და კერძო მეწარმეობის საქმიანობის აქტივიზაციით (მოიცავს 60-70-იან წლებს).

**მესამე სტადია** – აქტიური ასიმილაცია, რომელიც გამოიჩევა სახელმწიფო სტრუქტურების მკვეთრი შესუსტებით, ჩინოვნიკების

და სამართალდამცავი სფეროს კორუმპირებულობის ამაღლებით, კრიმინალური იდეოლოგიის მატარებელთა აქტივიზაციით, ორგანიზებული დანაშაულობის ზრდით (80-იანი წლები).

**მეოთხე სტადია** – ე.წ. პრორეაქციული, რაც მდგომარეობს „ანომის“ მდგომარეობის გამოვლენაში და მჟღავნდება ეკონომიკური და სამართლებრივი განუკითხაობით, სახელმწიფო სტრუქტურათა დეზორგანიზაციით, დანაშაულობის ყველა სახეობის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ზრდით (მოიცავს პერიოდს 90-იანი წლების დასაწყისიდან)<sup>74</sup>.

თუ შევადარებთ ავტორთა მიერ „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის განვითარების შემოთავაზებულ ფაზებთან, შეიძლება გაკეთდეს ზოგიერთი ლოგიკური დასკვნა ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის ფუნქციონირების მიზეზებისა და ძირითადი მექანიზმების შესახებ:

1. საქართველოში „კანონიერი ქურდები“ გაჩნდნენ ტოტალიტარული საზოგადოების განვითარების პირველ – რეაქციულ სტადიაზე 30-იან წლებში, როგორც სახელმწიფოებრივი რეჟიმისადმი წინააღობის და თავისი წევრების თვითგადარჩენის ეფექტური სტრუქტურა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მონური ექსპლუატაციის პირობებში.

შრომაგასწორებით დაწესებულებათა შექმნის იდეა სტალინის 1927 წელს თურქეთიდან გამოსულმა ნაფტალი ფრენკელმა შესთავაზა. საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა „შრომითი გამოსწორების“ სახელით ცნობილი საბანაკო სისტემა, მაგრამ ის არ იყო სრულყოფილი. საბჭოთა მსჯავრდებული ამ სისტემაში განიხილებოდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც ბოროტმოქმედი და არა როგორც იაფი სამუშაო ძალა.

ნაფტალი ფრენკელი დაიბადა კონსტანტინეპოლში. კომერციული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან გახსნა ხე-ტყის სავაჭრო წარმოება დონეცკის გუბერნიაში. ფირმა მდებარეობდა მარიუპოლში. ფრენკელის წარმოებას თავბრუდამხვევი წარმატება ჰქონდა. რამ-

<sup>74</sup> Rawlinson P. – Russian Organized Crime: A Brief History., Transnational Organized Crime V.2, 1996, p.29



დენიმე წლის შემდეგ მას გაუჩნდა პირველი მილიონი, რითაც ორთქლმავლები იყიდა.

ხე-ტყით მოვაჭრე მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ 20-იანი წლების შუა ხანებში გაიხსენა და სიკვდილამდე აღარც დავიწყებია. სანამ ბირჟას წარმატებები ჰქონდა, მისთვის ხმა არავის გაუცია, მაგრამ როგორც კი საქმე უარესობისაკენ წავიდა, ფრენკელი დააპატიმრეს და ლუბიანკაზე უკრეს თავი. როგორც ჩანს, იქვე გაჩნდა ახალი ბანაკების აგებისა და ძველების რეკონსტრუქციის იდეა. სოლოვეცკის ბანაკი რომ თავიდან აეცილებინა, ფრენკელმა გადაწყვიტა დაემტკიცებინა თავისი საჭიროება და შეუცვლელობა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის.

ფრენკელი მაინც გაგზავნეს სოლოვეცკის კუნძულებზე. 1929 წელს ნაფტალი არონოვიჩის ნახვა თვით სტალინმა მოისურვა. კუნძულზე თვითმფრინავი მოფრინდა და გამოემგონებელ-რაციონალიზატორი მოსკოვში წაიყვანა. საუბარი სტალინთან დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, რის შემდეგაც ფრენკელს განსაკუთრებული რწმუნებები მიეცა და მან მთელი ფრონტით გაშალა მოღვაწეობა.<sup>75</sup>

ბელომორკანალის მშენებლობაში დამსახურებისათვის თურქეთის ყოფილი ქვეშევრდომი ბამლაგის მშენებლობის უფროსად დაინიშნა და ნაყოფიერი იდეისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

სახელმწიფო რეპრესიულ მანქანასა და „კანონიერი ქურდების“ სტრუქტურას შორის პრაგმატული სიმბიოზი დამყარდა, რაც საშუალებას იძლეოდა, ერთი მხრივ, მაქსიმალურად გაზრდილიყო “გულაგში” მსჯავრდებულთა ძირითადი მასის ექსპლუატაციის ეფექტურობა, ხოლო მეორე მხრივ, კრიმინალები განსაზღვრული ტრადიციებისა და წესების ჩარჩოებში ჰყოლოდათ, რაც ბუნებრივად შეზღუდავდა მათს ძალაუფლებასა და რაოდენობას.

სახელმწიფოსა და ქურდებს შორის ეს დამოკიდებულება არ ატარებდა თანამშრომლობის ხასიათს და შეიძლება, დახასიათდეს როგორც იძულებითი თანაარსებობა. იმისათვის, რომ წინ აღდგო-

მოდნენ სახელმწიფოს ტოტალიტარულ სისტემას და შეენარჩუნებინათ ავტონომიურობა, ქურდული კანონის პოსტულატები კატეგორიულად კრძალავდა ყოველგვარ კონტაქტს ხელისუფლებასთან როგორც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ისე გარეთ. ხელისუფლება, როდესაც აუცილებელი იყო, თვალს ხუჭავდა ბანაკებში ქურდების პრივილეგიებულობაზე, რადგან ისინი სხვა პატიმრებს აიძულებდნენ უკეთ ემუშავათ გეგმის შესასრულებლად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მათ. ომის შემდეგ საზოგადოებაში კრიმინოგენური ვითარების გაუარესების და არხებისა და გზების მშენებლობაში პატიმრების შრომის არარენტაბელობის საპასუხოდ ხელისუფლებამ „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტზე ტოტალური შეტევა განახორციელა, რასაც 50-იანი წლების ბოლოსათვის მისი სერიოზული დეგრადაცია მოჰყვა.

2. მეორე სტადია, ე.წ. პასიური ასიმილაცია, ხასიათდებოდა ტოტალიტარიზმის შესუსტებით, სსრკ და, კერძოდ, საქართველოს სამართალდამცავი და პენიტენციური სისტემის გაუაზრებელი რეფორმატორული პროცესებით.

სტალინის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ვოლუნტარისტული მეთოდებით მოახდინა სსრკ შსს რეფორმირება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდ და მას სერიოზულად შეუკვეცა დაფინანსება და უფლებები.

მსგავსი რეფორმის განხორციელებამ მნიშვნელოვნად დაასუსტა ოპერატიულ-სამძებრო და პროფილაქტიკური სისტემები. შედეგად აღმოცენდა „კანონიერი ქურდების“ ახალი ტალღა. ამ ეტაპზე ქურდებმა თავიანთი კანონების შეცვლა იწყეს, ისინი უკვე პასუხობდნენ დროის მოთხოვნებს და ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებს. პირველ რიგში ქურდული კანონის ის პოსტულატი შესუსტდა, რომელიც დაუმეგბლად მიიჩნეოდა ხელისუფლებასთან რაიმე კონტაქტს და მონაწილეობას შრომით საქმიანობაში. უარყვეს სახელმწიფოსაგან იზოლაციონიზმის მკაცრი ნორმები, რასაც ტრადიციული ქურდები მოითხოვდნენ, შესაძლებლად ჩაითვადა ხელისუფლებასთან კავშირის დამყარება და უს-

<sup>75</sup> А. Кучинский. Тюремная энциклопедия. <http://drink.dax.ru/turma/index.shtml>; В. Лебедев Архивы Любьянки. Нафталий Аронович Френкель. <http://borzoi.dvo.ru/elib/lebed000/>

აფრთხობის გარანტიების მატერიალური სარგებლობის მიღების მიზნით გამოყენება.

ამ პერიოდში სახელმწიფოსა და „კანონიერი ქურდების“ დაახლოება ეპიზოდური კორუმპირებულობის ხასიათს ატარებდა და ჩინოვნიკების დაბალ ფენებზე (მილიციის, კოლონიის ოფიცრები და სხვ.) ვრცელდებოდა. უმაღლესი ხელისუფლება კი, პირიქით, ცდილობდა, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობის დონე სასტიკი სამართლებრივი მეთოდებით დაეწია. ასე მაგალითად, 1962 წელს სსრკ ყველა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში შეიტანეს ცვლილებები და დამატებები, რომელთა შესაბამისად, კორუფციისა და დატაცებისათვის განსაკუთრებული სასჯელები (სიკვდილით დასჯაც კი) გამოიყენებოდა. დახვრიტეს რამდენიმე საქმოსანი და მექრთამე. თუმცა კრიმინალურ სტრუქტურებზე დამაჯერებელი გამარჯვების მიღწევა უკვე ვეღარ მოხერხდა.

3. აქტიური ასიმილაციის მესამე სტადიამ თავი იჩინა 80-იან წლების დასაწყისიდან და საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეჟიმის სრულ დეგრადაციას დაემთხვა. აღნიშნულს თან ახლდა სახელმწიფოსა და პარტიის მიხრწნილი ხელმძღვანელების შეცვლა. მკაცრი განაწილების და გათანაბრების ეკონომიკურმა სისტემამ, აგრეთვე კერძო მეწარმეობის სრულმა აკრძალვამ კრახი განიცადა გორბაჩოვისა და მისი მომხრეების პირველი რეფორმებისთანავე.

სახელმწიფოში სამართლებრივი ვაკუუმი დამყარდა. ასეთ პირობებში სახელმწიფო საკუთრება, პრაქტიკულად, უპატრონო აღმოჩნდა და მისი პრივატიზება ჩრდილოვანმა სტრუქტურებმა და ჩინოვნიკებმა დაიწყეს.

ეს პერიოდი ჭეშმარიტად „ოქროს ხანად“ მოეგლინათ პროფესიონალ ბოროტმოქმედებს. მათ მაღალი ორგანიზებულობა გააჩნდათ და შეძლეს, სწრაფად მორგებოდნენ არსებულ რეალიებს. „კანონიერი ქურდების“ ხელმძღვანელობით მცირერიცხოვანი, მაგრამ შეკავშირებული ჯგუფები საჭირონი აღმოჩნდნენ საწარმოო სიმძლავრეების მიტაცებისა და მართვის, კონკურენტების თავიდან მოცილების, პერსონალის ექსპლუატაციის და დანაშაულებრივი

გზებით ნაშოვნი ფულის გათეთრებისათვის. აღნიშნულის საფუძველზე პარტიულ თუ სახელმწიფო ფუნქციონერებსა და პროფესიული დანაშაულობის ლიდერებს შორის მჭიდრო და ხანგრძლივი კავშირები დამყარდა. ამ პროცესს კი სხვადასხვა პოლუსის სოციალურ ფენათა სტრუქტურული სიმბიოზი (ჩინოვნიკი-ბოროტმოქმედი) და განგსტერული თუ მაფიოზური სტილის ორგანიზებული დანაშაულობის მასობრივი გამოვლინებები და სახელმწიფოს კანონზომიერი რღვევა მოჰყვა.

4. მეოთხე – პროაქტიური სტადია ამთავრებს კრიმინალური სახელმწიფოს ფორმირებას, რაც დანაშაულებრივი ავტორიტეტების მიერ პოლიტიკისა და ბიზნესის კორუმპირებული ჩინოვნიკების შეცვლისა და განდევნის გზით ხდება. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებული კრიმინალური თანასაზოგადოების ხელში მოქცეული ტოტალური მონოპოლიზაციის კანონზომიერ პროცესს თან ახლავს სახელმწიფო და კერძო საკუთრების ძარცვა, ეთნიკური და რეგიონული კონფლიქტები და ეკონომიკის კოლაფსი. ასეთი სტადია შედარებით დიდხანს არ გრძელდება, ჩვეულებრივ, მისი შეცვლა შეიარაღებული გზით (გადატრიალებით ან რევოლუციით) ხდება.

პროაქტიური სტადია დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის 1990-1995 წლების პერიოდში. მისი დასაწყისი დაემთხვა პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობას, შეიარაღებულ გადატრიალებას და ხელისუფლებაში ტრიუმვირატის – ჯ. იოსელიანის, თ. კიტოვანის, თ. სიგუას – მოსვლას, ე. შევარდნაძის ხელმძღვანელობით სამხედრო საბჭოს შექმნას. სტადია დასრულდა კონსტიტუციის მიღებით, შევარდნაძის არჩევით, იოსელიანისა და კიტოვანის დაპატიმრებით და „მხედრონის“ დაშლით.

1995 წლიდან პროაქტიური სტადია კვლავ შეიცვალა აქტიური ასიმილაციის სტადიით, რომლის დროსაც ჩინოვნიკებმა დაკარგული ძალაუფლება დაიბრუნეს და „კანონიერ ქურდებთან“ და სხვა კრიმინალებთან ერთად რესპუბლიკაში პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გაკონტროლება დაიწყეს.

## 8. “ქურდული კანონი”

„კანონიერი ქურდების“ გარემოს სტრუქტურული იერარქია საკმაოდ დემოკრატიულია. მათ შორის არ არიან პირდაპირი ხელმძღვანელები (მეთაურები) იმდენად, რამდენადაც ქურდები თავიანთ თავს თავისუფალ ადამიანებად აღიქვამენ და არ ემორჩილებიან ვინმეს ბრძანებას. ისინი „ქურდული კანონის“ მიხედვით ცხოვრობენ.

ძირითადად, 20-იანი წლების ბოლოს ფორმულირებული „ქურდული კანონები“, მკვლევართა აზრით, მთლიანად დანაშაულებრივი სამყაროს „იდეურობის“ სულისკვეთებითაა გააღწეული.

ქურდული კანონი ბევრით არაფრით განსხვავდება „ფიგანების“ მიერ აღიარებული წესებისაგან. იგი შვიდ ძირითად დებულებას მოიცავს:

- ქურდული იდეის ერთგულება და მხარდაჭერა;
  - სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტების დაუშვებლობა;
  - სხვა კანონიერ ქურდებთან ან ავტორიტეტებთან ურთიერთობებში პატიოსნების დაცვა;
  - თავიანთ წრეში ახალი წევრების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ჩათრევის ვალდებულება;
  - პოლიტიკური მოღვაწეობის აკრძალვა;
  - კონტროლი გამასწორებელ დაწესებულებებსა და დროებითი დაკავების საკნებში წესრიგის დაცვაზე, იქ ქურდების ძალაუფლების დამყარება;
  - კარტის თამაშის აუცილებელი ცოდნა.
- ამ შვიდი ძირითადი წესიდან გამომდინარეობს შემდეგი დამატებები:
- უარი ნებისმიერ სახელისუფლებო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე;
  - უარი საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებისათვის ჩვენების მიცემაზე;
  - უარი ჩადენილი დანაშაულის აღიარებაზე;

- კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება თანამშრომლებთან და მათ ადგილსამყოფელთან დაკავშირებით;
- საკუთრების და დანაზოგის არქონა;
- ოჯახის არყოლა;
- პერიოდული პატიმრობა;
- უარი იარაღზე;
- ნებისმიერ პირობებში მუშაობაზე უარის თქმა;
- ზონაში წესრიგის დაცვა, ე.ი. კონფლიქტის გარჩევა, კამათის, დანის ტრიალის და ა.შ. დაუშვებლობა;
- პატიმრების ყოფნის ადგილების მომარაგება;
- ქურდული სალაროს შევსება, ე.ი. მსჯავრდებულების, პატიმრებისგან და ა.შ. მოსაკრებელის აღება;
- მშობლების (განსაკუთრებით, დედის) პატივისცემა<sup>76</sup>;
- ნებისმიერი პარტიის, გაერთიანების წევრობაზე უარის თქმა;
- “ჟარგონის” ცოდნა;
- ახალგაზრდობისათვის ცხოვრების, “გაგების” სწავლება;
- ჩაწერის (რეგისტრაციის) არქონა;
- პატიოსნება ქურდებთან კარტის თამაშის დროს;
- თანაშემწის (შესტიორკის) ყოლა.

ზოგიერთი ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ქურდული და ციხის კანონები. ქურდული კანონი – ეს არის „კანონიერი ქურდებისათვის“ აუცილებელი დაუწერელი წესები და ნორმები. მთელი რიგი მისი დებულებებისა ვრცელდება არა მარტო „კანონიერ ქურდებზე“, არამედ ყველა განსასჯელზე, პატიმარზე. ქურდული კანონის ნაწილს, რომელიც ყველა დანარჩენისთვისაა აუცილებელი, ციხის კანონი ეწოდება. ე.ი. ციხის დაუწერელი კანონი ეწოდება ნორმების, წესების, აკრძალვების, ტრადიციების კრებულს, რომელიც აუცილებელია ყველა მსჯავრდებულის, პატიმრისა და სხვათათვის, მიუხედავად მათი კუთვნილებისა ამა თუ იმ კატეგორიისათვის. ციხის კანონი არეგ-

<sup>76</sup> სხვა კანონებით, ქურდმა უარი უნდა თქვას უახლოეს ნათესავეებზე, დედაზეც კი. ტატუირებაში ‘ნე ზაბუღუ მატ რადნუიუ’ – დედა ნიშნავს ქურდულ გარემოს.

ულირებს დამოკიდებულებებს როგორც ცალკეულ განსასჯელებს, ისე პატიმართა ჯგუფებს შორის; იგი განსაზღვრავს აღმოცენებული კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმებს როგორც პირთა, ისე ჯგუფებს შორის<sup>77</sup>.

ციხის კანონი:

- გამოყოფს წილს „საერთო სალაროში“;
- კრძალავს ძალადობის გამოყენებას „კანონიერი ქურდის“ მიმართ;
- პატივს სცემს უფროსებს;
- პატივს სცემს მშობლებს;
- შეურიგებელია დაბეზლებისადმი;
- კრძალავს უსაფუძვლოდ რაიმეს წართმევას;
- კრძალავს ვინმეს მიმართ მტკიცებულების გარეშე ბრალდების წაყენებას;
- კრძალავს შეურაცხყოფას;
- კრძალავს უცენზურო გინებას;
- მხარს უჭერს დაოჯახებულებს;
- კრძალავს სექციაში შესვლას („არ გაწითლებს“);
- კრძალავს თავისიანების გაქურდვას.

ეს არის ქურდული კანონის ძირითადი წესები, რომელიც კიდევ ბევრ წესსა და რიტუალს შეიცავს.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ციხის კანონის ნორმათა დაცვა სავალდებულოა როგორც „კანონიერი ქურდებისათვის“, ისე ყველა დანარჩენი განსასჯელისათვის, ხოლო ამ კანონის ცალკეულ დებულებათა დაცვა აუცილებელია მხოლოდ „კანონიერი ქურდებისათვის“ და იმ პირთათვის, ვინც ქურდად განდომას აპირებს. ამასთან აღვნიშნავთ, რომ ქურდული და ციხის კანონების ბევრი დებულება ერთმანეთს ემთხვევა.

დანაშაულებრივი ავტორიტეტები, რომლებიც იყენებენ კრიმინალური სუბკულტურის თავისებურებებს და სარგებლობენ განსაკუთრებული მდგომარეობით თავისუფლების აღკვეთის აღვილებში,

<sup>77</sup> Александров Ю.К. Очерки криминальной субкультуры. – М.: «Права человека», 2001. – 37 с.

ცდილობენ მიაღწიონ:

- სრულ გავლენას მსჯავრდებულთა და პატიმართა არამყარ კატეგორიაზე კანონის რანგში აყვანილი ნორმებისა და წესების დახმარებით;
- მსჯავრდებულთა და პატიმრების მასის უმკაცრეს მართვას თვით ძალისმიერი მეთოდებით (მკვლელობის ჩათვლით), მათ დამორჩილებას;
- მომუშავე მსჯავრდებულთა გარემოში შეღწევას გამასწორებელი დაწესებულების ზონაზე კონტროლის განხორციელების, საკვები პროდუქტების, სპირტიანი სასმელების, სიგარეტების, ფულის, ნარკოტიკების შეტანის მიზნით;
- უკანონო პრივილეგიების მიღწევას პატიმრებზე ზეწოლის გზით.

ნებისმიერი კანონი, მათ შორის, არაფორმალური ქურდული, გამოიხატება შესაბამისი „ბლატიანი“ სანქციებით იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ეს კანონი დაარღვიეს. ეს იმ პირებსაც ეხება, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის აღვილებში იმყოფებიან, თუმცა ლაპარაკი იმაზე, რომ იქ ორგანიზებული დანაშაულებრივი თანასაზოგადოებაა, არ შეიძლება. „კანონიერ ქურდებს“ აქვთ სანქციების სამი სახე, რომლებიც მათ მიმართ გამოიყენება:

- სახალხოდ სილის გაწვნა წვრილმანი დარღვევისათვის (უფრო სწორად უსაფუძვლო შეურაცხყოფისათვის); ეს შეიძლება, გააკეთოს მხოლოდ ქურდმა.
- ყურებში ჩარტყმა უფრო დაბალ, ე.წ. „მუუიკების“ კატეგორიაში გადაყვანა;
- სიკვდილი.

ქურდული კანონის ძირითად დებულებათა დარღვევისათვის ქურდს არ შეიძლება, ჰქონდეს შეწყალების იმედი. ის იძებნება მანამ, სანამ არ იპოვიან და დასჯიან. ქურდების შეკრების მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ თავისი თავის პატივისმცემელი არ-ესტანტი ვალდებულია, მისჯილთან შეხვედრისთანავე მოიყვანოს განაჩენი სისრულეში, ე.ი. მოკლას.

იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან „კანონ-

იერი ქურდის“ რანგს, შეიძლება გამოიყენონ ბევრი სანქცია, რომელთაგან ძირითადია:

- ცემა;
- მამათმავლობის ძალადობრივი აქტის გამოყენება (განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა შორის), ანუ ყველაზე დამამცირებელ ჯგუფში გადაყვანა;
- დაკავებული სტატუსის ჩამორთმევა (ყურებში ჩარტყმა) „ბლათიანების“ კატეგორიიდან „მუჟიკების“ კატეგორიაში გადაყვანა;
- ოჯახიდან (მიკროჯგუფიდან) გაძევება – ოსტრაკიზმი.
- პარაფინი, ე.ი. მამათმავლობის სიმბოლური აქტი; დამნაშავეს ტუჩებზე სასქესო ასოს გატარება, ამასთან, მამათმავლობის აქტი არ სრულდება.
- ხელების (ფეხების) დამტვრევა – გამოიყენება უსაფუძვლოდ ვინმეს გამლანავის მიმართ;
- „ფუფლიჟნიკად“ გამოცხადება – გამოიყენება იმ პირთა მიმართ, ვინც კარტში წააგო და დროზე არ გადაიხადა. მათ შესახებ ცნობა იგზავნება ბანაკებში, ციხეებში;
- სიკვდილი – საკმაოდ იშვიათად გამოიყენება ციხის კანონის უხეში დარღვევისათვის (როდესაც ზუსტადაა დადგენილი, რომ პირი სამართალდამცავი ორგანოს აგენტია ან „საერთო სალაროდან“ დიდი თანხა მოიპარა). მკვლელთაზე სანქცია კანონიერმა ქურდმა ან ადგილობრივ ავტორიტეტთა კრებამ უნდა გასცეს.

## 9. ქურდული თანასახობალოების სტრუქტურა

დღესდღეობით „კანონიერი ქურდების“ რიცხვი ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე, დაახლოებით, 1000 კაცს შეადგენს<sup>78</sup>.

სპეციალური კარტოთეკის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალურად იყო რეგისტრირებული 349 ე.წ. „კანონიერი ქურდი“.

მათ შორის ეროვნების ნიშნის მიხედვით:

„კანონიერი ქურდების“ ეროვნება	რაოდენობა
ქართველი	315
რუსი	2
სომეხი	20
აზერბაიჯანელი	3
ებრაელი	1
ქურთი, ასირიელი	9
ბერძენი	3
სულ	349

ასაკის მიხედვით:

ქურდები ასაკის მიხედვით	წლები
20 წლამდე	1
30 წლამდე	62
30-დან 60-მდე	259
60-ის ზევით	27

ერთი შეხედვით, ეს თითქოს ამორფული ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ „ბლათის“ კანონითაა გაერთიანებული, მას არა აქვს დისლოკაციის მუდმივი ადგილი. მასში ყველა თანასწორია, თუმცა კავშირი წევრებს შორის იმდენად მყარია, რომ „ქურდები“ როგორღაც

<sup>78</sup> И. Гуров Организованная преступность в России раздел 3 [http://www.aferizm.ru/criminal/ops/op\\_gurov/op\\_3.htm](http://www.aferizm.ru/criminal/ops/op_gurov/op_3.htm)

ერთ მთელს წარმოადგენენ.

თავისუფლების პირობებში ქურდები ცხოვრობდნენ თემებად. ასეთი თემები ყველა მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტში იყო. ისინი სპეციალიზაციის მიხედვით მცირე ჯგუფებად იყოფოდნენ, მაგალითად, ერთი ჯგუფი ჯიბის ქურდებისგან შედგებოდა, მეორე – ყაჩაღებისაგან, მესამე – ბინის ქურდებისგან და ა.შ.

მკვლევართა აზრით, არსებობს 10-ზე მეტი მკვეთრად დაყოფილი ქურდული პროფესია, რომელთა საქმიანობა მკაცრად არის რეგლამენტირებული, აქვს თავისი სტრუქტურა. ეს იძლევა საფუძველს, გაკეთდეს დასკვნა, რომ ქურდული თანასაზოგადოება – ესაა პროფესიონალთა ორგანიზებული კრიმინალური თანასაზოგადოება.

#### ა) “კანონიერ ქურდად” კურთხევა

დანაშაულებრივი გარემოს ლიდერები ყველანაირად ცდილობენ, დაამტკიცონ თავიანთი ერთგულება „ქურდული იდეისადმი“ და მკაცრად იცავენ ყველა რიტუალს, ტრადიციასა და ჯგუფური ქცევის ნორმებს. ქურდის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალია მისი „კურთხევა“, ე.წ. “კანონიერი ქურდის” რანგში აყვანა.

„ქურდად კურთხევა“, როგორც დანაშაულებრივი ტრადიცია, 20-30-იანი წლებიდან მოდის, როდესაც „ნეპმენის ქურდები“ საკუთარი ავტორიტეტის გაზრდისათვის ლეგენდას ავრცელებდნენ ქურდული კასტის ყაჩაღთა ატამანებისაგან თავიანთი წარმოშობის შესახებ. ეს ატამანები თითქოს თავადაზნაურულ ფენას მიეკუთვნებოდნენ.

რიტუალის მონაწილეთა შორის აუცილებლად უნდა იყოს ე.წ. „პალაჟენეცი“ – ქურდული მოვალეობებით და უფლებებით აღჭურვილი ავტორიტეტი განსაზღვრული გამოსაცდელი ვადით, რომელიც შემდეგ „კანონიერი ქურდი“ უნდა გახდეს, „მაყურებელი“ – კრიმინალური ავტორიტეტი, რომელიც განსაზღვრულ ტერიტორიას ან ობიექტს აკონტროლებს და „კანონიერი ქურდების“

მფარველობის ქვეშ იმყოფება. მათ ზოგჯერ „თავადებს“ უწოდებენ. არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თანამედროვე ქურდები თავს ნამდვილი თუ გამოგონილი თავადების შთამომავლებად მიიჩნევენ. მაგ., 1994 წლის ოქტომბერში კანონიერმა ქურდმა, მეტსახელად “ციცკა”, საუბრის დროს განაცხადა, რომ ის წარმოშობით ქართველი თავადების ჩამომავალია და თავის ყოფნას ქურდულ თანასაზოგადოებაში შემთხვევითობად არ მიიჩნევს. ანალოგიურ განცხადებებს აკეთებდა ქურდი „რეზო თბილისელი“.

თუ სისხლისამართლებრივი ავტორიტეტი იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც ყოველმხრივ მხარს უჭერს იმ მსჯავდებულებსა და პატიმრებს, რომლებიც უხეშად არღვევენ საგამოძიებო იზოლაციაში ან გამასწორებელ დაწესებულებებში ყოფნის რეჟიმს, წინააღმდეგობას უწევენ ადმინისტრაციას და სხვა მსგავს „გმირობებს“ ჩადიან, ეს დადებითად ფასდება და, შესაბამისად, ხელს უწყობს „კურთხევას“.

„კანონიერ ქურდად“ შეიძლება, “იკურთხოს” მხოლოდ ის ბოროტმოქმედი, რომელიც დაჯგუფებაში მიიღეს სპეციალურად მოწვეულ ყრილობაზე, ამასთან, გაიარა სამწლიანი გამოსაცდელი ვადა, რომლის განმავლობაშიც იგი ქურდების მიერ მოწმდებოდა და ამის შემდეგ ეძლეოდა ორი ან სამი „კანონიერი ქურდის“ ზეპირი რეკომენდაცია. ის პირნი, რომელთაც ახალბედებს მისცეს რეკომენდაცია, პასუხისმგებელნი არიან ყრილობის წინაშე მისი შემდგომი ქცევისათვის. თანასაზოგადოებაში მიღებული ქურდი გადადიოდა თვისებრივად ახალ კატეგორიაში და იმ მომენტიდან ვალდებული იყო, შეესრულებინა „ქურდული კანონის“ ყველა მოთხოვნა.

ზოგ შემთხვევაში ავტორიტეტები, სხვადასხვა მიზეზის გამო, უარს ამბობენ “კურთხევაზე”. თვითონ ავტორიტეტები ამას „ქურდული გვირგვინის“ სიმძიმით ხსნიან. სინამდვილეში ყველას არ შეუძლია, ყოველთვის დაიცვას ქურდული ადათი, ტრადიციები და მორალი. მაგალითად, კანონიერი ქურდობის კანდიდატი ვალდებულია თავის დროზე და დაწვრილებით მოუყვეს საკუთარი წარსულის შესახებ იერარქიულ საფეხურზე მასზე მაღლა მდგომ ბოროტ-

მოქმედს, დახმარება გაუწიოს თანამზრახველებს, მკაცრად მოექცეს იმ პირებს, რომლებსაც არ შეაქვთ ფული „საერთო სალაროში“, წინააღმდეგობას უწევენ ქურდებს. ასეთ შემთხვევებში მას არ აქვს უფლება, უკან დაიხიოს და წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად ყველა საშუალებას უნდა მიმართოს (შანტაჟიდან დაწყებული მკვლელობის ორგანიზაციით დამთავრებული).

მეორე მხრივ, რიგი ბოროტმოქმედნი “ქურდული კანონის” მიხედვით ვერასდროს გახდებიან ქურდები. ასეთები არიან: ჰომოსექსუალისტები, ის პირები, რომლებიც პატიმრობისას დახმარებას უწევდნენ ადმინისტრაციას, აგრეთვე „ფუფლიუნიკები“ (კარტში წაგებული ან რაიმე სხვა ვალის არგადამხდელნი), „ბეზრედელშიკები“ და სხვები, აგრეთვე კომკავშირის ან კომპარტიის წევრები, არმიასა და სამართალდამცავ ორგანოებში მოსამსახურენი და ისინი, ვინც საკმაოდ არ იცნობს ან არ აღიარებს ქურდულ მორალს, რის საფუძველსაც ქურდული თანასახოგადობისათვის დახმარების გაწევა წარმოადგენს. მაგალითად, აქვს კრიმინალური შემოსავალი და ფული არ შეაქვს საერთო სალაროში ან არ ეხმარება პატიოსან პატიმრებს და შემოსავალს მხოლოდ პირადი მიზნებისათვის იყენებს.

ზოგიერთი კრიმინოლოგი და პრაქტიკული მუშაკი თვლის, რომ „კურთხევის“ (კორონაციის) რიტუალი არ შეიძლება, შესრულდეს მიმოწერით ან რამდენიმე ქურდის წერილობითი რეკომენდაციით. თუმცა, როგორც შსს ოპერტიული მუშაკები ამტკიცებენ, ასეთი ფაქტები არსებობს. კერძოდ, მითითებულია, რომ კრასნოიარსკის მხარის ერთ-ერთ შრომაგასწორებით ბანაკში, სადაც პატიმრები 10 საკანში იყვნენ განაწილებულნი, „კანონიერი ქურდების“ კანდიდატურის განხილვა და მიღება ხორციელდებოდა მიმოწერის გზით, რამდენადაც იზოლაციის პირობები გამორიცხავდა ყრილობის მოწვევას. თუმცა ეს ნაკლებდასაჯერებელია. საქმე ის არის, რომ ყველა ქურდული შეკრება, სადაც კანდიდატების “კანონიერ ქურდებად” “კურთხევა” ხდება, ეწყობა არალეგალურად. ყველაფერი, რაზეც ამ შეკრებებზეა ლაპარაკი, გასაიდუმლოებულია და მასზე ხელი მხოლოდ ვიწრო წრის პირებს მიუ-

წვდებათ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ამ საიდუმლოების გამჟღავნებისათვის დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერები სასტიკად უსწორდებოდნენ საიდუმლოს გამცემს. მათ მიმართ ხორციელდებოდა მამათმავლობის აქტი ან სხვა ფიზიკური ძალადობა, მკვლელობის ჩათვლით.

კორონაციის შესახებ ინფორმაციის მიღება დიდ რისკთან და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სირთულეებთანაა დაკავშირებული. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომელიც უარყოფს კურთხევის ჩვენს მიერ აღწერილ პროცედურას. ამ თვალსაზრისის მომხრენი ამტკიცებენ, რომ იგი მოგონილია და გადმოხატულია პარტიაში ან კომკავშირში მიღებიდან. მაგ., ლ. ვ. ტერი თავის წიგნში მიუთითებს: „კანონიერ ქურდად“ გახდომა მიმდინარეობდა დიდი ხნის მანძილზე და არავითარი კურთხევა, როგორც დამოუკიდებელი პროცედურა, არ არსებობდა“.<sup>79</sup>

ამ ავტორის აზრს ვერ დავეთანხმებით. ჩვენი თვალსაზრისი ემყარება სხვადასხვა გამოკვლევის შედეგებს (კრიმინოლოგიური კვლევა, ჩატარებული 1992-93 წლებში რუსეთის ფედერაციის შსს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ), აგრეთვე, ოპერატიული მუშაკების გამოკითხვის შედეგებს, ცალკეული კანონიერი ქურდების მონათხრობს. ლ. ვ. ტერის დასკვნას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. არ შეიძლება, გამოირიცხოს, რომ ის ისტორიას უღრმავდება, როდესაც მეფის რუსეთის ცენტრალურ და ციხეებში პროფესიული და სხვა ბოროტმოქმედები საქმის კურსში იყვნენ, თუ როგორ ლეზულობდნენ ბოლშევიკები თავიანთ რიგებში მათი შეხედულებების მოზიარე პატიმრებს და ითვალისწინებდნენ რა იმ მნიშვნელობას, რაც ამ რიტუალს კონკრეტული ადამიანისათვის ჰქონდა, მიღების პროცესი გადაიღეს და თავიანთი რიგების განმტკიცების მიზნით მას კრიმინალურ პრაქტიკაში იყენებდნენ. გარკვეული აზრით რეგიონთაშორისი ქურდული შეკრების შედარება პარტიის ყრილობასთან ან ცეკას პლენუმთან მართლაც შეიძლება. მათ განსაკუთრებული მსგავსება აქვთ იატაკქვეშ გამართულ

<sup>79</sup> см: В. Разинкин и А.Тарабрин - Цветная Масть: Элита Преступного Мира <http://blatata.ru/proza/mast01.htm>

ბოლშევიკურ ყრილობებთან. შემთხვევითი არაა, რომ 80-90-იანი წლების დასაწყისში, რამდენიმე ათეულმა ქურდმა თავიანთ შეკრებას „ყრილობა“ უწოდა. რამდენიმე ასეთი ყრილობა ჩატარდა თბილისში, ბაქოში, ტაშკენტში და სხვაგან.

უკანასკნელ პერიოდში „კანონიერ ქურდად“ კურთხევის რიტუალმა მნიშვნელოვანი დისკრედიტაცია განიცადა.

მკვლევარები აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ ქართველ „კანონიერ ქურდთა“ მთელმა რიგმა ტიტული მიიღო მოსყიდვით და კრიმინალურ სფეროსთან კავშირის წყალობით. ქართული დანაშაულებრივი სამყაროს ზოგიერთმა წარმომადგენელმა ქურდული კანონით გათვალისწინებული საკმაოდ მძიმე მოთხოვნების მიხედვით ცხოვრებას „კანონიერი ქურდის“ პატივსაცემი ტიტულის ყიდვა ამჯობინა. თუ რუს ქურდებში უფრო დიდი ავტორიტეტით ისინი სარგებლობდნენ, ვინც რაც შეიძლება მეტი ხნით იჯდა ციხეში, ქართველ ქურდებს შორის ისეთებიც გვხვდება, საერთოდ რომ არ უნახავს ციხის კარები და ისე აკურთხეს „კანონიერად“. ლიტერატურაში მოყვანილია მაგალითები, როდესაც „კანონიერ ქურდად“ 20 წლის ქართველი კრიმინალი აკურთხეს, ხოლო ამავე წოდებამდე ახალგაზრდა სომეხი არმენ კოსტანდიანი იმის გამო ამალდა, რომ მამამისმა („კანონიერმა ქურდმა“) საერთო სალაროში 300 ათასი დოლარი შეიტანა. უკანასკნელ დრომდე ასეთი ფორმით კორონაცია კატეგორიულად გამოირიცხებოდა რუს კრიმინალურ ავტორიტეტთა შორის. მიუხედავად ამისა, ასეთი პრაქტიკის გავრცელების მცდელობა საკმაოდ მკაცრი მეთოდებით ხდება. ასე მაგალითად, კილერების მსხვერპლი გახდა ავტორიტეტი, მეტსახელად რაული, რომელიც მოსკოვის რამდენიმე ბანკს აკონტროლებდა და ნავთობის ლეგალური ბიზნესით იყო დაკავებული. იგი „კანონიერი ქურდის“ ტიტულის ფულით ყიდვის წინააღმდეგ გამოვიდა, რისთვისაც სიცოცხლით ავო პასუხი. ძველი გვარდიის წარმომადგენელი ეს 52 წლის აფხაზი, რომელიც ერთ-ერთ უმსხვილეს ქართულ დანაშაულებრივ კლანში შედიოდა, მოსკოვში 1996 წლის 18 ნოემბერს მოკლეს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რუსი „კანონიერი ქურ-

დების“ საქმიანობის ანალიზის შედეგად რუსეთის ფედერაციის შსს ორგანიზებული დანაშაულობის მთავარი სამმართველოს მიერ გაკეთებული დასკვნები. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ 1991-დან 1996 წლამდე „კანონიერი ქურდების“ რიცხვი ექვსჯერ გაიზარდა, მაგრამ მათი ავტორიტეტის დონე კრიმინალურ სამყაროში მნიშვნელოვნად დაეცა. უკანასკნელ წლებში 40-50 კაცი ხდება ყოველწლიურად „კანონიერი ქურდის“ წოდების მატარებელი მაშინ, როდესაც ადრე მათი რიცხვი წელიწადში 4-5 კაცზე მეტს არ შეადგენდა<sup>80</sup>.

## ბ) თანამედროვე „კანონიერი ქურდების“ ფუნქციები

ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამნაშავეთა სამყაროში ლიდერობის პოზიციის შენარჩუნებისათვის „კანონიერი ქურდები“ ექვს ძირითად ფუნქციას ასრულებენ. ესენია: იერარქიული, ინფორმაციული, საორგანიზაციო, ნორმატიულ-მარეგულირებელი, კატალიზატორის და მაკუმულირებელი ფუნქციები.

## იერარქიული ფუნქცია

„კანონიერ ქურდებს“ დანაშაულებრივი იერარქიის ყველაზე მაღალი საფეხური უკავიათ, თუმცა არსებობს აზრი, რომ ისინი უფრო დაბალი დანაშაულებრივი პირამიდის რგოლებში იმყოფებიან და უფრო მაღალ ხელისუფლებას ემორჩილებიან. ეს არ არის მართალი, რამდენადაც ქურდი ციხეში, არსებითად, ციხის გარემოს მფლობელია და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მის გარეთაც აქვს გავლენა რამდენიმე ასეულ დანაშაულებრივ ჯგუფზე. ამის მაგალითია ოთარ კვანტრიშვილი (ყველაზე მეტად ავტორიტეტული ქურდი მოსკოვში, რომელიც 1994 წლის აპრილში მოკლეს); ვიჩესლავ ივანკოვი – „იაპონჩიკი“ – უდიდესი გავლენის

<sup>80</sup> См: X\_ Криминальный сайт России.htm



მქონე ქურდი საბჭოთა კავშირში, რომელიც ნიუ-იორკში 1995 წლის 8 ივნისს დააპატიმრეს და სხვები.

ქურდს ჰყავს ნდობით აღჭურვილი მრჩეველი, რომელმაც კარგად იცის ციხის სიტუაცია, შინაგანი პროცედურები და სუსტი ადგილები. ის დახმარებას უწევს დაწესებულებაში ისეთი აკრძალული საგნების და მომსახურების „იმპორტს“, როგორცაა ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ქალები. მის რჩევას ქურდი ითვალისწინებს კრიმინალური დაჯგუფების შემდგომი საქმიანობის განსაზღვრისას. ეს წესი მოქმედებს ციხის გარეთაც.

მრჩეველთა ღონეზე დაბლა დგას „მიწოდების ჯგუფი“. მისი წევრები პასუხს აგებენ საერთო მიწოდებისა და სალაროს დაცვის, შენახვისა და გამოყენების ორგანიზაციაზე. როგორც წესი, მათ ახლო დამოკიდებულება აქვთ ქურდებთან.

შემდეგი ღონეა ე.წ. „შესტიორკები“ – მომსახურე ბიჭები. ისინი, როგორც წესი, შერჩეულნი არიან იმათაგან, ვინც დაჯგუფებაზე მატერიალურად ან ფსიქოლოგიურადაა დამოკიდებული.

ციხის იერარქიაში ქურდს უფრო მოხერხებული ადგილი უკავია საკანში, როგორც წესი, ფანჯარასთან, კარებიდან და საერთო სარგებლობის ტუალეტიდან მოშორებით. ეს სიმბოლურად მნიშვნელოვანია ქურდისათვის, როგორც მისი ძალაუფლების გამოხატულება. ტუალეტთან („პარაშასთან“) ახლოს ადგილს იკავებენ „პეტუხები“ და ჰომოსექსუალისტები.

### **საინფორმაციო ფუნქცია**

„კანონიერი ქურდები“ აგროვებენ, ანალიზებენ და აფასებენ ფართო დიაპაზონის ინფორმაციას განსაზღვრული პირების, მოვლენების, დანაშაულებრივი სამყაროს და ადმინისტრაციის ორგანოების მიერ მიღებული წესების ჩათვლით. როგორც კარგი მენეჯერი, ქურდი ინფორმირებული უნდა იყოს გარემომცველი პირობების ცვლილებების, იმ გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ექნებათ ბრიგადის მომავლისათვის.

### **საორგანიზაციო ფუნქცია**

არანაკლები მნიშვნელობისაა მოქმედების ფაქტობრივი დაგეგმვა და ბრიგადის წევრთა შორის ვალდებულებების განაწილება, აგრეთვე კონტროლი მათ შესრულებაზე. მხედველობაშია მისაღები ბრიგადების დინამიკის და მათი წევრების თავისებურებანი. ქურდი საკმაოდ კომპეტენტური უნდა იყოს, თავის ხალხს რომ უხელმძღვანელოს. აქ ჩავარდნას შეიძლება გავლენის დაკარგვა მოჰყვეს.

### **მარეგულირებელი ფუნქცია**

„კანონიერი ქურდების“ ფუნქციის მნიშვნელოვანი ასპექტი არის კავშირის მექანიზმის განვითარება და მომსახურება. ამის ერთ-ერთი მეთოდია დანაშაულებრივი იდეოლოგიის და დანაშაულებრივი ცხოვრების რომანტიზაციის გავრცელება, რაც განსაკუთრებით, ახალგაზრდებზეა გათვლილი. ეს იოლად ხერხდება ციხის შიგნით იმდენად, რამდენადაც ძნელია ლიდერებთან კონტაქტის თავიდან აცილება. როდესაც სოციალური და ეკონომიკური პირობები საბჭოთა კავშირში მკვეთრად გაუარესდა, დანაშაულებრივი ცხოვრების მიმზიდველობამ ახალგაზრდობა აიძულა კრიმინალური მომავალი აერჩია.

ქურდი ვალდებულია, დაიცვას „ქურდული კანონი“ მის ხელქვეითებს შორის. წესები და სანქციები მათი დარღვევისათვის მკვეთრად უნდა დადგინდეს. ამ საქმეში ჩავარდნამ შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს ქურდის ავტორიტეტს. ქურდის შეურაცხყოფას ან მისი ბრძანების შეუსრულებლობას შეიძლება, მძიმე შედეგი მოჰყვეს.

გარდა ამისა, ქურდი არეგულირებს დამოკიდებულებას ბრიგადებს შორის, იცავს მათს ინტერესებს. ციხეში ეს ნიშნავს ყველას დაცვას და, ამასთანავე, ემსახურება ქურდის ავტორიტეტის ამაღლებას; სხვა ქურდებთან ციხის გარეთ შეკრებები კი აუცილებელია, რათა გაუგებრობა და კონფლიქტები გამოირიცხოს.

### კატალიზატორის ფუნქცია

ქურდი არის კრიმინალური თანასაზოგადოების დანაშაულებრივი საქმიანობის მამოძრავებელი და კატალიზატორი. გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია ფუნდამენტალურია და, ფაქტობრივად, ქურდის ყველა ქმედებას ეხება. როგორც ლიდერი, იგი პასუხისმგებელია გადაწყვეტილებების სისწორეზე, ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაზე. სწორი გადაწყვეტილების მიღება და ღირეულობის წარმატებით შესრულება მისი ძალაუფლების გაძლიერებას ემსახურება.

### მაკუშულირებელი ფუნქცია

ქურდების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა საერთო სალაროში ფინანსების აკუმულირება მატერიალური კეთილდღეობისათვის. საერთო სალარო („ობშაკი“) რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველი: ფონდის რაოდენობა უზრუნველყოფს ქურდის უფლებებსა და ავტორიტეტს და, შესაბამისად, მისი ბრიგადის მდგომარეობას განაპირობებს ციხეში და გარეთ. მეორე – ციხეში საერთო სალარო გამოიყენება ადმინისტრაციის მოქრთამვისათვის. მესამე – ციხის გარეთ საერთო სალარო გამოიყენება ოფიციალური პირებისა და სხვათა მოსყიდვისათვის. მეოთხე – იგი გამოიყენება პროდუქტების, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების შესაძენად, მეოთხე – თანხები ნაწილდება ახალ დანაშაულთა დაგეგმვისა და მხარდაჭერისათვის, დაბოლოს – საერთო სალარო საშუალებას იძლევა, დახმარება გაეწიოს მსჯავრდებულთა ოჯახებს.

ერთმა მკვლევარმა სცადა, განესაზღვრა თითოეული ამ მოქმედებისათვის გამოყოფილი თანხების წილი. აღმოჩნდა, რომ პატიმართა ოჯახების დასახმარებლად გამოიყენება, დაახლოებით, 22%, 26% მოდის ახალი დანაშაულების მომზადებაზე და 30% (დაახლოებით) მოქრთამვისათვის.

საერთო სალაროს შევსება სამი ძირითადი წყაროთი ხდება: შემოსავალი დანაშაულებრივი საქმიანობიდან, „გადასახადი“ ნორმებისა და წესების დამრღვევი დამნაშაულებებისაგან და სხვა ბრიგადებიდან შეტანილი ანაბრებისაგან.

### შეკრება

ძირითად მათემატიკურ და ხელმძღვანელ რგოლად ითვლება ქურდების შეკრება („სხოდკა“), რომელსაც დანაშაულებრივი ლიდერები „ყრილობას“ უწოდებენ. იგი ამ თანასაზოგადოების ნებისმიერი მოქმედი პირის მოთხოვნით შეიძლება მოიწვიონ. განსახილველი საკითხების მნიშვნელობის მიხედვით შეკრებები იყოფა შიდასაქალაქო, სათემო და თემთაშორისად (საკავშიროდ). შეკრებებზე, ჩვეულებრივ, სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემას განიხილავენ, ეწყობა საჩვენებელი სამსჯავრო ავტორიტეტების წინაშე შემცოდეთათვის. საკავშირო შეკრებები ძალიან იშვიათად იმართება. მათზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ, მათ შორის – სასამართლოს იმ ავტორიტეტებზე, რომელთა ღონეც სცილდება შიდასათემო შეკრებებისას.

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, საკავშირო ყრილობაზე ზოგჯერ 400-მდე მონაწილე იყრის თავს. ასეთი შეხვედრები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამართულა (მოსკოვში 1947 წელს, ყაზანში – 1955წ. კრასნოდარში – 1956 წ.). ცნობილია, რომ მოსკოვისა და კრასნოდარის შეხვედრებზე რამდენიმე ქურდი გაასამართლეს და საბოლოო განაჩენიც იქვე გამოუტანეს.

არსებული მონაცემებით, 80-90-იან წლებში ქურდული შეკრებების რაოდენობის ზრდა იყო განზრახული. ასე, მაგალითად, 1989-92 წლებში 26 შეკრება ჩატარდა. 1993 წელს დაახლოებით, 100, 1994 წელს – არანაკლებ 413, მათ მუშაობაში, დაახლოებით, 6656 კაცი მონაწილეობდა, მათ რიცხვში, დაახლოებით, 1210 ავტორიტეტი, მათ შორის, 232 „კანონიერი ქურდი“. ეს გარემოება დანაშაულებრივი სამყაროს კონსოლიდაციაზე მიუთითებს. თუ 1993 წელს შეკრებებზე, ძირითადად, იხილებოდა ის საკითხები, რომლებიც არ სცილდებოდა ქურდული თანასაზოგადოების სფეროებს, ორი მომდევნო წლის განმავლობაში, როგორც წესი, შეკრებებზე განიხილავდნენ სისხლის სამართლის პოლიტიკურ შეფერვას, მაგალითად, „ქურდულ“ რეკომენდაციებს ეთნიკურ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შორის ბრძოლასთან დაკავშირებით, რასაც ისინი ეკონომიკისა და ფინანსების განსაზღვრულ დარგებში გავლენის

სფეროებისათვის აწარმოებდნენ, აგრეთვე საკითხებს, დაკავშირებული სფეროების ადგილებში ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობასთან, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციასთან. 1993-95 წლებში რუსეთის სამხრეთში გამართული „შეკრებები“ თითქმის ლეგალურ ხასიათს ატარებდა. ღონისძიების შემდეგ მოურიდებლად ეწყობოდა ბანკეტები რესტორნებში, სადაც სამეურნეო მუშაკებს, ხელისუფლებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს იწვევდნენ. არაფერი შეცვლილა შემდგომშიც.

„შეკრებების“ ჩატარების რეგულარობა და სისტემა მხოლოდ „ქურდული თანასაზოგადოებისთვისაა“ დამახასიათებელი. მათი ჩატარების შემდეგ „საერთო სალაროში“ შენატანები იზრდება, აქტიურად ხორციელდება დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაცია, ძლიერდება ნეგატიური ადათებისა და ტრადიციების პროპაგანდა, მატულობს მართლსაწინააღმდეგო პრესინგი თავისუფლების ადკვეთის ადგილებში, ადგილი აქვს წინააღმდეგობათა შემდგომ გაღრმავებას დანაშაულებრივი სამყაროს შიგნით.

ხშირად შეკრებათა მონაწილეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მტკიცდება დსთ სხვადასხვა რესპუბლიკაში კრიმინალური აქციებით. მაგ. 1993 წლის ივნისში გამართულ რეგიონთაშორის შეკრებაზე ერთ-ერთ საკითხად ჩეჩნური დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ სლავთა ბრძოლის საკითხი იდგა. ამ შეკრების შემდეგ რუსეთის რამდენიმე მსხვილ ქალაქში კომერციული ბანკებისა და სააქციო ფირმების ოფისები აფეთქდა. მოკლეს რამდენიმე ლიდერი, მათ შორის, 1994 წლის აპრილში „კანონიერი ქურდი“, მეტსახელად სულთან-ჩეჩენი.

„შეკრებები“ ზოგჯერ მონაწილეთა დაპატიმრებით მთავრდება. 1993 წლის ოქტომბერში ტიუმენის ოლქში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების შედეგად ჩაიშალა შეკრება. დააკავეს 20-მდე უშუალო მონაწილე, აგრეთვე კრიმინალური ღონისძიების ჩატარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი, დაახლოებით, 50 კაცი.

1994 წლის დეკემბერში სანკტ-პეტერბურგში შსს-მ ჩაშალა

შეკრება, რომელიც ერთ-ერთ ფემინებელურ რესტორანში უნდა გამართულიყო. დააკავეს მონაწილენი. აღმოჩნდა, რომ მათგან 5 „კანონიერი ქურდი“ და 50 ავტორიტეტი იყო. აკავებულებისაგან, დაახლოებით, ერთი მღრდ. მანეთი, ყალბი დოკუმენტები და ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

1995 წელს სოჭში შსს თანამშრომლებმა ჩაშალეს რეგიონთაშორისი-საერთაშორისო შეკრება და ქალაქის სასაფლაოზე, დაახლოებით, 500 ავტორიტეტი და ბოევიკი დააკავეს, აქედან, დაახლოებით, 60 „კანონიერი ქურდი“ იყო, მათ შორის, ქურდი აშშ-დან, მეტსახელად „კაც“, და საბერძნეთიდან – „მატვეი“. ათ „კანონიერს“ ჩამოართვეს კინოფესტივალ „კინოტავრის“ მოსაწვევები. აქვე დაფიქსირდა შოკისმომგვრელი დეტალი – დაკავებულთა შორის აღმოჩნდა კრასნოდარის მხარის პროკურორის თანამშემწე თავისუფლების ადკვეთის ადგილებში ზედამხედველობის დარგში.

1997 წლის ზამთარში ვოლგისპირეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარდა მასშტაბური ოპერაცია სამარაში ქურდული „ყრილობის“ გამართვის აღსაკვეთად. თანამშრომლებმა დააკავეს კრიმინალური სამყაროს ელიტის 60 წარმომადგენელი. მათ ჩამოართვეს თანამედროვე კავშირის საშუალებები და მსხვილი ფულადი სახსრები. დაკავებულების სიაში იყვნენ ქართველი „კანონიერი ქურდები“: ამირანი, ანზორი, ვაჟა, გივი, აგრეთვე დუდაკა, სენკა. მათ უნდა განეხილათ „ვაზ“-ის მოსალოდნელი გაკოტრების და ტოლიატის ბანდიტურ დაჯგუფებებს შორის გაჭიანურებული კონფლიქტის პრობლემები, აგრეთვე გავლენის სფეროების გადანაწილების საკითხი ვოლგისპირეთის ნავთობის კომპანიებში. სამართალდამცავები მალე იბულებულნი გახდნენ, გაეთავისუფლებინათ დაკავებულები არასაკმარისი სამხილის გამო.

იმისათვის, რომ საიმედოდ უზრუნველყონ „ყრილობის“ მონაწილეთა უსაფრთხოება, „ქურდები“ მათ ზოგჯერ უცხოეთში ატარებენ. 1994 წელს, მაისში, დაახლოებით, ორი ათეული „კანონიერი ქურდი“ რუსეთიდან ავსტრიის დედაქალაქში შეიკრიბა. როგორც ცნობილი გახდა, შეკრების ინიციატორი იყო „იაპონჩიკი“. ვენის არჩევა შემთხვევით არ მომხდარა – გერმანიის და ავსტრიის დედაქალაქ-

ბი უფრო კარგადაა ათვისებული რუსეთის დანაშაულებრივი ლიდერების მიერ. ბევრი იქ სოლიდურ ქონებას, ფირმებს ფლობს. ზოგმა კი, გააფორმა რა ფიქტიური ქორწინება ადგილობრივ ქალბატონებთან, საცხოვრებლად ეს ქალაქები აირჩია<sup>81</sup>.

როგორც წესი, ოფიციალური ნაწილის ჩატარების შემდეგ ეწყობა ბანკეტები, ვახშამი გოგონების მოწვევით. ზოგჯერ ქურდები სხვადასხვა მკურნალის, ექსტრასენსების მომსახურებით სარგებლობენ. ცნობილია, რომ ვენის შეხვედრის შემდეგ „კანონიერები“ დასასვენებლად ალპებში გაემართნენ.

იშვიათობას არ წარმოადგენს „ქურდებისათვის“ ფასიანი საჩუქრების მირთმევა. მაგალითად, ტიუმენის ოლქში „ლონისძიებების“ შემდეგ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ „ახლად მონათლულმა“ ლიდერებმა უცხოური ავტომობილები აჩუქეს შორეული რესპუბლიკიდან ჩამოსვლისა და საჯარო ქვორუმის უზრუნველყოფისათვის.

1992-93 წლებში „კანონიერი ქურდი“ რანტიკი „საერთო სალაროში“ შენატანისაგან („დოლიანკა“) გაათავისუფლეს. იგი შავიზღვისპირეთში შეკრებების ჩატარების მთავარი ორგანიზატორი გახლდათ და შეიძლება ითქვას, რომ დანახარჯები აუნაზღაურეს.

საერთოდ, შეკრების ორგანიზაცია დელიკატური საკითხია. მას მხოლოდ გამოცდილ სპეციალისტს ანდობენ. ცნობილია, რომ საერთო სალაროდან ამ საქმისათვის 300 ათას დოლარზე მეტი გამოიყოფა (უსაფრთხოება, სამართალდამცავების მოსყიდვა)<sup>82</sup>.

კრიმინალურ შეკრებებზე გადასაწყვეტი უფრო ტიპური საკითხებია: „ქურდული“ პოლიტიკის შემუშავება, რაც კრიმინალურ სამყაროში, კრიმინალურ ბიზნესში, უკანასკნელ დროს კი – სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ცალკეულ დარგებში უნდა გატარდეს როგორც რეგიონის, ისე რუსეთის, დსთ მასშტაბით; იმ მუშაობის ორგანიზაცია, რაც მიზნად ისახავს სახ-

ელმწიფო, კომერციული და სხვა საწარმოებიდან გადაუხდელი ვალების ამოღებას; ღონისძიებების განსაზღვრა კონკურენტი ლიდერების და დანაშაულებრივი სტრუქტურების წინააღმდეგ; ძალისმიერი აქციების ორგანიზაცია სამართალდამცავი ორგანოების კონკრეტული თანამშრომლების, სხვა სახელმწიფო სტრუქტურების პირთა მიმართ. „საერთო სალაროს“ მდგომარეობის საკითხი; „ქურდად“ კურთხევის, კანონის დარღვევისათვის ცალკეულ ქურდთა და ავტორიტეტთა პასუხისმგებლობის საკითხები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქურდული „შეკრებები“ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, რომლებიც შედარებით იშვიათად ტარდება. ცხადია, ამას განაპირობებს გამასწორებელ დაწესებულებათა სპეციფიკა, კერძოდ, რეჟიმი და მეთვალყურეობა, ზედამხედველობის სხვადასხვა ფორმა. „შეკრების“ ჩასატარებლად ქურდები სარგებლობენ გარედან შექმნილი ხელსაყრელი პირობებით ან თვითონ ქმნიან ასეთს. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ასეთი ღონისძიებები ტარდება რესპუბლიკათაშორის ან რეგიონთაშორის საავადმყოფოებში, სადაც ზოგი ავადმყოფობით, ავადმყოფობის სიმულაციით ან ეტაპირებით ხვდება, ზოგიც ექიმების მოსყიდვით ან მანტაჟირებით. დაგეგმილი მომენტისათვის ციხის საავადმყოფოში ერთდროულად 5-7, ან 10-15 „კანონიერი ქურდი“ იყრის თავს, ეს „შეკრებისათვის“ აუცილებელი ქვორუმია. შეკრების შემდეგ აუცილებლად იწერება მიმართვა („ქსივა“), რომელშიც აღწერილია მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი და რეკომენდაციები პატიმართა სხვადასხვა კატეგორიის მიმართ.

„პატიმრებო, მეგობრულად იცხოვრეთ, გახსოვდეთ, ქურდების ერთიანობა განუყოფელია, ამაშია ჩვენი ძალა“, – ნათქვამია ერთ-ერთ ასეთ გზავნილში.

უკანასკნელ პერიოდში ოპერატიული მუშაკები აფიქსირებენ კრიმინალური შეკრებების ჩატარებას ციხეებსა და საგამომიებო იზოლატორებში, რასაც წინათ იშვიათად აწყდებოდნენ. ჩვენი აზრით, ეს მიზეზებისა და პირობების ისეთი კომპლექსითაა განსაზღვრული, როგორცაა: განსაკუთრებით საშიშ ლიდერთა აქტივიზაცია, სააღსრულებო სისტემაში კორუმპირებულობის ზრდა, ამ დაწესე-

<sup>81</sup> Андрей Викторов Путь русских Карлито. Легализовавшиеся столичные мафиози рвутся во власть [http://www.ng.ru/politics/2001-12-25/10\\_karlito.html](http://www.ng.ru/politics/2001-12-25/10_karlito.html)

<sup>82</sup> «Авторитетные» собрания” [http://www.aif.ru/online/aif/1162/09\\_02](http://www.aif.ru/online/aif/1162/09_02)

ბულებათა არასაკმაო ფინანსირება, ზოგიერთი სხვა ფაქტორი.

1994 წლიდან მოყოლებული, სიბირიაკის და სოლნცევოს დაჯგუფების ლიდერი “კანონიერი ქურდები“, სარგებლობდნენ რა ბუტირკის ციხის თანამშრომლებთან კორუმპირებული კავშირებით, ღამით სისტემატურად აღწევდნენ საგამოძიებო იზოლაციის ტერიტორიაზე და შეკრებებს ატარებდნენ. შეკრებებში მონაწილეობდნენ ქართველი „კანონიერი ქურდები“ “მაქრო სტარი” და “რეზო ტბილისკი”, აგრეთვე ციხეში მყოფი სხვა ავტორიტეტები. აღნიშნული უკანონობა ოპერატიულმა მუშაკებმა აღკვეთეს. ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკები, სპირტიანი სასმელები და დიდი ფულადი თანხები.

უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა, რომ დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერები თითქმის ლეგალურად ატარებენ შეკრებებს, რომლებშიც ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. აღნიშნული შეიძლება, განვიხილოთ როგორც „ქურდული მოძრაობის“ პროპაგანდა, „კანონიერი ქურდების“, როგორც „საქმიანი ხალხის“ ავითაცია და მათი სახეების რომანტიზაცია მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის თვალში.

ნეგატიური ადათებისა და ტრადიციების გავრცელება, ქურდული თანასაზოგადოების განმტკიცება ხელს უწყობდა „ქურდული“ მოძრაობის ახალ ხარისხობრივ სიმაღლეზე ასვლას. რუსეთის ტერიტორიაზე, მოსკოვის რეგიონში და რუსეთის სამხრეთში გაჩნდა ე.წ. „ქურდული ცენტრები“, რომლებიც თითქმის პერმანენტულად ფუნქციონირებენ. მასში გაერთიანებულნი არიან განსაკუთრებით ავტორიტეტული ქურდები არამარტო რუსეთიდან, არამედ მეზობელი რესპუბლიკებიდან და შორეული საზღვარგარეთიდან.

ეს „ცენტრი“ შეიძლება, ჩაითვალოს მუდმივმოქმედ „შეკრებად“, რომელიც, ძირითადად, დაკავებულია კრიმინალური თეორიულ-საკონსულტაციო და მაკორდინირებელი საქმიანობით როგორც „ქურდული თანასაზოგადოებების“, ასევე სახელმწიფოთაშორის დონეზე. ეს, ეჭვგარეშეა, აძლიერებს დანაშაულებრივ თანასაზოგადოებას და ხელს უწყობს მოსახლეობის ცალკეული ფენების შემდგომ კრიმინალიზაციას.

## დ) საერთო სალარო

ქურდულ კლანს აქვს სალაროები („ობშაკი“), რომლებიც ორი სახისაა: საბანაკო და თავისუფალი.

საბანაკო სალარო ზონაში ფორმირდება და ემსახურება რამდენიმე მიზანს: ადმინისტრაციის მოწყიდვას, კარცერისა და იზოლაციის მხარდაჭერას, სპირტიანი სასმელისა და ნარკოტიკების შეძენას, ლიდერის პირადი ხარჯების ანაზღაურებას. ყოველ დანაყოფში, რაზმში არის ადგილობრივი სალარო, ე.წ. „შნიფტი“, რომელსაც „კანონიერი ქურდის“ მიერ შერჩეული პატიმრები, ე.წ. „შნიფტარები“ მეთვალყურეობენ. ისინი შესატანებს მთელ რაზმში აგროვებენ — ესაა სიგარეტი, ჩაი, პროდუქტი, ფული, ტუალეტის საგნები. შესატანის ზომას განსაზღვრავს შეკრება. საერთო შესატანების გარდა გროვდება გადასახადი ბანქოში მოგებული თანხებიდან. მაგრამ ძირითადი სახსრები გარედან შემოდის. 70-იან წლებამდე „საერთო სალაროში“ ფული შეჰქონდათ არა მარტო პატიმრებს, არამედ მთელ ბანაკებს. თანხები დიდი არ იყო — 150-200 მანეთი თითო ზონიდან. ამგვარად, საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორებითი კოლონიები მხარს უჭერდნენ, ეხმარებოდნენ განსაკუთრებული და ციხის რეჟიმების ზონებს. მას შემდეგ, რაც თავისუფალი სალაროები მძლავრ ფინანსურ სტრუქტურებად გადაიქცა, ამის აუცილებლობა გაქრა.

არსებობის პირველ წლებში თავისუფალი სალარო ქურდების ნაბაყოფლობითი შენატანებით ივსებოდა. შეგროვილი ფული საიდუმლო ადგილას, მაგალითად, მიტოვებულ ადგილზე მოწყობილ სეიფში ინახებოდა. ქურდები ირჩევდნენ მოლარეს და გასაღებს აბარებდნენ. მას მხოლოდ სეიფის მოვლა-პატრონობა ევალებოდა.

სალაროს დაცვა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, მისი გახსნა არავითარ დაბრკოლებას წარმოადგენდა პროფესიონალისთვის. მაგრამ ქურდული სალარო თავისებურ „პოლკის დროშას“, ანუ ქურდის ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ნებისმიერს, ვინც მის ხელყოფას გაბედავდა, სიკვდილი ელოდა. როდესაც ქურდების რევიზორები დანაკლისს აღმოაჩენდნენ, გამოძიება იწყებოდა. ზოგჯერ სალაროს ფულს ყინავდნენ — ხანგრძლივი დროით შესანახად

დებდნენ, მაგალითად, სასაფლაოზე.

50-იან წლებში მოლარემ ჩუმად აიღო მცირე თანხა საერთო სალაროდან. დანაკლისი შემთხვევით აღმოჩნდა. მიუხედავად ქურდის ფიცისა, რომ ვალის დაბრუნებას ერთ კვირაში აპირებდა, მას სიკვდილი მიესაჯა. ახალი თაობის ქურდებს ემოციები მეორე პლანზე გადააქვთ, უპირატესობას მოგებას ანიჭებენ. როდესაც ერთ-ერთი ქურდი ციხიდან დაბრუნდა და სალაროს ფულით სამსართულიანი სახლი იყიდა, ქურდებმა შეკრებაზე მისი საქციელი მკაცრად დაემეს, შემდეგ სახლის გაყიდვა, ფულის სალაროში შეტანა და ჯარიმის გადახდა მოსთხოვეს. ჯარიმის ოდენობა ვალს ორჯერ აღემატებოდა. ვადად ერთი დღე-ღამე მისცეს. ქურდის თხოვნა ჯარიმის შემცირებისა და ვალის გავრძელების თაობაზე არ დაკმაყოფილებულა. სიკვდილისათვის თავის დასაღწევად მან თავისი, როგორც “კანონიერი ქურდის” უფლება გამოიყენა – საერთო სალაროდან უზარმაზარი პროცენტით კრედიტი აიღო, ვალი გადაიხადა და კრედიტის დაფარვა დაიწყო. ამბობენ, რომ ვალები გაისტუმრა და ცოცხალი გადარჩა.

თავიდან საერთო სალაროს დაწესება კეთილშობილურ მიზანს ისახავდა – დახმარების გაწევა ციხეში მოხვედრილებისა და მათი ნათესავებისათვის. მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მან სახე იცვალა.

დღეს ის შეიძლება, არსებობდეს ლეგალური საფინანსო სტრუქტურის სახითაც, მაგრამ, ძირითადად, მას ღრმა იატაკქვეშეთში მალავენ. საბანკო ანგარიში შეიძლება, დააყადონ, ნაღდ ფულს კი თითქმის ვერავენ მისწვდება. ამიტომ ქურდები მის შენახვას მყარი ვალუტის სახით ცდილობენ. ასეთი სალაროს დაცვას ანდობენ არა ერთსა და ორ კაცს, მცველთა რიცხვი ზოგჯერ ოცამდე აღის, მათ შეკრებაზე ირჩევენ. სალაროს დაცვა საპატიო და შემოსავლიანი საქმეა. ამ მისიას მხოლოდ ქურდული საქმის ფანატიკურად ერთგულ ხალხს ანდობენ. ფულის შენახვის ადგილი და ხერხი მხოლოდ დაცვისთვისაა ცნობილი. მცველები კი ყალბი პასპორტებით კონსპირაციულ ბინებში ცხოვრობენ.

სალაროს მცველებს უფლება აქვთ, სალაროს ხელყოფისათვის

საიქოს გაამგზავრონ ნებისმიერი, თვით ყველაზე ავტორიტეტული ქურდიც კი.

შინაგან საქმეთა ორგანოებს ხელში ჩაუვარდათ წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „დანაშაულებრივი სამყაროს კანონი, საერთო სალაროსა და ქურდული იდეის წესები“. იგი ისევეა შედგენილი, როგორც სასკოლო სახელმძღვანელო საშუალო დონის მოწაფისათვის. „რა არის საერთო სალარო? – ეს არის წმინდა ადგილი. საერთო სალაროს უნდა განაგებდნენ მხოლოდ წმინდა და ღირსეული ადამიანები, ესე იგი, ქურდები. რაც შეეხება საერთო სალაროს მესაჭეებს, ისინი უნდა იყვნენ კრისტიანულად პატიოსანი, თავაზიანი, სამართლიანი, იდეის სულითა და გულით ერთგული პირები, უნდა ერკვეოდნენ იდეოლოგიაში, ფილოსოფიაში, იურიდიულ მეცნიერებაში, აგრეთვე უნდა გააჩნდეთ ხანგრძლივი საპატიმრო ცხოვრების გამოცდილება. ყოველი მესაჭე უნდა ზრდიდეს 5-დან 15-მდე კაცს“.

მესაჭეების მოვალეობები საერთო სალაროში შემდგენილად ნაწილდება:

1. საერთო სალაროს თავი – 2 კაცი;
2. პასუხისმგებელი საყოფაცხოვრებო პირობებზე, საცხოვრებელ ზონებზე, თავყრილობებზე – 2 კაცი;
3. პასუხისმგებელი საწარმოო ზონაზე – 2 კაცი;
4. პასუხისმგებელი იზოლატორზე, საწინააღმდეგო ფოზე – 2 კაცი;
5. პასუხისმგებელი შემნახველ საკანზე – 2 კაცი.

საერთო სალაროს მესაჭეები მეთვალყურეობენ სალაროს პირად ფონდს. მათი უზრუნველყოფა მთლიანად სალაროს ფონდის ხარჯზე ხდება;

აქვე “კანონის” ავტორები სვამენ კითხვას: “აქვს თუ არა საერთო სალაროს უხეში ხასიათი ან სისასტიკე?” და თვითონვე პასუხობენ, რომ “აქვს,” ოღონდ იმ ხალხის მიმართ, რომლებიც სამართლიანი ადამიანების წინააღმდეგ მიდიან და ქურდულ იდეას ბილწავენ. თუ შსს მუშაკები დანაშაულებრივი სამყაროს მიმართ რაიმე განუკითხაობას ჩაიდენენ, საერთო სალაროს ზედამხედველები

ვალდებულნი არიან, 15 დღე-ღამის განმავლობაში მათ იმავე მე-  
თოდებით უპასუხონ.

არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც, შექმნილია საერთო  
საკავშირო სალარო და მისი თანხა ასობით მილიონი დოლარით  
განისაზღვრება. მისი დანიშნულებაა:

- ქურდების, სხვა ავტორიტეტების, მათი ოჯახების დანმარება;
- სხვა მსჯავრდებულების, პატიმრების, მათი ოჯახების დანმარება;
- დანაშაულებრივი ბიზნესის შემდგომი გაფართოება;
- აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლების (დეპუტატები, ჩინოვნიკები და ა.შ.) მოსყიდვა კრიმინალური ინტერესების ლობირებისთვის;
- შსს ორგანოების, პროკურატურის, სასამართლოს თანამშრომლების მოსყიდვა;
- დანაშაულებრივი ბიზნესის ლეგალიზაცია;
- დანაშაულებრივი გაერთიანებების მატერიალური და საფინანსო ბაზის შექმნა;
- პროპაგანდისტულ-ფსიქოლოგიური ფუნქციების შესრულება;
- პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის ორგანიზაცია.

## 11. „კანონიერი ქურდი“ როგორც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენელი

XX საუკუნის 30-50-იან წლებში ჩამოყალიბდა ქურდული თანასაზოგადოების კლასიკური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც 80-იანი წლების შუახანებამდე არ შეცვლილა და თავის ზოგიერთ თავისებურებას დღემდე ინარჩუნებს.

ლიტერატურაში და შსს ნორმატიულ აქტებში არსებული მონაცემები ქურდული თანასაზოგადოების დანაშაულებრივი საქმი-

ანობისა და ქცევის ნორმების შესახებ მეტად მწირი და საკმაოდ წინააღმდეგობრივია. 50-იან წლებამდე „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტს ორგანიზებული დანაშაულობის გამოვლინებად მიიჩნევდნენ და პოლიტიკური მოსაზრებებით მათ არსებობას სხვადასხვა ტერმინით (ბანდიტები, რეციდივისტები, ანტისაზოგადოებრივი ელემენტები და ა.შ.) ნიღბავდნენ<sup>83</sup>. მომდევნო წლებში ადგილი ჰქონდა ბოროტმოქმედთა ამ ჯგუფის პრაქტიკულ ლიკვიდაციას და მის შესწავლასაც ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოს მოახერხა ზოგიერთმა სწავლულმა და პრაქტიკულმა მუშაკმა, ღრმა გამოკითხვის გზით „კანონიერი ქურდის“ პიროვნება და, განსაკუთრებით, მისი კრიმინალური ქცევა შეესწავლა, თუმცა მიღებული მონაცემების შემდგომი ანალიზი მკაცრი ცენზურის გამო ზედაპირულად ჩატარდა.

ითვალისწინებს რა აღნიშნულ გარემოებას, ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ლიტერატურული წყაროების კომენტირებას და ქურდული „კანონების“ და მათი ცხოვრების აღწერას.

„კანონიერი ქურდი“ კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი და დამცველია. ის არის განსაზღვრული კანონებისა და ტრადიციების მიმდევარი ადამიანი, რომელიც განსაკუთრებული წესით ცხოვრობს. ცხოვრების ასეთი წესის მიმდევარი ასოციალური ელემენტები მორალური ნორმებისადმი ლოიალურობით, სისასტიკით, ზოგადად ადამიანური თვისებების – სიბრალული, თანაგრძნობა და ა.შ. – არქონით, სქესობრივი აღვირაზნისილობით, განვითარების დაბალი დონით გამოირჩევიან.

ხშირად ეს თვისებები ინიღბება როგორც სამართლიანობის, ამხანაგების მიმართ ერთგულების, თავისიანების მიმართ მოვალეობის გრძნობა. იმათ მიმართ, ვინც ქურდული წესების იგნორირებას ახდენს, მკაცრი სასჯელი გამოიყენება. ბევრ დაჯგუფებაში მისი წევრებისათვის სპორტის ძალისმიერი სახეობებით ვარჯიში (ძირითადად, აღმოსავლური ორთაბრძოლები) ეწყობა. უკანასკნელ პერიოდში ჯგუფებში შეისწავლიან აგრეთვე მიმდინარე კანონმდებლო-

<sup>83</sup> Криминология и система правоохранительных органов: США и Грузия. Тбилиси 2003, Коллектив авторов. С, 299

ბას, ამასთან, აქცენტი კანონების ეკონომიკურ ბლოკზე კეთდება.

ბევრი დაჯგუფებისათვის სპეციფიკური გახდა მართვის საკმაოდ მკაცრი სისტემა, თუმცა, დანაშაულებრივი ავტორიტეტის სიტყვას ადრეც კანონის ძალა ჰქონდა.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ურთიერთობები, როგორც წესი, ე.წ. “სწორი გაგებით” – არაფორმალური ნორმებისა და წესების სისტემით რეგულირდება. ამ წესებს აღიარებს და იცავს მსჯავრდებულთა აბსოლუტური უმრავლესობა, რაც ტრადიციული კულტურის ფასეულობებთან სიახლოვეთ შეიძლება აიხსნას. მაგალითად, ისინი ქადაგებენ შეურიგებლობას დაბეზლების მიმართ, აღიარებენ საერთო ინტერესის უზენაესობას კერძოზე, ძმობას პატიმრებს შორის, დახმარების გაწევას გაჭირვებაში ჩავარდნილთა მიმართ, სამართლიანობას, ბრალის წაყენების აკრძალვას მტკიცებულების გარეშე, და ა.შ.

კრიმინალური სუბკულტურის არსებობა ან არარსებობა ამა თუ იმ კოლექტივში (სკოლაში, სპეცსკოლაში, გამასწორებელი დაწესებულების რაზმში და ა.შ.) შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ნიშნებით:

- მკაცრი ჯგუფური იერარქია (სტრატეფიკაცია) – თავისებური ტაბელი რანგების შესახებ (უფრო ნათლად ეს მჟღავნდება დახურულ ახალგაზრდულ კოლექტივებში);
- დადგენილი წესებისა და ნორმების აუცილებელი დაცვა და ამავე დროს გამონაკლისის არსებობა იმ პირთათვის, ვისაც დანაშაულებრივ იერარქიაში უმაღლესი საფეხური უკავია;
- ერთმანეთის მიმართ იმ მტრულად განწყობილი დაჯგუფებების არსებობა, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ გავლენის სფეროებისათვის (ნარკოტიკების გასაღება, პროსტიტუცია, დახმარების გაწევა „ჭერის“ (“კრიშა”) შექმნაში და სხვ.);
- ციხის ლირიკის გავრცელება;
- გამოძალვის ფაქტები (ფულის, კვების პროდუქტების, ტანსაცმლის და ა.შ.);
- ჟარგონის გამოყენება (არგო);

- ტატუირება;
- სიმულაცია, ასოთდაზიანება;
- როგორც ძალადობრივი, ისე ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალიზმის გავრცელება; ამასთან, ასეთი საქმიანობა აქტიური ფორმით სამარცხვინოდ არ ითვლება მაშინ, როდესაც პასიური პარტნიორი ყოველთვის იერარქიული კიბის უმაღლეს საფეხურზე დგას და თანასაზოგადოებისაგან ფიზიკური და ფსიქოლოგიური იზოლაციის პირობებში იმყოფება;
- ბანქოს თამაშის გავრცელება;
- მეტსახელების არსებობა;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- კეთილმოწყობის და სხვა სამუშაოებში მონაწილეობაზე უარი;
- ჯგუფური დარღვევები;
- სხვადასხვა ნაკეთობის გავრცელება (ჯვრები, დანები, სამაჯურები, ციხის სიმბოლოიანი სუვენირები და სხვ.)<sup>84</sup>.

კრიმინალური სუბკულტურის სტრუქტურაში შეიძლება, გამოიყოს მისი შემადგენელი ნაწილები:

- „ტაბელი რანგების შესახებ“ – (სტრატეფიკაციულ-სტიგმაციური ელემენტები), რომელიც დაჯგუფების ამა თუ იმ წევრის მდგომარეობას განამტკიცებს. ამავე ნაწილს, შეიძლება, მივაკუთვნოთ მეტსახელები, ტატუირება, პრივილეგიები ცალკეული პირებისათვის და ა.შ.
- ქცევითი ატრიბუტები. მათ მიეკუთვნება ქურდული კანონები, ციხის კანონები, დანაშაულებრივი სამყაროს წესები, ტრადიციები, ფიცი, კრიმინალურ გარემოში მიღებული წყევლა და სხვა. აღნიშნული კანონებისა და ტრადიციების მეშვეობით კრიმინალურ თანასაზოგადოებებში ურთიერთობები რეგულირდება.
- კომუნიკაციური ატრიბუტები. ამ ნაწილში, გარდა “ჟარგონისა” (არგო) და სპეციალური ჟესტებისა, შედის აგრეთვე მეტსახელებისა და ტატუირების ზოგიერთი სახე, რაც ინ-

<sup>84</sup> Александров Ю.К. Очерки криминальной субкультуры. – М.: «Права человека», 2001. – 152 с.



ფორმაციის უსიტყვოდ მიწოდებისა და ურთიერთქმედების საშუალებაა.

- ეკონომიკური ატრიბუტები. საერთო სალარო და მატერი-ალური დახმარების პრინციპები წარმოადგენს კრიმინალური თანასაზოგადოების, მათი შეკავშირების, შემდგომი კრიმი-ნალიზაციის, სხვადასხვა სფეროზე გავლენის ზრდის მატე-რიალურ ბაზას.
- სექსუალურ-ეროტიკული ღირებულებები, ე.ი. დამოკიდე-ბულება როგორც საწინააღმდეგო, ისე თავისი სქესის პირე-ბის მიმართ, სქესობრივი გარყვნილების სხვადასხვა სახე, ჰომოსექსუალიზმი, პორნოგრაფია და სხვ.
- ციხის ღირიკა, გამოხატული უფრო ხშირად სიმღერებით, იშვიათად ლექსებით, სხვადასხვა სახის ლეგენდებით.
- დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. გააჩ-ნია, რა უფრო ხელსაყრელია მოცემული მომენტისთვის – დაწყებული სიმულაციიდან და ასოთდაზიანებიდან, დამთავრე-ბული სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიშით (უფრო ხშირად – ორთაბრძოლები, კულტურიზმი).
- ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ტოქსიკომანია (გვევლინება, როგორც ურთიერთშეკავშირების, განმუხტვის საშუალება).<sup>85</sup>

უცილებელია, აღინიშნოს, რომ კრიმინალურ სუბკულტურაში მიმდინარეობს მუდმივი ბრძოლა „რეფორმატორებსა“ (თანამედ-როვე ავტორიტეტები, რომელთაგან ზოგიერთმა ტიტული ფულით იყიდა) და „ტრადიციონალისტებს“ – ძველ „კანონიერ ქურდებს“ (მათ კიდევ „ნეპის ქურდებს“ უწოდებენ) შორის. უთანხმოების მიზეზია „ახლების“ პოზიცია, რაც გამოიხატება მოთხოვნაში – ფეხი აუწყონ თანამედროვე ცხოვრებას, ითანამშრომლონ ხელისუ-ფლებასთან დანაშაულებრივი თანასაზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანის მიზნით, ეცადონ (და ზოგჯერ ამას ახერხებენ კიდევც), თავიანთი ხალხი გაიყვანონ სახელისუფლებო სტრუქტურებში. დღეისათვის მათ შორის ერთგვარი შემრიგებლური დამოკიდე-

<sup>85</sup> Александров Ю.К. Очерки криминальной субкультуры. – М.: «Права человека», 2001. с., 152

ბულება შეიგრძნობა, თუმცა ხშირია გარჩევები. უნდა ითქვას, რომ ტრადიციონალისტების პოზიცია უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ შესუსტდა, მათ სულ უფრო და უფრო ხშირად მიაკუთვნებენ არბიტრის როლს, სამეფოს უქონელ მეფეთა ხვედრს. ალბათ, ერთა-დერთი ადგილი, სადაც მათი პოზიციები ძველებურად მყარია, ესაა თავისუფლების აღკვეთის ადგილები. ყველაფრის მიუხედავად, „კანონ-იერი ქურდები“ დღესაც ძალიან მნიშვნელოვან ძალას წარმოად-გენენ კრიმინალურ სამყაროში და მათი გავლენა კრიმინალურ სუბკულტურაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეფორმატორები-სა.

### ა) ეროვნული განსხვავებები

„ქურდული კოდექსის“ შესაბამისად, „კანონიერი ქურდების“ კასტასთან კუთვნილება განისაზღვრება მკაცრი წესებითა და რიტ-უალებით და არა ამ პირთა ნაციონალური კუთვნილებით. ქურდები თავიანთი არსებობის მანძილზე არაერთგზის ცვლიდნენ თავიანთი კანონის ნორმებს, თუმცა შეინარჩუნეს მთავარი პრინციპები: ხე-ლისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა, ახალი ქურდების კორონაცია, ახალგაზრდობიდან ახალი წევრების მიზიდვა, აუცილე-ბელი შენატანები საერთო სალაროში და სხვა. მათ შორის დარჩა „კანონიერი ქურდის“ წოდების ინტერნაციონალურობა (1990 წელს, მაგალითად, „კანონიერი ქურდები“ გამოვიდნენ მიმართვით დანაშაუ-ლებრივი სამყაროსადმი მათ რიგებში ნაციონალიზმის დაუმშავლო-ბის შესახებ).

პირველი ცნობები რუს და ქართველ ქურდებს შორის დაპირ-ისპირების შესახებ დაფიქსირებულია სსრკ შსს ცნობაში 1985 წელს. ცნობაში ნათქვამია, რომ „კანონიერი ქურდების“ ურთიერთ-დამოკიდებულებაში შეინიშნება არაოფიციალური ბრძოლა ზოგი-ერთ კატეგორიას შორის, კერძოდ, „კაკასიური“ ეროვნების, გან-საკუთრებით, ქართველ ქურდთა შორის და იმ დაჯგუფების ლიდერთა შორის, რომლებიც ჩამოყალიბდა თანამემამულური ნიშნით.<sup>86</sup>

ქართველ „კანონიერ ქურდთა“ ძირითადი განმასხვავებელია ის, რომ ისინი არ ითვლებიან კონსერვატიულ ტრადიციონალ-

ისტებად და ყოველთვის სხვა სოციალურ ფასეულობებზე არიან ორიენტირებულნი, საქმიანობაში, ძირითადად, ეყრდნობიან გვაროვნულ და კლანურ დამოკიდებულებებს, დანაშაულს უფრო სწორად ჩაღიან ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად, ვიდრე ქურდული დაჯგუფების წევრ პირებთან.

საინტერესოა სხვა კავკასიელი ქურდებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული რიტუალები. მაგალითად, სომხეთის შსს-ს მონაცემებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურდებს აქვთ ტრადიცია – გარდაცვლილი ქურდის სახლში დააყენონ სასმელი წყლის შადრევნები. ისინი, როგორც წესი, მოპირკეთებულია შავი მარმარილოთი, რომელზეც გარდაცვლილის სახელია ამოკვეთილი. კავკასიაში გარდაცვლილ ქურდებს საფლავზე ხშირად უდგამენ ძეგლს. ეს ქურდული კანონით არის ნაკარნახევი – ქურდი სიკვდილის შემდეგაც ამაყად თავაწეული უნდა იდგეს. იქვე იწერება მხოლოდ სახელი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღის მიუთითებლად, რითაც ხაზი გაესმის „კანონიერი ქურდის“ მარადიულობას. განსაკუთრებით საზეიმო და პომპეზურია თვითონ დასაფლავების რიტუალი. მასთან წინააღმდეგობრივად გამოიყურება „კანონიერი ქურდის“ ტიტულის ჩამორთმევის შემთხვევა, რასაც ადგილი ჰქონდა 1979 წელს თბილისში ერთი დანაშაულებრივი ავტორიტეტის დასაფლავებისას. შსს მონაცემებით, დასაფლავებაზე თავი მოიყარეს ქურდებმა საბჭოთა კავშირის მრავალი რეგიონიდან. როსტოვიდან ჩამოვიდა „ფახანი“ (უავტორიტეტულესი „კანონიერი ქურდი“). განსვენებულის მდიდრული სასახლის ნახვის შემდეგ მან კუბოს შემოუარა, გარდაცვლილ ქურდს ყურზე ხელი მოკიდა და ზიზლით ჩაილაპარაკა: „ქურდი უნდა ცხოვრობდეს ქურდივით და არა მინისტრივით“, ანუ მისი დისკრედიტაცია მოახდინა. ამის შემდეგ ყველა ქურდმა დაუყოვნებლივ დატოვა სახლი. ასეთი ორიგინალური მეთოდით ჩამოართვეს დამნაშავეს უმაღლესი ტიტული.

საინტერესოა, აგრეთვე, ქართველი „კანონიერი ქურდების“ თავისებურება ქურდული ღინასტიების შექმნის თვალსაზრისით.

<sup>86</sup> სსრკ შსს ცნობა რეკომენდაციები... 1985 წ.

არსებობს იმის მრავალი ფაქტი, რომ „კანონიერი ქურდების“ შვილები თვითონაც ქურდები ხდებიან. მაგალითად, მოკლული „კანონიერი ქურდის“ ჯემალ (არსენა) მიქელაძის ორივე ვაჟი მამუკა და ჯემალი ქურდები არიან, გარდაცვლილი „კვექოს“ ვაჟიშვილი – „კვექო მოლოდოი“ – ყველაზე უფრო ახალგაზრდა ქურდად ითვლება და ა.შ. რუსი ქურდების აზრით, ამიერკავკასიელი ქურდები კი არ ქურდობენ, არამედ „თაღლითობენ“. ქურდის ავტორიტეტი უნდა იზრდებოდეს „კვალიფიკაციის“ მუდმივად ზრდის პარალელურად, დანაშაულის საკუთარი და არა სხვისი ხელებით ჩადენის გზით. თვლიან, რომ როსტოვი თავისებური საზღვარია, რომლის გადაკვეთის შემდეგაც კავკასიელი ქურდები არარაობად იქცევიან.

თავის მხრივ, კავკასიელ ქურდებსაც აქვთ პრეტენზიები რუსი „კოლეგების“ მიმართ. მაგალითად, როდესაც ქართველი ქურდები იცავდნენ კანონს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში არჩაბმის შესახებ და ამ წესს გამასწორებელ ბანაკებშიც კი მისდევდნენ, რუსი ქურდები სხვა პატიმრებთან ერთად არცთუ იშვიათად აღნიშნულს არ თაკილობდნენ. ამის გამო საქართველოს ავტორიტეტები აცხადებდნენ, რომ „რუსეთში ზონები ქურდული კი არა, მუჟიკურია“.<sup>87</sup>

ავტორის მიერ ჩატარებული სპეციალური ანკეტირების მონაცემებით ირკვევა, რომ ქართველი „კანონიერი ქურდები“ არ იყენებენ რაიმე განსაკუთრებულ კრიმინალურ „ჟარგონს“, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ რუსულ ანალოგს ან სპეციალური გამონათქვამების სიტყვა-სიტყვით თარგმანს – (მაგალითად, „პაცანი“ – ბიჭები, „კიდატ“ – გადაგდება და სხვ.) აუცილებლად არ მიიჩნევენ ქართველი ავტორიტეტები, აგრეთვე განსაკუთრებული ტატუირების, სპეციფიკური ფოლკლორის, სიმღერებისა და პოეზიის ქონას.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს შსს-ს მიერ 1976

<sup>87</sup> Лебедев С.Я., Козлов О.Е. – «Вор в законе» как традиционный лидер преступной среды. МВД СССР, Омская Высшая школа милиции 1988 год. Стр.35; Crime - X\_ Криминальный сайт России.htm

წელს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოიწა „დანაშაულებრივ სამყაროში გამოყენებული სიტყვებისა და გამონათქვამების მოკლე ლექსიკონი“ რუსულ ენაზე, რათა ადგილობრივ ოპერატიულ მუშაკებს საშუალება მისცემოდეთ, უფრო წარმატებით ებრძოლათ ქართველი კრიმინალების წინააღმდეგ, რომლებიც რუსულ ჟარგონს იყენებდნენ. მსგავსი ლექსიკონები გამოცემულია სხვა რესპუბლიკებშიც.

## ბ) მასტი

მსჯავრდებულების დაყოფა მასტის მიხედვით ხდება. ეს არის ესა თუ ის ჯგუფი, კასტა, დაჯგუფება მსჯავრდებულთა და პატიმართა არაფორმალურ იერარქიაში. სხვადასხვა ავტორი გვთავაზობს მსჯავრდებულთა სტრატეგიკაციულ დაყოფას იერარქიულ სისტემაში მათ მიერ დაკავებული ადგილის მიხედვით. ეს სისტემა ორ-, სამ-, და ექვსსაფეხურიანიც კი შეიძლება იყოს. ჩვენი აზრით, უფრო ოპტიმალური იქნება მსჯავრდებულთა რანჟირება ოთხ ძირითად ჯგუფად, რომლებიც, თავის მხრივ, ქვეჯგუფებად იყოფიან. ძირითად ჯგუფებს მიეკუთვნებიან: “ბლატიანები” (შავები), “მუჟიკები” (ნაცრისფრები), “კოზლები” (წითლები) და “ჩამირულები” – “ოპუმჩენიე” (ცისფრები).

ძირითად განმასხვავებლად ითვლება სხვის ხარჯზე ცხოვრების უნარი. ეს უნარი ჯერ კიდევ მოზარდის სოციალიზაციის პირობებში ყალიბდება.

## ციხის იერარქია

პირამიდის წვეროში (იხილეთ დანართი) განლაგებულნი არიან ე.წ. ბლატიანები (“ფახანები”, “ბუგრები”, “მერსტი”), რომლებიც გარემოცულნი არიან თავისებური ცვლით – “პაცნები”, “მესტიორკებით”, ხარებით და მეხამრიდებით. ეს უკანასკნელნი უზრუნველყოფენ კანონიერი ქურდის საბანაკო მომსახურებას. ისინი ზოგჯერ ციხის გარეთაც ემსახურებიან ქურდს, თუმცა იქ მომსახურება სხვა ხასიათისაა.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ზედამხედ-

ველების ანუ “პოლოჟენცების” „ინსტიტუტი“. ზედამხედველები არიან ყოველ ზონაში და საგამოძიებო იზოლაციაში, ყოველ რაზმში და კორპუსში, თითქმის ყველა საკანში. ინიშნებიან მომარაგების, სასადილოს, „საერთო სალაროს“ და სხვა ზედამხედველები. მათი ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყონ წესრიგი (შეასრულონ „ჩრდილოვანი ადმინისტრაციის“ როლი), აღკვეთონ კონფლიქტი, აწარმოონ საქმის გარჩევა, ადმინისტრაციასთან მოლაპარაკება, გაანაწილონ ლეგალურად და არალეგალურად შემოსული პროდუქტები, სპირტიანი სასმელები, ნარკოტიკები, სიგარეტი და სხვა.

ფაქტობრივად, ისინი „კანონიერი ქურდის“ როლს ასრულებენ, ოღონდ რიგი ფუნქციების შეკვეცით. ზედამხედველი იმ შემთხვევაშიც ინიშნება, როდესაც დაწესებულებაში „კანონიერი ქურდი“ იმყოფება, თუმცა, ცხადია, მას უყოყმანოდ ემორჩილება.

ამ რიგში ღირსეული მდგომარეობა აქვთ “პაცნებს”. პაცნები (ახალგაზრდა ასაკის მსჯავრდებულები) მიეკუთვნებიან “ბლატიანობთან” მიახლოებულ კატეგორიას, აღიარებენ “ქურდულ კანონს” და ითვლებიან მაწანწალების, არესტანტების და ა.შ. კანდიდატებად. მათთვის დამახასიათებელია ქცევის შემდეგი თავისებურებანი:

- აკრძალული საგნების შეძენისაკენ სწრაფვა;
- დემონსტრაციულად დამოუკიდებელი ქცევა;
- უხეშობა ადმინისტრაციისადმი მიმართებაში;
- ქურდული (ციხის) კანონის მოწონება და შესრულება;
- მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება აქტივისტების მიმართ;
- მათი უფლებების შელახვის შემთხვევაში ჩივილი არა ადმინისტრაციასთან, არამედ „კანონიერ ქურდთან“;
- კეთილმოწყობის სამუშაოსათვის თავის არიდება;
- სწრაფვა ტანსაცმლის ფორმის დარღვევისაკენ – ატარებენ ან ხაზგასმულად ღია ფერებს ან მთლიანად შავს და ამავდროს ცდილობენ გამოიყურებოდნენ მოწესრიგებულად. განსაკუთრებით ერთგული და ავტორიტეტული “პაცნები” ქურდებს თავიანთ გარემოცვაში აჰყავთ. გაძლიერებული ყურა-

დღეა იმ ახალგაზრდებს ეთმობათ, ვისგანაც ღირსეული ცვლა უნდა გამოიჭედოს. “პაცანი” შეიძლება „პოლოჟენცად“, ანუ ქურდის გვირგვინის პოტენციურ კანდიდატად აღიარონ. კორონაციის დროს წარმოთქმული ბევრი ფიცი იწყება შემდეგი სიტყვებით: „მე, როგორც “პაცანი”, რომელსაც სურს ემსახუროს ქურდულ სამოსს“...

“შესტიორკები” სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ: გადასცემენ წერილებს, აგროვებენ ფულს, მოახსენებენ უწესრიგობის შესახებ, ქურდის ნაცვლად სამრეწველო ზონაში მუშაობენ, ურეცხავენ მას სარეცხს და ხმამაღლა კითხულობენ წიგნებს. ზონაში ისინი ასრულებენ ქურდის მცველის ფუნქციას, პასუხს აგებენ ქურდის არასანქცინირებული მკვლელობის ან დასახინჩრების შემთხვევაში. ავტორიტეტები მოსამსახურეებად ხშირად ისეთ პირებს ირჩევენ, ვისაც მცველად მუშაობის გამოცდილება აქვს.

ხარები (БЫКИ) სასჯელის პირდაპირი შემსრულებლები არიან. მათ, აგრეთვე, ჯარისკაცებს უწოდებენ და იქ აგზავნიან, სადაც უხეში ფიზიკური ძალაა საჭირო. მათ რიგებს, ცხადია, შესაბამისი მონაცემების მქონე ხალხი ავსებს. ჩვეულებრივ, ესენია განათლების არმქონე, გონებაშეზღუდული, ფიზიკურად ძლიერი სუბიექტები. ყველაზე საშიშნი მათ შორის არიან “ტორპედები”, ე.წ. „კამიკაძეები“, რომლებიც ბრძანებას ნებისმიერ, სიცოცხლის ფასადაც კი ასრულებენ. “ტორპედად” შეიძლება, იქცეს კარტის მოთამაშე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე წააგო. ასეთი თამაში ძალიან პოპულარულია დამნაშავეებს შორის და მას „სამი ვარსკვლავი“ (ზოგჯერ „სამი კამათელი“) ეწოდება. თუ „კამიკაძე“ ბრძანების შესრულებაზე, ანუ კარტის ვალის დაბრუნებაზე უარს იტყვის, მის მიმართ სანქციებს ატარებენ. კვლელობა „ტორპედოს“ არამართო ზონაში, არამედ მის გარეთაც შეიძლება, დაევალოს. ამასთან, აუცილებლად დგება ასეთი შეკვეთის შესრულების ობიექტურობის საკითხი. მაგალითად, თუ წაგებულს აფრიკის რესპუბლიკის მეთაურის განადგურებას ან ერთ კვირაში გარეთ მყოფი „ობიექტის“ მოკვლას დაავალებენ მაშინ, როდესაც შემსრულებელს ჯერ კიდევ სამი წელი აქვს მოსახდელი, ასეთი ბრძანება უსამართლოდ

და შეურაცხმყოფელად ჩაითვლება. ზოგჯერ „ტორპედოს“ მილიციის თანამშრომლის, პროკურორის ან დეპუტატის მოკვლას უბრძანებენ. ასეთ შემთხვევაში უმაღლესი სასჯელის შეფარდების ალბათობა უსაზღვროდ იზრდება და სასიკვდილო ფსონის წინ მოთამაშეები ყველა ნიუანსს იხილავენ.

დაბოლოს, ქურდის მომსახურების უკანასკნელი წარმომადგენელია მეხამრიდი (ПРОМОТВОД). ის ავტორიტეტს იურიდიული კუთხით იცავს დანაშაულის საკუთარ თავზე აღებით. ეს გარკვეულ დახელოვნებას მოითხოვს, ვინაიდან დასადასაშაულეზღად აღიარება საკმარისი არ არის და გამომძიებლის მიერ თუნდაც ყალბად აღძრული საქმე შეიძლება, სასამართლოზე ჩაიშალოს.

რანგით დაბლა დგას „მუჟიკების“ მასა – ეს არის ძლიერი, მომუშავე, კანონის მცოდნე, საკუთარი თავის დაცვის უნარის მქონე კატეგორია, რომელსაც მხარს უმაგრებს ციხისა თუ ბანაკის ხელმძღვანელობა, აგრეთვე პროტექცია გარედან და “ბლატნობთან”. “მუჟიკებს” უწოდებენ მათ, ვინც გამოსწორების გზას დაადგა, კეთილსინდისიერად მუშაობს და არ შედის კოლონიის პერსონალთან კონფლიქტში.

„მუჟიკთა“ კატეგორიაში ყველაზე ხშირად ხვდებიან პირველად ნასამართლვე პირები, ე.წ. „ცენზავიკები“, დამტაცებლები, ბუღალტრები და ა.შ., რომლებიც შორს არიან ჩვეულებრივი კრიმინალისაგან. ისინი აქტივში ეწერებიან და ცდილობენ, მიაღწიონ ვადამდე ადრე გათავისუფლებას.

კოლონიაში ორი მძლავრი ბანაკი იქმნება – „პაცნებისა“ და „მუჟიკების“. ახალბედამ, თუ ის პროფესიონალი არ არის, ერთ-ერთის მხარე უნდა დაიჭიროს.

საბანაკო ჯანყების დროს „პაცნები“, ავტორიტეტის დავალებით, „მუჟიკებს“ საწარმოო ზონაში არ უშვებენ: ათრობენ არყით, მიმართავენ ძალის გამოყენებას, ახდენენ ჩხუბის პროვოცირებას. „მუჟიკები“ ნაკლებად ორგანიზებულნი არიან და მასობრივ წინააღმდეგობას არ უწყვენ.

არის უფრო დაბალი ფენაც – ადმინისტრაციის ხელმძღვ-

ანელობით მომუშავე „კოზლებისა“, აგრეთვე ციხის მიერ დათრგუნული „ჩუჩეკებისა“, რომლებიც დინებას უსიტყვოდ მიჰყვებიან. ჩვეულებრივ, ესენი არიან საბოლოოდ წელში გატეხილი ადამიანები. ამ ფენაში ბევრია ავადმყოფი, გონებრივად ჩამორჩენილი, დასახლებული პუნქტების „წმენდის“ შედეგად მოყვანილი პირები. ისინი მზად არიან, შეასრულონ ყველა ბრძანება პურის, სივარეტის, ჩაის საფასურად.

უმდაბლესი ფენა პედერასტებია. ისინი ორ ჯგუფად იყოფა — *ПРОТКНУТЫЕ* და *НЕПРОТКНУТЫЕ*. პირველ ჯგუფს შეადგენენ საკუთარი ნებით პედერასტად ქცეული პირები. მათ მიეკუთვნებიან ჰომოსექსუალისტები, აგრეთვე სქესობრივ ძალადობას დაქვემდებარებული ყველა პატიმარი, ვინც გასამართლებულია გაუპატიურების ან გარყვნილი ქმედების ჩადენისათვის. ასეთებს საკანში შემოსვლისთანავე გამოჰკითხავენ, გასამართლებენ და, როგორც წესი, აუპატიურებენ. ზოგჯერ გაუპატიურებას ახდენენ პიროვნების მორალურად გატეხვის მიზნით (მათ შორის, ადმინისტრაციის მითითებით).

ზონები ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან, რის გამოც პედერასტებთან კავშირის დაფარვა შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ ჰომოსექსუალისტმა დამალა, რომ ის აქტიური მამათმავალია, მოახერხა „ბლატნიანებთან“ ან „მუჟიკებთან“ ერთ „ოჯახში“ ცხოვრება და ეს შემდგომში გამჟღავნდა და დამტკიცდა, მთელი „ოჯახი“ *НЕПРОТКНУТЫЙ* პედერასტების ჯგუფში გადადის. ასეთი პედერასტის მოკვლაც კი არ იკრძალება.

კრიმინალური კანონის მიხედვით, აღიარებულ პედერასტს არ ეკრძალება ადმინისტრაციას საკნებში არსებული მდგომარეობის შესახებ მოახსენოს. პედერასტი „კაცად“ არ ითვლება და არც ჭკუა მოეკითხება. როგორც სხვა პატიმრებს, ბარათებში პედერასტებსაც დამატებითი შიფრით აღნიშნავენ: “პპ”, რაც პასიურ პედერასტს ნიშნავს, ზოგიერთი „ბლატნი“ აღინიშნება “პპ”-ით (აქტიური პედერასტი). ამ აღნიშვნის მქონენი „ბლატნიებისა“ და „მუჟიკების“ თვალში პედერასტებად არ ითვლებიან.

ასეთივე დაყოფა შენარჩუნებული პატიმარ ქალებს შორის: “ბლატნიჩკა — ფახანები”, “რაბოტიაჩკი — ლოშადკები”, ეშმაკები,

“ლესბიანკები”.

ყოველი იერარქიული საფეხური მყარია და შეიმჩნევა საპროკურორო ზონებშიც, სადაც პროკურატურის, მილიციის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, აგრეთვე ზონებისა და ციხეების მუშაკები ხვდებიან.

ამასთან, პროკურორების რანგი გათანაბრებულია იმ პატიმრებთან, რომლებიც გაუპატიურებასთან დაკავშირებული მუხლებით სხედან. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რისთვის არიან ისინი გასამართლებულნი. მათზე ძალადობა შურისძიება იმის გამო, რომ თავის დროზე ისინი სხვებზე ახდენდნენ ძალადობას სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების საფუძველზე. ზონაში ამ რანგის პატიმრები “პედერასტებსა” და „ეშმაკებს“ შორის ცხოვრობენ.

მოსამართლეებმა, “პედერასტებში” რომ არ მოხვდნენ, უნდა დაამტკიცონ, რომ თავიანთი საქმიანობით განსასჯელებს „ეხმარებოდნენ”, სასჯელის ვადას უმცირებდნენ და პროკურორის მოთხოვნებს წინააღმდეგობას უწევდნენ. „ბლატნიობად“ და „მუჟიკებად“ ასეთ ზონებში ითვლებიან მილიციელები და ზონებისა და ციხეების ოფიცრები. ასეთი ზონა არის ირკუტსკში, ნიჟნი ტაგილში — იქ მთელი საბჭოთა კავშირიდან აგზავნიდნენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს.

მაგრამ ყველაზე საშინელ განუკითხაობას არასრულწლოვანი დამნაშავეების საკნებში აქვს ადგილი. დამნაშავეთა მიერ სასჯელის შერჩევა აქ განსაკუთრებული გამომგონებლობით ხასიათდება. საკნის „ფახანი“ და მისი მეგობრები „კასიაკის“ ჩამდენს მკაცრად სჯიან. „კასიაკი“ შეიძლება იყოს ყველაფერი — არასწორი პასუხი, გამოკითხვა, შეუსრულებელი დაპირება, საკუთარი ცხოვრების ზოგიერთი, დანაშაულებრივი სამყაროსათვის საინტერესო ეპიზოდის დაფარვა.

სტატუსის აწევა, ე.ი. დაბალი „მასტიდან“ უფრო მაღალში გადასვლა, იშვიათია და გაძნელებული, ხოლო ზოგიერთი კატეგორიისათვის (პედერასტები და ა.შ.) — საერთოდ შეუძლებელი. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სტატუსის დაწევა იერარქიულ კიბეზე კრიმინალური თანასაზოგადოებისათვის საკ-

მაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს ციხის კანონის ნორმის ან წესის დარღვევის გამო ხდება.

უფრო გავრცელებულად ითვლება ისეთი სასჯელი, როგორც არის კრიმინალური იერარქიის სისტემაში დაქვეითება (ყურებში ჩარტყმა), ე.ი. „ბლატნოების“ კატეგორიიდან „მუჟიკებში“ გადაყვანა და ა.შ. ხშირად დაქვეითება ძალადობრივი მამათმავლობის აქტის ჩადენის გზით ხდება (ეს, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებშია გავრცელებული). მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ ჩამოქვეითებული კვლავ უბრუნდება უფრო მაღალ საფეხურს. ეს კატეგორიულადაა გამორიცხული, თუ საქმე გაუპატიურებულს ეხება. „პეტუხის“ სტატუსი პერმანენტულია და პატიმრის მთელ შემდგომ ცხოვრებას განსაზღვრავს. ასე ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ დამტკიცდა, რომ გაუპატიურება ქურდული (ციხის) კანონების დარღვევით მოხდა. ისე კი, განუკითხაობის დამშვები პირების მიმართ შეიძლება, გამოიყენონ იგივე სასჯელი.

### გ) ჟარგონი (არგო)

ჟარგონი შეიძლება, განისაზღვროს როგორც კანონზომიერი მოვლენა, რომელიც ასახავს კრიმინალური სუბკულტურის სპეციფიკას, დანაშაულებრივი გარემოს ორგანიზებულობისა და პროფესიონალიზაციის ხარისხს.

სისხლის სამართლის სამყაროს ჟარგონი არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს, რამდენადაც პროფესიული ენა (ჟარგონი) გააჩნიათ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს (მფრინავებს, ექიმებს, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს), მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფებს (მოსწავლეები, როკერები, ბანკები და სხვ.).

ჟარგონის არსებობა განპირობებულია დასახელებული ჯგუფების ფუნქციონირების სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებით. არსებობს შეხედულება, რომ ქურდული ჟარგონის აღმოცენების მიზეზები დევს ბოროტმოქმედის, რეციდივისტის დამახინჯებულ ფსიქოლოგიაში.

ჟარგონი მუდმივად ვითარდება. დღეისათვის მასში აღრიცხულია 15 ათას სიტყვასა და სიტყვათაშეთანხმებაზე მეტი. ბევრი

სიტყვა პოლისემანტურობით გამოირჩევა. ჟარგონი საერთო ნაციონალური ენის ფონეტიკასა და გრამატიკას ემყარება და აქვს არსებითი დიალექტური და სოციალურ-ჯგუფური სხვაობა. მის ძირითად ნაწილს შეადგენს ქურდული ანუ ციხის ჟარგონი. მასში გამოიყოფა სუტენიორების, მეძავეების, ნარკომანების, არასრულწლოვნების და ა.შ. ჟარგონი.

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ განვითარების პროცესში ქურდულმა ლექსიკონმა ბევრი სიტყვა შეიძინა მეზღვაურების, მათხოვრების და სხვათა პროფესიული ჟარგონიდან; გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ ქურდული ჟარგონის ბევრი სიტყვა მუსიკოსებისგანაა ნასესხები.

რისთვის შეიქმნა და არსებობს ქურდული ჟარგონი? პირველ რიგში, მის დანიშნულებას შეტყობინების დაშიფვრა წარმოადგენს, რაც იმისთვის ხდება, რომ გაუცნობიერებელმა არ გაიგოს ან არასწორად გაიგოს, რაზეა საუბარი.

არსებობს სინონიმთა დიდი რაოდენობა. მაგალითად, დამბეზღებლის აღსანიშნავად ასზე მეტი დასახელებაა.

ჟარგონის ერთ-ერთ ფუნქციას სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიგზავნილი პირების გამოვლენა წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ის პირები, რომლებიც თავს “კანონიერ ქურდებად”, ავტორიტეტებად ასაღებენ ან რაიმე დავალების შესასრულებლად არიან ჩანერგილები კრიმინალურ სფეროში, ენობრივ „გამოცდაზე“ იჭრებიან.

ქურდული ჟარგონის ცოდნა აუცილებელია დანაშაულებრივ სამყაროში ორიენტაციისათვის. აქ ყოველ კასტას საკუთარი დასახელება აქვს. გაირკვევა თუ არა, რომელ მასტს ეკუთვნის ესა თუ ის მსჯავრდებული, მაშინვე შეიძლება, განისაზღვროს მისი ჭეშმარიტი ადგილი დანაშაულებრივ იერარქიაში და, შესაბამისად, შესაძლებელი გახდეს მისი ქცევის პროგნოზირება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.<sup>88</sup>

ქურდული ჟარგონის მთავარი დანიშნულებაა კრიმინალური თანასაზოგადოების დანაშაულებრივი საქმიანობის უზრუნველყო-

<sup>88</sup> Вакутин Ю. А. Словарь жаргонных слов и выражений. Татуировки. Омск, 1979

ფა. გამოყენებული ლექსიკონის უმეტესობა აღნიშნავს დანაშაულებრივი საქმიანობის არსს, მდევარისაგან თავის დაღწევის ხერხს, სასამართლოზე ქცევას, დანაშაულებრივი საქმიანობის ხასიათს, დანაშაულის სუბიექტსა და ობიექტს.

ქურდულ ჟარგონში მომხდარი ცვლილებების მიხედვით, შეიძლება, ვიმსჯელოთ დანაშაულებრივ სამყაროში განვითარებულ ტენდენციებზე. მაგალითად, ინგლისური ენიდან ჟარგონში ნასესხები სიტყვა კილერი მიუთითებს საბჭოთა კავშირის დანაშაულებრივ სამყაროში ახალი პროფესიის – დაქირავებული მკვლელის გაჩენაზე; კერძო საკუთრების ჩამოყალიბებას თან მოჰყვა ტერმინ „კრიმას“ („ჭერი“) დანერგვა და სხვ.

ბევრი სიტყვა და სიტყვათაშეთანხმება მყარად შევიდა და დამკვიდრდა მიმოქცევაში და უკვე აღარ აღიქმება როგორც ქურდული ჟარგონის კუთვნილება. მაგალითად, ტევადი სიტყვის „ბესპრედელი“ (განუკითხაობა) გარეშე უკვე არც ერთი საგაზეთო სტატია არ ქვეყნდება. ჩვეულებრივი გახდა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „კედელთან დაყენება“ (უძალღესი ზომის შეფარდება), „ვიშკა“ (დახვრეტა), „მენტი“ (თანამშრომელი), „სტუკაჩი“ (მაბეზღარა) და სხვ. ასეთი გამოთქმები საკმაოდ მყარად დამკვიდრდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც.

პირობითად, ქურდული ჟარგონი შეიძლება, სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

- საერთო კრიმინალური ჟარგონი, რომელსაც იყენებენ როგორც პროფესიული დამნაშავეები, ისე ჩვეულებრივი ბოროტმოქმედები (ხულიგნები და სხვ.);
- სპეციალური პროფესიული ქურდული ჟარგონები, რომლებიც დამახასიათებელია გარკვეული „პროფესიებისათვის“: შულერებისთვის, ნარკომანებისთვის, ჯიბგირებისთვის, გამომძაღველებისთვის და ა.შ.
- ციხის ჟარგონი, რომელიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი ბოროტმოქმედების მიერ.<sup>89</sup>

<sup>89</sup> Дубягин Ю. П., Теплицкий Е. А. Жаргон преступников: Пособие для оперативных и следственных работников милиции. М., 1952

კრიმინალურ ჟარგონთან ბრძოლა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ნაკლებფექტურია მისი მოცულობის, გამომსახველობის, სიზუსტის და სხვა ფაქტორების გამო.

განსაკუთრებით არაეფექტურია იძულების ღონისძიებები – სასჯელის გამოყენება ჟარგონული სიტყვების ხმარებისათვის. ამ მოვლენასთან ბრძოლის პროცესში შეიძლება, მეტად ეფექტური აღმოჩნდეს პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მაღალი სამეტყველო კულტურა.

### დ) ტატუირება

ეს არის სხეულზე ნახატების, წარწერების, აბრევიატურების და სხვათა გაკეთება, რაც ხორციელდება სპეციალური მოწყობილობების დახმარებით კანქვეშ მღებავი ნივთიერების შეყვანით. ტატუირება ცნობილია უძველესი დროიდან და საკმაოდაა შესწავლილი. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომი, რომელიც ამ თემას ეძღვნება, ი.ა. დუბიაგინს ეკუთვნის.<sup>90</sup>

პირობითად, ტატუირება სამ დიდ ჯგუფად იყოფა:

- თვითდამკვიდრების გამომსახველი ან წაბაძვით გაკეთებული; ეს ჯგუფი იმითაა საინტერესო, რომ სუბიექტის ფასეულობით ორიენტაციას გვიჩვენებს;
- ტატუირება, დაკავშირებული რაიმე პირადულ (ზოგჯერ ინტიმურ) ან სხვა მნიშვნელოვან მოვლენასთან, რასაც ადგილი ჰქონდა მისი მატარებლის ცხოვრებაში;
- ტატუირება, დაკავშირებული სისხლისსამართლებრივ წარსულთან ან მისი მატარებლის სურვილთან, მიბადოს ვინმეს კრიმინალური ჯგუფებიდან.<sup>91</sup>

ტატუირების გაკეთების თანმიმდევრობამ შეიძლება, წარმოდგენა შეგვიქმნას პიროვნების განვითარების განსაზღვრულ ეტაპებზე.

<sup>90</sup> Дубягин Ю. П., Дубягина О. П. Современный русский жаргон уголовного мира. Словарь-справочник. Юриспруденция», М., 2001 с. 322-323

<sup>91</sup> Вакутин Ю. А. Словарь жаргонных слов и выражений. Татуировки. Омск, 1979

ტატუირების სიმბოლიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული კრიმინალური სუბკულტურის ტრადიციებთან, ადამიანებთან და კანონებთან. შინაარსის მიხედვით შეიძლება, მოხდეს ტატუირების დიფერენცირება შემდეგნაირად:

1. საინფორმაციო-იერარქიული, რომელიც გვიჩვენებს თუ რომელ ადგილს იკავებს ესა თუ ის პირი კრიმინალურ იერარქიაში (კანონიერი ქურდი, “ბლატნოი”, “მუჟიკი”...); ახდენს კრიმინალების ორიენტირებას, თუ როგორ მოექცნენ ახლად შემოსულთ; განსაზღვრავს ტატუირებული პირის უფლებებსა და ვალდებულებებს;

2. პიროვნული განწყობის გამომხატველი ტატუირება, რომელიც ხსნის ტატუირებულის ბიოგრაფიის მხარეებს, მის დამოკიდებულებას საქმიანობის სხვადასხვა სახესთან, სამართალდამცავ ორგანოებთან, საწინააღმდეგო სქესის (და არა მხოლოდ მათ) წარმომადგენლებთან და სხვ. ზშირად ისინი მუქარის ხასიათს ატარებენ; ამ ჯგუფში შედიან, აგრეთვე, ტატუირებები, რომლებიც გამოხატავენ გაქცევის განზრახვას, ალკოჰოლთან, ნარკოტიკებთან დამოკიდებულებას და ა.შ.

3. სასიგნალო ტატუირებები წარმოადგენს ერთგვარ ამოსაცნობ ნიშნებს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მათი მატარებელი ამა თუ იმ მყარ დანაშაულებრივ ჯგუფს მიეკუთვნება. გარდა ამისა, ზოგჯერ ისინი კონტაქტის დამყარების საშუალებას აძლევენ იმ პირებს, რომლებიც, მართალია, ერთმანეთს არ იცნობენ, მაგრამ ატარებენ ერთსა და იმავე ტატუირებას;

4. ქურდული (ციხის) ტატუირება აღნიშნავს, რომ მათი მატარებელი ნამყოფია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, აგრეთვე სპეცსკოლაში, სპეციალურ პტს-ში, მიძღვება-გამანაწილებელში, კოლონიაში; ისინი, აგრეთვე მიუთითებენ, რომ მათი მატარებელი იცნობს ციხის სუბკულტურას (კანონებსა და ტრადიციებს) და მზადაა, დაიცვას ისინი.

5. პროფესიული ტატუირებები აღნიშნავს ამა თუ იმ პროფესიისადმი კუთვნილებას (ან კუთვნილების სურვილს); უფრო გავრცელებულია იმ პირთა შორის, ვინც ფლოტში, არმიაში, საღესტო ჯარებში მსახურობდა.

6. სამახსოვრო ტატუირებებს იკეთებენ წარსულში მომხდარი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად.

7. სექსუალურ-ეროტიკული ტატუირებები აღნიშნავს სექსუალურ ორიენტაციას, გამოხატავს ოცნებებს მომავალ სექსუალურ კონტაქტებზე. ასეთი სახე უფრო ახალგაზრდებშია გავრცელებული. ისინი კეთდება სხეულის დაფარულ ნაწილებზე (ზურგი, მუცელი, თეძოები, სასქესო ასო), გარდა იმ ტატუირებისა, რომელსაც იძულებით აკეთებენ. ზოგჯერ კეთდება ტატუირება, რომელიც მიუთითებს, რომ მისი მატარებელი აქტიური ჰომოსექსუალისტია. ამას პროფილაქტიკული ხასიათი აქვს — ტატუირებული როგორც დაცულია სხვა მსჯავრდებულთა მხრიდან ხელყოფისაგან.

### ე) მეტსახელი

გააჩნია მსჯავრდებულთა, აგრეთვე საგამომიებო იზოლატორში მყოფ პირთა აბსოლუტურ უმრავლესობას. ბევრ შემთხვევაში მეტსახელს ურჩევნ პენიტენციურ დაწესებულებათა თანამშრომლებსაც. მინიჭებულ მეტსახელებში შეიძლება, გამოიხატებოდეს ადამიანის ფიზიკური მონაცემები („კრივოი“, „კასოი“), პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები („შიზიკი“, „ლურაკი“), გარეგნობა („რიჟი“), დანაშაულებრივი საქმიანობის სპეციფიკა („კურორტნიკი“).

წინანდელი ტრადიციით, როცა საკანში ახალბედს მიიყვანდნენ, რომელიმე თანასაკნელი სხვების გასაგონად ფანჯრიდან დაიძახებდა: „ციხევ, სახელი მოგვეცი!“ ეს ტრადიცია თითქმის გაქრა, თუმცა ზოგჯერ კვლავ გვხვდება.

მეტსახელი, როგორ წესი, ეძლევათ ერთხელ და მთელი ცხოვრების მანძილზე. თუმცა იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულს რამდენიმე მეტსახელი აქვს, რომელთაგან თითოეული მისი ქცევის მანერას, ხასიათის თავისებურებას გამოხატავს.

შეიძლება, გამოიყოს მეტსახელთა შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

- ადამიანის დებერსონალიზაციის ერთ-ერთი საშუალება (მის-



თვის დამამცირებელი მეტსახელის მიკუთვნებით „ხოლერა“, „ჩუმა“, „ლაპუხი“ და ა.შ.).

- პიროვნების პერსონალიზაციის საშუალება უღერადი მეტსახელების მინიჭებით („კაროლი“, „ბრილიანტი“, „ცარი“).
- გვარის შეცვლა (მაგ. „ვორონი“, ვორონოვიდან, „ცარ“ - ცარიევიდან და სხვ.).
- პიროვნების სტატუსის (მაღლის ან დაბლის) გამყარება ჯგუფურ იერარქიაში (მაგ. „ლორდ“, „ბარონ“, „ლაკეი“).

ხშირად მეტსახელებში ფართოდ გამოიყენება წინააღმდეგობების პრინციპი პიროვნების ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის ირონიული ხაზგასმით (მაგ. „მალიში“ შეიძლება, აღნიშნავდეს ძალიან მაღალ კაცს, „პროფესორი“ ან „დოცენტი“, როგორც წესი, აღნიშნავს ჩღუნგ ადამიანს და ა.შ.). საკმაოდ ხშირად მეტსახელები მიეკუთვნებათ ეროვნულობის ნიშნით: „კაცო“-ქართველს, „არა“-სომეხს, „ხახოლი“-უკრაინელს, „ბულბაში“-ბელორუსს...).

მეტსახელის მოშორება ძნელია, თითქმის შეუძლებელი. ზოგჯერ მეტსახელს ცვლიან თუ მსჯავრდებულის სტატუსი მაღლდება ან დაბლდება „რანგების ტაბელში“. „კორონაციის“ დროს მეტსახელი, ჩვეულებრივ, იცვლება.

### კ) ფიცი

ესაა მსჯავრდებულის მიერ მიცემული სიტყვა, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს. როგორც წესი, ფიცს დანაშაულებრივ სამყაროში აქვს ასოციალური ან კრიმინალური შინაარსი.

ფიცი ატარებს უკომპრომისო და ხშირად სასტიკ ხასიათს, რითაც კრიმინალური ჯგუფის განმტკიცება მიიღწევა. ფიცის გამტეხი, ჩვეულებრივ, სჩადის ან აიძულებენ ჩაიდინოს რაიმე ასოციალური ქმედება. ის პირები, რომლებიც არ ასრულებენ დადებულ ფიცს, გადაინაცვლებენ უფრო დაბალ საფეხურზე (ხშირად ყველაზე დაბალზე). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ფიცს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შორის ენიჭება, სადაც მის დაცვას უმკაცრესად აკონტროლებენ.

ფიცი, პირობითად, შეიძლება, რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:

- საერთო ფიცი, როდესაც პირი იფიცება, რომ დაიცავს ციხის კანონებსა და ტრადიციებს, არ შევა აქტივის შემადგენლობაში, არ დაუკავშირდება სამართალდამცავ სტრუქტურებს და ა. შ.;
- კერძო ფიცი, როდესაც ფიცის დამდები ვალდებულია, შეასრულოს მის მიერ კონკრეტულ საქმეზე მიცემული დაპირება, მაგალითად, დროზე დააბრუნოს წაგებული.
- შესამოწმებელი ფიცი, როდესაც წაყენებული ბრალდების საპასუხოდ ბრალდებული იფიცებს, რომ მის მიერ დაშვებული არ ყოფილა არაფორმალური ნორმებისა და წესების დარღვევა.

### ზ) წყევლა

ეს არის ვინმეს უბედურების, წარუმატებლობის, ჯანმრთელობის დაკარგვის და ა.შ. სიტყვიერი სურვილი. წყევლის მიზანია ადრესატისთვის მორალური, ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ტრავმის მიყენება. წყევლა ეგზავნება არა მარტო კონკრეტულ ადამიანს, არამედ მის ნათესავებს, განსაკუთრებით, დედას. უფრო ხშირად წყევლა გამოიხატება უხეში უცენზურო ფორმით. კრიმინალურ სამყაროში წყევლა არა მხოლოდ სიტყვიერი დუელია, ესაა ფსიქოლოგიური ბრძოლა, რომელშიც ერთ-ერთმა უნდა გაიმარჯვოს. იმ პირის მიმართ, რომელმაც წყევლაში ორთაბრძოლა წააგო (და ეს ხდება მოწმეთა თანდასწრებით) სანქციები არ გამოიყენება, მაგრამ წაგებულის მდგომარეობა ამით შეიძლება, სერიოზულად შეირყოს.

წყევლაში შეჯიბრების ძირითადი წესებია:

- წყევლას პასუხი შეიძლება, გასცეს მხოლოდ რანგით თანასწორმა (“ბლატნიომ”-“ბლატნიოს”, “მუჟიკმა”-“მუჟიკს” და ა.შ.).
- გამარჯვება რჩება იმას, ვინც უპასუხებს სწრაფად, ლოგიკურად, ვირტუოზულად.

- შეჯიბრებაში დამარცხებას ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად მოჰყვება სტატუსის დაქვეითება დანაშაულებრივ იერარქიაში.<sup>92</sup>

**თ) აზარტული თამაშები**

ციხეებსა და კოლონიებში ბანქოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ისეთი ძველი თამაშები, როგორცაა “ტერცი”, “აჩკო”, “სეკა”, “რამსი”, “ბურა” და “სტოსი”, ზონებში ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისიდან დამკვიდრდა. მაშინ დაიწყო სწორედ კარტის თამაშის კანონების შექმნა (არ უნდა აგვერიოს თამაშის წესებში). კარტი გახდა პატიმრების ბედის გადამწყვეტი: ერთ ღამეში მდიდრდებოდნენ, ღატაკდებოდნენ, ხეიბრდებოდნენ, აუპატიურებდნენ ან კლავდნენ. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, თამაშს აგრძელებდნენ, რადგან ვალდებულნი იყვნენ ეს ეკეთებინათ. ზონაში ავტორიტეტი მსჯავრდებულთან ბანქოს დასტით და შემდეგი სიტყვებით მიდიოდა: “მოთამაშე თუ არ ხარ, უკეთეს შემთხვევაში “მუჟიკი” იქნები”.

“ქურდული კანონები” ავალდებულებს ქურდს იცოდეს ბანქოს თამაშის ყველა სახეობა “რულეტკამდე” და „ბლეკ ჯეკამდეც“ კი. თავისუფლებაში მყოფ ქურდს შეუძლია, ბედი სცალოს “შალმანებში” და “კატრანებში” – აზარტული თამაშებისათვის მოწყობილ ბუნაგებში (დღეს მათ კაზინოები შეუერთდათ). ბანქოს შუღერებს „კატალებს“ უწოდებენ. ისინი, თავის მხრივ, იყოფოდნენ „გონშიკებად“ (ტაქსებში მოთამაშებად) და „კატრანშიკებად“ – ბინებში მოთამაშებად). საინტერესოა, რომ 60-იანი წლების ბოლოს თბილისში „კარტის ოსტატობის აკადემია“ “განსნა” მოხუცმა პრეფერანსისტმა, რომელსაც რევოლუციამდელი სტაჟი გააჩნდა. 80-იანი წლების ბოლოს „კატალების“ ნაცვლად მოვიდნენ მესათითურები. მათი კლიენტების რიცხვი გაიზარდა, რამდენადაც ისინი ბინებში და ტაქსებში კი არ იმალებოდნენ, არამედ კლიენტებს ღიად იჭერდნენ – ვაგზლებში, მეტროს გადასასვლელებში.

<sup>92</sup> А. Мухин – Криминальная Россия общая эволюция <http://www.fsk.ru/june/tema/index.htm>

ციხეში ან ბანაკში ქურდის შესვლასთან ერთად უცებ ბანქოც ჩნდებოდა. დღევანდელი ავტორიტეტები არ თაკილობენ, ითამაშონ ტრადიციული საბანაკო თამაშები, თუმცა უკვე აითვისეს პოკერი, პრეფერანსი და ბრიჯიც კი.

როგორია საბანაკო თამაშის კანონები?

ლაპარაკია იმ სასტიკ კანონებზე, რომლებიც ზონაში 60 წლის წინ დამკვიდრდა და დაცულია ათწლეულობით. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ თამაში მატერიალურ ინტერესს შეიცავდეს. კონაში ჩადის ფული, თამბაქოს ნაწარმი, სპირტიანი სასმელი, ტუალეტის საგნები, ტანსაცმელი. ლოგინის თეთრეულზე და ულუფაზე თამაში ბევრ ბანაკში სასტიკად აკრძალულია – ისინი ხელშეუხებელ ქონებად ითვლება. თუ ავტორიტეტი შეიტყობდა, რომ ვიღაცა ბალიშს, ზეწარს ან პურს ჩავიდოდა, ამას სასჯელი მოჰყვებოდა: „ხარებს“ შექმლოთ ეცემათ ორივე მხარე, დაეჯარიმებინათ ან ერთი თვით აეკრძალათ მათთვის თამაში. მაგრამ როცა ბანქოს აზარტი ზოგჯერ მთელ ზონას მოიცავდა, მაშინ წესების დაცვისათვის აღარავის ეცალა.

თამაში შეიძლებოდა ვალითაც. წინასწარ თანხმდებოდნენ ვადაზე, როდესაც ვალი უნდა დაფარულიყო. პარტნიორის ტყუილი სწრაფად და სასტიკად ისჯებოდა. გამარჯვებული შექმნილი სიტუაციის შესახებ ქურდებს მოახსენებდა და ისინი გადაწყვეტდნენ, რა ექნათ მევალისთვის. ჩვეულებრივ, მას მთელი ჯგუფი სცემდა. ინიშნებოდა ექვსი-შვიდი მებრძოლი, რომლებიც წრეში დგებოდნენ, შუაში წაგებულს იყენებდნენ. თავის დაცვის უფლება ან წინააღმდეგობის გაწევა მას არ შეეძლო: ამის გამო დამატებითი სასჯელი ელოდა. სცემდნენ მანამ, სანამ მისი პარტნიორი არ მოითხოვდა ეგზეკუცია შეეწყვიტათ. თუ წაგება დიდ თანხას ეხებოდა, შექმლოთ მსხვერპლის დასახიჩრებაც. ამის შემდეგ ვალი ჩამოიწერებოდა და მევალეს “სტუკაჩებთან” და “პედერასტებთან” ერთ რიგში აყენებდნენ.

დროთა განმავლობაში მევალეთა ეგზეკუცია იცვლებოდა. 60-იან წლებში წაგებულის ცემა პარტნიორს ავტორიტეტების ვერდიქტის გარეშე შეეძლო. ცემა საჯაროდ მიმდინარეობდა, წაგე-

ბულს მედგრად უნდა აეტანა დარტყმები. შემდგომში დასჯის სისტემა შეიცვალა. წაგებულს ძალით უკეთებდნენ უხამსი შინაარსის ტატუირებას. მაგალითად, ახატავდნენ თხას კარტით და უკეთებდნენ წარწერას: “ვთამაშობ როგორც “კაზიოლი“. იყო შემთხვევები, როდესაც ტატუირება კეთდებოდა შუბლზე ან ლოყაზე. ზოგჯერ დასჯისთვის გაუპატიურებას მიმართავდნენ. გამარჯვებულს უფლება ჰქონდა, თვითონ განეხორციელებინა სქესობრივი ძალადობა ან ავტორიტეტთან ეჩივლა, რომელიც „სექსუალურ აგრესორს“ “დანიშნავდა“. აქტის შემდეგ წაგებული „პეტუხი“ ხდებოდა და შესაბამის კუთხეში გადადიოდა. ზოგჯერ მას აჯილდობდნენ ტატუირებით: ღუნდულებზე ფუტკრებს ან ეშმაკს ახატავდნენ, რომელიც ქალს აშიშვლებდა. მალე გაჩნდა ტატუირებაც (კარტის გამოსახულება ღუნდულებზე), რომელიც პირდაპირ მიუთითებდა, რომ პატიმრის გაუპატიურება, სახელდობრ, ბანქოს ვალისთვის მოხდა.

უკანასკნელ წლებში მევალებების მასობრივი დასჯა ნაკლებობა ულარულია. ვალის ამოღება უწევს მოგებულს, რომელსაც დარჩა ძველი უფლებები – ცემის, გაუპატიურების, ტატუირების გაკეთების; ხოლო იმაზე, თუ როგორ შესძლებს ის ვალის ამოღებას, დიდადა დამოკიდებული მისი ავტორიტეტი.

ზონებში ფრიად პოპულარული იყო, როდესაც წაგებული ყველას ართობდა: მაგალითად, დაჯდებოდა ზედა საწოლზე და ერთი საათის განმავლობაში სისულელებს გაჰყვიროდა ან მთელი ღამე მჯდომარეს ეძინა. 30-იან წლებში კუნძულ სოლოგკიზე მოდამი იყო „1000 ტარაკანა“ – წაგებულს უნდა დაეჭირა ათასი მწერი და „დამთვლელი კომისიისათვის“ წარედგინა. ზოგჯერ მათზე ნადირობა მთელ კვირას და უფრო დიდხანს გრძელდებოდა.

თამაშის ყოველ პარტიაზე წესდებოდა გადასახადი, რომელიც „საერთო სალაროში“ შედიოდა. თანხის ოდენობას ადგენდნენ ავტორიტეტები და ის ყოველი თამაშისთვის სხვადასხვა გახლდათ. ანგარიშისთვის ფანქარსა და ქალაღს არ იყენებდნენ, ეს დეფიციტური იყო და სარისკოც. ქულებს „იწერდნენ“ ასანთით, აძლევდნენ რა მას სიმბოლურ დატვირთვას: მაგ: სიგრძეზე დადებული

ასანთის ღერი – ორმოცდაათს ნიშნავდა, სიგანეზე დადებული – ასს და ა.შ. რთული არითმეტიკული ანგარიშებისათვის „მონაგარიშეს“ ქირაობდნენ, რომლის მომსახურებაც ფასიანი იყო.

ადრე კარტის დასტას ხელით ამზადებდნენ, ბიბლიოთეკის წიგნებიდან ხევენ ფურცლებს, ნაბეჭდს შლიდნენ, ჭრიდნენ მართკუთხელებად, სიმყარისათვის ერთმანეთს აწებებდნენ. ტრაფარეტად იყენებდნენ სქელ მუყაოს, რომელზეც სამართლებლით ჭრიდნენ ციფრებსა და ფიგურებს. თუ ზონაში ამკინძავი საამქრო არსებობდა, საქმე უფრო სწრაფად და ხარისხიანად მიდიოდა. საკნებში ყოველთვის ინახებოდა რამდენიმე დასტა კონტროლიორისათვის ნებაყოფლობით ჩასაბარებლად. თუ კონტროლიორის მოთხოვნაზე – ჩაებარებინათ კარტი, პატიმრები გაოცებას გამოხატავდნენ, იწყებოდა ჩხრეკა და მთელი მარაგი მიჰქონდათ.

უკანასკნელ წლებში კუსტარული ხელობის საჭიროება გაქრა. ფაბრიკული ბანქოს დასტები იმავე გზით ხვდება ზონებში, როგორც იმაც ყველა დანარჩენი აკრძალული საქონელი<sup>93</sup>.

## 11. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მეთოდები

„კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლა ამ ფენომენის არსებობის მთელ მანძილზე ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

ჯერ ერთი, როგორც ამას ადრე “ქურდული კანონი” მოითხოვდა, „კანონიერი ქურდი“ დანაშაულს პირადად აღარ სჩადის. ჩვეულებრივ, იგი მხოლოდ დანაშაულებრივი დაჯგუფების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ისე, რომ ზოგჯერ არც კი ინტერესდება მისი საქმიანობის ყველა ნიუანსით. ბოროტმოქმედები კი ამჯობინებენ, არ ახსენონ მისი სახელი.

<sup>93</sup> см: Уголовная империя - [http://www.aferizm.ru/criminal/imperia/imperia\\_2.htm](http://www.aferizm.ru/criminal/imperia/imperia_2.htm)

როგორც წესი, „კანონიერი ქურდების“ უმეტესობას მიესადაგებოდა „განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის“ ცნება, რომელიც სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობაში ადრე არსებობდა და მათ მიმართ განსაკუთრებით მკაცრი სასჯელი გამოითანებოდა. მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი ცნება არ არის. არ არის მასში, აგრეთვე მუხლები ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ, რომლებიც ასევე ერთობ ეფექტურად გამოიყენებოდა ამ კატეგორიის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

მესამე, თითქმის ყოველ ქურდს, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, მაღალი რანგის მფარველები ჰყავს და აქვს კავშირები მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან, რომლებიც დაკვეთის შემთხვევაში ხმაურს ტეხენ. ასე მოხდა, მაგალითად, საქართველოში პოლიციის აქტივიზაციის შედეგად, როდესაც 2002-2003 წლებში მთელი რიგი „კანონიერები“ დააპატიმრეს. ბევრმა ჟურნალისტმა მაშინ პოლიციის მუშაკებს ბრალი დასდო ფაქტების დამახინჯებაში, დაკავების წესების დარღვევაში და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში. ამავე დროს, არავის გაუმახვილებია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ დაკავებულები აღიარებული კრიმინალური ავტორიტეტები და მრავალი მძიმე დანაშაულის ორგანიზატორები იყვნენ.

გარდა ამისა, სულ უფრო და უფრო ხშირად ქმნიან კრიმინალური სამყაროს ლიდერები საკუთარ კონტრდაზვერვას, რომელშიც ნამდვილი პროფესიონალები – სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომლები მუშაობენ და სახელმწიფო სტრუქტურების აქტივობის წინასწარ ნეიტრალიზებას ახდენენ.

ფართოდ გამოიყენება მაღალანაზღაურებადი ადვოკატების მომსახურებაც. მიმართავენ ათასგვარ იურიდიულ ხრიკებს, სიყალბეს, ცრუმოწმობას.

გარდა უკვე ტრადიციულად ქცეული მოწმეების დაშინებისა და მოსყიდვისა, ადგილი აქვს პრინციპულ ოპერატიულ მუშაკებზე და გამოძიებლებზე ზემოქმედების მცდელობებს. პირველ რიგში, ამ მიზნით გამოიყენება ქრთამი, ხოლო თუ ის არ სჭრის, გამოიძებნება სხვა საშუალებებიც.

გასაკვირი არ არის, რომ რომელიმე სერიოზული მუხლით „ქურდის“ პასუხისმგებლობაში მიცემის ამოცანა გადაუჭრელი რჩება. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული მოვლენის ძირითად კრიმინოლოგიურ მახასიათებლებში და სტატუსში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით, მასთან ბრძოლისათვის ახალი მიდგომების დამუშავებაა აუცილებელი.

2003 წელს საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ ე.შევარდნაძის პირით არაერთხელ განაცხადა საჯაროდ, რომ „კანონიერი ქურდების“ პრობლემა საფრთხეს უქმნის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. არაერთგზის გაიმართა მთავრობისა და შსს კოლეგიის სხდომები პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდების შემუშავების მიზნით.

სამართალდამცავი ორგანოების აქტივიზაციის შედეგად დააკავეს დაახლოებით 20 „კანონიერი ქურდი“ ნაკომანის, ცეცხლსასროლი იარაღის ფლობისა და სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულებისათვის.

მავედროულად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გ. აგულაშვილის მეთაურობით სცადა, წესრიგი დაემყარებინა რესპუბლიკის ციხეებსა და კოლონიებში, მაგრამ უშედეგოდ. 2003 წელს საქართველოს ციხეებიდან 200 კაცზე მეტი გაიქცა, პატიმრების მასობრივი გაქცევა რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან (128 კაცი) ვინესის რეკორდების წიგნშია შესატანი. ხოლო 2003 წლის პირველი მაისიდან 4000 პატიმარი ერთი კვირის განმავლობაში ციხეებში არაადამიანური ყოფითი პირობების გამო შიმშილობდა. იუსტიციის ყოფილი მინისტრის რ. გილიგაშვილის და გ. აგულაშვილის აზრით, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ავტორები და შემსრულებლები სწორედ „კანონიერი ქურდები“ იყვნენ. შედეგად ორივე მაღალჩინოსანი იძულებული გახდა, გადამდგარიყო, თუმცა ამან ვერ შეაჩერა დანგრევის პირას მყოფი გამასწორებელი დაწესებულებების დეზორგანიზაციის პროცესი.<sup>94</sup>

<sup>94</sup> საქართველოში 6600 პატიმარი იმყოფება 9 კოლონისა და 5 ციხეში, საიდანაც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გაიქცა დაახ. 4 ათასი კაცი.

როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია, თუ განხორციელდება გარკვეული სამართლებრივი რეფორმები და მიიღება კანონი „ორგანიზებული და პროფესიული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ კანონით უნდა იყოს დაცული ადამიანის უფლებები ორგანიზებულ დანაშაულობასთან მიმართებაში სამართლებრივი ზომების გატარების, მათ შორის, სპეციალური ღონისძიებების გამოყენების, ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების შექმნისა და ფუნქციონირების თავიდან აცილების, ორგანიზატორების, ხელმძღვანელების და სხვათა დასჯის, დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის და მათი მატებისათვის წინააღმდეგობის გაწვევის გზით, აგრეთვე სახელმწიფოს, საზოგადოების, კერძო პირების შელახული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღდგენის საშუალებით.

კანონპროექტის შესაბამისად, სამართლებრივ პრაქტიკაში უნდა შევიდეს შემდეგი ცნებები:

- **ორგანიზებული დანაშაულობა** – ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებათა (ორგანიზებული ჯგუფები, ბანდები, დანაშაულებრივი ორგანიზაციები და დანაშაულებრივი თანასაზოგადოებები) შექმნა და მათი ფუნქციონირება (დანაშაულებრივი საქმიანობა).

- **დანაშაულებრივი ორგანიზაცია** – ერთობლივი საქმიანობისათვის პირთა ან ორგანიზებულ ჯგუფთა გაერთიანება კრიმინალური ავტორიტეტების ან „კანონიერი ქურდების“ ხელმძღვანელობით, მონაწილეთა შორის ფუნქციების განაწილებით:

- ა) ორგანიზაციის შექმნისა და მისი ხელმძღვანელობისათვის;
- ბ) კრიმინალური დანაშაულების უშუალო ჩადენისათვის;
- გ) დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის სხვა ფორმებისათვის.

- **დანაშაულებრივი თანასაზოგადოება** – პირთა, ორგანიზატორთა, „კანონიერ ქურდთა“, ავტორიტეტთა ან დანაშაულებრივი ორგანიზაციის, ან ორგანიზებული ჯგუფების, ან ბანდის სხვა მონაწილეთა გაერთიანება, დანაშაულებრივი საქმიანობის კოორდინაციის,

ხელშეწყობის, განვითარების ან რეალიზაციის მიზნით.

- **დანაშაულებრივი შემოსავალი** – ბოროტმოქმედების ჩადენის გზით ფულის, ფასიანი ქაღალდების, სხვა მატერიალური, ინტელექტუალური ფასეულობების ან მათზე უფლების მიღება.

კანონმა უნდა შეავსოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ისეთი შემადგენლობით, როგორცაა: „დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მისი საქმიანობის ხელმძღვანელობა“, „მონაწილეობა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში ან მის საქმიანობაში“, „დანაშაულებრივი თანასაზოგადოების ორგანიზაცია ან მისი ხელმძღვანელობა“, „მონაწილეობა დანაშაულებრივ თანასაზოგადოებაში“, „მონაწილეობა ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების არაკანონიერი შემოსავლების ლეგალიზაციაში ან/და მის მატებაში“, „მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია დამამძიმებელ გარემოებებში“, „დახმარების გაწევა ორგანიზებული ჯგუფის, დანაშაულებრივი ორგანიზაციისა და დანაშაულებრივი თანასაზოგადოებისათვის“, „დანაშაულებრივი ჯგუფის, დანაშაულებრივი ორგანიზაციის და დანაშაულებრივი თანასაზოგადოების დაფარვა“, „იმ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა კანონიერი მოღვაწეობისათვის დაბრკოლებების შექმნა, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქციებს ახორციელებენ“.

კანონპროექტში შეიძლება, გამოიყოს 8 პუნქტი.

ზოგადი დებულებები:

1. ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მეთოდები;
2. იმ ორგანოთა ჩამონათვალი და ძირითადი უფლებამოსილება, რომლებიც ბრძოლას ახორციელებენ ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ;
3. ოპერატიული სამსახურების როლი და ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
4. პროცესუალური წარმოება ორგანიზებული დანაშაულობის საქმეებზე;
5. დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრების ლეგალიზაციის

თავიდან აცილება;

6. რეციდივისტების და „კანონიერი ქურდების“ დასჯის აღსრულების თავისებურებანი;

7. ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესება იმ რეციდივისტებსა და „კანონიერ ქურდებზე“, რომლებიც სასჯელის მოხდის შემდეგ გამოსწორების გზას არ დაადგინენ;

8. დაფინანსების ფორმები და წყაროები.

### **მოცემული კანონი ხელს შეუწყობს შემდეგი მიზნების რეალიზაციას:**

– ქურდულ ავტორიტეტებზე, დანაშაულებრივი დაჯგუფებების ლიდერებზე ადმინისტრაციული ოპერატიული კონტროლის გაძლიერებას;

– ახალგაზრდობისაგან, ჩვეულებრივი სამართალ-დამრღვევებისაგან მათ იზოლაციას ერთკაციან საკნებში;

– სისხლისსამართლებრივი გარემოს შემცირებას უმნიშვნელო სამართალდარღვევების დეკრიმინალიზაციის ხარჯზე; იმ სისხლის სამართლის საქმეების გადახედვას, რომლებიც უკანონო გასამართლების ნიშნებს ატარებენ;

– საიმედო საფინანსო კონტროლის შემუშავებას;

– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძალებით კერძო სექტორის რეკეტისაგან დაცვას;

– დანაშაულობაზე ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნას;

– ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ სპეციალური კანონმდებლობის შემუშავების პირობების შესწავლას;

– ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დამოუკიდებელი მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნას.

რასაკვირველია, საკანონმდებლო და სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პენიტენციური სისტემის რეფორმირებას საკანონმდებლო, მატერიალურ-ტექნიკურ და საკადრო დონეებზე. კანონპროექტი უნდა ეყრდნობოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ. კერ-

ძოდ, ქართველმა კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ის კონფისკაციური ზომები და ჯარიმები, რომლებიც ფართოდ არის რეკომენდებული აღნიშნული კონვენციით და, აგრეთვე გათვალისწინებულია აშშ-სა და იტალიის მაფიის წინააღმდეგ მიმართული კანონებით.

არანაკლები მნიშვნელობის მქონე ამოცანად ითვლება პოლიციის უბნის ინსპექტორების უფლებებისა და მოვალეობების გაფართოება. ისინი ვალდებული არიან, დროულად გამოავლინონ „კანონიერი ქურდები“ და მოახდინონ მათზე ზემოქმედება მძიმე დანაშაულების ჩადენის, არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის თავიდან აცილების, მოსახლეობაში ქურდული მორალის და ქცევის ნორმების კულტივირების წინააღმდეგ.

„კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ სამართალდამცავი სისტემის მთელი საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად უნდა იქცეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის გადამუშავება, რამაც უნდა დაარეგულიროს ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირების წინააღმდეგ ოპერატიული სამსახურების მოღვაწეობის სამართლებრივი საკითხები და განსაზღვროს ამ ბრძოლის ტაქტიკა და მეთოდიკა. მოცემულ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იყოს აგენტების უფლებები და მოვალეობები და მათი სტატუსი, ელექტრონული დაკვირვების (თვალთვალი) და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების დასაბუთება, ბინებში და სხვა კერძო შენობებში ოპერატიული შეჭრის პროცედურა. ამ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება ოპერატიული ჩანერგვა, ანუ კრიმინალურ ორგანიზებულ დაჯგუფებებში, ბანდებში, დანაშაულებრივ საზოგადოებებში ოპერატიული განყოფილებების შტატიანი თანამშრომლების ან მათთან მოთანამშრომლე პირების შეგზავნა. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა აშშ-ს გამოცდილება. ამ ქვეყანაში გფბ-ს, ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს და სხვა სამსახურების მიერ საიდუმლო ოპერაციების ჩატარება და საიდუმლო თანამშრომლების ან ინფორმატორების გამოყენება (მათ ზოგჯერ საიდუმლო აგენტს

უწოდებენ), ძირითადად, პრეზიდენტის და იუსტიციის მინისტრის ნორმატიული აქტებით რეგლამენტირდება. ფარული თანამშრომლობის და ინფორმაციების გამოყენების წესი ამ დოკუმენტებით მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის რეგულირდება:

– სასამართლო დევნის ინტერესებისათვის ინფორმაციის ან მტკიცებულებების მიღება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე საქმეებზე;

– იმ პირთა ნდობის მოპოვება და შენარჩუნება, რომლებიც დაკავშირებული არიან ძიებაში მყოფ დანაშაულებრივ საქმიანობასთან;

– თანამშრომლისათვის ან სხვა პირისათვის სერიოზული საფრთხის, სიკვდილის ან დასახინჩრების აცილება.

არანაკლებ მნიშვნელოვნად ითვლება ე.წ. „ოპერატიული ექსპერიმენტის“ პროცედურის მოწესრიგება, რომელიც გულისხმობს პირობების შექმნას იმ პირთა დანაშაულებრივი განზრახვის გამოვლენისათვის, ვინც ეჭვმიტანილია დანაშაულებრივი ჯგუფის ან „კანონიერი ქურდების“ თანასაზოგადოებასთან კუთვნილებაში. სხვა სიტყვებით, ამ ღონისძიებას „ოპერატიული კომბინაცია“ ან „საიდუმლო ოპერაცია“ ეწოდება. აშშ კანონმდებლობით, სამართალდარღვევის პროვოკაციის შემცველი ასეთი ექსპერიმენტები აკრძალულია. პროვოკაცია ამ შემთხვევაში გულისხმობს „პირის დაყოლიებას ან წაქეზებას დანაშაულზე, რომელსაც ის სხვა გარემოების დროს არ ჩაიდენდა“.

დანაშაულებრივი თანასაზოგადოების კრიმინალური საქმიანობის გახსნისათვის კანონში უნდა არსებობდეს სპეციალური დებულება იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ, რომლებიც ოპერატიული სამსახურების წარმომადგენლებთან ითანამშრომლებენ. კანონს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმა:

„თუ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედების მონაწილეა, რომელსაც მძიმე შედეგი არ მოჰყოლია და კეთილსინდისიერად თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოსთან, აქტიურად უწყობს ხელს დანაშაულის გახს-

ნას, აანაზღაურებს მატერიალურ ზარალს ან სხვა ხერხით აღმოფხვრის მიყენებულ ზიანს, ის თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

არანაკლებ მნიშვნელოვნად ითვლება იმ ოპერატიული მუშაკების ნორმატიული დაცვა, რომლებიც დანაშაულებრივი კლანის წინააღმდეგ ბრძოლას ახორციელებენ. ის შეიძლება ჩაირთოს „ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონში“.

ორგანიზებული ჯგუფების, ბანდებისა და დანაშაულებრივი თანასაზოგადოების შექმნასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მძიმე დანაშაულების თავიდან აცილებისათვის მებრძოლ ოპერატიულ მუშაკთა სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემისაგან დაცვის კანონი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ამ კანონის შესაბამისად, დანაშაულად არ ითვლება (თუმცა შეიცავს სისხლისსამართლებრივად დასჯად ნიშნებს, რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით) ქმედება, რომელიც ჩადენილია დადგენილი წესით მიღებული იმ დავალების შესრულებისას, რომელიც ხორციელდება სპეციალიზებული ქვეგანყოფილების ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფის ან იმ პირთა მიერ, რომლებიც ხელს უწყობენ ასეთი ღონისძიებების ჩატარებას, თუ ამგვარი დავალება სრულდება სისხლის სამართლის სპეციალური მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გამოვლენის, მათი თავიდან აცილების ან გახსნის მიზნით. ამასთან, თუ:

ა) სიცოცხლის ხელყოფა ან ჯანმრთელობის, პატივის, ღირსებისა და პიროვნების თავისუფლებისათვის ზიანის მიყენება ჩადენილია აუცილებელი თავდაცვის ან უკიდურესი აუცილებლობის პირობებში;

ბ) ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური ქვეგანყოფილების თანამშრომლები არ ყოფილან ბანდის, ორგანიზებული ჯგუფის, დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები ან ორგანიზატორები;

გ) აღნიშნული ქვეგანყოფილებების ან წინასწარი გამოძიების თანამშრომლები არ ახდენდნენ პირის დაყოლიებას დანაშაულის

ჩასადენად, ე.ი. ადგილი არ ჰქონია წაქეზებას, რაც ისჯება კანონის მიხედვით.

ამავდროულად, აუცილებელია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს დამატება ორგანიზებული ჯგუფის, დანაშაულებრივი ორგანიზაციის, დანაშაულებრივი თანასაზოგადოების მონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ. კერძოდ, დანაშაულებრივი ჯგუფის, ბანდის, ორგანიზაციის, თანასაზოგადოების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლებას საქართველოს სსკ 68-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველზე; დანაშაულებრივი ჯგუფის, ბანდის, ორგანიზაციის, თანასაზოგადოების წევრი, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია ამ ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულებში, ან ჩადენილი დანაშაული არ ითვლება მძიმედ, ან თუ მან ყველა ზომა მიიღო აღნიშნული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება, გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან სასამართლოს, მოკვლევის ორგანოს მიერ ან გამომძიებლის შესაბამისი წარდგინების საფუძველზე. დანაშაულებრივი ჯგუფის, ბანდის, ორგანიზაციის, თანასაზოგადოების, მათი საქმიანობის მონაწილე სასამართლოს მიერ თავისუფლდება სასჯელისაგან, თუ მან პასუხისმგებლობაში მიცემამდე ნებაყოფლობით შეატყობინა მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს მისთვის ცნობილი ყველა მონაცემი აღნიშნული დანაშაულებრივი გაერთიანებების შესახებ, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. უკეთუ მან ჩაიდინა მძიმე დანაშაული, მიმართული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ, დაედება სასჯელი, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები განიხილება როგორც შემამსუბუქებელი.

არანაკლები მნიშვნელობის მქონე ამოცანას წარმოადგენს საქართველოში „კანონიერი ქურდებისა“ და კრიმინალური ავტორიტეტებისათვის სპეციალური პენიტენციური დაწესებულებების შექმნა.

ეს უნდა იყოს ციხის ტიპის დაწესებულება იზოლაციის მაღალი დონით. ქურდული ტრადიციების მიმდევარი პირების საიმედო იზოლაციამ შეიძლება, გამოასწოროს კრიმინოგენული სიტუაცია პენიტენციურ დაწესებულებებში და ხელი შეუშალოს ახალ დამნაშავეთა რეკრუტირებას.

რეციდივის თავიდან ასაცილებლად და „ქურდებზე“ კონტროლის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო ღონისძიებების გატარებას, რადგან წინასწარ ცნობილია, რომ მათი დიდი უმრავლესობა დანაშაულებრივ თანასაზოგადოებაში ორგანიზატორულ როლს უბრუნდება. გათავისუფლების შემდეგ აუცილებელი კონტროლი პოლიციას კრიმინალურ ავტორიტეტზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების და შეზღუდვის განსაზღვრული კანონების დარღვევის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობაში მიცემის საშუალებას აძლევს.

## 12. საქართველოს ახალი ხელისუფლება და „კანონიერი ქურდები“

2003 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს, საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ნაციონალური მოძრაობის ლიდერის – მიხეილ სააკაშვილის, „ბურჯანაძე-დემოკრატიების“ ლიდერების — ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით საქართველოს პრეზიდენტი — ედუარდ შევარდნაძე აიძულა, გადადგომის შესახებ განცხადება გაეკეთებინა. საერთაშორისო პრესამ ამ პროცესებს „ვარდების რევოლუცია“ უწოდა. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობების ისტორიას ცოტა თუ ახსოვს ასეთი ხავერდოვანი უსისხლო რევოლუცია, რომელსაც არ მოჰყოლია ნგრევა, განადგურება და მატერიალური ზარალი.

ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა — მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადეს, რომ ქურდული ინსტიტუტის ნგრევა სწორედ ყველაზე გავლენიანი კრიმ-



ინალების დაჭერით უნდა დაიწყო. „კრიმინალური სამყაროს სიძლიერით ყველაზე მეტად ბიზნესმენები არიან შეწუხებულები“. რამოდენიმე თვის წინ ბიზნესმენებმა – ლევან გაჩეჩილაძემ და დავით გამყრელიძემ სწორედ ამ ტენდენციის შესახებ ისაუბრეს. მათი თქმით, „კანონიერი ქურდები“ ყველა მსხვილ თუ წვრილ საწარმოს ატერორებენ“<sup>95</sup>.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დამაჯერებლად აღნიშნა, რომ: „საქართველოში კრიმინალს დაუპირისპირდება ძალიან დიდი ძალა... ჩვენ ამ ხალხისათვის ტყვიები არ გვენანება“. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პირველსავე დღეს განაცხადა, რომ “ამ ქვეყანაში კრიმინალებს არ დაედგომებათ“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო „კანონიერი ქურდების“ მიმართ ზომების გატარება. დაპატიმრებულია კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, 1972წ. დაბადებული ზაზა ამბროლაძე, რომლის სახლიდანაც ამოიღეს ავტომატი „აკს“-ი მჭიდითა და საბრძოლო ვაზნებით. მის დასაცავად, მართალია, მოსახლეობის ნაწილი ქუჩაში გამოვიდა, მაგრამ ამ აქციას იმთავითვე მოჰყვა პოლიციის მხრიდან მძაფრი რეაქცია. ამბროლაძის შემდეგ დაკავებულნი არიან:

ოზურგეთის რაიონის სოფ. ასკანაში მცხოვრები 1973 წ. დაბადებული მრავალჯერ ნასამართლევი „კანონიერი ქურდი“ ალექსანდრე ქურასბელიანი, მეტსახელად „წრიპა“, რომელიც იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. მისგან დაკავების მომენტში ამოიღეს 0,002 გრ. „სუბოტეჟი“.

დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფ. გურჯაანში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, 1970 წ. დაბადებული „კანონიერი ქურდი“ მამუკა ცისკარიშვილი მეტსახელად „კიო“, რომლისგანაც ამოიღეს 0,13 გრ. „ჰეროინი“.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გამოძალვისათვის დააკავეს მძალვაში მყოფი „კანონიერი ქურდი“, 1973 წ. დაბადებული გურამ გრიგოსევი-მეფარიშვილი, მეტსახელად „დუტუ“.

<sup>95</sup> იხ. გაზ. ‘ახალი ვერსია’, 2004 წ. 19-25 იანვარი, 131, გვ. 4.

იმავე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში დააკავეს ქურდიანის ქ. №6-ში მცხოვრები მრავალჯერ ნასამართლევი 1955 წ. დაბადებული თეიმურაზ დათუნაშვილი, მეტსახელად „გია გურიისკი“, რომლისგანაც ამოიღეს 0,1 გრ. „ჰეროინი“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები აგრძელებენ დამნაშავეთა სამყაროს მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებას. გარდა ამისა, როგორც ამას შ.ს. მინისტრი გ. ბარამიძე ადასტურებს, გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში, რომლის მიზანია კრიმინალური სამყაროს მიმართ სანქციების გამკაცრება. აღნიშნულს მხარს უჭერს საქართველოს ახლად არჩეული ხელისუფლება.

## დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ პროფესიულ დანაშაულობას ყოფილი საბჭოთა კავშირის და საქართველოს ტერიტორიაზე ღრმადწასული ფესვები აქვს და მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე.

ქურდული თანასაზოგადოება ჩაისახა და ვითარდებოდა “გულაგის” რეპრესიული სტალინური სისტემის წიაღში და არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა ხრუშჩოვ-ბრეჟნევის პერიოდში. იგი ხასიათდებოდა, ერთი მხრივ, შეურიგებელი კონფრონტაციით მმართველ რეჟიმთან, მეორე მხრივ, სოციალისტური ხუთწლედების კატორღულ სამუშაოებზე პატიმრების ექსპლუატაციის საქმეში ბანაკის ადმინისტრაციასთან სიმბიოზით.

„კანონიერ ქურდთა“ თანამედროვე თანასაზოგადოება, პრაქტიკულად, მაფიოზურ-განგსტერულ ორგანიზებულ დანაშაულობაში გადაიზარდა და თავისი ტრადიციები ზოგიერთ ფორმალურ რიტუალში შეინარჩუნა, რასაც უფრო სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული.

ამავე დროს, თანამედროვე ქურდები, როგორც დანაშაულებრივი თანასაზოგადოებების ლიდერები, მრისხანე ძალაა, რომელმაც შეძ-

ლო, „პერესტროიკისა“ და „ველური კაპიტალიზმის“ პერიოდში (80-90-ნი წლები) ხელთ ეგდო უზარმაზარი ფინანსური სახსრები, პოლიტიკური გავლენა და ტრანსნაციონალური კრიმინალური კავშირები, რამაც ისინი კიდევ უფრო საშიში გახადა კონკრეტული სახელმწიფოსა და ნებისმიერი სოციალური სისტემისათვის. ესაა საერთაშორისო პრობლემა, რომლის გასაღები პრინციპულად ახალ, უფრო სრულყოფილ სამართლებრივ მიდგომებში და საპოლიციო და საფინანსო სისტემების უფრო დახვეწილ და კოორდინირებულ ქმედებებში ძევს.

პრობლემით დაინტერესებულ ნებისმიერ პიროვნებას უჩნდება საერთო შეკითხვა: პოსტსაბჭოურ სივრცეში საკმაოდ მრავალრიცხოვანია დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტები, მათ შორის პროცენტული რაოდენობით მეტია ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები; რა განაპირობებს ამას? სპეციალურ ლიტერატურაში, საინფორმაციო საშუალებებში არის მცდელობა, ზოგადად გაეცეს პასუხი ამ კითხვას. სხვა ფაქტორებთან ერთად ქურდების მიმართ პატივისცემის ერთ-ერთი მიზეზი საბჭოთა მილიციისადმი სიძულვილი იყო. როცა პოლიციელი კრიმინალივით იქცეოდა, არჩევანი ძალაუვნებურად ნამდვილ კრიმინალზე კეთდებოდა. ქურდის ცხოვრების წესი იმდენად თვალსაჩინო არ ყოფილა, როგორც თავად ქურდი, რომლის სამართალი გაცილებით ცნობილი იყო, ვიდრე პოლიციისა.<sup>96</sup>

ბოლო პერიოდში ქურდებისადმი პატივისცემას ხალხში ისიც განაპირობებს, რომ მათი უმრავლესობა ნარკობიზნესით და სხვა უკანონო გზებით ნაშოვნ ფულს ქველმოქმედებაში დებს, აშენებს ეკლესიებს და ეხმარება ცალკეულ ადამიანებს, რითაც ავტორიტეტის შენარჩუნებას ახერხებს.<sup>97</sup>

არის კიდევ ერთი ანგარიშგასაწვევი მომენტი. ესაა ქართველი ქურდების ამტანიანობა – მათ უმრავლესობას ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის ციხეებში აქვს სასჯელი მოხდელი. გამტანიანობა და სისასტიკე კი მათ საშუალებას აძლევს სხვა ეროვნების დამნაშავეებთან შედარებით „თავი გამოიჩინონ“.

<sup>96</sup> იხ. გაზ. „ახალი ვერსია“ 2004 წ. 19-25 იანვარი, 131, გვ. 4.

<sup>97</sup> იქვე.

## ნაშრომში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

სააღმზრდელო-შრომითი კოლონია – ბანაკის ტიპის შრომა-გასწორებითი დაწესებულება არასრულწლოვანთათვის (14-დან 18 წლამდე, ზოგჯერ 20 წლამდე). მათში, ჩვეულებრივ, იმყოფება 300-დან 700 მოზარდამდე. კოლონიის ტერიტორიაზე არის იგივე ზონები და ფუნქციური შენობები, რაც მოზრდილთა კოლონიებში, მათ შორის, შენობა დისციპლინური სასჯელებისთვის (დისციპლინური იზოლატორი).

სააღმზრდელო-შრომით კოლონიაში ყოფნის რეჟიმი მნიშვნელოვნად უკეთესია, ვიდრე მოზრდილთა დაწესებულებებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანებს არ აქვთ უზრუნველყოფილი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი ღირსების გარანტიები. შეურაცხყოფა, ტანჯვა, წამება, გაუპატიურება აქ ყოველდღიური რეალობაა. ხშირად ეს ხდება აღმზრდელის თვალწინ, მისი ხელშეწყობითაც კი. აქ მაღალია გაუპატიურებულთა და მუდმივ სექსუალურ პარტნიორებად მათი გამოყენების წილი, რაც ზოგიერთ რეგიონში 70-80-იან წლებში 30%-ს აღწევდა.

90-იან წლებში ამ მაჩვენებელმა კლება იწყო.

### “გულაგ”-ი

1. ბანაკების მთავარი სამართველო. საკონცენტრაციო ბანაკების საბჭოთა სისტემის დასახელება, რაც ჯერ კიდევ 30-იან წლებში გაჩნდა.

2. ზოგადი დასახელება ადამიანთა მასობრივი განადგურების და განსხვავებულად მოაზროვნეთა დათრგუნვის სისტემისა (ზოგჯერ – სხვა ტოტალიტარულ სახელმწიფოთა სისტემებისაც).

3. ჟურნალისტების და სამართალდამცავთა მიერ გამოყენებული დასახელება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი თანამედროვე პენიტენციური სისტემების აღსანიშნავად.

ხე-ტყის დამაზადებელი ბანაკების მთავარი სამართველო – სსრკ შსს-ის სტრუქტურული ქვედანაყოფი.

შრომაგასწორებითი კოლონია – ბანაკის ტიპის დაწესებულების საერთო დასახელება. აღნიშნული კოლონია იყოფა შემდეგ ტიპებად: საერთო რეჟიმის (მსჯავრდებული მამაკაცებისთვის, რომლებიც პირველად არიან გასამართლებულნი მსუბუქი დანაშაულისთვის და ყველა ქალისთვის, ვინც სასამართლოს მიერ არ არის მიჩნეული განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად); 2. გაძლიერებული რეჟიმის (მძიმე დანაშაულისათვის პირველად გასამართლებული მამაკაცებისათვის); 3. მკაცრი რეჟიმის (მამაკაცებისთვის, რომელთაც უკვე მოხდელი აქვთ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, და ქალებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად არიან აღიარებულნი). 4. განსაკუთრებული რეჟიმის (განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტი მამაკაცებისათვის). 5. კოლონია-ჩასახლება (ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულებები) წინასწარგანზრახვის გარეშე დანაშაულის ჩამდენთათვის და იმ მსჯავრდებულთათვის, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოყვანილია საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმებიდან.

არის სპეციალიზებული შრომაგასწორებითი კოლონია (ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, ინვალიდებისათვის, სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომლებისათვის, მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის), სადაც ყოფნის რეჟიმი მკაცრდება საერთოდან განსაკუთრებისაკენ. განსაკუთრებული რეჟიმის პატიმრები იმყოფებიან ჩაკეტილ საკნებში (20-50 კაცი). სხვა რეჟიმებისა – საერთო საცხოვრებლებში („ბარაკებში“). საერთო საცხოვრებლის საძინებელი ოთახები 20-150 კაცზეა გათვლილი, საწოლები განლაგებულია ორ ან სამ იარუსად. გარდა საძინებლებისა, საერთო საცხოვრებელში ყოველ 150-200 კაცზე („რაზმი“) გათვალისწინებულია: ოთახი პირადი ნივთების შესანახად: გასახდელი (ზედა ტანსაცმლისათვის); ოთახი კვებისათვის (კარადები პროდუქტებისათვის, წყლის გამაცხელებელი); „წითელი კუთხე“ (აღრე „ლენინური ოთახი“), სადაც ჩვეულებრივ, ტარდება პოლიტმეცადინეობები და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები, დგას მაგიდები, წიგნების თაროები, რადიომიმღები, ზოგჯერ ტელევიზორი); ტუალეტი – (თუ ბანაკში არსებობს კანალიზაცია). ფართობის კანონით დადგენილი

ნორმა 2 კვ. მ. ერთ კაცზე. დღისით, სამუშაოსა და ღონისძიებებისაგან თავისუფალ დროს პატიმრებს უფლება აქვთ, საერთო საცხოვრებლიდან „ლოკალურ ზონაში“ გავიდნენ. კოლონიის დანარჩენ ტერიტორიაზე უფლება ეძლევათ, გადაადგილდნენ მხოლოდ მწყობრში ადმინისტრაციისაგან ნებართვის მიღების შემდეგ. პატიმრების რაოდენობა ერთ შრომაგასწორებით კოლონიაში შეადგენს 500-დან 3000-მდე კაცს. უფრო ხშირად 1500-2000 კაცს.

შრომაგასწორებითი კოლონია დაყოფილია სამრეწველო (აქ განლაგებულია საწარმოო შენობები) და საცხოვრებელ ზონებად. ამ ზონებს ერთმანეთისაგან ყოფს მესერი, გაჭიმულია მავთულხლართები, მათ შორის დერეფანია ზოგჯერ დაცვის ჯარისკაცებით. გარდა ამისა, საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე, ჩვეულებრივ, მოქმედებს სასადილო, კლუბი, აბანო, შტაბი, რომელშიც განლაგებულია შენობა ადმინისტრაციული მუშაკებისათვის. კოლონიაში არის ოთახები ხანმოკლე (2-დან 4 საათამდე) და ხანგრძლივი (1-დან 3 დღე-ღამემდე) შეხვედრებისათვის.

შრომაგასწორებით კოლონიაში არსებობს, აგრეთვე შენობები დისციპლინური სასჯელებისთვის: საჯარიმო იზოლატორი (დაკავების ვადა 15 დღე-ღამე) და საკნის ტიპის შენობა (დაკავების ვადა ექვს თვემდე). 1988 წლამდე აქ მოხვედრილ პატიმრებს კვების შემცირებული ნორმა ენიშნებოდათ. არსებობდა სხვა შეზღუდვების მთელი რიგი (ლოგინის თეთრეულის, წიგნების, ამანათების მიღების, სეირნობის, მიმოწერის უფლების და ა.შ. არქონა). რუსეთში ზოგიერთი ეს შეზღუდვა 1992 წელს გაუქმდა.

1997 წლის 1 იანვრიდან შრომაგასწორებით კოლონიას ეწოდა გამასწორებელი კოლონია.

გარჩევა („რაზბორკა“) – 1. დამოკიდებულებათა ნებისმიერი გარკვევა პატიმრებს ან პატიმართა ჯგუფებს შორის “ციხის კანონით” ან “ქურდული კანონით” გათვალისწინებული წესების შესაბამისად (იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი გაჩნდა ქურდებს ან მათთან მიახლოებულ ავტორიტეტებს შორის). ასეთი გარჩევა, ჩვეულებრივი კონფლიქტისაგან განსხვავებით, ზოგჯერ „პრავილკად“ იწოდება. მოსამართლის როლში, ჩვეულებრივ, გამოდიან ავტორიტეტ-

ული პატიმრები. სერიოზულ შემთხვევებში დამნაშავედ მიჩნეულ ადამიანს (მოპასუხეს) გადასცემენ მართალს (გარჩევის შედეგად მართლად აღიარებულს). მას უფლება აქვს მოპასუხეს როგორც „ღირსეულს“ ან როგორც „არამზადას“ მოექცეს. პირველ შემთხვევაში მოპასუხე ვალდებულია საჯაროდ აღიაროს ბრალი და მოინანიოს. მართალს შეუძლია „ძმურად“ (მსუბუქად) დაარტყას მოპასუხეს. მეორე შემთხვევაში მოპასუხე სასიკვდილო განაჩენისგანაც არაა დაზღვეული. მართალს უფლება აქვს, გარჩევის განაჩენის შესაბამისად, დამნაშავისაგან მოითხოვოს ფული, ნივთები... მას თითქოსდა არჩევანის სრული თავისუფლება აქვს. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რამდენად სამართლიანია მართლის მიერ შერჩეული სანქცია, რამდენად შეესაბამება იგი დანაშაულის ხარისხს, რამდენად სულგრძელია „საქმის მომგები“, გარშემო მყოფნი აზრს შეიქმნიან მისი პიროვნების შესახებ, რაც საბოლოო ჯამში თანასაზოგადოებაში მის სტატუსზე იმოქმედებს.

გარჩევები ქურდებსა და ავტორიტეტებს შორის ტარდება ქურდული კანონით გათვალისწინებული სხვა წესების შესაბამისად. მაგალითად, არ შეიძლება ქურდისათვის დარტყმა, „ძმურადაც“ კი. ასეთი სანქცია ერთმნიშვნელოვანია – ქურდს ჩამოერთვა წოდება. ამ სანქციით უსამართლოდ დასჯილი, რომელიც არ აღიარებს ქურდის წოდების ჩამორთმევის კანონიერებას, ვალდებულია, მოკლას დამრტყმელი.

პოლონელი ქურდები:

1. ქურდები, ვინც „სწორ ცხოვრებას“ განუდგა;
2. პროფესიული ქურდები, რომლებიც არ შედიან და არ შედიოდნენ რაიმე დაჯგუფებაში;
3. ქურდები, რომლებიც მტრობენ „კანონიერ ქურდებს“ ბანაკის ადმინისტრაციის მოწონებით ან მისი ხელმძღვანელობით.

„პოლონელი ქურდები“ ციხის სამყაროში ითვლებიან იმ ქურდების შთამომავლებად, რომლებიც პოლონეთიდან გადმოვიდნენ რუსეთში ჯერ კიდევ მაშინ, როცა პოლონეთი რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. „პოლონელი ქურდების“ “შემოსევასთან” და მათ საქმიანობასთან აკავშირებს ციხის სამყაროს მითოლოგია ქურდული ზნეობის ვარდნას.

## საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები „ავტორიტეტები“

**აბასოვი სუმბატ ამიაკის ძე** - დაბადებული 01.01.1966 წ. მცხოვრები: თბილისი, ნორიოს აღმართი 54, ბინა 20.

„სუმბატ“

**აბზიანიძე ბესიკი რევაზის ძე** - დაბადებული 01.11.1971 წ. მცხოვრები: ქუთაისი, აბაშიძის ქუჩა 10 „რამაშკინი“

**აბრამია ელგუჯა გივის ძე** - დაბადებული 01.01.1956 წ. მცხოვრები: ბათუმი, ჯაფარიძის 109 „აბრამა“, „ნისთავა“, „ელგუჯა“

**აგრაბა ალხას ლეონიდის ძე** - დაბადებული 24.11.1971 წ. მცხოვრები: გუდაუთის რაიონი, სოფელი აბგარხუკი „ალხას“

**აღანია ბადრი ვალიკოს ძე** - დაბადებული 21.11.1960 წ. მცხოვრები: ფოთი, ნინოშვილის ქუჩა 201 „თომაზი“

**აგლიანი ვიტალი ჯაზოს ძე** - დაბადებული 25.09.1969 წ. მცხოვრები: თბილისი, 3 მასივი, 1 მ/რ., 43 ა კორპ. ბინა 84 - „ვიტია ტბილისკი“

**ალოიანი გიორგი ვალერიანის ძე** - დაბადებული 29.10.1957 წ. მცხოვრები: თბილისი, გლდანის მასივი „ჟორა თბილისელი“

**აღფაიძე-ანტიპოვი გორა ჯუმბერის ძე** - დაბადებული 01.01.1970 წ. მცხოვრები: ქუთაისი, გოგოლის ქუჩა 69 „აღფასონა“

**აღშიბაია კახა იმედის ძე** - დაბადებული 20.08.1962 წ. მცხოვრები: ზუგდიდი, ოხუშის 19

**აღხიძე მალხაზი ვალერიანის ძე** - დაბადებული 19.03.1974 წ. მცხოვრები: თბილისი, ვაჟა ფშაველას 58 „რომეო“

**ამადიანი მაქსიმო ისაკის ძე** - დაბადებული 08.07.1969 წ. მცხოვრები: თბილისი, გლდანი 3 „ა“ მ/რ., კორპ. 3 „ბ“ ბინა 74 - „მაქსიმა“

**ამბროლაძე ზაზა ავთანდილის ძე** - დაბადებული 27.03.1972 წ. მცხოვრები: თერჯოლის რაიონი, სოფელი გოლოვანი - „ზაზაია“

**არაბული რობინზონი ზაქარიას ძე** - დაბადებული 01.01.1952 წ. მცხოვრები: თბილისი, ავჭალის გზატკეცილი 83 - „რობინზონი“

**ართილაყვა გიორგი აგის ძე** - დაბადებული 05.03.1957 წ. მცხოვრები: ბათუმი, რუსთაველის 10, ბინა 33 - „რიჟა“

**არჩვაძე კახაბერი ჯუმბერის ძე** - დაბადებული 01.01.1962 წ.

მცხოვრები: თბილისი, რაზმაძის ქუჩა 56  
**ასანბიძე მერაბი ჟორჯიკას ძე** - დაბადებული 01.01.1962 წ.  
მცხოვრები: ჭიათურა, გოგებაშვილის 23, ბინა 18 - „ჩიკორა“  
**ასატურიანი გაგიკ ამიაკის ძე** - დაბადებული 01.01.1959 წ.  
მცხოვრები: თბილისი, წითელწყაროს 2, შესახვევი 8 - „გაჩიკა“  
**ასლანოვი შირალი ვაზგენის ძე** - დაბადებული 19.04.1958 წ.  
მცხოვრები: რუსთავი, მეგობრობის გამზირი 1, ბინა 11, - „ჯეირანი“  
„შარალი“  
**ასპანიძე ზურაბი პეტრეს ძე** - დაბადებული 30.06.1966 წ.  
მცხოვრები: თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის 77/1, ბინა 45 - „ზურა“  
**აფაქია მამუკა ვალიკოს ძე** - დაბადებული 20.10.1972 წ. მცხოვრები: სოხუმი (ცხოვრობს მოსკოვის ოლქში) - „მამუკა“  
**აფციაური მალხაზი შოთას ძე** - დაბადებული 27.02.1970 წ.  
მცხოვრები: თბილისი, ჯავახეთის I შესახვევი, ბინა 19 - „ვარდენა“  
**აზვლედიანი ნუგზარი ბიძინას ძე** - დაბადებული 01.01.1947 წ.  
მცხოვრები: ქუთაისი, ორჯონიკიძის ქუჩა 62 ან 76 - „ჭიპა“  
**ბაბასიანი თემური მუხკოს ძე** - დაბადებული 01.01.1968 წ.  
მცხოვრები: თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვარტალი, 19 კორპუსი  
**ბაირამიძე ჯუმბერი გიორგის ძე** - დაბადებული 24.04.1977 წ.  
მცხოვრები: ფოთი, ასათიანის ქუჩა 28  
**ბაკურიძე ბიძინა შოთას ძე** - დაბადებული 03.05.1966 წ.  
მცხოვრები: ბათუმი, მაიაკოვსკის 149 - „ლომჩიკა“  
**ბარათაშვილი დავითი გიორგის ძე** - დაბადებული 21.01.1968 წ.  
მცხოვრები: სოხუმი, ლესელიძის 23 - „მამუკა“  
**ბარბაქაძე რომანი ალექსის ძე** - დაბადებული 09.03.1964 წ.  
მცხოვრები: ჭიათურა, ბარათაშვილის ქუჩა 17 - „რემენა“ „რომა“  
**ბარკალაია თამაზი ალექსანდრეს ძე** - დაბადებული 01.01.1954 წ.  
მცხოვრები: ცხაკაია, სურამის 8 - „ქოთომა“  
**ბარცბა რაული ზოსიმეს ძე** - დაბადებული 06.05.1966 წ. მცხოვრები: სოხუმი, აგრბას ქუჩა 5, ბინა 70 - „რაული“ „პიზა“  
**ბაქრაძე პაატა ზაურის ძე** - დაბადებული 01.01.1971 წ. მცხოვრები: თბილისი, ცოტნე დადიანის 66 - „პაატა“  
**ბაშირიანი მამული მაჯიგის ძე** - დაბადებული 01.01.1962 წ.  
მცხოვრები: თბილისი, აღმაშენებლის 55, ბინა 1 - „მამულა“  
**ბანია (კირთაძე) მერაბი ავთანდილის ძე** - დაბადებული 15.06.1962

წ. მცხოვრები: სოხუმი, ეშბას 3 შესახვევი, სახლი 4 - „მერაბი“ „ბანა-ბანა“  
**ბელთაძე ლაშა დუგლასის ძე** დაბადებული 11.08.1972 წ.  
მცხოვრები: სამტრედია, (მოსკოვი რაშუპკინის ქუჩა 7 ბინა 170) - „ბუბუტი“ „აზო“  
**ბერიაშვილი გიორგი სიკოს ძე** - დაბადებული 08.09.1962 წ.  
მცხოვრები: ყვარელის რაიონი, სოფელი საბუე - „ბრემენა“  
**ბერულავა თენგიზი ალექსანდრეს ძე** - დაბადებული 08.06.1958 წ.  
მცხოვრები: სოხუმი, ბესლეთი  
**ბესელია ვარლამი აბესალომის ძე** - დაბადებული 01.01.1960 წ.  
მცხოვრები: გაგრის ზონა, ს. ზიფი - „ოქრო“  
**ბიგანიშვილი ვაჟა არჩილის ძე** - დაბადებული 01.01.1956 წ.  
მცხოვრები: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 5 კვარტალი - „ვაჟა“  
**ბილანიშვილი აკაკი ავთანდილის ძე** - დაბადებული 15.01.1950 წ.  
მცხოვრები: საგარეჯოს რ-ნი, ს. პატარძელი - „ქმუვი“ „კაკო“  
**ბიტკაში გივი ფადიუმის ძე** - დაბადებული 01.01.1937 წ. მცხოვრები: თბილისი შატბერაშვილის შესახვევი №7 - „გივი აისორი“  
**ბობოხიძე კოსტა – გივი ვიქტორის ძე** - დაბადებული 09.05.1942 წ.  
მცხოვრები: წყალტუბო, ს. შოშული - „მაგუნია“  
**ბოჭორიშვილი ავთანდილი სევერიანის ძე** - დაბადებული 01.01.1939 წ. მცხოვრები: ტყიბული, სტალინის ქუჩა 94 - „ტუხუნა“  
**ბულისკერია ირაკლი რენოს ძე** - დაბადებული 17.06.1982 წ.  
მცხოვრები: გალის რაიონი, სოფელი ოქუთი  
**ბურჭულაძე მურადი ვულვის ძე** - დაბადებული 01.01.1956 წ.  
მცხოვრები: ბათუმი, გოგებაშვილის 56 - „მურაშკა“  
**ბუნჩიკაშვილი რევაზი ვლადიმერის ძე** - დაბადებული 17.04.1952 წ.  
მცხოვრები: ზესტაფონის რ-ნი, ს. ფოთი (ცხოვრობს მოსკოვში) - „პეწო“  
**გაბისონია ზაური ვალერიანის ძე** - დაბადებული 01.01.1952 წ.  
მცხოვრები: ზუგდიდი, ბანოვის ქუჩა 10 - „იმე“  
**გაბუნია თეიმურაზი აღაბოს ძე** - დაბადებული 15.01.1954 წ.  
მცხოვრები: ვანის რ-ნი, სოფ. ამალღება - „სულარი ვანსკი“ „მუშტია“  
**გაბუნია კახაბერი ნიკოლოზის ძე** - დაბადებული 03.11.1969 წ.

მცხოვრები: ქუთაისი, ფარნავაზ მეფის ქუჩა 125, - „სპილო“  
**გაგანაშვილი ივანე-ვაჟა შოთას ძე** - დაბადებული 01.01.1954 წ.  
 მცხოვრები: ახმეტა ერისთავის ქუჩა 4 - „ვაჟა“ ან „იონა“  
**გადელია მერაბი ბაგრატიის ძე** - დაბადებული 28.05.1957 წ.  
 მცხოვრები: სოხუმის რაიონი, სოფელი შრომა - „კინაზი“  
**გაზდელიანი ამირან გივის ძე** - დაბადებული 15.01.1971 წ.  
 მცხოვრები: ლენტეხის რ-ნი, „ბეგო“  
**გებრანძე ჟორჯი ანდროს ძე** - დაბადებული 09.11.1946 წ. მცხოვრები: ოჩამჩირე, ენგელსის ქუჩა 68 - „ჭუკია“  
**გეგეჭკორი ამირანი ალექსანდრეს ძე** - დაბადებული 20.10.1953 წ. მცხოვრები: გულრიფშის რაიონი, სოფელი ფშაპი - „ამირანი“ „კონა“ „კახა“  
**გეგეჭკორი როლანდი ნოეს ძე** - დაბადებული 19.07.1957 წ. მცხოვრები: ზუგდიდის რაიონი, სოფელი ცაიში - „როლანდი“ „როლანდ შლიაპა“  
**გეგეჭკორი საჩინო შალვას ძე** - დაბადებული 01.06.1950 წ. მცხოვრები: აბაშის რ-ნი, ს.პირველი მაისი - „საჩინო“  
**გერგაია ვახტანგი შალვას ძე** - დაბადებული 20.11.1945 წ. მცხოვრები: ხობი, ლენინის ქუჩა 108, ბინა 4 - „ვახო“  
**გვასალია (კვარაცხელია) ვასილი ბიკენტის ძე** - დაბადებული 01.01.1946 წ. მცხოვრები: თბილისი, ქინძმარაულის 2 შეს., კორპ. 20, ბინა 43 - „პუსკია“ „ვასიკო“ „ვასლია“  
**გვაძაბია ზაური ზაურის ძე** - დაბადებული 01.01.1973 წ. მცხოვრები: სენაკი, ჩიქობავას ქუჩა 12, „ზაურ სუხუმსკი“  
**გვაჯაია დავითი თამაზის ძე** - დაბადებული 01.01.1963 წ. მცხოვრები: სენაკი  
**გველესიანი კობა ნოდარის ძე** - დაბადებული 01.01.1972 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ვაჟა ფშაველას 79 - „სისინა“  
**გვეხიძე კობა სოლომონის ძე** - დაბადებული 20.01.1973 წ. მცხოვრები: თბილისი  
**გვიშიანი რევაზ პეტრეს ძე** - დაბადებული 20.02.1949 წ. მცხოვრები წყალტუბოში - „რეზო“  
**გიორგაძე გიორგი ვაჟას ძე** - დაბადებული 01.01.1961 წ. მცხოვრები: თბილისი, ილორის 4  
**გიუნაშვილი შალვა ვლადიმერის ძე** - დაბადებული 02.01.1973

წ. მცხოვრები: თბილისი, აფანასევის ქუჩა 1  
**გოგია მერაბი თომას ძე** - დაბადებული 01.01.1953 წ. მცხოვრები: თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი 5, ბინა 52 - „მელა“  
**გოგიძე როლანდი მიხეილის ძე** - დაბადებული 01.01.1968 წ. მცხოვრები: წყალტუბოს რაიონი, სოფელი ქვილიშორი  
**გოგლაძე (გოგალაძე) ალექსანდრე შალვას ძე** - დაბადებული 01.01.1971 წ. მცხოვრები: თბილისი, უაირალოს ქუჩა 67 ა - „გონა-კურკა“  
**გოგოლაშვილი თეიმურაზი რევაზის ძე** - დაბადებული 13.07.1957 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ურიცკის 2 ჩიხი, ბინა 43 - „თემური“ „წიკო“  
**გოგოლაშვილი ოლეგი პავლეს ძე** - დაბადებული 01.01.1959 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ფალიაშვილის 19 - „პავლოვიჩი“  
**გოგოლაძე გიორგი ბიჭიკოს ძე** - დაბადებული 04.06.1964 წ. მცხოვრები: რუსთავი, კიროვის ქუჩა 19/42 (ცხოვრობს თელავში) - „გოგა“  
**გოგოლაძე თამაზი ბიჭიკოს ძე** - დაბადებული 20.07.1960 წ. მცხოვრები: რუსთავი, კიროვის ქუჩა 19, ბინა 42 - „ჩერმენა“ „ჩერნიკ“  
**გოგოტიშვილი აზო შალვას ძე** - დაბადებული 01.01.1939 წ. მცხოვრები: სამტრედია, ძნელაძის ქუჩა 8 - „აზო“  
**გოგუა ზურაბი ილიას ძე** - დაბადებული 01.01.1949 წ. მცხოვრები: სოხუმი, ჩამბას ქუჩა 46 - „ზურიკ“  
**გოდელაძე უშანგი ჯუმბერის ძე** - დაბადებული 15.04.1971 წ. მცხოვრები: ქარელი, რუსთაველის ქუჩა 47 - „უნა“  
**გორგიძე მირიანი შალვას ძე** - დაბადებული 04.02.1952 წ. მცხოვრები: ქუთაისი, მესხიშვილის ქუჩა 34, მირიკია“  
**გოფოძე თენგიზი სერგოს ძე** - დაბადებული 27.01.1960 წ. მცხოვრები: ხონი, სოლომონ მეორეს 48 „ლავე“  
**გრანინი კონსტანტინე ლეონიდის ძე** - დაბადებული 01.01.1967 წ. მცხოვრები: გაგრა, რუსთაველის 45, „კოტი“  
**გრიგოლია თამაზი გენოს ძე** - დაბადებული 01.01.1971 წ. მცხოვრები: სენაკი, ბორჯომის ქუჩა 15, - „ვატუნა“  
**გრიგოლია ნოდარი ნიკოლოზის ძე** - დაბადებული 01.01.1937 წ. მცხოვრები: გულრიფშის რაიონი, სოფელი ვარჩე

**გუგავა ჯუმბერი ჯოკიას ძე** - დაბადებული 01.01.1963 წ. მცხოვრები: გულრიფშის რ-ნი, ს. ჩინი

**გუგუშვილი გიორგი ანზორის ძე** - დაბადებული 26.07.1971 წ. მცხოვრები: ფოთი, ჭანტუერიას ქუჩა 23/73

**დადემქელიანი ლევანი ჯოყოლას ძე** - დაბადებული 01.01.1975 წ. მცხოვრები: გარდაბნის რაიონი, სოფელი კრწანისი

**დათუნაშვილი თემური გიორგის ძე** - დაბადებული 01.01.1955 წ. მცხოვრები: თბილისი, თემქის 1 კვარტალი, კორპ 6, ბინა 37 - „გია“

**დანელია დავითი გურამის ძე** - დაბადებული 01.01.1952 წ. მცხოვრები: ქუთაისი, კოსტავას 3 ჩიხი 14 - „სულულა“

**დანელია რამაზი ფრიდონის ძე** - დაბადებული 26.01.1976 წ. მცხოვრები: სოსხუმი, (ლტოლვილია ცხოვრობს მარტვილში)

**დარახველიძე რევი იგორის ძე** - დაბადებული 18.08.1979 წ. მცხოვრები: თბილისი, გლდანის 7 მ/რ., კორპ. 4ა, ბინა 76

**დარსაძე ზვიადი არჩილის ძე** - დაბადებული 16.02.1973 წ. მცხოვრები: ქუთაისი, მეველეს ქუჩა, 2 შესახვევი 27

**დგებუაძე ზურაბი ზურაბის ძე** - დაბადებული 10.12.1971 წ. მცხოვრები: ზუგდიდი, ლუქსემბურგის 4

**დგებუაძე ლევანი შირიმის ძე** - დაბადებული 01.01.1965 წ. მცხოვრები: გაგრა, რუსთაველის გამზირი 218-ა

**დეკანაძე ლევანი ბეჟანის ძე** - დაბადებული 09.09.1971 წ. მცხოვრები: ბათუმი, ქათამაძის ქუჩა 40, ბინა 26 - „ბაჭია“

**დემუროვი არტემი გიორგის ძე** - დაბადებული 01.01.1956 წ. მცხოვრები: თბილისი, ხერხეულიძის 5 - „არტიუმა“

**დვალი ბადრი-ბაჩუკი გიგლას ძე** - დაბადებული 01.01.1970 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ცაცხვების ქუჩა 16 - „ტარასა“

**დიაკვიშვილი გიორგი (გუგა) ოთარის ძე** - დაბადებული 01.01.1954 წ. მცხოვრები: თბილისი, დიღმის მასივი 4 კვ., 18 კორპ., ბინა 8 - „გუგა“

**დიღმელაშვილი ელგუჯა ალექსის ძე** - დაბადებული 01.01.1959 წ. მცხოვრები: თბილისი, მეტალურგების ქუჩა 4 - „გუჯა“

**დუმოვი თენგიზი მიხეილის ძე** - დაბადებული 01.01.1955 წ. მცხოვრები: თბილისი, დგებუაძის ქუჩა 1, ბინა 83 - „მურზიკა“ და „გონო“ „თენგი“

**ებრალიძე ამირანი შოთას ძე** - დაბადებული 20.05.1946 წ. მცხოვრები: ლანჩხუთი, გორგასლის ქუჩა 56 - „ამირან ლანჩხუტსკი“

**ეგვივი სერგო გიორგის ძე** - დაბადებული 01.01.1975 წ. მცხოვრები: თბილისი, ავლაბრის შესახვევი 5 - „სერჟიკა“

**ეგიზაროვი კამო არშაკის ძე** - დაბადებული 15.06.1962 წ. მცხოვრები: თბილისი, გლდანის მასივი (ცხოვრობს მოსკოვში) - „კამო“

**ელერჯია გიორგი სანდროს ძე** - დაბადებული 01.01.1960 წ. მცხოვრები: გალის რაიონი, სოფელი ცხირი (ლტოლვილია) - „გია“ „გია გალსკი“

**ელიზბარაშვილი მერაბი გიორგის ძე** - დაბადებული 14.07.1956 წ. მცხოვრები: თელავის რაიონი, სოფ. წინანდალი - „ზუბრი“

**ელიკაშვილი ზაზა კარლოს ძე** - დაბადებული 08.10.1973 წ. მცხოვრები: გურჯაანის რაიონი, სოფელი ძიკორი - „ლურსმანა“ ან „კარალეიკა“

**ერგემიძე ნუგზარი შოთას ძე** - დაბადებული 10.01.1956 წ. მცხოვრები: ზესტაფონი (თბილისი, ლიბანის ქუჩა 8)

**ესებუა ჯონდო ავთანდილის ძე** - დაბადებული 03.04.1974 წ. მცხოვრები: ქუთაისი, თაბუკაშვილის 34/9

**ვაწაძე ნოდარი ალექსანდრეს ძე** - დაბადებული 01.01.1933 წ. მცხოვრები: თბილისი, პეროვის ქუჩა 13 - „პაკრიშკა“

**ვიბლიანი გიორგი ლევანის ძე** - დაბადებული 01.01.1971 წ. მცხოვრები: თბილისი, ვორონინის ქუჩა 5 - „ცალთვალა პალაჩი“ ან „ჯუტია“

**ზაპუნანი (მურადიანი) ზორენი (სერგო) სოლომონის ძე (მუკუჩი)** დაბადებული 20.10.1932 წ. მცხოვრები: თბილისი, ცაბაძის 15, ბინა 6

**ზარანდია შედელი ილიას ძე** - დაბადებული 25.01.1957 წ. მცხოვრები: გულრიფშის რაიონი, სოფელი მერხეული - „ბესიკ“

**ზვიადაძე (ფადეევი) გაიოზ ლონგინოზის ძე** - დაბადებული 07.10.1958 წ. მცხოვრები: ქუთაისი, გრიბოედოვის ქუჩა 2, ბინა 1 - „გია ქუთაისელი“

**ზურაბაშვილი ბიძინა ივანეს ძე** - დაბადებული 14.10.1937 წ. მცხოვრები: გურჯაანის რ-ნი, ს.შაშიანი - „ვატატანთ ბიძინა“

**თალაკვაძე ოთარი ტიტეს ძე** - დაბადებული 01.01.1951 წ. მცხოვრები: ოზურგეთი, ჩანჩიბაძის ქუჩა 17 - „ოთარი“

**თარბა ვალერი ვლადიმერის ძე** - დაბადებული 01.01.1949 წ. მცხოვრები: გულაუთა, ლენინგრადის ქუჩა 89 - „მოტორნი“  
**თედიაშვილი შალვა ვალიკოს ძე** - დაბადებული 01.01.1967 წ. მცხოვრები: რუსთავი, თოდრიას ქუჩა 9 - „მამუკა“  
**თევდორაძე შოთა თეიმურაზის ძე** - დაბადებული 01.01.1980 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ბარათაშვილის 3 შესახვევი, ბინა 3  
**თვალჭრელიძე პაატა ფრიდონის ძე** - დაბადებული 20.06.1959 წ. მცხოვრები: თბილისი, ქიაჩელის ქუჩა 17 - „პაატა მალენკი“  
**თვალჭრელიძე სულხანი ფრიდონის ძე** - დაბადებული 01.01.1962 წ. მცხოვრები: თბილისი, სააკაძის ქუჩა 109  
**თოფურია ანდრო ირაკლის ძე** - დაბადებული 01.01.1967 წ. მცხოვრები: თბილისი, საბურთალოს ქუჩა 53/22  
**თოფურია გიორგი ტარიელის ძე** - დაბადებული 01.01.1972 წ. მცხოვრები: ქობულეთი, აღმაშენებლის 63 - „გოგა“  
**თუთბერიძე ნიკოლოზი სერგოს ძე** - დაბადებული 01.01.1956 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ნინოშვილის 15, ბინა 2 - „მაცი“  
**იმედაძე ალექსანდრე ნუგზარის ძე** - დაბადებული 26.04.1979 წ. მცხოვრები: ქუთაისი, არაგვისპირელის ქუჩა 9 - „დაუნდობელი“  
**იმნაიშვილი შოთა ვალერიანის ძე** - დაბადებული 19.01.1964 წ. მცხოვრები: ლანჩხუთის რაიონი, სოფელი შუხუთი - „ვაწა“ ან „პაწა“  
**იობიძე ვაჟა ჯიმშერის ძე** - დაბადებული 10.01.1958 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ავალიანის ქუჩა 36 - „მანაგო“  
**იობიძე როსტომი სერგოს ძე** - დაბადებული 01.01.1959 წ. მცხოვრები: ქუთაისი, აღმაშენებლის 2 - „როინ მალიში“  
**ირემაშვილი მამუკა შოთას ძე** - დაბადებული 16.04.1970 წ. მცხოვრები: თბილისი, მუხიანის დას. 2 მ/რ. კორპ. 6. ბინა 9 - „სიო“  
**ისოიანი ალბერტი აშოტის ძე** - დაბადებული 01.01.1957 წ. მცხოვრები: თბილისი, ისნის 5 „აბულიკი“  
**კაკულია ბესიკი როლანდის ძე** - დაბადებული 10.05.1975 წ. მცხოვრები: სოხუმი, (ლტოლვილია თბილისში, დოლიძის ქ. 9)  
**კალაშოვი ზაქარია კნიაზის ძე** - დაბადებული 20.03.1953 წ. მცხოვრები: თბილისი, ვარკეთილის 4 კვარტალი, 1 კორპუსი - „მაქრო მალადლო“  
**კარაბულატოვი მატვეი დემინანსის ძე** - დაბადებული 01.01.1960 წ. მცხოვრები: სოხუმი, ეშერის ქუჩა 17 „მათე“

**კარანაძე გიორგი იაქეს ძე** - დაბადებული 02.07.1972 წ. მცხოვრები: ზუგდიდი, მოსკოვის ქუჩა 5 - „იაქიჩი“  
**კარკალია ზაზა ელდარის ძე** - დაბადებული 26.07.1971 წ. მცხოვრები: ქუთაისი, წერეთლის 98/31  
**კეკელიშვილი გონა გივის ძე** - დაბადებული 01.01.1970 წ. მცხოვრები: რუსთავი, ლენინძის ქუჩა 20/10  
**კეკელია სოსო დიმიტრის ძე** - დაბადებული 26.02.1956 წ. მცხოვრები: ფოთი, რევოლუციის ქუჩა 27 - „სოსო“  
**კეპულაძე იაშა მირიანის ძე** - დაბადებული 01.01.1951 წ. მცხოვრები: ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა 85 - „როლანი“ ან „რომა“  
**კვარაცხელია გიორგი აკაკის ძე** - დაბადებული 22.07.1963 წ. მცხოვრები: წალენჯიხის რაიონი, სოფელი ჯგალი - „გია“ „ლაფშა“  
**კვარაცხელია ოთარი ჯვებეს ძე** - დაბადებული 28.03.1963 წ. მცხოვრები: სოხუმი, ჭავჭავაძის 48 (მოსკოვი მოჟაისკის შოსე 34 კ) - „კამო“ „კიძო“  
**კვიციანიძე მამუკა ვაჟას ძე** - დაბადებული 27.06.1971 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ნიკეას 46/21  
**კვიტია გაიოზი შალვას ძე** - დაბადებული 01.01.1954 წ. მცხოვრები: ოჩამჩირე, კუბიშვილის 43 „გაიოზი“  
**კიკაჩიშვილი ელგუჯა მელიქსეტი (სტეფანე)** დაბადებული 15.04.1942 წ. მცხოვრები: ხონი, გამარჯვების ქუჩა 38 - „მახონია“  
**კინწურაშვილი ჯეირანი სპარტაკის ძე** დაბადებული 17.08.1977 წ. მცხოვრები: ხონი, აღმაშენებლის 43, ბინა 20 - „ჭუკია“  
**კობალაძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე** დაბადებული 07.02.1974 წ. მცხოვრები: თბილისი, დიღმის მასივი 3 მ/რ., კორპ. 13 - „სიუ“  
**კობახიძე გრიგორი ლევანის ძე** დაბადებული 01.01.1962 წ. მცხოვრები: სენაკის რ-ნი, ს. ფოცხო (ტოლიატი ავტომშენის 42) - „კოხა“  
**კობეშვიძე ავთანდილ ნოდარის ძე** დაბადებული 22.01.1955 წ. მცხოვრები: ქუთაისი, გამარჯვების გამზირი 10/55 - „კობოლა“  
**კოკაია მერაბი შოთას ძე** დაბადებული 01.01.1965 წ. მცხოვრები: ფოთი, იმერეთის ქუჩა 32 „პონიკა“  
**კოლონტაძე რობერტი ალბერტის ძე** დაბადებული 01.01.1950 წ. მცხოვრები: ცხოვრობს კრასნოდარის მხარეში  
**კოპაძე ზვიად ივერის ძე** - დაბადებული 22.06.1975 წ. მცხო-



ოვრები: თბილისი, დ/დილომი მე-3 მკრ-ნი, კორპ. 5, ბინა 192  
**კოროშინაძე თამაზი შალვას ძე** - დაბადებული 01.01.1952 წ.  
 მცხოვრები: თბილისი, კამალოვის ქუჩა 2  
**კოლუაშვილი ბადრი ამბერკის ძე** - დაბადებული 22.03.1964 წ.  
 მცხოვრები: ქუთაისი, ბუხაიძის 2 მკრ., 26 კორპუსი, ბინა 16 - „კოლო“  
**ლანდია აკაკი როინის ძე** - დაბადებული 26.05.1976 წ. მცხოვრები: თბილისი, თემქა 11 მ/რ., 3 კვ., კორპ. 41, ბინა 72 - „კაკო“  
**ლოლუა ზვიადი არსენის ძე** - დაბადებული 29.06.1972 წ. მცხოვრები: თბილისი, დიდმის მასივი 4 კვ., 12 კორპ., ბინა 73  
**ლომთაძე რომანი როლანდის ძე** - დაბადებული 23.06.1961 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ევლოშვილის 16 - „რომა“ „მუსუსა“  
**ლომინეიშვილი გორა შაქროს ძე** - დაბადებული 01.01.1966 წ. მცხოვრები: ბათუმი, გამსახურდიას 2/32 - „შიშკინა“  
**ლომიძე ავთანდილ შოთას ძე** - დაბადებული 01.01.1948 წ. მცხოვრები: თბილისი, გლდანის 4 მ/რ., კორპ. 3, ბინა 89 - „ავირი“ „ავთო“  
**ლორთქიფანიძე რევაზი ზურაბის ძე** - დაბადებული 01.01.1958 წ. მცხოვრები: თბილისი, ჩიქოვანის ქუჩა 22, ბინა 22 - „რეზო ტბილისკი“  
**ლუარსაბიშვილი თენგიზი გივის ძე** - დაბადებული 15.10.1964 წ. მცხოვრები: რუსთავი, კლდიაშვილის 10/10  
**მაგუროვი ვიქტორი ომარის ძე** - დაბადებული 01.01.1965 წ. მცხოვრები: სოხუმი, ნოზაძის 22, ბინა 28 - „პიოსიკ“  
**მაისურაძე გოგი ვალერიანის ძე** - დაბადებული 23.04.1964 წ. მცხოვრები: თბილისი, გურამიშვილის 50 - „გოგი“ „გოგიტა“  
**მამალაძე კობა ზურაბის ძე** დაბადებული 01.01.1976 წ. მცხოვრები: ბათუმი, სუვოროვის (მთისძირის) ქუჩა 70  
**მამარდაშვილი პაატა რეზოს ძე** - დაბადებული 01.01.1971 წ. მცხოვრები: თბილისი, ვაშლიჯვარი, 10ა კორპ. - „რიჟა კოშკა“ ან „პაატა ხონსკი“  
**მამედოვი კარო ჯემალის ძე** - დაბადებული 13.11.1958 წ. მცხოვრები: თბილისი, თემქა 9 კვ., კორპ 13 - „კარო“  
**მანაგაძე გიორგი ზაურის ძე** - დაბადებული 01.02.1970 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ლესელიძის ქუჩა 8 - „გია“

**მანუკიანი გიორგი მიხეილის ძე** - დაბადებული 07.03.1964 წ. მცხოვრები: თბილისი, ონის ქ. 42 - „ჟორა თბილისელი“  
**მარღანია ზურაბი დომენტის ძე** - დაბადებული 17.08.1965 წ. მცხოვრები: გალი, (ცხოვრობს თბილისში, ვაჟა ფშაველას 1 ) - „კოჭო“  
**მარცვალაძე რობერტი ვასილის ძე** - დაბადებული 22.07.1958 წ. მცხოვრები: თბილისი, პიონერის ქუჩა 69  
**მაღლაფერიძე მერაბი შოთას ძე** - დაბადებული 21.11.1954 წ. მცხოვრები: ქუთაისი, თამარ მეფის (კიროვის) 25 - „მერაბი“ ან „სუნელა“  
**მაჭავარიანი გურამი (კოტე) გრიგოლის ძე** - დაბადებული 01.01.1927 წ. მცხოვრები: თბილისი, ზაქარიაძის ქუჩა 13  
**მახარაძე ნიკო ვაჟას ძე** - დაბადებული 14.07.1967 წ. მცხოვრები: ჩოხატაური, წიქარიძის 10 „ნიკო“  
**მახარობლიძე ზაალი ზურაბის ძე** - დაბადებული 01.01.1968 წ. მცხოვრები: ცაგერის რაიონი, სოფელი ლაჯანა - „გლეხოვი“  
**მგალობლიშვილი მალხაზი შოთას ძე** - დაბადებული 27.11.1967 წ. მცხოვრები: თბილისი, თემქა 4 მ/რ., კორპ. 13ა ბინა 45 - „მამუკა“  
**მგალობლიშვილი მამუკა რამინის ძე** - დაბადებული 14.09.1962 წ. მცხოვრები: სოხუმი, ძიგუას ქუჩა  
**მდივანი ალექსანდრე კირილეს ძე** - დაბადებული 11.12.1932 წ. მცხოვრები: მცხეთის რაიონი, სოფელი ძეგვი - „გური“  
**მებონია გენადი აქვსენტის ძე** - დაბადებული 01.01.1946 წ. მცხოვრები: სოხუმი, ორჯონიკიძის 38 - „სლეპოი“  
**მეგრელიშვილი ელიზბარი დავითის ძე** - 01.01.1951 წ. მცხოვრები: თბილისი, დადიანის 103  
**მელაძე ნიკოლოზ ჭიჭიკოს ძე** - დაბადებული 07.08.1972 წ. მცხოვრები: წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი  
**მერაბიშვილი ანზორი იოსების ძე** - დაბადებული 01.01.1936 წ. მცხოვრები: სიღნაღის რაიონი, სოფელი ანაგა - „კულტია“ „ცალხელა“  
**მეფარიშვილი გურამი გურამის ძე** - დაბადებული 01.01.1971 წ. მცხოვრები: თბილისი, ფალაშვილის 66 ბინა 58 - „ლუტო“  
**მეფორია ვია გივის ძე** - დაბადებული 19.12.1960 წ. მცხოვრები: გულრიფში (ლტოლვილია, ცხოვრობს ქუთაისში)

**მზარელუა მერაბი ევტიხის ძე** - დაბადებული 20.10.1956 წ. მცხოვრები: სოხუმი (ცხოვრობს მოსკოვში) - „მერაბი“

**მილორავა მურმანი ახესალომის ძე** - დაბადებული 01.01.1961 წ. მცხოვრები: სოხუმი, ბზიფის შოსე 570 - „მურმან“

**მიმინოშვილი ჯანსუღი იურის ძე** - დაბადებული 18.07.1956 წ. მცხოვრები: სოხუმი, ჩანბას ქუჩა 167 - „ჯანსუღი“

**მინდაძე მალხაზი დემურის ძე** - დაბადებული 01.01.1959 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა 44/80

**მირზოევი თემურ სულეიმანის ძე** - დაბადებული 07.05.1957 წ. მცხოვრები: თბილისი, 3 მასივი, 4 კვარტალი, 9 კორპუსი, ბინა 80 - „თემურ თბილისკი“

**მიქელაძე მამუკა ჯემალის ძე** - დაბადებული 01.01.1966 წ. მცხოვრები: თბილისი, გლდანის მას.

**მიქელაძე პაატა ავთანდილის ძე** - დაბადებული 01.01.1966 წ. მცხოვრები: სოხუმის რაიონი, სოფელი ბესლეთი

**მიქელაძე ჯემალი ჯემალის ძე** - დაბადებული 01.01.1977 წ. მცხოვრები: თბილისი, გლდანის მასივი - „ჯემო“

**მიქიაშვილი ოთარი რაჟდენის ძე** - დაბადებული 16.08.1977 წ. მცხოვრები: ქუთაისი, ტაბიძის ქუჩა 28

**მონიავა ვასილი ლევანის ძე** - დაბადებული 11.03.1956 წ. მცხოვრები: წულუკიძე, ჭავჭავაძის ქუჩა 39 - „ვასალი“

**მორჩილაძე ჯემალი რამიზის ძე** - დაბადებული 01.01.1963 წ. მცხოვრები: ქობულეთი, ლესელიძის 28 - „პიტკინა“

